

მანანა გიგინებშვილი
ლაუხა გხიგორაშვილი

ვახტანგ ჩოლონაია
ავთანდილ ახაბული

ქართული წარმართველი

ქართული მწერლობა

მოსცავლის ციფრი

I ნაწილი

10



საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

ლექსი დავით მალრაძისა

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ქართული ენა ნა ლიტერატურა

X

ძველი ქართული მწერლობა
მოსწავლის წიგნი
I ნაწილი

გრიფიული სახართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს

ავტორ-შემდგენლები: მანანა გიგინეიშვილი, ლაურა გრიგოლაშვილი,
ვახტანგ როდონაია
ტექსტებს ენობრივი მიმოხილვა და სავარჯიშოები დაურთო
ავთანდილ არაპულმა



თბილისი - 2022

ქართული ენა და ლიტერატურა

Х კლასის სახელმძღვანელო

I ნაციონალი



ავტორ-შემდგენლები: განანა გიგინეიშვილი
ლაურა გრიგოლაშვილი
ვახტაგ როდონაია
ავთანდილ არაგული

მხატვარი ილია ჭრელაშვილი

ყდის დიზაინი მარიამ ჯადიერი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქათევან გოგავა

© შპს „საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, 2022. პირველი გამოცემა

გამომცემლობა „სწავლანი“

მისამართი: თბილისი, ს. ცინცაძის 39

ტელეფონი: 236-91-85

www.stavlani.ge

ISBN 978-9941-9713-6-5

ISBN 978-9941-9713-7-2

M. Gigineishvili, L. Grigolashvili, V. Rodonaia, A. Arabuli

GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE X (I)

First Edition, 2022

Published by STSAVLANI Publishing

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ინსტრუმენტები



იმუშავეთ მეწყვილესთან ერთად



იმუშავეთ ჯგუფურად



წერითი სამუშაო



ზეპირი მეტყველება



მოისმინეთ



მოიძიეთ ინტერნეტში



წარმოადგინეთ თქვენი ნამუშევარი

შინაარსი

I ნაწილი

ქველი ქართული სასულიერო მნიშვნელობა

შესავალი

ქართული მნერლობის სათავეებთან	8
ქართული დამწერლობა	8
ქართული სალიტერატურო ენა	10
ქრისტიანობის დამკვიდრება და მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის	10
ქართული კულტურის კერძი	11
ადამიანის განვითარების ქრისტიანული გზა	13
ქართული მნერლობის პერიოდები	13
ძველი ქართული მნერლობა	13

I თავი. ძალის უძლურება

ჰაგიოგრაფიის მხატვრული ბუნებისათვის	21
-------------------------------------------	----

ლიტერატურა

იაკობ ხუცესი — წამებად წმიდისა შუშანიკისი	26
იოანე საბანისძე — წამებად წმიდისა და ნეტარისა ჰაბოხსი	69

მხატვრული ანალიზის ელემენტები

ავტორი — მთხობელი — პერსონაჟი	24
გმირი და ანტიგმირი	24
სიმბოლო	70

კითხვის სტრატეგია

ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინება	25
ტექსტის დაკავშირება ისტორიულ კონტექსტთან	71

ტექსტის ენა

დამატებითი ასო-ნიშნები ძველი ქართულისათვის	65
კავშირები ძველ ქართულში	65

ნაცვალსახელი ნაწილაკის როლში	66
კითხვის ნიშანი ძველ ქართულში.....	66
„რამთა“ და „რამთამცა“	67
იაკობ ხუცესის ხელნაწერს რომ ჩვენამდე მოელნია	67
ორი მწერლის სტილის განსხვავება	107
სტილიზაცია ისტორიული შინაარსის მხატვრულ თხზულებებში	108

II თავი. ტალანტის გამრავლება

ლიტერატურა

გიორგი მერჩულე — ცხორებად წმიდისა გრიგოლ ხანძთელისად	116
გიორგი მთაწმინდელი — ცხორებად იოვანესი და ეფთჟმესი	165

მხატვრული ანალიზის ელემენტები

კომპოზიცია	115
ჟანრის კანონი	171

კითხვის სტარტეგია

პერიფრაზირება	115
ეპოქის ესთეტიკის გათვალისწინება	172

ტექსტების ენა

„პატიჟი“ ძველი და ახალი მნიშვნელობით	164
„ჯერ-არს“ რთული ზმნის ისტორიიდან	165
პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ასახვა ძველ ქართულ ზმნაში	165
რატომ არა აქვს მოთხოვბითი ბრუნვა და სავრცობი (-ა) ადამიანთა საკუთარ სახელებს?	166
საკუთარი სახელი „თორნიკე“	188
ძველი და ახალი „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ენაში	188
მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების ერთი შემთხვევა	189

ნატილი I

ძეგლი ფორმული სისულეებით

შეკრიბი

(V-XI ს.)

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაიცემის.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს, იგია
საგანძე, სადაც ერი პოულობს თავის სულის ღონეს, თავ-
ის სულის ბგერას, თავის ზნეობით და გონებით აღმატე-
ბულებას, თავის ვინაობას, თავის თვისებას.

ილია ჭავჭავაძე

ძველი ავტორების კითხვისას ჩვენ რაღაც ძალზე მნიშ-
ვნელოვანს ვიძენთ, რაც შემდგომ თანამედროვე ეპოქისა
და ადამიანების უკეთ გაგებაში გვეხმარება.

ჯერომ ბრუნერი
განათლების ფსიქოლოგიის მკვლევარი



ქართული ხელნაწერი წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკიდან.
სინას მთა, ეგვიპტე. ბადრი ვადაჭვაორიას ფოტო



შესავალი



ქართული მწერლობის სათავეებთან

ქართულ კულტურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მსოფლიოს კულტურულ ერებს შორის ქართველებს კუთვნილი ადგილი უკავიათ. ქართულ მწერლობაში აისახა ერის ყველაზე ამაღლებული, ყველაზე დიადი მისწრაფებები.



ქართველებს, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ხალხს, ლიტერატურის შექმნამდე მდიდარი ზეპირ-სიტყვიერება ჰქონდათ. ამას მოწმობს ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულებიდან ჩვენამდე მოღწეული მითოლოგიური სიუჟეტების ამსახველი არქეოლოგიური მასალა; აგრეთვე, მითი ამირანის შესახებ და წარმართული (წინარექრისტიანული) ხანის პოეზიის ფრაგმენტები, უძველესი სასიმღერო ტექსტები და ზღაპრის სიუჟეტები.

ხალხური შემოქმედება ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

ვერცხლის თასი. თრიალეთი,
II ათასწლეული ძვ.წ.

ქართული დამწერლობა

ქართველებს საკუთარი ანბანი აქვთ. ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს:

ქართული საისტორიო წყარო ანბანის შექმნას წინარექრისტიანულ ხანაში ფარნაოზ მეფე (ძვ. წ. აღ. III ს.) მიაწერს. XI საუკუნის მემატიანე ლეონტი მროველი გვაუწყებს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუად ენა, თუნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მნიგნობრობად ქართული“.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართული ანბანი ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში უნდა შექმნილიყო და ფინიკიური დამწერლობა უნდა დასდებოდა საფუძვლად. კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, თამაზ გამყრელიძე და სხვა მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ქართული დამწერლობის შექმნა ქრისტიანობის გავრცელებასა და მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასთან არის დაკავშირებული. ქრისტიანობის მნიგნობრობის განვითარებას ითხოვდა. ღვთისმსახურებისათვის საჭირო იყო ქართულ ენაზე სახარების, სამოციქულოს, ფსალმუნებისა და სხვა ბიბლიური წიგნების თარგმნა. ქრისტიანობის მიღებას მოჰყვა დამწერლობის შემოღება ბევრ ქვეყანაში. ასე შეიქმნა კოპტების, გოთების, სომხების,



იორდანეს უდაბნოში აღმოჩენილი ტაძრის იატაკის მოზაიკური წარწერა. ერთ-ერთი ფრაგმენტი ასე იკითხება: „შენევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორესითა შეინყალენ ანტონი აბაა და იოსია მომსხმელი ამის სეფისაა და მამა-დედა იოსიასი ამენ“.

სლავების ანბანი. ისინი, ვინც ქართული დამწერლობის შექმნას ქრისტიანობას უკავშირებენ, მიიჩნევენ, რომ ქართულ ანბანს საფუძვლად პერძნული ანბანი დაედო.

ქართული დამწერლობის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნიმუში არის იერუსალიმის მაცლობლად, იორდანეს უდაბნოში, ტაძრის იატაკზე აღმოჩენილი მოზაიკური წარწერა, რომელიც დათარიღებულია 429-444 წლებით. ამავე საუკუნისაა (493-494 წწ.) აგრეთვე ბოლნისის სიონის წარწერა. ეს უძველესი ნიმუშები ეპიგრაფიკული ძეგლებია, ანუ წარწერებია, და არა — ხელნაწერები.

ახალი წელთაღრიცხვის V-VII საუკუნეებიდან მოღწეულია ხელნაწერებიც. უმეტესწილად ეს არის პალიმფსესტები, ანუ ეტრატზე, საგანგებოდ დამუშავებულ ტყავზე, ძველი და ახალი ფენით შესრულებული ხელნაწერები, რომელთა ქვედა ფენა, ანუ ძველი ნაწერი, გადაშლილია (გადაფხეკილია) და ზემოდან გადაწერილია ახალი ტექსტი.



ბოლნისის სიონის წარწერა, თარიღდება 493-494 წლებით. იკითხება: „ქრისტე დავით ეპისკოპოსი კრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თაყვანის-მცემელნი შეინყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შეხეწიე“.



ბოლნისის სიონი. V საუკუნე

ქართული ანბანის უძველესი სახეობაა მრგლოვანი. მისგან განვითარდა და IX საუკუნიდან გაპატონდა ნუსხური ანბანი, მაგრამ მრგლოვანი მაინც გამოიყენებოდა სათაურებში და აბზაცის დასაწყისი ასოები სათვის. ამიტომ მრგლოვან დამწერლობას ასომთავრულსაც უწოდებენ. XI საუკუნიდან დღემდე ვწერთ **მხედრულით**, რომელიც ნუსხური ანბანისაგან წარმოიშვა.

ქართული სალიტერატურო ენა

ქართულმა სალიტერატურო ენამ დიდი გზა განვლო, მაგრამ ენის განვითარების ერთიანი ხაზი არ გაწყვეტილა. ბევრ კულტურულ ერს — ბერძნებს, სომხებს და სხვებს — ძველი ტექსტების თარგმნა უხდება თანამედროვე ენაზე, ადრინდელი ქართული ტექსტების გაგება კი შესაბამისი კომენტარებით ყველა ქართველს შეუძლია. ქართველებს არ დაუკარგავთ ცოცხალი კავშირი სალიტერატურო ენასთან, რომელიც ლიტერატურის დასაბამიდანვე საერთო იყო ყველა კუთხის ქართველთათვის. ამ ენაზე ქმნიდნენ მწერლობას ქართლელებიც, მეგრელებიც, კახელებიც, სვანებიც, იმერლებიც, რაჭველებიც, ხევსურებიც, გურულებიც და სხვ. ყოველი მათგანი, თავის მხრივ, ამდიდრებდა სალიტერატურო ენას.

ქრისტიანობის დამკვიდრება და მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის

ქართველი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქრისტიანობის მიღება. ძველი წყაროების თანახმად, საქართველოში ქრისტეს სჯული იქადაგეს მოციქულებმა: **ანდრია პირველოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათიამ.** სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა უფრო გვიან, 326 წელს, როცა, გადმოცემის თანახმად, კაბადოკიელი ქალწული ნინო თავისი თმით შეკრული ვაზის ჯვრით ხელში შემოვიდა ქართლში, მოაქცია მირიან მეფის ოჯახი და მონათლა ხალხი.

ადრეულ ხანაშივე გაქრისტიანებამ განსაზღვრა ქართველთა კულტურული ცხოვრება, ერის ზეობრივი იდეალები. ქრისტიანობამ მოიტანა ახალი თვალთახედვა — „ღმერთი სიყუარული არს“ — და სიყვარულზე დაფუძნებული სახარების შეგონება — „გიყუარდეს მოყუასი შენი“. აი, რას წერდა ილია ჭავჭავაძე: „ვით მამა ზეცისა, იყავ შენც სრულიო... რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვს სიტყვაში, ღვთისა ბავეთაგან წარმოთქმულში!.. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა ადამიანს არ გაეგონა“.

ქრისტიანობის შემოსვლით ყველაფერი შეიცვალა. ქართველი მემატიანე უჩვეულო მხატვრული სახეებით გვესაუბრება: „აპა ესერა, ცაჲ ქუხდა და ქუე-

ყანაა იძროდა, მთანი კრთებოდეს, ბორცუნი იმღერდეს, ზღუად დგა, წყალნი აღ-მართ დიოდეს..“ ქრისტიანობაზე მოქცევით თითქოს გეოგრაფიული გარემოც გარდაისახა. ქართლის უძველესი სატახტო ქალაქის, მცხეთის, სიახლოვეს ქარ-თველებმა გოლგოთად წარმოიდგინეს მთა, რომელზეც შემდეგ ჯვრის მონასტერი აღმართეს. სახარებისეული სახელწოდებები შეარქვეს სხვადასხვა ადგილს. მცხეთას ქართულ იერუსალიმად მიიჩნევდნენ, სვეტიცხოველს — 12 მოციქულის საპატრიარქო ტაძარს — სიონად მოიხსენიებდნენ; აქვე, მტკვრის ნაპირას, სადაც ქართველები მოინათლნენ, დღემდე შემორჩა მღვიმე ეკლესის ნანგრევებით. ამ ადგილს ბეთლემი ეწოდება; მტკვრის მარჯვენა ნაპირას აღმართულია თაბორის მთა; მცხეთიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული ბეთანია.

ქართული კულტურის კერები VI-XI საუკუნეებში

ქრისტიანობამ დააკავშირა საქართველო ბიზანტიურ-ბერძნულ კულტურას-თან და გაიდო ხიდი საქართველოსა და ევროპულ სამყაროს შორის. სწორედ ქრისტიანობაა ევროპის ხალხების კულტურათა სულიერი საფუძველი. ქრისტიანობას ეფუძნება თანამედროვე კულტურული სამყაროს უმთავრესი ფუძემდებლური პრინციპი — ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

ქრისტიანობის მიღებას ქვეყანაში კულტურის არნახული აღორძინება მოჰყვა. დაიწყო ეკლესია-მონასტრების მშენებლობა. მონასტერს საქართველოში ისევე, როგორც ბევრ სხვა ქრისტიანულ ქვეყანაში, საკულტო დანიშნულებასთან ერთად საგანმანათლებლო მისიაც ეკისრებოდა. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები, ღვთისმეტყველები, კალიგრაფები, ხუროთმოძღვრები, მხატვრები, ოქრომქანდაკებლები, მუსიკოსები, მგალობლები. აქ თარგმნიდნენ თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, ლიტერატურულ თხზულებებს და ურთავდნენ განმარტებებს, ქმნიდნენ ორიგინალურ ნაწარმოებებს. ქართველებმა თავიანთ ენაზე აამეტყველეს და საკუთარი კულტურის ნაწილად აქციეს შუა საუკუნეების უდიდეს მოღვაწეთა ნააზრევი.

გოლგოთა — მთა იერუსალიმის მახლობლად, სადაც, სახარების თანახმად, ჯვარს აცვეს იესო ქრისტე (დღეს ეს მთა უკვე ქალაქის ფარგლებშია მოქცეული და გარშემორტყმულია სამლოცველოებით).

იერუსალიმი — ისრაელის პირველი მეფების სატახტო ქალაქი, რომელიც გაშენებულია მაღლობზე. სახარების თანახმად, ამ ქალაქთან და მის შემოგარენთან არის დაკავშირებული იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი მოვლენები.

სიონი — შემაღლებული ადგილი, ბორცვი, რომელიც, ბიბლიის მიხედვით, ებრა-ელთა მეფემ, დავითმა, მტკრებს წაართვა და შემდეგ იქ სატახტო ქალაქი, იერუსა-

ლიმი, დაარსა. ასევე მოიხსენიებდნენ იმ ადგილს, სადაც ებრაელთა პირველი ტაძარი იყო აღმართული.

ბეთლემი — ქალაქი იერუსალიმიდან სამხრეთ-დასავლეთით, რვა კილომეტრის დაშორებით. გადმოცემის თანახმად, აქ დაიბადა იესო ქრისტე.

თაბორი — მთა ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში. სახარებისეული გადმოცემის თანახმად, სწორედ აქ მოხდა იესოს გარდასახვა (ფერისცვალება), რომლის მოწმენიც შეიქნენ მისი მონაფეები.

ბეთანია — დაბა იერუსალიმის მახლობლად. სახარების თანახმად, აქ ცხოვრობდნენ იესოს მოწაფეები: მართა, მარიამი და ლაზარე.



ათონის მთა. წმ. საბას ლავრა

ბიზანტიური ლიტერატურის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელთა ბერძნული დედანი დაკარგულია, ქართულმა თარგმანმა შემოუნახა კაცობრიობას.

ქართველთა სამონასტრო-საგანმანათლებლო კერები გაბნეული იყო მთელ კულტურულ სამყაროში: **სინას მთაზე** (არაბეთის ნახევარკუნძული), **იერუსალიმში, შავ მთაზე** (სირია), **ათონის მთაზე** (საბერძნეთი), **კვიპროსზე** და სხვ. კულტურის ამ კერებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო კერებთან.



იერუსალიმი. ჯვრის მონასტერი

ადამიანის განვითარების ქრისტიანული გზა

ქრისტიანული თვალთახედვით, სიკეთეა სამყაროს არსი, მშვენიერებაა ის, რაც სიკეთეა; ბოროტება წარმავალია და მას დასაბამი არა აქვს, იგი ღვთისგან არ მომდინარეობს. ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ღვთის ხატად შექმნილმა ადამიანმა თავისი პიროვნების ამაღლებით უნდა აღიდგინოს ის, რაც დაკარგა — ღვთაებრივი ხატი (ღვთის მსგავსება), ეს კი ჯვარცმული ღვთის ბაძვით, ქრისტეს გზაზე თავდადებული სვლით მიიღწევა. ასეთი თვალთახედვა განმსჭვალავს ძველ ქართულ მწერლობასაც.

ქართული მწერლობის პერიოდები

ქართულმა მწერლობამ განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო. მეცნიერები მას ძველ, ახალ და უახლეს პერიოდებად ყოფენ. ძველი მწერლობა V-XVIII საუკუნეებს მოიცავს, ახალი მწერლობა — XIX საუკუნეს, უახლესი კი — XX საუკუნეს და გრძელდება დღემდე.

ძველი ქართული მწერლობა

ძველი ქართული მწერლობა მდიდარი და მრავალფეროვანია. საქართველოში ადრიდანვე შეიქმნა და განვითარდა სასულიერო მწერლობის ყველა დარგი. მათგან მხატვრული ღირებულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ჰაგიოგრაფია** — სასულიერო პროზა და **ჰიმნოგრაფია** — სასულიერო პოეზია.

ჰაგიოგრაფია (ბერძნ. ჰაგიოს — წმინდანი, გრაფო — ვწერ) წმინდანთა ღვანლის ასახვაა. ჰაგიოგრაფიაში ორ ქვეუანრს გამოყოფენ. ესენია: „**ნამებათა**“ და „**ცხორება-მოქალაქეობის**“ ამსახველი თხზულებები. პირველში იმ მოწამეთა თავდადება აისახება, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს იდეალებისა და პრინციპების ერთგულებას, მეორე კი იმ წმინდანთა ღვანლს აღწერს, რომლებსაც სისხლი არ დაუღვრიათ, მაგრამ მთელი მათი ცხოვრება ქრისტიანული იდეალების მსახურების მაგალითი იყო.

XI საუკუნიდან სასულიერო მწერლობის გვერდით ვითარდებოდა საერო მწერლობა. საერო მწერლობის აღმოცენებისათვის ნიადაგი სწორედ სასულიერო მწერლობამ მოამზადა.

ძველმა მწერლობამ შექმნა მდიდარი და დახვეწილი სალიტერატურო ენა. ამ მწერლობას დღესაც დიდი შთამაგონებელი ძალა აქვს. ქართულმა სამწერლობო ენამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართველთა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:


1. რა მოსაზრებები არსებობს ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ?
2. რომელია ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული წარწერები? ქართული ანბანის რომელი ნაირსახეობით არიან ისინი შესრულებულნი?
3. როდინდელია უძველესი ქართული ხელნაწერები?
4. რა არის პალიმფსესტი და რამ გამოიწვია მისი წარმოშობა?
5. რას გულისხმობდა ადამიანის განვითარების ქრისტიანული გზა?
6. რა როლი ეკისრებოდა მონასტერს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში?
7. რომელ საუკუნეებს მოიცავს ძველი ქართული მწერლობა? როდიდან ჩნდება საერო მწერლობა?
8. რა არის ჰაგიოგრაფია? რა განსხვავებაა „წამებისა“ და „ცხოვრების“ უანრებს შორის?
9. იმსჯელეთ ქრისტიანობის როლზე ქართული კულტურის განვითარებაში.

ეს საინცერტოა!

როგორ იქცა მეცნიერული აღმოჩენა ხელოვანთა შთაგონების წყაროდ

საქართველოს უძველესი დედაქალაქის, მცხეთის, ხანგრძლივმა არქეოლოგიურმა შესწავლამ ჩვენი ისტორიის არაერთი საყურადღებო ფაქტი გამოავლინა. თავისი მიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არმაზის ბილინგვის აღმოჩენას (1940 წლის 25 ნოემბერი). ეს არის მოსახსენიებელი ქვის სტელა, რომელზეც ორ ენაზე — ბერძნულად და არამეულად — შესრულებულია ზევახ პიტიახშის 21 წლის ასულის, სერაფიტის, საგლოველი ტექსტი:

მე ვარ სერაფიტი, ასული ზევახისა,
მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა,
მეუღლე იოდმანგანისა — ძლევამოსილი-
სა და მრავალი გამარჯვების მომპოვებე-
ლი ეზოსმოძღვრისა ქსეფარნუგ მეფისა,
ძისა აგრიპა ეზოსმოძღვრისა ფარსმან მე-
ფისა. ვაება ვაებისა. ის, ვინც იყო ახალ-
გაზრდადა იმდენად კეთილიდა მშვენიერი
იყო, რომ არავინ იყო მისი მსგავსი სილა-
მაზით. და გარდაიცვალა 21 წლისა.



არმაზის ბილინგვა



ლადო გუდიაშვილი, სერაფიტას გასეირნება
© ჩუქურთმა გუდიაშვილის საკუთრება

ტექსტი მე-2 საუკუნისაა და განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ მასში აღნიშნული ინფორმაცია ორი დამწერლობით არის გადმოცემული: ბერძნულით და არამეულით. ეს კი, მკვლევართა აზრით, პირველ რიგში, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ დროისათვის ქართული დამწერლობა არ არსებობს.

არმაზის ბილინგვა საგანგებოდ შეისწავლა ცნობილმა მეცნიერმა გიორგი წერეთელმა და მან სწორედ არამეულ ანბანში დაინახა ქართული დამწერლობის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი. უნდაითქვას, რომ ეს მეცნიერული თვალსაზრისი, რომელიც თავის დროზე ნამდვილი სენსაცია იყო, საყოველთაოდ არ გაუზიარებიათ და თანდათანობით მეცნიერების ისტორიის კუთვნილება გახდა.

თავად მშვენიერი სერაფიტის გულისშემძვრელი ამბავი კი არაერთი შემოქმედის შთაგონების წყაროდ იქცა. ცნობილმა მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა სერაფიტის თემაზე ორი მხატვრული ტილო შექმნა: „სერაფიტას გასეირნება“ და „არმაზის სარკოფაგიდან“. ზევას პიტიახშა და მის მშვენიერ ასულს ლექსები მიუძღვნეს სიმონ ჩიქოვანმა და გრიგოლ აბაშიძემ. სერაფიტის თემით არის შთაგონებული აგრეთვე სერგო კლდიაშვილის ნოველა „სერაფიტი“.


დავალება

როგორც იცით, ცნობილია ქართული დამწერლობის სამი ძირითადი ნაირსახეობა — **ასომთავრული**, **ნუსხა-ხუცური** და **მხედრული**. დააკვირდით ქვემოთ მოყვანილ ნიმუშებს და სცადეთ განსაზღვროთ თითოეული მათგანის არსებითი თავისებურება, კერძოდ:

1. რომელ მათგანს ახასიათებს მრგვალი მოხაზულობა?
2. რომელი ანბანის ასონიშნების ძირითადი გრაფიკული ელემენტია წრე და ნახევარწრე?
3. რომელ მათგანშია ყველა ასონიშანი თანაბარი, ანუ რომელი ანბანის ასონიშნები იწერება ორ ხაზს შეუ?
4. რომელ მათგანს ახასიათებს კუთხოვანი მოხაზულობა?
5. რომელი ანბანის ასონიშნების ძირითადი გრაფიკული ელემენტია ხაზი და კუთხე?
6. რომელი მათგანის ასონიშნები იწერება ოთხ ხაზს შეუ (ანუ რომელ მათგანში გვაქეს შეუ რეგისტრის, ზედა რეგისტრისა და ქვედა რეგისტრის ასონიშნები)?




მრგლოვანი. დავით გარეჯის მონასტრის ეკლესიის
შესასვლელი. XII ს.



მრგლოვანი. კალის ლექციონარი. X ს.




ნუსხური. მიქაელ მოდრეკილის იადგარი. X ს.




ნუსხური. სვეტიცხოვლის გულანი. XVII ს.




მრგლოვანი. ჯრუჭის სახარება. X ს.



მრგლოვანი. სახარება. X ს.



მხედრული. ბეგრატ IV-ის სიგელი. XI ს.



მხედრული. მარიამისეული ქართლის ცხოვრება. XVII ს.

თავი I

ძელის უძლოებელება

პოლ ვალერი
ფრანგი პოეტი, ესეისტი, ფილოსოფოსი

ძალის სისუსტე ისაა, რომ ძალის მეტი არაფერი სწამს.



პურობის სცენა „შუშანიკის წამებიდან“.
მხატვარ-ილუსტრატორი მამია მალაზონია

შ ი ნ ა ა რ ს ი

I თავი. ძალის უძლურება

ჰაგიოგრაფიის მხატვრული ბუნებისათვის 21

ლიტერატურა

იაკობ ხუცესი — წამებად წმიდისა შუშანიკისი 26

იოანე საბანისძე — წამებად წმიდისა და ნეტარისა ჰაბოხისი 69

მხატვრული ანალიზის ელემენტები

ავტორი — მთხოვბელი — პერსონაჟი 24

გმირი და ანტიგმირი 24

სიმბოლო 70

კითხვის სტრატეგია

ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინება 25

ტექსტის დაკავშირება ისტორიულ კონტექსტთან 71

ტექსტების ენა

დამატებითი ასო-ნიშნები ძველი ქართულისათვის 65

კავშირები ძველ ქართულში 65

ნაცვალსახელი ნაწილაკის როლში 66

კითხვის ნიშანი ძველ ქართულში 66

„რათა“ და „რათამცა“ 67

იაკობ ხუცესის ხელნაწერს რომ ჩვენამდე მოეღწია 67

ორი მწერლის სტილის განსხვავება 107

სტილიზაცია ისტორიული შინაარსის მხატვრულ

თხზულებებში 108



ჰაგიოგრაფიის მხატვრული პუნქტისათვის

ჰაგიოგრაფიის მიზანია რწმენისა და იდეალებისათვის თავდადებული ადამიანის სახის შექმნა. ჰაგიოგრაფია პიროვნების ამაღლებას გვიჩვენებს. წესისამებრ, მას ერთი მთავარი გმირი ჰყავს, ნაწარმოების სათაურიც ამაზე მეტყველებს.

ქრისტიანული რელიგია თვალით ხილულ, გრძნობად სამყაროს მიიჩნევს ადამიანის დროებით სამყოფლად, „წუთისოფლად“, რომლის მიღმა არსებობს „ზენა სოფელი“, ანუ ზეციური, მარადიული სამყარო. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ღვთის ხატად შექმნილმა ადამიანმა დაკარგა მსგავსება თავის პირველსახესთან. ადამიანის მისია ქრისტეს ბაძვით მიწიერისა და ზეციურის შეკავშირება. „ხატსა თვალსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწეს“ (შენს სახეს დამამსგავსე და ხორციელისა და სულიერის შემაერთებლად დამადგინე), — დავით აღმაშენებელმა ამ წინადადებაში ჩაატია ეპოქის მსოფლმხედველობრივი მრწამსი.

ყოველივე ამის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ქრისტიანული მწერლობის გაგება და თვით მოწამის სახის წვდომა.

ქრისტიანული მოძღვრება მიიჩნევს, რომ წმინდანი ხიდის გამდებია წუთისოფელსა და ზენა სოფელს შორის. იგიარის „ზეცისა კაციდა ქუეყანისა ანგელოზი“. ამიტომ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში აღინერება ნამდვილად მომხდარი ამბავი, წმინდანის თანამედროვე ისტორიული გარემო, თუმცა ჰაგიოგრაფისათვის სინამდვილე მხოლოდ თვალით ხილული სამყარო არ არის. მისთვის რეალობა ზენა სოფელიც. მისი მიზანია წმინდანის სვლის ჩვენება სულიერი სამყაროსაკენ. ჰიმნოგრაფთა აზრით, ჩვეულებრივი ენით ჭირს ამის გამოხატვა. მწერლები ჩივიან, რომ სიტყვა ვერ იტევს სათქმელს. ამიტომ ისინი მოიშველიებენ ბიბლიის სახე-სიმბოლოებს. ეს სიმბოლოები კონკრეტულ მნიშვნელობასთან ერთად სულიერ შინაარსს მოიცავენ. ასეთი სიმბოლოებია: „ტარიგი ქრისტესი“, „სძალი ქრისტესი“, „მეთერთმეტე უამის მუშაკი“, „ტალანტის გამრავლება“ და სხვ. თითოეული მათგანი სახარების იგავებიდან იღებს სათავეს.

მაგალითად, სიმბოლო, რომელიც „შუშანიკის წამებაში“ მოწამის სახე-საც ძერნავს, სიუჟეტურ თხრობასაც წარმართავს და ნაწარმოებს კომპოზიციურადაც კრავს — ეს არის „სძალი ქრისტესი“. იგი შეგვახსენებს სახარების იგავს ათი ქალწულის შესახებ და მიგვანიშნებს, რომ მოწამე ღვთიური სიყვარულით განიმსჭვალა.

მ თ ვ ე გ ზ ა ნ დ თ ი ლ ე პ ე ს ტ ი ხ

წ ა ს ა მ ა ი თ ხ ა ლ

ციქებად წმილისა შუშანიკისა

იაკობ ხუცესი

ავტორი

„წამებად წმილისა შუშანიკისი“ ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ძეგლადაა აღიარებული.

შუა საუკუნეებში დღევანდელობისგან განსხვავებულად ესმოდათ ავტორის როლი. ერთადერთ შემოქმედად მიიჩნეოდა ღმერთი. ავტორი კი ღვთის ნების აღმსრულებლად ითვლებოდა. ამიტომ ხშირად იგი არც გვიმსელდა თავის ვინაობას. ამითაც არის გამოწვეული, რომ არ ვიცით ბევრი ლიტერატურული ნაწარმოების, ხუროთმოძღვრული ძეგლის, ხატის, ფრესკისა თუ საგალობლის შემოქმედთა ვინაობა; არ ვიცით, პირველმა ვინ თარგმნა ბიბლიური წიგნები, ვინ ააგო მცხეთის ჯვარი, ვინ შექმნა ყინწვისის ანგელოზი, გელათის მოზაიკა, ძველი ქართული საგალობლები.

„შუშანიკის წამების“ ავტორის შესახებ კი საკმაო ცნობები გვაქვს. ტექსტიდან ჩანს, რომ მისი სახელია იაკობი. იგი ქვემო ქართლის საპიტიახშოს კარის ეკლესიის მღვდელი და შუშანიკის სულიერი მოძღვარი ყოფილა. იაკობი ნაწარმოების არა მარტო ავტორია, იგი პერსონაჟიცაა. მონამებრივი გზის დასაწყისიდან დასასრულამდე იაკობ ხუცესი მხარში უდგას შუშანიკს, ამხნევებს მას, საპყრობილები მოინახულებს, თანაუგრძნობს, საზრდოს აწვდის, რჩევას აძლევს.

ნაწარმოებიდან ჩანს, რომ იაკობ ხუცესი ღრმად განსწავლული პიროვნება ყოფილა.

თხზულება დაწერილია შუშანიკის მონამებრივი აღსასრულის (475 წლის 17 ოქტომბერი) შემდეგ, ვარსკენის სიცოცხლეშივე (მოკლეს 482 წელს), ე.ი. 476-482 წლებში.

„შუშანიკის წამების“ ავტორისეულ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი უძველესი ნუსხა თარიღდება X საუკუნით.

V საუკუნის ქართლი

ჰაგიოგრაფი რეალურად მომხდარ ამბავს ასახავს. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თვითონ იყო მონაწილე ყოველივესი. ამიტომ მის ნაწარმოებს დიდი სამსახურის განევა შეუძლია ისტორიკოსებისათვის, იგი ძვირფასი ისტორიული წყაროა.

იაკობ ხუცესის მონათხრობში საინტერესო ცნობებია V საუკუნის ქართლის შესახებ. მოქმედება იშლება ქვემო ქართლში, იმ მხარეში, სადაც ბოლნისის სიონის ტაძრის კედელზე ერთ-ერთი უძველესი ქართული წარწერაა ამოკვეთილი.


ცნობილია, რომ ქვემო ქართლის პიტიახში იმხანად ქართლის მეფეს, ვახტანგ გორგასალს, უკრჩებოდა და ძლიერ მფარველს სპარსეთში ეძებდა. სპარსეთის სამეფო კარს საპიტიახშოზე გავლენა ადრეც ჰქონია მოპოვებული. ვარსკენის კარზე გაშინაურებული „კაცი ერთი სპარსი“ გარკვეული უფლებებით სარგებლობს პიტიახშის სასახლეში.

იმუამინდელი ქართლის საზოგადოება სოციალურ ფენებად არის დაყოფილი. ფეოდალურ საზოგადოებას შეადგენენ „აზნაურნი დიდ-დიდნი“, „აზნაურნი“ და „უაზნონი“. თავისუფლების არმქონეთა, „უაზნოთა“, შორის წახსენები არიან მონა-მსახურნი.

ნაწარმოებში გვხვდება ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის საინტერესო ცნობები.

ქართლის გაქრისტიანებიდან დაახლოებით საუკუნე-წახევარია გასული. საეკლესიო ცხოვრება წარიმართება ქრისტიანული სამყაროს აღიარებული ცენტრების (სირია, პალესტინა, ბიზანტია) მსგავსად; აშენებულია ეკლესიები, სამარტვილები, ჩამოყალიბებულია სასულიერო ფენა. ნაწარმოებში ამ ფენის წარმომადგენლები არიან: მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, ხუცესი, დიაკვანი. ფეოდალს კარის ეკლესია აქვს და ჰყავს „ეპისკოპოსი სახლისად“.

მოწამე დედოფალს ხელთა აქვს სახარება, მოწამეთა წიგნები, ზეპირად იცის ფსალმუნები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ წასაზრდოები და შთაგონებულია ბიბლიური წიგნებით, კერძოდ, სახარებით. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ იმუამინდელი მსმენელი, მკითხველი,



ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება ვითარდება დაბა ცურტავში, საპიტიახშოს ცენტრში. ცურტავი ბოლნისსა და რუსთავს შორის, მდინარეების – მაშავერასა და ხრამის – შესართავთან მდებარეობდა.

მრევლი ღრმად ყოფილა გათვითცნობიერებული სახარების სიპრძნეში. სხვა-გვარად შეუძლებელია, ვინაიდან მას უნდა შესძლებოდა ნაწარმოების გაგება, რომ წმინდანის მოწამებრივი ღვაწლის თანამონაწილედ ეგრძნო თავი.

უძველესი ძეგლი ქართული ლიტერატურისა არ არის მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის საკუთრება. სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაცია ყოველთვის გვაძლევს ზრდის, სრულყოფის სტიმულს, მაგრამ ამასთანავე გვიქმნის დაცემის, გზიდან გადახვევის საცთურსაც. 1500 წელზე მეტი გვაშორებს იაკობ ხუცესის ეპოქას. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ არ შეცვლილა მთავარი: სიკეთესიკეთედრჩება, ბოროტების გზით სიარული დღესაც სათაკილოა; მამულის, რწმენის, ეროვნული იდეალების ერთგულება მარადიულ ღირებულებებად რჩება და ადამიანს მათი მსახურებით მართებს თავისი თავის სრულყოფა. თუ ასე შევხედავთ იაკობ ხუცესის ნაღვანს, იგი დღესაც ცოცხალი იქნება.

დავაკავშიროთ

უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

დააკვირდით სახელმძღვანელოს წინამდებარე თავის სათაურს, თავფურცელზე მოყვანილ ციტატას და დააკავშირეთ ისინი ერთმანეთთან. იმსჯელეთ, როგორ გესმით „ძალის უძლურება“?

გავაანალიზოთ

მხატვრული ანალიზის ელემენტები

I. ავტორი – მთხოობელი – პერსონაჟი. სიტყვა ავტორი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. უპირველესად, ის აღნიშნავს ნაწარმოების შემქმნელს – კონკრეტულ ადამიანს თავისი ბიოგრაფიითა და ხასიათით, ანუ ავტორს, როგორც პიროვნებას. გარდა ამისა, ამ სიტყვით აღნიშნება „ავტორის სახე“ ნაწარმოებში, ანუ ავტორი, როგორც პერსონაჟი (ეს მაშინ, როდესაც მწერალი თავის თხზულებაში საკუთარ თავს ასახავს). და ბოლოს, ეს სიტყვა გამოიყენება, როდესაც ვსაუბრობთ ავტორზე, როგორც შემოქმედზე, ხელოვანზე, ოსტატზე, რომელიც ნაწარმოების ყველა დეტალში ამჟღავნებს თავს.

ავტორი-პერსონაჟი ამავე დროს ნაწარმოებში გადმოცემული ამბის მთხოობელიცაა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მთხოობელი შეიძლება უბრალო თვითმხილველიც იყოს, ავტორი-პერსონაჟი კი ამბის აქტიური მონაწილეა.

იაკობ ხუცესი სამივე სახით გვევლინება. იგი ნაწარმოების ავტორიცაა, მასში გადმოცემული ამბის მთხოობელიცა და პერსონაჟიც. კითხვის პროცესში დააკვირდით იაკობ ხუცესს, როგორც ნაწარმოების პერსონაჟს, და სცადეთ, გამიჯნოთ იგი იაკობ ხუცესისგან, როგორც ნაწარმოების ავტორისაგან.

II. გმირი და ანტიგმირი. პერსონაჟის სინონიმად ხშირად გამოიყენება შესიტყვება: „ლიტერატურული გმირი“. სიტყვა „გმირი“ პერსონაჟის დადებით როლ-

ზე, მის განსაკუთრებულობასა და გამორჩეულობაზე ამახვილებს ყურადღებას. გმირი მხატვრულ ნაწარმოებში გადმოცემული ამბის ცენტრალური ფიგურაა, ანტიგმირი კი ის პერსონაჟია, რომელიც გმირს უპირისპირდება.

ჰაგიოგრაფიის მიზანია რწმენისთვის თავდადებული ადამიანის სახის შექმნა. ჩვეულებრივ, მას ერთი მთავარი გმირი ჰყავს. მოწამეს გზაზე ხვდებიან ადამიანები, რომლებიც აბრკოლებენ, ან, პირიქით, ამხნევებენ, თანაუგრძნობენ. ისინი მწერლის მთავარ ყურადღებას ვერ იქცევენ, მაგრამ ისე არიან დახატული, რომ მკითხველს თავს ამახსოვრებენ.

უარყოფითი პერსონაჟი, ანუ ანტიგმირი, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში მოწამის სახის წარმოჩენას ემსახურება, მასთან დაპირისპირებაში იკვეთება წმინდანის ღვანლი. ჰაგიოგრაფიის მთავარი გმირი მოწამეა და არა მტარვალი. ასეთი ხედვა არის შუა საუკუნეების ფერწერაშიც. იდეალურ გმირს სახით ჩვენკენ შემობრუნებულს ხატავდნენ, უარყოფით პერსონაჟებს კი პროფილში წარმოგვიდგენდნენ. მიიჩნეოდა, რომ ხატი, ფრესკა ცხოველმყოფელ ზემოქმედებას ახდენდა მნახველზე. ამიტომ უარყოფით პერსონაჟს ხატავდნენ მეორე პლანზე, ან მისი სახის ერთ ნაწილს გვიჩვენებდნენ, რათა ბოროტებასთან ნაკლები კონტაქტი ჰქონდა ადამიანს. მაგალითად, იუდას პროფილში გამოსახავდნენ. უარყოფითი პერსონაჟების ხატვის ეს ტრადიცია შემდეგაც გაგრძელდა (იხ. იტალიური რენესანსის უდიდესი წარმომადგენლების – ჯოტოს „იუდას ამბორი“, ტიციანის „კეისრის დინარი“ და სხვ.).

კითხვის პროცესში დააკვირდით, როგორ მიგვანიშნებს ავტორი – ვინ არის ნაწარმოებში გმირი და ვინ – ანტიგმირი.

გამოვიყენოთ კითხვის სტრატეგია

ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინება. როცა სხვა ეპოქაში შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს კითხულობთ, აუცილებლად უნდა გაითვლისწინოთ იმ ეპოქის მსოფლმხედველობა. ყველა ნაწარმოები თავისი დროის ნაყოფია და, შესაბამისად, იმდროინდელი რწმენისა და მსოფლმხედველობის გათვალისწინების გარეშე მისი სრულყოფილი გაგება შეუძლებელია. განსაკუთრებით ეს ჰაგიოგრაფიაზე ითქმის.

ჰაგიოგრაფიული ტექსტების გაგება რომ გაგიოოლდეთ, გულდასმით წაიკითხეთ სახელმძღვანელოს შესავალსა და ამ თავის დასაწყისში მოცემული პარაგრაფები: „ადამიანის განვითარების ქრისტიანული გზა“ და „ჰაგიოგრაფიის მხატვრული ბუნებისათვის“; ასევე, თავად ტექსტების კითხვის დროს ყურადღებით გაეცანით თანდართულ კომენტარებს, რომლებიც, ლექსიკური ერთეულების გარდა, მსოფლმხედველობრივი, სარწმუნოებრივი და კულტურული რეალიების განმარტებასაც შეიცავს.

ნაძგბა წმიდისა შუმანისა



და ან დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი.

I. იყო: მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსკენ პიტიახში, ძვ არშუმაისი. რამეთუ პირველ იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთა, და ცო-

დამტკიცებულად დანამდვილებით, დარწმუნებით.

მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა სპარსთა მეფის მეფობის მეფობის მერვე წელს (იგულისხმება პეროზი, რომელიც მეფობდა 459-84 წლებში).

პიტიახში სპარსული სამოხელეო ტერმინი, ერისმთავარი.

ვარსკენ პიტიახში ქვემო ქართლის მმარ-

თველი V საუკუნის მეორე ნახევარში. ქართლის სამეფო ხელისუფლებას დაუპირისპირდა და ირანს მიემხრო, 482 წ. ვახტანგ ვორგასალმა მოაკელევინა.

არშუმა ქვემო ქართლის პიტიახში V საუკუნის შუა წლებში. მემატიანის თქმით, „კაცი ჭკვიანი და გამომრჩეველი“. უპირისპირდებოდა ირანის დამპყრობლურ პოლიტიკას.

ლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპავპეტისავ, მამისაგან სახელით ვარდან, და სიყუარულით — სახელი მისი შუშანიკ, მოში-ში ღმრთისავ, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თჯსით. და უკე-თურებისა მის სახისა ქმრისა მისისაისა მარადის გულს-ეტყვზნ და ევედრებინ ყოველთავე ლოცვის-ყოფად მისთჯს, რათამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიე-რებასა ქრისტისა.

ხოლო ამის უბადრუკისა და სამგზის საწყალობელისა ვარსქე-ნისი ვითარ-მე ვინ თქუას, ყოვლად განწირულისავ, ვითარ-იგი გა-ნავდო სანატრელი სასოებაი ქრისტისი?! ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახვლი, არცა პყობილებაი ქრისტისთჯს?!

რამეთუ რაჟამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა არა თუ პატივისა მოღებისათჯს, არამედ ძღუნად თავსა თჯსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარის-ყოფითა ჭეშმარიტისა ღმრთისათა და თაყუანის-სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოვლით კერძოვე თავი თჯსი ქრისტისგან განავდო. ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რათამცა სათნო-ეყო მეფესა, და ესრეთ ეტ-ყოდა, ვითარმედ:

— რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ეს-რევე მოვაქცინე შენსა შჯულსა, ვითარცა-ესე მე.

ამას უქადებდა, რომელ-იგი არა აქუნდა ჭელთა შუშანიკისგან. მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისავ.



ვარდანი ვარდან მამიკონიანი, გამოჩენილი სომეხი სარდალი. სათავეში ჩაუდგა ირა-ნის წინააღმდეგა აჯანყებას. დაიღუპა სპარ-სელებთან ბრძოლაში.

სპავპეტი სპასპეტი, მხედართმთავარი. უკეთურებისა მის სახისა ქმრისა მისი-საისა მარადის გულს-ეტყვზნ თავისი ქმრის უკეთურებას გული სულ უგრძნობდა.

ევედრებინ ყოველთავე ლოცვის-ყოფად მისთჯს ყველას ევედრებოდა, რომ ელო-ცათ მისთვის.

ვითარ-მე ვინ თქუას როგორ თქვას ვინ-მემ.

თაყუანის-სცემდა ცეცხლსა აღიარებდა ცეცხლთაყვანისმცელობას, ზოროას-ტრიზმს.

ყოვლით კერძოვე სავსებით, მთლიანად. რათამცა სათნო-ეყო მეფესა რომ თავი მოეწონებინა მეფისათვის.

ბუნებითი ცოლი კანონიერი ცოლი. იგინიცა... მოვაქცინე მათაც მოვაქცევ (მაზდეანურ რჯულზე).

უქადებდა ჰპირდებოდა, აღუთქვამდა. რომელი-იგი არა აქუნდა ჭელთა შუშა-ნიკისგან რისი დასტურიც არ ჰქონდა შუ-შანიკისგან.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რის შესახებ თხრობას გვპირდება ავტორი?
2. როდის ხდება ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი?
3. ჩანს თუ არა ტექსტის მოცემული მონაკვეთიდან იმ კონფლიქტის არსი, რომელიც ნაწარმოებში უნდა განვითარდეს? (პასუხი დაასაბუთეთ).
4. ამოიცანით თუ არა გმირი და ანტიგმირი და, თუ ამოიცანით, რა ნიშნის (ნიშნების) მიხედვით?
5. ჩანს თუ არა, რომ მეუღლის საქციელი შუშანიკისათვის მოუღლოდნელი არ ყოფილა? (პასუხი დაასაბუთეთ).
6. როგორ განმარტავს ავტორი ვარსკენის საქციელს?
7. შესავალ სტატიაზე („V საუკუნის ქართლი“), მოცემული მონაკვეთის შინაარსსა და ტექსტის კომენტარებზე დაყრდნობით აღადგინეთ ნაწარმოებში გადმოცემული ამბის ისტორიული კონტექსტი: ვინ არიან აქ მოხსენიებული ისტორიული პირები, რა ურთიერთობაა ქართლსა და სპარსეთს შორის, რა პოლიტიკური დატვირთვა ენიჭება ვარსკენის საქციელს?

II. და იჯმნა მეფისაგან სპარსთავსა პიტიახშმან. და ვითარდა მოინია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რამთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი, და მისნი ძენი, და მსახურნი მისნი, რამთა მათ გამო, ვითარდა ერთგული, სოფლად შევიდეს. და წარმოპირდა სადიასპანოვთა ცხენითა მონად თჯის, ვითარდა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰქის ცურტავ.

და ვითარდა მოინია და შევიდა წინაშე შუშანიკისა, დედოფლისა ჩუენისა, კითხვად ჰქის. ხოლო სანატრელმან შუშანიკ, ვითარდა წინადარმეტყუელმან, ჰქის:

იჯმნა წამოვიდა, განშორდა.

ქართლი პირველი ქართული სახელმწიფო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულს. ნაწარმოებში ასახულ ხანაში, ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს (V ს.), ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა დასავლეთი საქართველო და სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ნაწილი.

ჰერეთი ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში.

ზრახვა-ყო განიზრახა.

აზნაურნი დიდებულები.

სადიასპანო ცხენი სადესპანო, საშიკრიკო ცხენი.

ვითარდა მოვიდა რომ მოსულიყო.

კითხვად ჰქის მოიკითხა.



— უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა
და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაო ეგე შენი
შენდავე მოიქეცინ!

ხოლო კაცმან მან ვერ იკადრა სიტყუად მისა. ხოლო წმიდაო შუ-
შანიკ აფუცებდა და ჰკითხვიდა დამტკიცებულად. ხოლო კაცმან
უთხრა მართალი და ჰრქუა, ვითარმედ:

— ვარსკენ უვარ-ყო ჭეშმარიტი ღმერთი.

ვითარცა ესმა ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქუეყანასა ზე-
და და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწარითა იტყოდა:

— საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარყო
ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი ულ-
მრთოთა.

და აღდგა და დაუტევა ტაძარი თვისი და ღმრთის მოშიშებით
ეკლესიად შევიდა, და თანა მიიყვანნა სამწი იგი ძენი მისნი და ერთი
ასული, და წარადგინნა იგინი წინაშე საკურთხეველსა, და ესრეთ
ილოცვიდა და იტყოდა:

აფუცებდა აფიცებდა.
ჰკითხვიდა დამტკიცებულად ჩაძიებით,
დაუინებით ეკითხებოდა.
დამართ ძირს, დაბლა.
ატროშანი ცეცხლთაყვანისმცემლობა,

მაზდეანობა (ძველ ირანში, აგრეთვე მა-
შინდელ ახლო და შუა აღმოსავლეთში
გავრცელებული რელიგია).
შეერთო შეუერთდა.
ტაძარი აქ: სასახლე.

— უფალო ღმერთო, შენი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი.

და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსტ და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მნარითა ცრემლითა ტიროდა.



III. ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისაა, რომელსა სახელი ერქეუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაღმე სიტყვსა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსა მას. და მყის მოიწია ჩუენდა დიაკონი შინათ და გჭთხრა ჩუენ ესე ყოველი: მოსლვად პიტიახშისაა და საქმენი დედოფლისანი. ხოლო ჩუენ აღვივსენით მწუხარებითა და დიდითა ტირილითა ვტიროდეთ განმნარებულნი ცოდვათა ჩუენთა წარმოჩინებისათვს.

მწუხრისა ჟამი აღასრულეს საღამოს
ლოცვა აღავლინეს.
სახლაკი სენაკი.
ყურე კუთხე.
ვანი სახლი, სამყოფელი.
შინათ შინიდან.

ცოდვათა ჩუენთა წარმოჩინებისათვს
ჩვენი ცოდვების გამოჩენისთვის. სასული-
ერო პირებს მიაჩნიათ, რომ ვარსკენის
რჯულგადასვლით კიდევ ერთხელ გამოვ-
ლინდა ადამიანის ცოდვილი ბუნება.



ხოლო მე ვიჯმენ ადრე და მივიწიე დაბასა მას, რომელსა იყო ნეტარი შუშანიკ. და ვითარცა ვიხილე იგი განმწარებული, მეცა ვტიროდე მის თანავე და ვარქუ ნეტარსა შუშანიკს:

— ღუანლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო. ეკრძალე სარწ-მუნოებასა ქრისტისა, ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსკლმან, სა-ძოვარი პოლს შენ თანა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე:

— ხუცეს, და მეცა დიდსა ღუანლსა განმზადებულ ვარ.

და მე ვარქუ მას:

— ეგრცი არს. მჭნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ!

ხოლო მან მრქუა მე:

— ჩემდა მარტოვსა არიან ჭირნი ესე.

ხოლო მე ვარქუ მას:

— ჭირი შენი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუ-ენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა, ვითარცა შვილთა, გუხედევდ.

და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადადრე:

— ვითარ გეგულების, მითხარ მე, რათა უწყოდი და აღვწერო შრომად შენი.

ხოლო მან მრქუა მე:

— რავსა მკითხავ ამას?

და მე მიუგე და ვარქუ მას:

— მტკიცედ სდგაა?

და მან მრქუა მე:

— ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსკენისთა!

მე მიუგე და ვარქუ მას:

— მნარე გონებად აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შე-გაგდოს შენ.

ხოლო მან მრქუა მე:

ღუანლსა დიდსა შესლვად ხარ დიდი, გარ-ჯა, განსაცდელი მოგელის.

ეკრძალე გაუფრთხილდი.

ნუუკუე ვათუ.

მტერი იგულისხმება მტერი ღვთისა, ეშ-მაკი.

სრსკლი სირსვილი (კანის დაავადებაა), „ტორცუ მძოარი“ (საბა).

საძოვარი პოლს საზრდო ნახოს, იხეიროს.

ეგრცი არს ასეა.

მოთმინე მომთმენი, ტანჯვის დამთმენი.

ხუაშიადად-რე საიდუმლოდ, დაფარულად.

ვითარ გეგულების რაც გულში გაქეს, რა-საც აპირებ.

რახთა უწყოდი რომ ვიცოდე.

შრომად ღვანლი.

მტკიცედ სდგაა? მტკიცედ დგახარ?

ნუ იყოფინ ჩემდა ფიცის ფორმულაა.

ნიშნავს: ღმერთმა დამიფაროს! ღმერთმა

ნუ ქნას!

თუმცა ვეზიარე რომ ვეზიარო.

მნარე გონებად აქუს გაბოროტებულია.



— უმჯობეს არს ჩემდა კელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარწყმედა სულისა ჩემისა; რამეთუ მასმიეს მე პავლეს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმა გინა და, არამედ განეყენენ“.

და მე ვთქუ:

— ეგრეთ არს.

და ვიდრე ჩუენ ამას სიტყუასა შინა ვიყვენით, კაცი ერთი სპარსი მოვიდა და შევიდა იგი წინაშე ნეტარისა შუშანიკისა და ტირილით იტყოდა:

შეკრება და შეერთება.
მასმიეს მსმენია, გამიგონია.

პავლე მოციქული სახარების თანახმად, სხვა მოციქულთაგან განსხვავებით, პავლე სიცოცხლეში არ დამონაფებია და არც შეხვედრია შაცხოვარს, მეტიც, ის ქრისტეს მიმდევართა მოძულე იყო. ქრისტეს გზაზე შედგომამდე იგი იყო სავლე (საული), რომაელი დიდგვაროვანი ქ. ტარსიდან. ქრისტიანთა დასარბევად დამასკოში მიმავალმა საულმა იხილა ზეციური ნათელი და ჩაესმა მაცხოვრის ხმა: „საულ, საულ, რახასა მდევნი მე?“ იგი სამ დღეს მკვდარივით გონიხდილი იყო. მისი არსება შეიძრა, მოკვდა ძველი ადამიანი და

გაიღვიძა ახალმა ადამიანმა. სავლე პავლედ იქცა. ქრისტიანთა მდევნელი ქრისტეს მოციქული გახდა.

ძმა გინა და ძმა ან და (ასე მიმართავდნენ ქრისტიანული მრევლის წევრ მამაკაცსა და ქალს).

არა დამონებულ არს ძმა გინა და, არა-მედ განეყენენ ეს არის პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლები გამოთქმული აზრი, რომლის მიხედვით, თუ ურნმუნო მეუღლე მორნმუნე მეუღლი-საგან არ მოიცევა ქრისტეს რჯულზე, მაშინ განშორება ჯობს; მორნმუნის წება თავისუფალია, იგი დამონებული არ არის.

— ესევითარი სახლი მშენდობისად ვითარ საწყალობელ იქმნა და სიხარული მწუხარებად გარდაიქცა!

ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსკენისითა და ზაკუვით იტყოდა ამას და უნდა მონადირებად ნეტარისად მის. ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვითი იგი ზრახვად მისი და მოიზღუდა თავი მისი მტკიცედ.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. სად შეჩერდა სპარსეთიდან მობრუნებული ვარსკენი და რატომ?
2. რაზე მიგვანიშნებს ავტორის კომენტარი: „ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს“?
3. როგორ გესმით „სულითა ცხოველ“ და „სულითა მომკუდარ“?
4. რა დამოკიდებულებას ამჟღავნებს შუშანიკი რწმენაშეცვლილი ქმრის მიმართ (როგორ მოიხსენიებს მას)?
5. როდის ჩნდება ნაწარმოებში ავტორი, როგორც მოქმედი პირი (ანუ როდის მოიხსენიებს ის თავის თავს პირველი პირის ნაცვალსხელით) და ვინ არის იგი?
6. საიდან ჩანს, რომ ავტორს იმთავითვე ჰქონდა განზრახული შუშანიკის ღვანწლის აღწერა?
7. მონამისათვის აუცილებელ რომელ სამ თვისებაზე გაუმახვილა ხუცესმა შუშანიკს ყურადღება?
8. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს შუშანიკის სიტყვები — „ჩემდამარტოვსა არიან ჭირნი ესე“?
9. ვის სიტყვებს იმოწმებს შუშანიკი (გადმოეცით ეს სიტყვები თანამედროვე ქართულით) და რა მიზნით მოიხმობს მათ?
10. როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა იყოს „კაცი ერთი სპარსი“ და მის რა ფარულ ზრახვაზე მიგვანიშნებს ავტორი?
11. რისი თქმა შეიძლება დედოფლისა და მისი სულიერი მოძღვრის ურთიერთობაზე ამ ეპიზოდის მიხედვით?

უნდა მონადირებად ნეტარისად მის უნდოდა ნეტარის (შუშანიკის) გულის მოგება.

მოიზღუდა თავი შორს დაიჭირა თავი.

IV. და შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვარსქენ პიტიახში.
და უთხრა სპარსმან მან ფარულად და ჰრეჯუა:

— მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან.
და მე გეტყვა შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყვა მას, რამეთუ
დედათა ბუნებად ინრო არს.

და ხვალისა დღი ვითარ აღდგა პიტიახში, გზნოდა ჩუენ, ხუცეს-
თა, და მივედით. და სიხარულით შეგვმთხვევნა და გურქუა ჩუენ:

— აწ ნურას მერიდებით მე და ნუცალა გძაგ.

და ჩუენ მიუგეთ და ვარქუთ:

— წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენ.

მაშინდა იწყო სიტყუად და თქუა:

— რავსა ჭელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქ-
მედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ: შენ ჩემი ხატი დაამწუ, და
საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს
და სხუად წარსრულ ხარ.



შეგვმთხვენა შეგვხვდა, შეგვეგება.
რავსა ჭელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემ-
მან ესევითარისა საქმედ? რა უფლება
ჰქონდა ჩემს ცოლს, ასე მომქცეოდა?
ხატი აქ: კერა, ოჯახის ღირსება.

დაამწუ დაამხე, დააქციე.
საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ ჩემი
სარეცელი შეურაცხყავი, მეუღლეობა უარ-
ყავი.



ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა:

— არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამწუ. ხოლო მამამან შენმან აღმართნა სამარტვლენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განპრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თვა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ, მან ღმერთი ცათად და ქუეყანისად აღიარა და ჰრემენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და თუ მრავალი ტანჯვად მოანიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა.

ხოლო ჩუენ ესე ყოველი მიუთხართ პიტიახშა. ხოლო მან განიწყო გული და იბრდღუენდა მისთვა.

V. მერმე მიავლინა ჯოჯიკ, ძმად თვა, და ცოლი ჯოჯიკისი, ძმის ცოლი თვა, და ეპისკოპოსი სახლისა თვა და ჰრეუა მათ:

— ესრეთ არქუთ: აღდეგ და მოვედ ადგილსა თვა და ნუ ეგე-ვითარი გონებად გიპყრიეს. უკუეთუ არა, თრევით მოგითრიო!

და ვითარ მიიჩინეს და შევიდეს წინაშე დედოფლისა და მრავალსა დასაჯერებელსა სიტყუასა ეტყოდეს მას, მაშინ წმიდამან შუშანიკ ჰრეუა მათ:

— კაცნო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყვთ, გარნა ნუ დაგი-ჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლად-ლა ვიყავ? მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და ან მე მა-იძულებთ ამას ყოფად? ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ, და არცალა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი და ჩემი არს, რომელი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ.

სამარტვლე მარტვილთა, ანუ წამებულთა, სახელზე აგებული სამლოცველო.

მარტვილი მონამე. ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და თავდაპირველად აღნიშნავდა მოწმეს, დამმოწმებელს. შემდეგ მიენიჭა წამებულის მნიშვნელობაც. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, მარტვილი ქრისტეს ჰეთაძევდა, მას ემოწმებოდა, მასავით დაითმენდა ტანჯვას. სარწმუნოებისათვის თავდადებული ადამიანი რაკი ემოწმებოდა მაცხოვრის ტანჯვას, ამიტომ „მონამე“ (მოწმე) ამავე დროს წამებულიც, ტანჯულიც იყო.

საქმენი განპრყუნენ (საქმე განპრყუნენი) ნამოქმედარი წაახდინე.

სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი შეცვალე მისი კეთილი საქმები.

წმიდანი შემოიხუნა სახიდ თვა წმინდანები შემოიკრიბა, შემოიყვანა სახლში.

დევნი შემოიხუენ ეშმაკები, უწმიდურნი შემოიკრიბე.

ჰრემენა ირწმუნა.

განიწყო გული გული მოუვიდა, გაჯავრდა. **იბრდღუენდა მისთვის** ბრდღვინავდა, ბრაზობდა მასზე.

ეპისკოპოსი სახლისა თვა იგულისხმება სასახლის კარის ეპისკოპოსი აფოცი.

ნუ ეგევითარი გონებად გიპყრიეს გონს მოდი, გონს მოეგე.

გარნა ოლონდ.

თუმცა... ცოლად-ლა ვიყავ? კიდევ ცოლი ვიქწები.

მის კერძო მის მხარეს.



ჰერქუა მას ჯოჯიკ:
— უწყი მე, ან მოავლინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს
შენ.

წმიდამან შუშანიკ ჰერქუა:
— ხოლო უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით
სახითა იყოს განჩინებად ჩემი მისგან.

და ვითარცა ესმა ესე მისგან, ცრემლოოდეს ყოველნი. და ჯო-
ჯიკ აღდგა და ცრემლით გარე განვიდა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰერქუა ეპისკოპოსსა:
— ვითარ მეტყვ მე დაჯერებად ჩემდა, რამეთუ მან ღმერთი
უვარ-ყო?!

ხოლო ჯოჯიკ ევედრებოდა და ეტყოდა:
— და ჩუენი ხარ შენ, ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადედოფ-
ლოსა.

ჰერქუა მას წმიდამან შუშანიკ:
— უწყი, ვითარმედ და ვარ, ერთგან განზრდილნი, ხოლო მაგას
ვერ ვჰყოფ, ვითარმცა მოსისხლეობად იქმნა, და თქუენ ყოველნი
თანამდებ იქმნენით.

და ვითარცა ფრიად აურვებდეს მას, აღდგა წმიდამ და ნეტარი
შუშანიკ და თანა წარიტანა ევანგელი თვისი და ტირილით ესრცი
იტყოდა:

— უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუ-
დილდ მივალ.

ესე თქუა და წარვიდა მათ თანა და თანა წარიტანა ევანგელი
თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მონამეთანი. და რაჟამს შევიდა იგი
ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თვისა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა
შინა მცირესა. და აღიპყრნა გელნი თვისნი ზეცად წმიდამან შუშანიკ
და თქუა:

მითრიოს მათრიოს.
მით სახითა იყოს განჩინებად ჩემი მის-
გან ამგვარად მოხდება ჩემი და მისი და-
ცილება.
ვითარ მეტყვ დაჯერებად ჩემდა როგორ
მელაპარაკები ჩემს დასარწმუნებლად?
თანამდები მოვალე, მზღვეველი (ღვთის
წინაშე).
მაგას ვერ ვჰყოფ, ვითარმცა მოსისხ-
ლეობად იქმნა და თქუენ ყოველნი თა-
ნამდებ იქმნენით მაგას ვერ ვიზამ, რომ

დანაშაული მოხდეს და მასში თქვენც ბრა-
ლეულნი იყოთ.
ფრიად აურვებდეს ძალიან აწუხებდნენ.
გულითად ნამდვილად.
წმიდანი იგი წიგნნი მონამეთანი მოწა-
მეთა ღვანლის ამსახველი წიგნები, ჰაგი-
ოგრაფიული თხზულებები.
ევანგელე სახარება.
გალიაკი დედოფლის სამყოფელი ოთახი
სასახლეში, აქ: სადედოფლო ტახტი.

— უფალო ღმერთო, არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალში, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რის შესახებ აფრთხილებს „კაცი ერთი სპარსი“ პიტიახშს? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ეპიზოდიდან?
2. სპარსის შემდეგ ვის ხვდება პიტიახში? როგორ ფიქრობთ, რა არის ამ შეხვედრის მიზანი?
3. რა საყვედურს გამოთქვამს ვარსქენი მეუღლის მიმართ სასულიერო პირების თანდასწრებით? რაზე სურს მას ამით ყურადღების გადატანა, რის შეფარვას ცდილობს იგი?
4. რა გამოავლინა შუშანიკის პასუხმა (როგორ აფასებს ის ვარსქენის საქციელს)?
5. როგორ ფიქრობთ, რატომ შეუთვალა ვარსქენმა შუშანიკს თავისი დანაბარები სასულიერო პირების მეშვეობით და რატომ არ მიუგზავნა მას „კაცი ერთი სპარსი“?
6. ვის აგზავნის ამის შემდეგ ვარსქენი შუშანიკთან? რა დამოკიდებულება აქვთ შუშანიკსა და ჯოჯიკს?
7. როდის გაისმა მუქარა პირველად ვარსქენის სიტყვებში, რას სთხოვს იგი ცოლს?
8. როგორ ფიქრობთ, რატომ ბრუნდება შუშანიკი სასახლეში?
 - ა. კვლავ დედოფლობა სურს;
 - ბ. პიტიახშის მიგზავნილებმა დაიყოლიეს;
 - გ. შეგნებულად მიდის განსაცდელთან შესახვედრად.
9. რომელი წმინდა წიგნები წაიღო თან შუშანიკმა?

VI. და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრეუა მსახურთა თვესთა:

— დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად.

და რაუამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისა და ინე-

არცა მღდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალში
არც მღდელთაგან აღმოჩნდა ვინმე გულ-
შემატკივარი.
შორის ერსა ამას ამ ხალხში.
ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს...

ვარსქენს ყველამ სასიკუდილოდ მიმცა
ვარსქენს.
სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შე-
მოსლვად სხვას ნურავის მიეცემა ჩვენთან
შემოსვლის უფლება.

ბეს ერთად პურისა ჭამავ, რახთამცა მოიყვანეს წმიდაღ შუშანიკცა. და ვითარცა მოიწია ჟამი პურისავ, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რახთამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს, და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოვ არარავსა იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღუნოვ ჭიქით და აიძულებდა მას, რახთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრეჯუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით:

— ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!

და განყარა ჭელი და ჭიქავ იგი პირსა შეალენა და ღვინოვ იგი დაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსექნ და ფერჭითა თჯსითა დასთრგუნვიდა მას; და აღილო ასტამი და უხეთქნა მას თავსა და ჩაპფლა და თუალი ერთი დაუბუშტა, და მჯილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მჭეცი მძკნვა-



რახთამცა მოიყვანეს რათა მოეყვანათ.
უზმა „არა ეჭამოს რა“ (საბა).

რახთამცა იგი ხოლო შესუა რათა ეს მა-
ინც შეესვა.

განყარა ჭელი გაიქნია ხელი.
დაითხია დაიღვარა, დაიქცა.
ასტამი ცეცხლის საჩხრეკი რკინისა.
დაუბუშტა დაუსივა.

რც ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმად მისი, და იპრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა. და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ჭელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი იდვა წმიდაი შუშანიკ ქუეყანასა ზედა, და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოჭრებელად სახელ-სდებდა მას. და უბრძანა შეკრვა მისი და ბორკილთა შესხმად ფერტა მისთა.

და ვითარცა მცირედ და-რე-სცხრა გულისწყრომისაგან, მოვიდა სპარსი იგი და მწურვალედ ევედრებოდა მას, რახთამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაი შუშანიკ. და ვითარ ფრიად ევედრებოდა, ბრძანა განტევებად მისი და სენაკსა ერთსა შეყვანებად და კრძალულად დაცვად მისი ერთითა მსახურითა და რათა სხუად არავინ შევიდეს ხილვად მისა: არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი.

და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ:

— წყლულებისა მისგან ვითარ არს?

ხოლო მან ჰრქუა მას:

— ვერ განსარინებელ არს იგი.

მაშინ თკთ შევიდა და იხილა იგი და დაუკარდა დიდხალი იგი სიმსივნე მისი. და ამცნო მსახურისა მას და ჰრქუა:

— ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა!

და თკთ ნადირობად წარვიდა.

VII. ხოლო მე აღვდეგ და მივედ და ვარქუ მცველსა მას:

— მე ხოლო მარტო შემიტევე და ვიხილო წყლულებად იგი მისი.

ხოლო მან მრქუა მე:

— ნუუკუე ცნას და მომკლას მე.

და მე ვარქუ მას:

— უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა? და თუცა მოგკლას

იზახდა ვითარცა ცოფი ყვიროდა გაცო-
ფებული.

კუბასტი აქ: შუბლსაკრავი ზედ წარწე-
რილი რელიგიური ტექსტით, რომელიც
ავი თვალისგან დასაცავად, თილისმად,
ჰქონდათ.

მოხეთქა მოჰელიჯა.

ჭირით... გამოუღო ჭელთა მისთა გაჭირ-
ვებით გამოგლიჯა ხელიდან.

თესლ-ტომი წათესაობა, ჯილაგი, მოდეგმა.
სახლისა მაოჭრებელად სახელ-სდებდა
ოჯახის ამაოხრებელს უწოდებდა.

მცირედ და-რე-სცხრა ოდნავ დაცხრა,
დამშვიდდა.

რახთამცა საკრველთა მათგან განეტევა
რომ ბორკილთაგან გაეთავისუფლებინა.

კრძალულად დაცვად საგულდაგულოდ
დაცვა.

ვითარცა ცისკარ ოდენ იყო ოდნავ რომ
ირიურაჟა.

განრინება გადარჩენა.

ვერ განსარინებელ არს ვერ გადარჩება.

დაუკარდა გაუკვირდა.

შემიტევე შემიშვი.



შენ მისთვის, რაღ არს?!

მაშინ შემიტევა მე ფარულად. და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული, და აღუტევე ჭმარ და ვტი-როდე.

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე:

— ნუ სტირ ჩემთვის, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამშე ესე.

და მე ვარქუ წმიდასა შუშანიკს:

— მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შენთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და წამალი დაგდვა, რათა, ჰე, ღა-მე-თუ განიკურნო!

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე:

— ხუცეს, მაგას ნუ იტყვა, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთაო.

ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი, რომელი მოეძლუანა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად იღუნი-დეს და ნუგეშინის-სცემდეს.

მაშინ მრქუა მე წმიდამან შუშანიკ:

— ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემოვს ხილვად, რამეთუ ყბანი და ზოგ-ნი კბილნი შთამუსრვილ არიან.

მაშინ მოვიღე მცირედ ღვნოდ და პური, დავალბე და მცირედ გემოვ იხილა.

და მე ვისწრაფდი გამოსლვად. მაშინ მრქუა მე წმიდამან შუ-შანიკ:

— ხუცეს, მიუძლუანოა სამკაული ესე მისი? ნუუკუე ითხოვ-დეს; რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეჭმარების.

ხოლო მე ვარქუ:

— ნუ რას ისწრაფი, იყოს შენ თანა.

და ჩუენ-ლა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმამ ერთი და თქუა:

— იაკობ მანდა არსა?

და მე ვარქუ, ვითარმედ:

— რაღ გინებს?

და მან მრქუა:

ხატი აქ: სახე, პირისახე.

დაბძარული დამსკდარი, დახეთქილი.

შთაცუეული ჩაცვენილი.

სალბუნი მაღამო.

ჰე, ღა-მე-თუ ეგებ, იქნებ („ღა“, „მე“ ნანი-ლაკებია).

იღუნიდეს ზრუნავდნენ.

მიუძლუანოა? გავუგზავნო?

სამკაული ესე მისი იგულისხმება ვარს-ქენის ნაჩუქარი სამკაულები, სადედოფლო რეგალიები (ლირსების ნიშნები).

ნუუკუე ითხოვდეს ვაი თუ მოითხოვოს.

— უწესს პიტიახში.

და მე დამიკურდა, თუ რავსა-მე მიწესს ამას უამსა, და მივის-ნრაფე და მივედ.

და მან მრქუა მე:

— უწყია, ხუცეს? მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს-იგი არა ჩემი ცოლი არს. იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რაღაც რაღ არს.

ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად, და მადლი მისცა ღმერთსა, და ყოველივე მომიძლუანა და მივართუ პიტიახშსა. და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა, და იპოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა:

— მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს.



დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. როგორ მოიხსენიებს ავტორი სასახლეში დაბრუნებულ ვარსექენს?
2. რა მიზნით მიჰყავს ვარსექენს შუშანიკი პურობაზე?
3. როგორ ახსნით შუშანიკის საქციელს ამ თავყრილობის დროს?
 - ა. შუშანიკი თავშეუკავებელია;
 - ბ. შუშანიკი უკომპრომისოა, ვარსექენის საქმეებს არ ეზიარება;
 - გ. შუშანიკი გულისწყრომას გამოხატავს ქალის უუფლებობის გამო.
4. როდის მოინახულებს ვარსექენი ნაცემ შუშანიკს? რა ბრძანებას გასცემს და სად მიდის იგი? როგორ ახსნით ვარსექენის საქციელს?

უწესს ეძახის, უხმობს.
რახსა-მე მიწესს ამას უამსა? რისთვის-
ლა მიხმობს ასეთ დროს?

უწყია? იცი?

ჰონები ჰუნები. თურქულენოვანი მომთა-
ბარე ტომი, რომელმაც IV-V საუკუნეებში
მრავალი ქვეყანა დაარბია. ჰუნების ერთ-
ერთი განშტოებაა ე. წ. დაღესტნელი ჰუ-
ნები. V საუკუნეში ისინი ხან ემხრობოდნენ
ირანს, ხან ებრძოდნენ. მათი მცირე სამე-
ფო დარუბანდის ჩრდილოეთით არის სა-
ვარაუდებელი.

მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა მე ჰუ-

ნების წინააღმდეგ საბრძოლველად მივ-
დივარ.

არა დაუტეო არ დაუტოვებ.

იპოოს გამოჩნდება, მოიძებნება.

რომელმან განკაფოს იგი ვინც გაცვეთს,
მოიხმარს მას.

მივედ მიდი!

მომართუ მომართვი!

რაღაც არს რაც კი არის.

აღიხილა დაათვალიერა, დათვალა.

იპოვა ყოველი გებულად უკლებლად იყო
ყველაფერი.

კუალად ისევ.

5. ვინ შევიდა შუშანიკის სანახავად და რაზე მეტყველებს ეს ფაქტი?
6. განმარტეთ შუშანიკის სიტყვები: „სისხლი ესე განმწმედელი არს ცოდვათა ჩემთავ“.
7. რომელ ეპიზოდში ჩანს ნაწარმოების ავტორის სახელი?
8. შეადარეთ ერთმანეთს შუშანიკისა და ვარსქენის დამოკიდებულება სადე-დოფლო სამკაულების მიმართ. როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს მათ ამგვარ დამოკიდებულებას?

ეს საინფერენცია!



დააკვირდით მოცემულ გამოსახულებას. ეს არის საფლავის სტელა, რომელიც საბერძნეთშია აღმოჩენილი და ძველი წელთაღლრიცხვის V საუკუნით თარიღდება. მასზე გამოსახულია წარჩინებული ქალბატონი, სახელად გეგესო, მოახლესთან ერთად (ამგვარი სცენის გამოსახვა ძალიან გავრცელებული ყოფილა ძველ საბერძნეთში). როგორც ჩანს, მოქანდაკემ გარდაცვლილი ქალბატონის სიცოცხლესთან გამოთხოვების სცენა გამოსახა: იგი ნაღვლიანი სახით დაჰყურებს სამკაულებით სავსე ზარდახშიდან ამოღებულ ბეჭედს (სამკაულებიანი ზარდახშა ძველ ბერძნებს თურმე საიქიოში გამოსადევ მაგიური დანიშნულების თილისმად ესახებოდათ).

გაიხსენეთ სადედოფლო სამკაულების ამბავი „შუშანიკის წამებიდან“. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ამ ორ კერძო შემთხვევაზე დაყრდნობით, ვიმსჯელოთ, რომ სამკაული არის წუთისოფლის სიამეთა სიმბოლო. როგორ გესახებათ, წუთისოფლისადმი რა დამოკიდებულება მუდავნდება სამკაულთა დათმობის ამ ორ ეპიზოდში?

VIII. და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა, და იძია მცირშ სენაკი, და მუნ დაეყუდა. და იყო სენაკსა მას მცირშ სარკუმელი, და დაყო იგი, და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით.

და პრქუა ვინმე პიტიახშასა საკუთარმან მისმან, ვითარმედ:

— ამათ წმიდათა მარხვათა წურას ეტყჟ მას.

და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთასა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფოცს:

— გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?!

და ინყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად.

ხოლო ხუცესმან პრქუა მას:

— უფალო, რასა ეგრე იქმ და იტყჟ ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყჟ?!

ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერლარა იკადრა სიტყუად.

და ეგრეთ წმიდად შუშანიკ თრევით მოითრია თიკათა შიგან და ეკალთა ზედა, ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე ვითარცა მკუდარი მიეთრია. და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძუ დაეფინა. და თუთ ფერგვი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ჭორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად. და უბრძანა შეკრვად მისი და ცემად. ბოროტებდა და იტყოდა:

— აპა ეგერა, არა გერგო შენ ეკლესიად შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი.

და ვითარცა სცეს კუერთხითა სამას ოდენ, არარა ალმოკიდა პირსა მისსა ვაებად, არცა კუნესად.

მაშინ-ლა პრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა ვარსქენს:

— უბადოო, შენ-ლა თავი თვისიარა შეინყალედა განსდეგ ღმრთისაგან, შენ მემცა შემინყალეა?



დაყო დახშა.

ვინმე საკუთარი მისი ვიღაც თავისი ახლობელი.

აღვსება აღდგომა.

აღვსების ორშაბათი აღდგომის მეორე დღე.

კუერთხი საგანგებო ჯოხი, რომელიც უპყრია მაღალი თანამდებობის პირს.

ადგილდ-ადგილდ ალაგ-ალაგ.

ძეძუ ეკალბარდი.

თუთ ფერგვი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა თვითონ ფეხს დგამდა ძეძვზე.

კუბასტი აქ: სამოსელი.

წულილ-წულილად წვრილ-წვრილად, ნაფლეთ-ნაფლეთ.

გორცნი... დაებძარნეს ხორცი დაეკანკა, დაესერა.

არა გერგო არ გამოგადგა.

ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი ქრისტიანები, რომელნიც ზურგს გიმაგრებენ.

ვაებად „მწუხარედ ტირილი“ (საბა).

ურჩულო ურჯულო, უღმერთო.

უბადო საცოდავი, უბედური.

შენ მემცა შემინყალეა? შენ მე შემინყალებდი?

და ვითარცა იხილა დიდალი იგი სისხლი, რომელი დამოსდი-ოდა ჩჩკლთა მათ ჭორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭვ ქედსა მისსა. და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რათა წარიყვანონ წმიდაი შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი, და მოკუდეს.

დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისად დგა წმიდისა შუშა-ნიკის თანა მას უამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით; და უნდა, რამთამცა ჰრესა, თუ — „მტკიცედ დეგ“ — და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუად ვერდარად სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ რქუა: „მტკი...“ და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით.



რომელი დამოსდიოდა რომელიც ჩამოს-დიოდა.

სენაკაპანი „მესანოლე“ (საბა), მოსასვე-ნებელი ოთახის მცველი მეფის ან დიდებულის კარზე.

უნდა, რამთამცა ჰრესა, თუ უნდოდა ეთ-ქვა, რომ.

სივლტოლად გაქცევა.

სივლტოლად იწყო სწრაფით სწრაფად გა-იქცა.

მაშინ წარმოიყვანეს, და მოჰყვანდა წმიდა შუშანიკ უჭამური და თმა-გარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი; და ვერვინ იყალრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მწედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა.

და მიგიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა, სიმრავლე ურიცხკ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ჯმავ აღე-მალლა და ტიროდეს და იქავდეს ლანუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთვის.

ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოპხედნა ერსა მას და ჰრეუა მათ:

— ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო, და დანო ჩემნო, და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიკსენეთ. და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არლარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით.

და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათად და დედათად, მოხუცებულთა და ყრმათად, მწედრ მიმოდასდევნინ და მეოტ-ჰყოფნ მათ ყოველთა.

და ვითარცა მიინინეს ჭიდსა მას ციხისასა, ჰრეუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს.

— შენდა ეგდენ ყოფად არს ფერგითა შენითა სლვად, რამეთუ ცოცხალი არლარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგილონ.

IX. და ვითარცა შევიდეს ციხედ, ჰოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოვათ კერძო, მცირტ და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმიდა იგი. და ჯაჭვ იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ედვა, და დაპ-ბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თვისითა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა:

— მე ამას მხიარულ ვარ, რათა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუ-ენო.

ხოლო პიტიახშმან ჰრეუა მას:

— ჰე, ჰე, განისუენე!

უჭამური ფეხშიშველი.

თმაგარდატევებული თავდაუბურავი.

ვერვინ იყალრა თავსა მისსა დაბურვად ვერვინ გაბედა მისთვის თავზე დახურვა.

მწედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა ამხედრებული მიჰყვა კვალდაკვალ.

ამბოხი ხალხის სიმრავლე, ბრბო.

უკუანა შეუდგეს უკან მიჰყვებოდნენ.

ჯმავ აღემალლა ხმა აემაღლებინათ.

იგავდეს ლანუთა მათთა ლოყებს იხოკავდნენ.

ჯმნულმცა ვარ გშორდებით.

მწედრ მიმოდასდევნინ ცხენდაცხენ დას-დევდა.

მეოტ-ჰყოფნ ფანტავდა, გააქცევდა.

შენდა ეგდენ ყოფად არს ფერგითა შენი-

თა სლვად შენ ეგდა დაგრჩა ფეხით სავალი.

გარნა თუ ოთხთა გამოგილონ არამედ ოთხი (კაცი) გამოგიტანს (ე. ი. მკვდარს გამო-გიტანენ).

ჩრდილომათ კერძო ჩრდილოეთის მხარეს.

შეაყენეს დაამწყვდიეს.

აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო ამქვეყ-ნად ვიტანჯო და იმქვეყნად დავისვენო.





მაშინ დაადგინნა მცველნი მას ზედა და ამცნო მათ, რათა სიყ-
მილითა მოკლან იგი. და ესრეთ ეტყოდა მათ:

— გეტყვა თქუენ, უკუეთუ ვინმე შევიდეს მისა, — მამაკაცი გინა
დედაკაცი, — იხილენით თავნი თქუენნი, და ცოლნი, და შვილნი, და
სახლნი თქუენნი! უბრალომცა ვარ, რა გიყო თქუენ!

მაშინ გამოვიდა ციხით. და მესამესა კურიაკესა მოუწოდა მცვე-
ლსა ერთსა, ჰკითხა მას და ჰრქუა:

— აქამომდე ცოცხალ-ლა არსა საწყალობელი იგი?

ხოლო მან ჰრქუა:

— უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე
სიცოცხლით, რამეთუ შიმშილითა უფროს ხოლო მოკუდების, რა-
მეთუ არარას მიიღებს საზრდელსა.

ხოლო მან ჰრქუა:

— ნურარა გვლიან, უტე, მოკუდეს!

ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და უქადე
ჭურჭერი ერთი სამისოდ. და ძნიად თავს-იდვა შეტევებად ჩემი და
მრქუა მე:

— რაუამს დალამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტო.

და ვითარ შემიყვანა მცველმან მან, და ვიხილე ტარიგი იგი
ქრისტისი შუენიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათ-
გან, და მე, ვითარ ვერ დამითმო გულმან, ვტიროდე ფრიად.

სიყმილი შიმშილი.

იხილენით თავნი თქუენნი ნახეთ, მიფრ-
თხილდით!

უბრალომცა ვარ უდანაშაულო ვიქნები,
ჩემი ბრალი არ იქნება.

რა გიყო თქუენ რასაც გიზამთ.

მესამესა კურიაკესა მესამე კეირას.

სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს,
ვიდრე სიცოცხლით მომაკვდავს უფრო
ჰგავს, სასიცოცხლო პირი არ უჩანს.

ნურარა გვლიან ნუ გენალვლება, ნურა-
ფერი გადარდებს.

უტე დაე!

მე... უქადე დავპირდი, ალვუთქვი.

ჭურჭერი საჭურჭლე, განძი. აქ: საჩუქარი.
ძნიად ძნელად, ძლივს.

შეტევებად შეშვება.

ტარიგი „კრავი უბინო“ (საბა), სამსხვერ-
პლო კრავი. ძველი ებრაული ტრადიციით,

კაცობრიობის მხსნელის, მესიის, სიმბო-
ლური გამოხატულება იყო ტარიგი. ქრის-
ტიანებიც მაცხოვარს მიიჩნევდნენ ტარი-
გად, კაცობრიობისთვის მსხვერპლად შე-
ნირულ უბინო კრავად. იოანეს სახარება-
ში ქრისტეს შესახებ ნათქვამია: „აპა ტა-
რიგი ღმრთისაა, რომელმან ალიხუნეს
ცოდვანი სოფლისანი.“ ნამებულ შუშანიკს
ქრისტეს მცნებისათვის სამსხვერპლოდ
გამზადებულ კრავად მიიჩნევს ავტორი.

სძალი საპატარძლო. იგულისხმება „სძა-
ლი ქრისტესი“ (ასე მიმართავს კიდევ შუ-
შანიკს ჯოჯიკი ნაწარმოების დასასრულს).
„სძალს“ უწოდებდნენ სულიერი სრულყო-
ფის მაძიებელ პიროვნებას, რადგან მიაჩ-
ნდათ, რომ იგი ღვთაებრივ ქორნინებას,
განლმრთობას ესწრაფოდა.

საკრველი ბორკილი და შესაბორკი ჯაჭვი.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რომელ მხატვრულ სახეს მოიხმობს ავტორი ვარსკენის ბუნების წარმოსაჩენად?
2. როდის აწამა ვარსკენმა შუშანიკი საჯაროდ?
3. ვინ სცადა სასახლიდან გამოყვანილი შუშანიკის გამხნევება? რით დამთავრდა ეს ამბავი?
4. რა მიზნით ახსენებს ავტორი შუშანიკის გულშემატკივართა შორის მოხუცებსა და ყრმებს?
5. რომელ ეპიზოდში ჩანს ყველაზე გამოკვეთილად, რომ ვარსკენი დასცინის შუშანიკს?
6. როგორ ამშვიდებს შუშანიკი გულშემატკივართ? როგორ ექცევა მათ ვარსკენი?
7. როგორ ფიქრობთ, რატომ შეარჩიეს შუშანიკისათვის საპყრობილებ სენაკი „ჩრდილოეთ კერძო, მცირე და ბნელი“?
8. დედოფალიცა და პიტიახშიც ერთმანეთს ერთი ეპითეტით მოიხსენიებენ — „საწყალობელი“. იმსჯელეთ, რას გამოხატავს ეს ეპითეტი თითოეულ შემთხვევაში.
9. ვის ადარებს იაკობი საპყრობილები ბორკილდადებულ შუშანიკს?

X. ხოლო პიტიახში ჩორდ წარემართა. და ჯოჯიკ, ძმავ მისი, არა დახუდა, ოდეს საქმი ესე იქმნა წმიდისა შუშანიკის ზედა. და ვითარ მოიწია ჯოჯიკ, უაუანა სდევდა პიტიახშია. და მიეწია მას საზღვართა ჰერეთისათა და ევედრებოდა მას ფრიად, რამთამცა ბრძანა საკრველთა მათგან განტევებად მისი. და ვითარ ფრიად აწყინა, ბრძანა განტევებად საკრველთაგან ოდენ. და ვითარ მოვიდა ჯოჯიკ, ალჭკადა ჯაჭვ იგი ქედსა მისსა, ხოლო ბორკილთად არა თავს-იდვა წმიდამან შუშანიკ ვიდრე ალსასრულადმდე.

რამეთუ ექუსი წელი ციხესა მას შინა ალასრულა და წესიერებითა საღმრთოეთა ყუაოდა: მარხვითა, მარადის მღვდარებითა, ზედგომითა, თაყუანისცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთავთა მოუწყინებელად. განაბრნყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა.

ჩორი კასპიის კარი, ანუ დარუბანდი, ციხე-ქალაქი კასპიის ზღვის სანაპიროზე, სადაც ირანის ლაშქარი იდგა.

ჩორდ წარემართა ჩორს გაემართა.

არა დახუდა არ შესწრება.

აწყინა შეაწუხა, შეაჭირვა.

არა თავს-იდვა არ მოინდომა, არ ისურვა.

წესიერებად საღმრთო სულიერი ცხოვრების წესი.

უწყინოდ მოუწყენლად, დაუსრულებლივ. **სულიერი იგი ქნარი** იგულისხმება სიმებიანი საკრავი კი არა, არამედ მოწამის ხმა, მოწამის გალობა.



და მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმი მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შენირვად და, რაც ვის უკმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკი-სითა, რომელსა მოსცემდა მას კაცთმოყუარე ღმერთი: უშვილოთა — შვილი, სხეულთა — კურნებად, ბრმათა — თუალთა ახილვად.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა დი-დითა გულსმოდგინებითა ჭელთა აღისუნა დავითი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნი დაისწავლნა, რომ-ლითა-იგი დღე და ღამე ზესკნელისა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით.

და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ:

— შვილნი იგი შენი მიაქცინა მოგობასა.

მაშინ იწყო თაყუანისცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დი-დითა და თავსა თჯსა ქუე დამართ სცემდა, სულთ-ითქუნა და თქუა:

— გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნეს-ვე არა ჩემნი, არამედ შენი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნებად შენი, უფალო, და მე დამიცევ საქმეთაგან მტერისათა.

და მე მივედ და ვიხილე წმიდად შუშანიკ დამშრშალი და დაბუ-შებული ტირილითა. და რამეთუ მოეძღუანა წმიდასა მას ეპისკო-პოსსა საზრდელი, და ვითარ ფრიად ვაიძულე, მცირედ ოდენ გე-მორ იხილა და ვჰმადლობდით ღმერთსა. და ვიდრე მუნ ჟამადმდე მოვიდიან შვილნი იგი მისნი ხილვად დედისა თჯსისა, ხოლო რა-ჟამს მიაქცინეს და უვარ-ყვეს ღმერთი, ვერღარა იკადრეს ხილვად მისა, არამედ სახელიცა მათი სძაგლა სმენად.

და მერმე მოციქულნი მოავლინნა პიტიახშმან და ჰრქუა:

— ანუ ნებად ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად; უკუეთუ არა მოხვდე შინა, ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითა.

მიერითგან იმ დროიდან.

აღნათქუემთა შენირვად აღთქმულის შე-საწირავად.

რაც ვის უკმდა ვისაც რა სჭირდებოდა.

მოსცემდა ანიჭებდა.

ჭიჭნაუხტისა საქმე აბრეშუმით ხელსაქ-მობა.

ჭელთა აღისუნა ხელში აიღო.

დავითნი ფსალმუნი. ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი, რომელშიც გაერთიანებულია ასორ-მოცდათი ფსალმუნი, ანუ საგალობელი.

მათ ავტორად მიიჩნევენ ებრაელთა მე-ფეს, დავით წინასწარმეტყველს (X ს. ქრის-ტემდე).

ასერგასისნი იგი ფსალმუნი ას ორმოც-

დაათი ფსალმუნი.

ზესკნელისა მის მეუფე ღმერთი.

მიაქცინა მოგობასა გადაიყვანა მაზდე-ანურ რჯულზე (მოგვი ცეცხლთაყვანის-მცემელთა ქურუმი).

სულთ-ითქუნა ამოიოხრა, ამოიკვნესა.

დამშრშალი დამსკვდარი.

დაბუშებული დასივებული, შემუპებული.
ვიდრე მუნ ჟამადმდე იმ დრომდე, მანამ-დე.

ჩორდ წარგცე ჩორს გაგაგზავნი.

კარად კარზე (იგულისხმება სპარსთა მე-ფის კარი — ქტეზიფონი).

კარაული სახედარი.



ხოლო წმიდამან შუშანიკ მიჰრქუა ესრეთ:

— უბადოოდა უგულისკმოო, ხოლო მეთუ კარად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რასმე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე.

და გულსა ეტყოდა პიტიახში იგი სიტყუათა მათთვეს (ვითარ-იგი ჰრქუა მას, ვითარმედ: „ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მივემთხვო“), ვითარმედ: „ნუუკუე თუ მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს.“ და მიერითგან არღარავინ მიავლინა მისა. ხოლო წმიდავ შუშანიკ ბოროტთა მათ გუემათა დათმენათათვეს იტყოდა, რამთამცა სათნო ეყოლმერთსა.

ხოლო პიტიახშმან გამოარჩია ძუძუხლსმტც მისი საკუთარი, რა-ვთა მოიყვანოს იგი ტაძრად. და ვითარცა ჰრქუა კაცმან მან:

— ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად, და ნუ აოჭრებ სახლსა მას თქუენსა.

ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ:

— არქუ მას უღმრთოსა, ვითარმედ: შენ მომკალ და მარქუ მე: ცოცხალითა ფერჭითა არა გამოხვდე შენ მაგიერ ციხით. ხოლო ან, უკუეთუ შემძლებელ ხარ მკუდარსა აღდგინებად, პირველად დედად შენი ალადგინე, რომელი ურდს დამარხულ არს, გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად, გარნა თრევით განმითრიო.

და ვითარცა მიუთხრეს პიტიახშსა სიტყუად იგი, და მან თქუა:

— ნამდგლვე ვთქუ ეგე!

და მეორესა დღესა შემო-ვინმე-ვიდა და ჰრქუა წმიდასა შუ-შანიკს:

— კეთილად მიუგე მას სიტყუად იგი, რამეთუ მაგით სახით ეგულებოდა შეტყუვილი შენი და მას სხუად ზრახვად გულსა მოეჭადა სიბოროტისად შენთვეს.

წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას:

— და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყვეს თვე უფალი: „მე მიუგო სიტყუად თქუენ წილ“.

მიჰრქუა აქ: შეუთვალა.
მიერითგან იმ დროიდან, იმ დღიდან.
მიავლინა მისა მიაგზავნა მასთან.
ბოროტნი იგი გუემანი სასტიკი ტანჯვა.
დათმენათათვეს იტყოდა მოთმენის გამო ამბობდა.
რამთამცა სათნო ეყო ღმერთსა რათა ღვთის სასურველი ყოფილიყო.
ძუძუხლსმტც ძუძუმტე, ძიძიშვილი.
მაგიერ ციხით მაგ ციხიდან.
ურდი ადგილის სახელწოდება.

გარნა მაგრამ, ხოლო, აქ: თუ არა, გარეშე. მაგით სახით მაგნაირად.

ეგულებოდა განზრახული ჰქონდა, აპირებდა.

სხუად ზრახვად გულსა მოეჭადა სიბოროტისად შენთვეს შენთვის სიავე ჰქონდა გულში.

„მე მიუგო სიტყუად თქუენ წილ“ მე გავცემ პასუხს თქვენ მაგიერ (ციტატა ლუკას სახარებიდან, 12, 12).

XI. და ვითარცა აღივსებოდა მეექუსში იგი წელი საპყრობილესა მას შინა, სენი სნეულებისა მოიწია მის ზედა და შეიქმნა და დაღნა ვითარცა ავლი.

და მიერ დღითგან, ვინათგან პყრობილ ყვეს იგი ციხესა მას შინა, სასთაულსა ზედა თავი არა მიდვის, გარნა ალიზი ერთი დაიდვის სასთუნალ. და ქუესაგებელად იყო გირჯაკი ერთი ძუელი და კაცთა თუალსა სასთაული ერთი ხალენისა უცნ სასთუნლით კერძო. და თაყუანის-საცემელად კილიკი ერთი მცირშ ქუე წარუგდებიედ.

უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მჯურვალება მზისა და, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკადრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვალებულნი, დაწერტილნი და დამშრმალნი და დამლიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არა ვინ არს მათ ქუეყანათა. და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ პყრობილ იყო და მძიმეთა მათ საკრველთა შინა ადიდებდა ღმერთსა.

და ვითარცა მეშქდე წელი დადგებოდა, მოიწია წმიდისა და სამგზის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულება დაცა ჭორცთა მისთა და შინაგან ძაძა ემოსა და არავინ იცოდა ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თუალსა ანტიოქიისა პალეკარტი ემოსა.

სენი სნეულებისა მოიწია მის ზედა დას-
ნეულდა, დაავადდა.
შეიქმნა და დაღნა ვითარცა ავლი ჩაი-
ფერფლა.
ავლი ფერფლი.
მიერ დღითგან იმ დღიდან.
ვინათგან მას შემდეგ, რაც.
სასთაული ბალიში.
ალიზი გამოუწვავი აგური.
გირჯაკი „ქვეშაგები ქმნილი მატყლით
რამე, ანუ ნაბადი“ (საბა).
ხალენი წამოსასხამი ტყავი, ქურთუკი.
უცნ ჰქონდა.
სასთუნლით კერძო სასთუმლის მხარეს,
სასთუმლად.
კილიკი „ფლასი ბალნისა“ (საბა), ბეწვიანი
ტყავის ნაგლეჯი.

ქუე წარუგდებიედ ქვეშ დაეგო.
ხორშაკი „ქარი შემწველი“ (საბა).
დაწერტილი დაწინკლული, დაწევლეტი-
ლი.
დამლიერებული მღერიანი, დამუნიანებუ-
ლი.
ჩარადოვანი დამუნუკებული.
პირმსივანი სახედასივებული.
მოიწია... შუშანიკის ზედა წყლულება დაცა
ჭორცთა მისთა სხეული დაუწყლულდა
შუშანიკს, იარები გაუჩნდა.
ძაძა სამოსი შალის უხეში ქსოვილისაგან.
გარეგან კაცთა თუალსა გარედან, სხვის
დასანახად.
ანტიოქია ქალაქი ძვ. სირიაში.
პალეკარტი წამოსასხამი.



XII. და ვითარცა ესმა ჯოჯიკს, ვითარმედ მიახლებულ არს ნეტარი დედოფალი წმიდა შუშანიკ სიკუდილდ, წარვიდა და თანა წარიყვანნა ცოლი და შვილნი და მონა-მჭევალნი მისნი. და მივიდა ციხედ ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტვლისა. პირველთა მათ უნესოთა საქმეთა აღუარებდა და ევედრებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა:

— სძალო და მჭევალო ქრისტისო, ითხოვე ღმრთისაგან, რაო-
თა მომიტევნეს მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი. და თუ რამე შეგ-
ცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროვასათა და სოფლის მოყუარეთა,
მოგპტევენ და ნუ მოიჭისენებ მედგრობათა ჩემთა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრეზუა ჯოჯიკს და ცოლსა მისსა:

— ჰყავთ წარმდებად საქმი ესე ჩემი, რამეთუ არა ვინ იპოვა
კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობად და ტკივილი ჩემთვს,
რომელმანმცა შეაჯერა ულმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა.

ხოლო მათ ჰრეზუეს:

— ჩუენ თჯნიერ შენსა ფრიად დავშუერით, გარნა არა იყო
სმენაო, არცა სიტყუაო.

მაშინ ჰრეზუა წმიდამან შუშანიკ:

— განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს
თუალლებად წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთავსა და მეუფისა მის
მეუფეთავსა, სადა არა არს რჩევად მამაკაცისა და დედაკაცისად,
სადა მე და მან სწორი სიტყუად ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტისა; მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი
ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი
დააჭნო, შუენიერებად სიკეთისა ჩემისად დააბნელა და დიდებად

მონა-მჭევალნი მსახური კაცები და ქალე-
ბი.

ჰირველთა მათ უნესოთა საქმეთა აღუ-
არებდა ადრინდელ ურიგოსაქმეებს (ცოდ-
ვებს) აღიარებდა მის წინაშე, ინანიებდა.
სოფელი წუთისოფელი, სააქაო.

ნუ მოიჭისენებ ნუ გაიხსენებ.

მედგრობა უმოქმედობა, სიჯიუტე.

ჰყავთ წარმდებად საქმი ესე ჩემი უსულ-
გულოდ მომექეცით.

წყალობა სიბრალული.

რომელმანმცა შეაჯერა რომელიც დაარ-
წმუნებდა, ვინც დააჯერებდა.

საწუთრო მეუღლე ამქვეყნიური მეუღლე
(შუშანიკი, „სძალი ქრისტესი“, საწუთრო
მეუღლედ მიიჩნევს ვარსქენს).

თჯნიერ შენსა უშენოდ, შენ გარეშე.

ფრიად დავშუერით დიდად გავისარჯეთ,
ძალიან ვეცადეთ.

თუალლებად მიკერძოება.

წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთავსა და
მეუფისა მის მეუფეთავსა უმაღლესი მსა-
ჯულისა და უზენაესი მეუფის (ქრისტეს)
წინაშე.

რჩევად გარჩევა, გამორჩევა.

სწორი სიტყუად ვთქუათ თანასწორად
ვიტყვით.

მიაგოს მას მიუზღავს მას.

უჟამოდ უდროოდ, ნაადრევად.

ნაყოფნი მოისთულნა ნაყოფი დაკრიფა.

მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა
იგულისხმება: უდროოდ მომიღო ბოლო.

შუენიერებად სიკეთისა ჩემისად ჩემი სი-
ლამაზე.



ჩემი დაამდაბლა. და ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო მე ან ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებავ ვპოო, და გუემათა და თრევათა მისთათვს მე განსუენებასა მივემთხვო და უგულისკმოებისა და უწყალოებისა მისისათვს მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტის მიერ უფლისა ჩემისა.

ხოლო იგინი ამას ყოველსა სიტყუასა მისა ზედა ტიროდეს მწარედ და ჰრეს:

— მოგზტევენ ბრალნი ჩუენნი და გუაკურთხენ, წმიდაო მონამეო და მარტილო სანატრელო ქრისტის ღმრთისაო.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრეს:

— ღმერთმან მოგიტევენინ, რომელ რაო-იგი ჰყავთ.

მაშინდა აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი და შვილნი მისნი და მონამტევალნი მისნი და ყოველი ეზოდ და პალატი მისი. და ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა და ეტყოდა, ვითარმედ:

განსუენება „შრომისაგან შვება, გინა ღირსებით სიკუდილი“ (საბა).

უგულისკმოება უგუნურება.

გუაკურთხენ კურთხევა მოგვეც, დაგვლოცე.

რომელ რაო-იგი ჰყავთ რაც ჩაიდინეთ.

პალატი „ვრცელი და დიდი სახლი“ (საბა), სასახლე.

ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა მოძვრავდა, ასწავლიდა ლვთის გზაზე სვლას. ქრისტიანობა ადამიანს მოვალეობად უსახავდა სულიერ ამაღლებას, წუთისოფლიდან ზეციური საუფლოსაენ გზის გაგნებას, სწორედამ გზაზე სვლას „ამცნებდა“ წმინდანი თავის მოყვასთ.

— ესე ყოველი ცხორებამ, ვითარცა ყუავილი ველთაღ, წარმავალ არს და დაუდგრომელ, და ვინ სთესა, მოიმკო, და ვინ განაბნია გლახაკთათვს, შეიკრიბა, და რომელმან წარინტემიდოს თავი თჯსი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი.

მერმე, შემდგომად ჯოჯიკისა, მოინია თავი იგი ეპისკოპოსთად სამოელ და იოვანე ეპისკოპოსი, რომელ-იგი მონაწილე იყვნეს და თანაზიარ შრომათა მისთა; მადლობით წარჟგზავნიდეს ნაგთსადგურისა მის მიმართ ქრისტესისა. მსგავსად მისვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს.

XIII. და მოინია დღე იგი წოდებისა მისისად. და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლეობისა მისისათვს. ვითარცა მამასა და მამამძუძესა შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე. და შემვედრებდა ნეშტა მათ ძუალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინავცა-იგი პირველად გამოითრიეს, და ეტყოდა:

— უკუეთუ ღირს რამე ვარ უკუანადსწნელი ესე მეათერთმეტც მოქმედი ვენავისად, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე უამთა.



დაუდგრომელი ცვალებადი.
ვინ განაბნია გლახაკთათვს, შეიკრიბა ვინც დაურიგა (ქონება) უპოვაროთ, მან და-აგროვა (სულიერი სიმდიდრე).

რომელმან წარინტემიდოს თავი თჯსი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი ვინც თავს დაიღუპავს (მსხვერპლად გაიღებს თავს), იგი იპოვის ღმერთს, რომელიც განადიდებს მას (მსხვერპლის გამღებს).

თავი იგი ეპისკოპოსთად მთავარეპსკოპოსი.

წარჟგზავნიდეს ნავთსადგურისა მის მიმართ ქრისტესისა მაცხოვრის საუფლოში მიაცილებდნენ.

აზნაურნი დიდ-დიდნი დიდებულები.

ზეპურნი დედანი დიდგვაროვანი, დიდებული ქალები.

უაზნონი მდაბიონი.

სოფელი ქართლისა ეკვეყანა ქართლისა. მოინია დღე იგი წოდებისა მისისად მოვიდა მისი გარდაცვალების (ლვთისგან მისი ხმობის) დღე.

მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლეობისა მისისათვს მადლობას უხდიდა მას (აფოცს) გულშემატკიცრობისათვის.

მამამძუძე „კაცი გამზრდელი“ (საბა).

უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინ-ავ-ცა-იგი პირველად გამოათრიეს ბრძანებდა დაესვენებინათ იმ ადგილას, საიდანაც პირველად გამოათრიეს.

უკუანადსწნელი ესე მეათერთმეტც მოქმედი ვენავისად უკანასკნელი, მეთერთმეტე მუშაკი ვენახისა (ასე მოიხსენიებს შუშანიკი თავის თავს). ეს სიტყვები გამოძახილია მათეს სახარების (მათე 20,1-16) იგავისა. მასში ნათქვამია, რომ ვენახის პატრონმა მუშაკები დაიქირავა განთიადზე და თითო დრაპკანი (ფულის ერთული) აღუთქვა. დღის სხვადასხვა დროს მან კვლავ იქირავა მუშაკები. სულ ბოლოს კი ღამის თერთმეტ საათზეც დაიქირავა. შუაღამისას, როცა ყველას გასამრჯელო გადაუხადა, მეთერთმეტე ქამის მუშაკ-საც იმდენი მიუზღო, რამდენიც განთიადზე მოსულთ. იგავი გვასწავლის, რომ არასოდეს არ არის გვიან ლვთის სამსახურში ჩადგომა. პაგიოგრაფიის გმირები ხშირად მოიხსენიებიან მეთერთმეტე უამის მუშაკებად, ნიშნად იმისა, რომ ისინი თავანთი ლვანლით გაუტოლდნენ ლვთის გზაზე ადრე დამდგართ.



და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა:

— კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი.

და შეჰვედრა სული თჯსი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა.

და დავჰკრძალენით წმინდანი იგი და დიდებული და პატივცემული ნანილნი წმინდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა. და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამე იგი განვათიერ და დავითის ქნარითა მით ყოვლად ძლიერსა ღმერთსა და ძესა მისასა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ვადიდებდით.

და არს აღსრულებად მისი თთუესა ოკდონბერსა ათჩვდმეტსა.

და დღე ხუთშაბათი იყო, რომელსა განვაწესეთ საქსენებელი წმინდისა შუშანიკისი სადიდებელად და საქებელად ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, რომლისა შუენის დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. ფიზიკურ ტანჯვაზე უფრო მძიმე რა მორიგი განსაცდელი დაატყდა თავს დედოფალს? როგორ მიიღო მან ეს განსაცდელი?
2. როგორ იქცევა შუშანიკი ციხეში და რა აცვია მას ტანთ?
3. დააკვირდით, როგორ აღწერს ავტორი ჰერეთის გარემოს. გამოირჩევა თუ არა ეს ადგილი ტექსტის სხვა მონაკვეთებისაგან რიტმული ქლერადობით? როგორ ფიქრობთ, რისთვის ჩართო ავტორმა ეს პასაუი თხრობაში?
4. როგორ მოიხსენიებს დედოფალთან კურთხევის მისაღებად მისული ჯოჯიკი შუშანიკს, საკუთარ თავს (და ირგვლივ მყოფ ადამიანებს)?
5. რა ბრალს უყენებს შუშანიკი ვარსკენს და რას მოელის იგი ტანჯვის სანაცვლოდ?
6. როგორ გესმით დედოფლის სიტყვები: „რომელმან წარინაშობოს თავი თჯსი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი“?

განვაწესეთ საქსენებელი წმინდისა შუშანიკისი დავანესეთ წმინდა შუშანიკის სენინების დღე.

უკუნითი უკუნისამდე მარადიულად.

უკუნითი უკუნისამდე, ამენ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში გავრცელებული მყარი შესიტყვება. ჩვეულებრივ, ასე ამთავრებდნენ ლოცვას, ქადაგებას.

მ ე პ ს ტ ი ნ ს ტ ა მ ი თ ხ ვ ი ნ ს გ ე გ ლ ე ბ ა

დავითიძეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. ვინ არიან იაკობ ხუცესის ნაწარმოების პეროსნაუები? ისტორიული პიროვნებები არიან ისინი თუ მწერლის ფანტაზიით შეთხზულნი? შუშანიკისა და ვარსქენის გარდა, კიდევ ვის ვხედავთ ნაწარმოებში?
2. სად ხდება ნაწარმოებში აღნერილი მოქმედება? კიდევ რომელი გეოგრაფიული ადგილებია მასში ნახსენები?
3. გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ ტექსტში ნახსენები წმინდა წიგნები, სასულიერო წოდებები და სოციალური ფენები.
4. სპარსეთის რომელი მტრის წინააღმდეგ იბრძვის ვარსქენი?
5. რომელი პერსონაუები წარმოთქვამენ ქვემოთ მოხმობილ ფრაზებს? მოუძებნეთ თითოეულ მათგანს კონტექსტი.
 - ა. „ჰე, ჰე, განისუენე!“
 - ბ. „მტკიცედ სდგაა?“
 - გ. „უნეს ს პიტიახში!“;
 - დ. „ნურარად გგლიან!“;
 - ე. „მტკი...“
6. როგორ გესმით: „მეათერთმეტე მოქმედი ვენახისაა“? რატომ მოიხსენიებს თავის თავს ასე შუშანიკი?
7. შუშანიკისაგან განსხვავებით, ვარსქენი ნაწარმოებში არსად არ ასაბუთებს საკუთარ პოზიციას. როგორ ახსნით ამ ფაქტს?
8. რა ბრალდებას უყენებს შუშანიკი ვარსქენს?
9. ვთქვათ, მხატვარი ხართ და „შუშანიკის წამების“ დასურათება გადაწყვიტეთ. რომელ ეპიზოდებს შეარჩევდით?
10. წარმოიდგინეთ თავი შუშანიკის ეპოქაში. რა კითხვებს დაუსვამდით ვარსქენს, იაკობ ხუცესს, ჯოჯიკს?
11. როგორ ფიქრობთ, შუშანიკის თავდადება მხოლოდ პიროვნული მნიშვნელობის მქონეა თუ მის საქციელს საზოგადოებრივი მნიშვნელობაც აქვს? (პასუხი დაასაბუთეთ).

მხატვრული ანალიზის ელემენტები

ავტორი — მთხობელი — პერსონაუი

12. ვინ არის ნაწარმოებში გადმოცემული ამბის მთხობელი?
13. დაახასიათეთ იაკობ ხუცესი, როგორც პერსონაუი.

კითხვის სტრატეგია

გავითვალისწინოთ ეპოქის მსოფლმხედველობა

14. დაასახელეთ ნაწარმოებიდან რომელიმე ადგილი, მხატვრული სახე ან გამონათქვამი, რომელიც ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინების გარეშე ოქვენთვის გაუგებარი დარჩებოდა.

დავალებები

~~~~ ზეპირი მეცნიერება

იმსჯელეთ თემაზე: იაკობ ხუცესი, როგორც ნაწარმოების ავტორი და პერსონაჟი.

მოიშველიეთ შემდეგი გეგმა:

- ვინ არის იაკობ ხუცესი და სად, რომელ ეპიზოდში ჩნდება იგი პირველად, როგორც ნაწარმოების პერსონაჟი?
 - რომელი ეპოზოდიდან ხდება ჩვენთვის ცნობილი ნაწარმოების ავტორის სახელი?
 - რა მიზანი ამოძრავებს მას შუშანიკთან პირველი დიალოგის მიხედვით?
 - როგორ ახასიათებს იაკობს მისი ემოცია ციხეში ნაწარმები დედოფლის ნახვის შემდეგ?
 - კიდევ როდის ჩნდება იაკობი დედოფლის გვერდით?
 - რომელი ეპიზოდიდან ჩანს შუშანიკის დამოკიდებულება იაკობისადმი?
 - როგორია იაკობის, როგორც ავტორის, დამოკიდებულება სხვა პერსონაჟებისადმი?
 - რა არის იაკობის, როგორც ჰაგიოგრაფის, მიზანი შუშანიკის ღვანლის აღწერისას?
- კიდევ ერთხელ გადახედეთ ამ თავის საწყის გვერდზე მოხმობილ ციტატას. როგორ ფიქრობთ, რითი უკავშირდება ის თქვენ მიერ შესწავლილ ნაწარმოებს?

დაზიანებულ ლიცერაციის ბუნებაზე

■ წაიკითხეთ ანა კალანდაძის უსათაურო ლექსი:

როცა სხივი განსასვენად
ყვავილებით თეთრ გვირგვინებს
ეახლება და ყვავილი
საალერსოდ რტოებს გაშლის,

ყმაი ერთი მიადგება უცხო სენაკს,
„— რაი გინებს?“
„— ხუცეს, გინესს პიტიახში“.

„შუშანიკის წამების“ რომელი ეპიზოდით არის ეს ლექსი შთაგონებული? როგორ ფიქრობთ, რატომ წარმოადგინა პოეტმა ეს ეპიზოდი, როგორც მრავალგზის განმეორებითი მოქმედება — „როცა სხივი... ეახლება... მიადგება“, როგორც მარადიული აწმყო და არა, როგორც უკვე დასრულებული, წარსული ამბავი?

ახლა მანანა ჩიტიშვილის ლექსი წაიკითხეთ:

„შუშანიკის წამებით“ შთაგონებული რომელი ალუზია გამოკრთება ამ ლექსში? როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდა პოეტს მისი გამოყენება, რა ინტონაცია შეაქვს მას წანარმოებში (სევდიანი, საზეიმო, ამაღლებული...)?

ისევ მოვა მალე მარტი

უამური, ცივზე ცივი ქარი ქროდა,
გამშვიდებდი, ისევ მოვა მალე მარტი
და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა,
ვით შუშანიკს – სადედოფლო პალეკარტი.

არ ვიცოდი, ვინ იყავი, სადაური,
არ მიკითხავს სალოცავი ანდა რჯული,
გიხდებოდა პენჯაბური ხატაური
და თვალები – ვეფხვის მზერით დახანჯლული.

მთვარის გზებით მოდიოდა მთებში ღამე,
ძლივს მოგაგენ, შემეცვალა ალბათ მხარი,
აღსარების ცრემლით კალთა დაგინამე
და შენ მაინც ერთი სიტყვაც არ მითხარი.

დრო გავიდა, ყანა უკვე სამკელია,
ზოგჯერ მაკრთობს მოლოდინი ავი სეტყვის,
ნუთუ ჩემთვის საამბობი დაგელია,
ნუთუ დღესაც აღარაფერს აღარ მეტყვი.

შენთან მოსვლა არ მქონია განზრახული,
იცის ღმერთმა, უნებურად მოვყევ ბადეს,
დამიწოდე დროის რტოდან გაზაფხული,
რომ მწყურვალი იმედები ამიყვავდეს.

გახსოვს ის დრო, როცა ცივი ქარი ქროდა,
გამშვიდებდი, ისევ მალე მოვა მარტი
და იების დაგშვენდება ლურჯი ქობა,
ვით შუშანიკს – სადედოფლო პალეკარტი.

საგანთაშორისი კავშირები

სახელმძღვანელოში მოცემული „შუშანიკის წამების“ ტექსტი ილუსტრირებულია თანამედროვე მხატვრის, მამია მალაზონიას, მიერ. მხატვარი აშკარად შუა საუკუნეების რელიგიური შინაარსის სახვითი ხელოვნებით არის შთაგონებული.

დააკვირდით შუა საუკუნეების ხატნერისა და ფრესკული მხატვრობის ნიმუშებს. მათზე ქრისტეშობისა და იესოს იერუსალიმში შესვლის სცენებია გამოსახული. შეადარეთ ისინი „შუშანიკის წამების“ ტექსტის 29-ე და 52-ე გვერდებზე განთავსებულ ილუსტრაციებს:

რა საერთო დეტალებს ხედავთ ამ წამუშევრებში? რა აიღო მხატვარმა შუა საუკუნეების რელიგიური მხატვრობის კანონიკური (სავალდებულო) სცენებიდან და, თქვენი აზრით, რა სიმბოლური დატვირთვა მიანიჭა მან ამ დეტალებს?



ღვთისმშობლის ხატის დეტალები.
ზარზმა. XI ს.



ატენის სიონი. XI ს.



მცერი. XIV ს.

ეს საინფორმაცია!



ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ „შუშანიკის წამების“ მიხედვით დაწერა ოპერა „იყო მერვესა წელსა“. მთავარი გმირის არია ამ ოპერიდან განთავსებულია იუთუბზე.

მოისმინეთ ეს არია და იმსჯელეთ, რომელი ეპიზოდი უდევს მას საფუძვლად იაკობ ხუცესის ტექსტიდან და რამდენად შეესაბამება მუსიკა ჰავიოგრაფიული ნაწარმოების განწყობას?

== გეპირი მეცნიერება



კომპლექსური დავალება 1. არგუმენტირებული მსჯელობა მოცემულ თემაზე.

„შუშანიკის წამების“ ტექსტსა და ამავე სახელწოდების დოკუმენტურ ფილმზე დაყრდნობით მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა თემაზე: „შუშანიკის წამება“ — სარწმუნოებრივ-ოჯახური თუ ისტორიულ-პოლიტიკური დრამა?“ ამისათვის:

- გააანალიზეთ ისტორიული კონტექსტი, რომლის ფონზეც ვითარდება ნაწარმოებში აღნერილი მოქმედება (საქართველო ირანსა და ბიზანტიას შორის);
- ისაუბრეთ, ვინ არიან ნაწარმოების პერსონაჟები და როგორ ირეკლება მათ მოქმედებაში მათი პიროვნული ვნებები და ქვეყნის ისტორიული არჩევანი;
- გაითვალისწინეთ დამარწმუნებელი ტექსტის სტრუქტურა (გამოკვეთეთ მთავარი დებულება (თეზისი), მოიხმეთ დამადასტურებელი არგუმენტები, გამოიტანეთ დასკვნა).

(დოკუმენტური ფილმი „შუშანიკის წამება“ (ნაწილი 1-2-3) და „შუშანიკის წამება“ (ნაწილი 4) შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში გუგლის საძიებო სისტემის მეშვეობით).

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რომელ ცნობებს და რა მინიშნებებს ეყრდნობით ტექსტიდან ნაწარმოების ისტორიული კონტექსტის ანალიზისა და პერსონაჟთა პიროვნული ვნებების შეფასებისას;
- რა არის თქვენი ძირითადი დებულება (თეზისი) და რა არგუმენტებს იყენებთ ამ დებულების დამადასტურებლად;
- რა ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს იყენებთ აუდიტორიასთან კონტაქტის დასამყარებლად.



კომპლექსური დავალება 2. მხატვრული ტექსტის შექმნა (მოთხოვის დაწერა ორი დაპირისპირებული პერსონაჟით)

დაწერეთ მოთხოვისა, რომლის დასაწყისში აშკარად გამოიკვეთება ორი დაპირისპირებული პერსონაჟი. თხოვის შენიშვიტეთ მაშინ, როდესაც მკითხველი ადვილად ამოიცნობს გმირსა და ატნიგმირს, ასევე — მათ შორის მოსალოდნელ კონფლიქტს. მოთხოვისა დასაწყისი გააცანით მეწყვილეს და სთხოვეთ მისი დასრულება. მუშაობის დასრულების შემდგომ იმსჯელეთ, რამდენად სწორად ამოიცნო მეწყვილემ თქვენი ჩანაფიქრი, მოულოდნელი იყო თუ არა კონფლიქტის შემდგომი განვითარება და მოთხოვის დასასრული.

ამისათვის:

- წარმოაჩინეთ ისტორიული კონტექსტი (სიტუაცია), რომლის ფონზეც განვითარდება მოქმედება;
- გამოიკვეთეთ პერსონაჟთა ზრახვები და ხასიათები — გამოხატული მათ ქმედებებსა და მეტყველებაში;
- დაპირისპირებულ პერსონაჟთა სახეების გამოსაკვეთად გამოიყენეთ დახასიათების სხვადასხვა ხერხი და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი მოთხოვისაა, რა ნაწილებისგან შედგება იგი;
- რამდენად დაგეხმარათ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ ასახული გმირისა და ანტიგმირის სახეებზე დაკვირვება თქვენი პერსონაჟების ხასიათების წარმოჩენაში;
- თქვენ მიერ გამოყენებული რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხი მიგაჩნიათ ყველაზე ეფექტურად და რატომ;
- რა ზეგავლენას ახდენს ისტორიული კონტექსტი თქვენს მოთხოვის ასახული კონფლიქტის ხასიათზე.

ლიცერაციული პარალელი

ანტიგონე

საკუთარი რწმენისა და იდეალებისათვის თავგანწირული გმირი ყველა დროისა და ხალხის ლიტერატურაში გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი გმირია ანტიგონე, პერძენული მითის პერსონაჟი, რომელიც პირველად სოფოკლეს¹ ტრაგედიაში გა-

1 სოფოკლე — ბერძენი დრამატურგი (დაიბადა ქრისტეს შობამდე 497/496 და გარდაიცვალა 406 წწ.). ძველი ბერძენები მას იმდენად აფასებდნენ, რომ გარდაცვალების შემდეგ თაყვანს სცენდნენ, როგორც ღვთაებას.

მოჩნდა. ანტიგონეს ძმებმა, ოიდიპოსის ვაჟებმა, თებეს ტახტისათვის ბრძოლაში ერთმანეთი დახოცეს. ორივე ერთნაირად დამნაშავე იყო, მაგრამ თებეს ახალმა მმართველმა, ანტიგონეს ბიძამ, კრეონმა, ერთი ძმა (ეთეოკლე) პატივით დაკრძალა, მეორე ძმა (პოლინიკე) მოღალატედ გამოაცხადა და დაუმარხავი დატოვა. კრეონის ბრძანებით, სიკვდილით დაისჯებოდა ყველა, ვინც პოლინიკეს დამარხვას გაბედავდა. ანტიგონე არ დაემორჩილა კრეონის ბრძანებას, ვინაიდან ის, მისი აზრით, უსამართლო იყო და ღმერთების კანონსა და ადამიანის ბუნებას ენინააღმდეგებოდა.

სოფოკლეს „ანტიგონე“ ათენში ქრისტეს შობამდე 442 წელს დაიდგა და, გადმოცემის თანახმად, მოქალაქეთა დიდი მონონება დაიმსახურა. როგორც ჩანს, დემოკრატიული მმართველობის ერთგული ათენელები აღფრთოვანდნენ გმირით, რომელიც წინ აღუდგა მეფის უსამართლო ბრძანებას და თავი გაწირა იმისათვის, რაც სწამდა, რაც სწორად და სამართლიანად მიაჩნდა.

შემთხვევითი არ არის, რომ ძველი ბერძნული მითის ამ დაუვიწყარმა პერსონაჟმა კიდევ ერთხელ შეისხა ხორცი XX საუკუნის ლიტერატურაში, ამჯერად ფრანგი დრამატურგის ჟან ანუის¹ ამავე სახელწოდების პიესაში. ჟან ანუის „ანტიგონე“ 1942 წელს, საფრანგეთის ფაშისტური ოკუპაციის დროს, დაიწერა და მისი მთავარი გმირი ტირანიისადმი² დაუმორჩილებლობის, შინაგანი თავისუფლებისა და რწმენისათვის თავდადების სიმბოლოდ იქცა.

სოფოკლეს „ანტიგონე“ ქართულ სცენაზე პირველად 1912 წელს დაიდგა, ჟან-ანუის „ანტიგონეს“ კი დღესაც შეხვდებით არაერთი ქართული თეატრის რეპერტუარში (მაგ., მესხეთის, ოზურგეთის, ი. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის თეატრების რეპერტუარში).

დავალება:

1. გირჩევთ, მოიძიოთ და წაიკითხოთ სოფოკლეს „ანტიგონე“, რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში. არსებობს ასევე თანამედროვე გამოცემა სოფოკლეს ტრაგედიებისა („ანტიგონეს“ თარგმანი ძველი ბერძნულიდან შესრულებულია გია ხომერიკის მიერ).
2. ასევე, სასურველია წახოთ ჟან ანუის „ანტიგონე“ რომელიმე თანამედროვე ქართული თეატრის სცენაზე. მესხეთის თეატრის სცენაზე დადგმული სპექტაკლი ხელმისაწვდომია ინტერნეტშიც.
3. მოისმინეთ ფილოსოფოს ლევან გიგინეიშვილის ლექცია „ორი ანტიგონე“, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ინტერნეტსივრცეში.

ამ დავალებების შესრულება ერთგვარი წინაპირობაა, რომელიც მომდევნო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას გაგიოლებთ.

1 ჟან ანუი — ფრანგი დრამატურგი და სცენარისტი (1910-1987 წწ.).

2 ტირანია — ძალაუფლების მიტაცება ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მიერ.

კომპლექსური დავალება 3: არგუმენტირებული მსჯელობა მოცემულ თემაზე

შესწავლის მასალაზე დაყრდნობით მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა თემაზე: „შუშანიკი და ანტიგონე — ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები“. გამოსვლაში უნდა ისაუბროთ იმაზე, რა აქვთ საერთო ამ სხვადასხვა ეპოქისა და განსხვავებული ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოებთა პერსონაჟებს. რით არიან ისინი მნიშვნელოვანი და საინტერესო დღევანდელი მკითხველისათვის.

შეფასების კრიტერიუმი

ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რა ისტორიული კონტექსტის პირობებში მოქმედებენ პერსონაჟები;
- რას უპირისპირდებიან გმირები; ჩანს თუ არა მათ სიტყვასა და საქმეში შინაგანი ბრძოლა საკუთარ თავთან, წამიერი სისუსტე და დაეჭვება არჩეული გზის სისწორეში;
- კიდევ რა თვისებებს გამოყოფით მათ ხასიათში, რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდებიან; როგორ ავლენენ თავს სხვა პერსონაჟებთან ურთიერთობაში;
- რით არის საინტერესო ეს ორი პერსონაჟი თანამედროვე მკითხველისათვის.

წერითი სამუშაო

კომპლექსური დავალება 4: პირადი მოსაზრების გამომხატველი ესეს დაწერა მოცემულ თემაზე

იაკობ ხუცესის ნაწარმოებზე დაყრდნობით დაწერეთ პირადი მოსაზრების ამსახველი ესე: „გმირი და ანტიგმირი შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და ჩვენს თანამედროვეობაში“, რომელშიც გადმოსცემთ საკუთარ მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ ვინ მიგაჩნიათ „გმირად“ და „ანტიგმირად“ თანამედროვე სამყაროში (შეგიძლიათ იმსჯელოთ, როგორც თანამედროვე ლიტერატურულ ან კინოგმირზე, ასევე — რეალურად არსებულ ადამიანზე). ამისათვის:

- წარმოაჩინეთ, რა თვისებებით ხასიათდება გმირი და ანტიგმირი „შუშანიკის წამებაში“;
- ნაწარმოებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ გმირის ის მახასიათებლები, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისათვის. იმსჯელეთ, კიდევ რა თვისებებია საჭირო დღევანდელი გმირისათვის;
- ვინ შეიძლება მივიჩნიოთ დღეს ანტიგმირად, რა თვისებებით ხასიათდება იგი;
- ისაუბრეთ კონკრეტულ პიროვნებაზე (ფილმებიდან, მხატვრული ტექსტებიდან, რეალური ცხოვრებიდან), რომელსაც დღეს უნიდებდით გმირს,

რატომ მიგაჩნიათ იგი ასეთად, რა დამსახურება მიუძღვის ერის წინაშე, რა პიროვნული თვისებებით გამოირჩევა, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება მისადმი;

- გამოკვეთეთ თქვენი მოსაზრებები და დაასაბუთეთ კონკრეტული მაგალითებით გამყარებული არგუმენტებით;
- გაითვალისწინეთ თხზულების სამნანილიანი სტრუქტურა: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა;
- წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით ენობრივი ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი პირადი მოსაზრების ამსახველი ესეა;
- შეიცვალა თუ არა ტექსტის თქვენეული გააზრება საკითხის თანამედროვე კონტექსტში წარმოდგენისას, კონკრეტულად რა და რატომ.



„ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“;

„განვისაჯნეთ მე და ვარსექნ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალლებად წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაშა და მეუფისა მის მეუფეთაშა, სადა არა არს რჩევად მამაკაცისა და დედაკაცისაშა...“.

რას გეუბნებათ ეს ციტატები ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ შუშანიკის ეპოქაში? იმსჯელეთ, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით დღეს ჩვენს ქვეყანაში. მსჯელობისას დაეყრდნით საკუთარ გამოცდილებას და მითითებულ წყაროებს:

1. საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ მასალას „მწვავე გენდერული უთანასწორობა სოფლად“ (<https://georgia.unwomen.org/stories/2016/04>);
და
2. ახალი კვლევის შედეგებს ამ მიმართულებით (<https://georgia.unfpa.org/news/ახალი კვლევის მიხედვით...>).

გადახედეთ აგრეთვე სტატიებს: „ქალთა უფლებები“ (ვიკიპედია) და „ქალთა დისკრიმინაცია“ (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი). ამ მასალის მოსაძიებლად საკმარისია, მიუთითოთ სტატიათა სათაურები გუგლის საძიებო სისტემაში.

როგორ ფიქრობთ, რატომ დასჭირდა საერთაშორისო საზოგადოებას ამდენი კანონის მიღება ქალთა უფლებების დასაცავად?

ფერცვის ენა

ლტთოგრაფია

დამატებითი ასონიშვილი ქველი ქართულისათვის

თქვენ უკვე იცნობთ ორ განსხვავებულ ასონიშანს, რომელებიც ძველი ქართული ტექსტების წერილობით გადმოსაცემად გამოიყენება, ესენია: **მდა ჭ.**

კიდევ სამ განსხვავებულ ასონიშანს უნდა მივაქციოთ ყურადღება ძველი ტექსტების კითხვისას:

1. უთუოდ შეამჩნევდით, რომ ზოგ ისეთ სიტყვაში, რომელშიც დღეს ვ იწერება და გამოითქმის, ძველად **უ** ასონიშანი იწერებოდა:

თუალი, ძუალი, სხუა, ძუელი, ქუაბი, დასუა, ჰრქუა და სხვ.

მაგრამ ამ შემთხვევებში ეს ასონიშანი **უ** ხმოვნად არ უნდა წავიკითხოთ. ეს არის **ვ-ს** მსგავსი წყვილბაგისმიერი თანხმოვანი (ორივე პაგის მონაწილეობით გამოითქმის მაშინ, როცა **ვ** კბილბაგისმიერია). რადგანაც დამწერლობაში ამ ბერისთვის ცალკე ასო არ არსებობდა, **უ** ხმოვნის აღმნიშვნელი ნიშნით გადმოსცემდნენ. ამ ორგვარ **უ-ს** ახალ ქართულთან შედარებით ადვილად გაარჩევთ: სადაც **უ** ხმოვანი იყო, დღესაც ხმოვნად არის დარჩენილი (**გული, სული, ნურავს...**), ხოლო სადაც ის თანხმოვანს გამოხატავდა, დღეს **ვ** თანხმოვნად გვევლინება:

გუელი → გველი.

2. ც — ეს ასონიშანი, ჩვეულებისამებრ, სიტყვის ბოლოში გვხვდება და ის წარმოიქმნება სახელის ფუძის ბოლოკიდური **ე** ხმოვნისა და ბრუნვისნიშნისეული **ვ** ნახევარხმოვნის ურთიერთშეხვედრის (თანამიმდევრობის) შედეგად. ასეთ დროს წარმოიქმნებოდა დიფთონგი (ერთ მარცვლად შერწყმული ორი ხმოვანი), რომელსაც **ც** აღნიშნავდა:

ძე-ი → ძევ → ძმ.

3. პ — ეს ასონიშანი ასევე ორი ბერის შერწყმის შედეგად წარმოქმნილ დიფთონგს გამოხატავს; ამ შემთხვევაში შეერწყმის ფუძისეული **უ** (უბრჯგუ) და მისი მომდევნო **ი** ხმოვანი:

დათუ+ი → დათუ; სხუა — ნათ.ბრ. სხუ-ისა → სხუსა.

გრამატიკა

კავშირები ქველი ქართულში

ძველი ქართული ტექსტების გაეგბისათვის პირველ რიგში აუცილებელია ვიცოდეთ იმ საკავშირებელი სიტყვების მნიშვნელობა და დანიშნულება, რომელებიც ესოდენ ხშირად გვხვდება სხვადასხვა წინადადებაში. კავშირების ნაწილი ისეთივეა

ძველ ქართულში, როგორიც ახალში (მაგ.: **და, თუ, ხოლო, არამედ, რომ...**), ხოლო ზოგი განსხვავდება ფორმითაც და შინაარსითაც, სახელდობრ:

რათა, რამთამცა — იგივეა, რაც **რათა, რისთვისაც:**

ზრახვა-ყო, რამთა აუწყოს და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი.

გარნა — მხოლოდ, ხოლო:

ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგილონ.

რამეთუ — რადგან, რომ: **ნუ რას ფიცხელსა სიტყვასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნებამ იწრო არს.**

უკუეთუ — თუკი:

უკუეთუ არა მოხვიდე შინა, ჩორდ წარგცე შენ...

დაღათუ — თუნდაც:

დაღათუ ბევრეული ოქროსა და ვეცხლისად მომცენ მე... ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა.

ვითარმედ — რომ:

მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო.

ნუუკუე — ვაითუ, ნუთუ, შეიძლება, რომ არა:

ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტისსა, ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსკლ-მან, საძოვარი პოოს შენ თანა!

დავალება: **დაძებნეთ ტექსტში და გადმოეცით ახალი ქართულით შესაბამისი კავშირების შემცველი წინადადებები.**

ნაცვალსახელი ნაცილაკის როლი

გავიხსენოთ: ძველ ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელები ნაწევრის (არ-ტიკლის) ფუნქციასაც ასრულებდა — **ესე, ეგე, იგი** ნაცვალსახელები არსებით სახელს განსაზღვრულ შინაარსს ანიჭებდა. შდრ.:

კაცი ერთი (კაცი ვინძე) ნიშნავდა: „ვიღაც კაცი“ (განუსაზღვრელი).

კაცი იგი (ესე, ეგე) — „ის კაცი“ (განსაზღვრული).

ძველ ქართულში ნაწევრას ერთი დამატებითი ფუნქციაც ჰქონდა; როდე-საც ის ნაცვალსახელს ან ზმნიზედას დაერთოდა (ამგვარ დართვას დეფისით აღნიშნავთ), ის —ც ნაწილაკის ფუნქციას ასრულებდა: **რომელი-იგი (=რო-მელიც), ვითარცა-ესე (=როგორც)...** მაგ.:

მოშიში ღმრთისაც, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თვსით.

რომელი-ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა...

დავალება: **ამოინერეთ ტექსტიდან და განმარტეთ მსგავსი მაგალითები.**

კითხვას ძველ ქართულში თავისი ნიშანი ჰქონდა

კითხვას დღეს მხოლოდ ინტონაციით გადმოვცემთ, სხვა მხრივ კითხვითი წინადადება არაფრით განსხვავდება თხრობითი წინადადებისაგან.

ძველ ქართულში კი ასე არ იყო. დააკვირდით: შუშანიკის სენაკში მოსული ყრმა იკითხავს:

— იაკობ მანდა არსა?

თხრობით კილოში იქნებოდა: „იაკობ მანდა არს“. ე.ი. კითხვას ძველ ქართულში ზმნაზე დართული კითხვითი ნაწილაკი ა გამოხატავდა (არს-ა).

რომელია კითხვის გამომხატველი ნიშანი წინადადებაში: „— მტკიცედ სდგაა?“

დავალება: მოძებნეთ და ამოიწერეთ ტექსტიდან მსგავსი მაგალითები

„რაღთა“ და „რაღთამცა“

ძველი ქართული ტექსტების კითხვისას უთუოდ შეამჩნევდით, რომ სხვადასხვა ადგილას ორივე კავშირი გამოიყენება: **რაღთა და რაღთამცა**.

მაგრამ მათი გამოყენებისას აუცილებელია დავაკვირდეთ ამ წევრ-კავშირებთან შეწყობილ ზმნებსაც და აღმოვაჩინთ, რომ პირველს კავშირებითი კილოს მწკრივები შეეწყობა, ხოლო მეორეს — თხრობითი კილოს მწკრივები:

რაღთა განაწესოს.

რაღთამცა განაწესა.

ორივე ნიშნავს: „რომ განაწესოს.“ — **მცა** ნაწილაკი (რაღთა-მცა) თვითონ არის მატარებელი კავშირებითის შინაარსისა.

დავალება: ახლა შეგიძლიათ დამოუკიდებლად დაძებნოთ რაღთა, რა-თამცა კავშირების შემცველი წინადადებები და დააკვირდეთ, რომელი მწკრივის ფორმები შეეხამება მათ.

ენის ისფორტია

იაკობ ხუცესის ხელნაწერს რომ ჩვენამდე მოეღნია

„შუშანიკის წამება“ V საუკუნის ლიტერატურული ძეგლია, მაგრამ მისი ხელნაწერები მხოლოდ გვიანდელი პერიოდისაა მოღწეული.

საინტერესოა, როგორი იქნებოდა ეს ტექსტი, თვით იაკობ ხუცესის ხელით დაწერილი რომ გვეხილა?

როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, შემდეგდროინდელი ხელნაწერებისაგან მთავარი განმასხვავებელი იქნებოდა ის, რომ პირვანდელი ტექსტი **ხანმეტი** უნდა ყოფილიყო ისეთივე, როგორიც არის პალესტინის უდაბნოს მონასტრის, ბოლნისის სიონისა და სხვა უადრესი წარწერები.

ხანმეტი ნიშნავს იმას, რომ ყველგან, სადაც კი უნდა იყოს მეორე სუბიექტური ან მესამე ობიექტური პირის ნიშანი, მაშინ იქნებოდა **ხ** — თავსართი:

II სუბიექტური: შენ ხ-წერ, ხ-აკეთებ, ხ-ცემ...

III ობიექტური: იგი მას ხ-წერს, მან მას ხ-რქუა...

აგრეთვე ვნებითები: ხ-იყო, ხ-იქმნა...

ასევე ზედსართავის აღმატებითი ხარისხის ფორმები: ხ-უდიდეს-ი (უდიდესი), ხ-უმაღლეს-ი (უმაღლესი), ხ-უფროვს-ი (უფროსი)...

ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია „შუშანიკის წამების“ პირვანდელი ტექსტი აღვადგინოთ:

და ხიჯმნა მეფისაგან სპარსთახსა პიტიახშმან. და ვითარცა მოხინია იგი საზღვართა ქართლისათა ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რახთა ხაუნყოს და წინა მოხეგეპნენ მას აზნაურნი, და მისნი ძენი, და მსახურნი მისნი, რახთა მათ გამო ვითარცა ერთგული სოფლად შევიდეს. და წარმოხმართა სადიასპანოთა ცხენითა მონავ თვისი, ვითარმცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ხრქვიან ცურჭავ.

დავალება:

1. რომელია ამ ტექსტში ხანმეტი ფორმები და რას გამოხატავს მათში **ხ** — თავსართი?
2. აღადგინეთ ხანმეტი ფორმები „შუშანიკის წამების“ შემდეგ ფრაგმენტში:

„და რაჟამს შემწუხრდა, მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისასა და ინებეს ერთად პურისა ჭამად, რაითამცა მოიყვანეს წმიდაო შუშანიკცა. და ვითარცა მოინია ჟამი პურისად, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რახთამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს, და ძლით წარიყვანეს ტაძრად, ხოლო გემოვ არარახსამ იხილა. ხოლო ცოლმან ჯოჯიკისამან მიართუა ღუნოვ ჭიქით და აიძულებდა მას, რახთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით:

— ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!

და განყარა ჭიქით და ჭიქად იგი პირსა შეალენა და ღუნოვ იგი დაითხია“.

ეს საინცერტესოა!

სიტყვა **ხუცესი**, რომელიც შუშანიკის ეპოქაში მღვდელს აღნიშნავს, წარმოშობით ხანმეტი ფორმა ყოფილა, კერძოდ, აღმატებითი ხარისხის ფორმა (ხ-უცეს) და იგი იმავეს აღნიშნავდა, რასაც შემდეგდროინდელი ხარისხის ფორმა **უხუცესი**.

კონკრეტული ფაქტების ცანკითხმები

წამება წმიდანისა და წერილის პიროვნების მიმოხილვა

იოანე საპატიოსძე

ავტორი

„აბოს წამება“ ქართველთა დიდი განსაცდელის უამს დაწერილი ჰაგიოგრაფიული წანარმოებია. მან ჩვენამდე IX საუკუნის ხელნაწერით მოაღწია.

წანარმოებს წამდლვარებული აქვს ავტორისა და სამოელ ქართლის კათალიკოსის მიმოწერა. სწორედ ეს მიმოწერა გვაწვდის ცნობებს ჰაგიოგრაფის შესახებ.

ქართლის კათალიკოსი სამოელი სთხოვს იოანე საპატიოსძეს (საპატიოს ძეს), აღწეროს მათი თანამედროვის, აბოს, მარტვილობა. იგი იოანეს მიიჩნევს ღვთისმოსავ, ღრმად განსწავლულ პიროვნებად და მიანდობს აბოს ღვანლის ასახვას, რათა ეს წაშრომი დაიდოს ეკლესიაში წამებულის მოსახსენებლად და შთამომავლობის გასამხნევებლად.

იოანე საპატიოსძეს მძიმე ტვირთად მიუწინევია კათალიკოსის თხოვნა, მაგრამ უარი ვერ შეუბედავს და დიდი მოკრძალებით შესდგომია ამ საპატიო დავალების შესრულებას.

იოანე საპატიოსძე, სხვა ჰაგიოგრაფების მსგავსად, მართლად აღწერს წმინდანის ღვანლს. ამას ხელს უთუოდ ისიც უწყობდა, რომ იგი აბოს არა მხოლოდ იცნობდა, მასთან სულიერი სიახლოვე, ქრისტესმიერი სიყვარული აკავშირებდა.

ავტორის შესახებ, ამ მიმოწერის გარდა, არავითარი სხვა ცნობა არ მოგვეპოვება. მაგრამ ერთი რამ ცხადია: მას ბრწყინვალე განათლება მიუღია, იოანე საპატიოსძეს ღრმად აქვს შეთვისებული თავისი ეპოქის მთელი კულტურული მონაპოვარი.

აბო ანამეს 786 წლის 6 იანვარს, ხოლო სამოელი ქართლის კათალიკოსი იყო 790 წლამდე, მაშასადამე, „აბოს წამება“ დაწერილი უნდა იყოს 786-790 წლებში.

კომპოზიცია

თხზულება ოთხი თავისაგან შედგება. პირველი – ქადაგებაა, რომელშიც ავტორი საქართველოში შექმნილ ვითარებაზე, წმინდანობის არსზე, წმინდანის ღვანლის საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და სხვა სარწმუნეობრივ საკითხებზე მსჯელობს. მეორე და მესამე თავებში ჰაგიოგრაფიული თხრობაა, რომელიც საკუთრივ აბოს ამბავს აღვინერს; მეოთხე თავი კი წმინდანის ქებას, მის შესხმა-შემკობას წარმოადგენს.

წანარმოების თავებად ასე დაყოფა და დასათაურება იშვიათად გვხვდება ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში.

VIII საუკუნის ქართლი

VII საუკუნის დასაწყისში აღმოცენებულმა ახალმა რელიგიამ, ისლამმა, უჩვეულო სისწრაფით იწყო გავრცელება. არაბთა სახალიფომ ცეცხლითა და მახვილით დაიმორჩილა მრავალი ქვეყანა და VIII საუკუნეში ქართლიც დაიპყრო.

ამ პერიოდისთვის ქართლს სახალიფოს მიერ დანიშნული მმართველი, ამირა, განაგებს. იგი ამავე დროს მსაჯულიცაა. ქართველი ერისმთავარი ამირას ემირობილება. დასავლეთ საქართველოში მყოფი ნერსე ერისთავი ქართლში დაბრუნების უფლებას თბილისის ამირასგან იღებს. ამ დროს იგი ერისმთავრის თანამდებობიდან უკვე გადაყენებული ჰყავთ.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ არაბთა სახალიფოს ლაშქრობას, ქართლის მსგავსად, ვერც აფხაზეთი (დასავლეთ საქართველო) გადაურჩა, მაგრამ დამცყრობლები იქ ვერ გამაგრდნენ. ახალმონათლულმა აბომ აფხაზეთში მხოლოდ ქრისტიანი მოსახლეობა იხილა, რითაც დიდად გაიხარა.

ნერსე ერისთავს ქართლში თანამოაზრებიც ჰყოლია. ეს, პირველ ყოვლისა, სამოელ კათალიკოსა და იოანე საბანისძეზე ითქმის. ქართველებს დაუნახავთ ეროვნული გადაგვარების საფრთხე და მას მხნედ წინ აღსდგომიან.

მძიმე უღლის მიუხედავად, VIII საუკუნის ქართლში კულტურული ცხოვრება არ ჩამქრალა. ცნობილია, რომ მრავალჭირგამოვლილი ნერსე ერისთავის ოჯახში აღიზარდა VIII-IX საუკუნეების უდიდესი ქართველი მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი. აქ, ერისთავის კარზე, მიიღო მან ბრნებინვალე განათლება და შემდგომ ეს ცოდნა ქვეყნის სულიერ აღორძინებას მოახმარა.

გეოგრაფიული გარემო

თუ „შუშანიკის წამებაში“ მოქმედება მხოლოდ ქვემო ქართლში მიმდინარეობს, „აბოს წამებაში“ პერსონაჟების სამოქმედო გარემო გაცილებით ვრცელია: ბალდადი, თბილისი, ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზაზე — დარიალი, შემდეგ ხაზარეთი, აფხაზეთი (დასავლეთი საქართველო), ისევ თბილისი. ამ გზის დიდ ნაწილს მთავარი გმირი, აბო, ქართლის ერისმთავარ ნერსესთან ერთად გაივლის.

დავაკავშიროთ

უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

თუ განგიცდიათ ოდესმე ძლიერი შიში? შეგიძლიათ აღწეროთ, რა არის შიში ანუ რას გრძნობს შეშინებული ადამიანი? როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა შიშის დაძლევა?

გავაანალიზოთ

მხატვრული ანალიზის ელემენტები

სიმბოლო. VII კლასის სახელმძღვანელოში სიმბოლო ასე იყო განმარტებული: „საგანს, მოვლენას, ადამიანს ან ადგილს, რომელიც საკუთარი თავის გარ-

და, კიდევ რაღაცას გამოხატავს, სიმბოლოს უწოდებენ“. შეიძლება ასეც ითქვას: „სიმბოლო არის კონკრეტული (საგანი, მოვლენა, მოქმედება), რომელიც რაღაც აბსტრაქტულს (მაგალითად, იდეას) გამოხატავს“. მაშასადამე, სიმბოლო არის კონკრეტული, ხილული და ხელშესახები, ის კი, რასაც სიმბოლო გამოხატავს, აბსტრაქტული, უხილავი და მოუხელთებელია.

სიმბოლოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების ქრისტიანულ ეს-თეტიკაში. თვით ქრისტიანული ღვთისმსახურება და ეკლესიის შენობაც კი სიმბოლურად გაიაზრება. სიმბოლურია ის, რომ ტაძარში ყველაზე წმინდა ადგილი, საკურთხეველი, აღმოსავლეთის მხარეს მდებარეობს (სახარების თანახმად, ქრისტე აღმოსავლეთში დაიბადა), სიმბოლურია ფრესკების განლაგება, ფრესკებზე გამოსახული ფიგურები და მათი თითოეული ჟესტიც კი; ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, თავად ტაძარი მიწისა და ზეცის შემაერთებელი სიმბოლოა და სხვ.


„შუშანიკის ნამების“ მაგალითზე თქვენ ნახეთ, თუ როგორ იხსნება ამ ნაწარმოების მთავარი თემა ბიბლიური სახე-სიმბოლოს („სძალი ქრისტესი“) მეშვეობით. დააკვირდით, რომელ სახე-სიმბოლოს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა იოანე საბანისძის ნაწარმოებში აბოს მოწამებრივი გზის გააზრებისათვის.

გამოვიყენოთ კითხვის სტრატეგია

ტექსტის დაკავშირება ისტორიულ კონტექსტთან. სხვა ეპოქაში შექმნილი მხატვრული ნაწარმოების კითხვისას, ამ ეპოქის მსოფლმხედველობასთან ერთად, ის ისტორიული ვითარებაც უნდა გაითვალისწინოთ, რომელიც ფონად გასდევს ნაწარმოებში გადმოცემულ ამბავს. ამის გარეშე მისი სიღრმისეული გაგება ისევე, როგორც გმირის საქციიელის მნიშვნელობის გააზრება და შეფასება, სრულყოფილი ვერ იქნება.

ყურადღებით გაეცანით შესავალ სტატიას: „VIII საუკუნის ქართლი“, ნაწარმოების იმ ადგილებს, სადაც ავტორი ქართლში არსებულ ვითარებას აღწერს და შეეცადეთ შეაფასოთ აბოს ღვანლი ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

ნაძები ნმაღლასა და ნეკორისა პაბობა



ნაგნი სამოული ჯორილასა ყოთილიაჲისად

მე, სამოელი ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანის ძესა, სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისასა და საყუარელსა ჩუენსა, ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ! მშკდობად იყავნ შენ ზედა და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ! ჩუენ თუ უწყით წადიერებად შენი ღმრთის მსახურებისათვს და ღმრთივ მიმადლებული შენი მეცნიერებად საღმრთოთა წიგნთად და გულს-მოდგინებად შენი კეთილთა საქმეთა მოღუანებისათვს. შენ თუ უწყი სანატრელისა ამის

კათოლიკე ერთიანი, მთლიანი,
მშკდობად იყავნ შვიდობა იყოს.

წადიერებად... ღვთისმსახურებისათვს
წყურვილი, სიყვარულიღვთისმსახურებისა.
მეცნიერებად ცოდნა.

ახლისა მოწამისა ჰაბოხისი, რომელი დღეთა ამათ ჩუენთა იმარტკლა
და მეოხად ქრისტის მიმართ ჩუენდა და ყოველისა ამის სოფლისა
ჩუენისა ქართლისათვს.

მნებავს, რათა დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტკლობა,
ვითარცა პირველთა მათ ქრისტის მოწამეთა, და დაიდვას იგიცა
წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსაწენებელად ყოველთა, ვინ
იყვნენ შემდგომად ჩუენსა. ამისთვისცა მოვავლინე წიგნი ესე ჩემი
კელითა ხსართან მღდელისა ჩემისათა. ან მიიღე წიგნი ესე ჩემი
და აღნერე მარტკლობა წმიდისა მოწამისა ჰაბოხისი და აღნერილი
ჩუენ მოგზდუანე, რათა უმეტესად ლოცვა-ვყოთ შენთვს. მადლი
უფლისა იყავნ შენ ზედა, ამენ!



ჰასუხა ნიგნისა იოგანძე მაქო

მარადის საწადელი და თაყუანის-საცემელი ბრძანება ღმრთივ
პატიოსნისა მამფლისა და უფლისა ჩემისა მოვიღე ჭელითა სიწმიდის
მოყუარისა ხსართან მღდელისათა. ან რა მოვაწენო უფლებასა
თქუენსა? მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე: უკუეთუ ურჩ ვექმნე ბრძა-
ნებასა თქუენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მი-
ეცესო“. და თუ ვისწრაფო მორჩილებად, მისთვისცა იტყვს: „უდარშ-
სასა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერშსა შენსა ნუ განიკითხავო.“
არამედ უმჯობესად შევპრაცხე მორჩილ-ყოფად თავი ჩემი ბრძა-
ნებასა უფლისა ჩემისასა, რამეთუ ვისწავეცა ბრძენთ მთავრისა
მის სოლომონის მიერ თქუმული, ვითარმედ: „პპაძევდ ჯინჭველსა,
მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა. ვითარცა-იგი მან თუსაა

ახალი მოწამე ის ვინც ახლახან ეწამა.
ქრისტიანული მოძღვრების თანახმად,
წმიდანი, რომელიც ახლახან, ეს-ესაა დაე-
მომა ქრისტეს.

დღეთა ამათ ჩუენთა იმარტკლა ახლა,
ჩვენს დროში ეწამა.

**მეოხად ქრისტეს მიმართ ჩუენდა და ყოვ-
ლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისა-
თვს ქრისტეს წინაშე მთელი ჩვენი ქვეყნის,
ქართლის, და ჩვენ შემწედ.**

**ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა ვინც იქ-
ნება ჩვენ შემდგომ.**

წიგნი წერილი, ეპისტოლე.

მოგზდუანე მოგვართვი, მოგვიტანე.

მამფალი პატრონი, სულიერი მამა.

უფლება თქუენი აქ: თქვენი უფლებამო-
სილება.

უდარშსა შენსა ნუ გამოეძიებო შენზე
უარესსა ნუ ჩაეძიებიო.

უძლიერშსა შენსა ნუ განიკითხავო აქ:
შენზე ძლიერს ნუ შეაფასებო.

შევპრაცხე მივიჩნიე.

მორჩილ-ყოფად თავი ჩემი ბრძნებასა
დავმორჩილებოდი ბრძანებას.

**ვისწავეცა კიდეც ვისწავლე, კიდეც ავით-
ვისე.**

პპაძევდ მიპაძე!

მედგარი ზარმაცი.

უდიდშესა მარცუალსა მას იფქლისასა შებმა-უყვის გულს-მოდ-გინედ, ვიდრემდის აღიღის და წარიღის საზრდელად თჯსა, მეცა გულს-მოდგინე ვიქმენ უძლიერშესა ჩემსა აღებად და წადიერებად გულისა ჩემისა აღავსო უფალმან, და აღვწერე ულირსისაგან გო-ნებისა ჩემისა შემოკრებული მარტკლობად, ჭეშმარიტი და უტყუ-ელი, წმიდისა მოწამისა მადლითა და მეოხებითა ნეტარისა ჰე-ბოსითა და მოგიძლუანე უფალსა ჩემსა.

პოეზიებიდან წმილისა პატიოსი

აწ გლოცავ თქუენ, ქრისტის მიმართ სურვიელითა გულითა მო-მიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროვს-და საც-ნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განპმარტე-ნით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა.

და არა თუ ხოლო ჩემდა მარტოისა საძიებელ არს სმენად სა-ნადელი ესე მარტკლობად წმიდისა ამის მოწამისა, არამედ – ყო-ველითად. ჯერ-არს თქუენდაცა დაკურვებად ჩემ თანა. რამეთუ რომელნი-ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის უამისათა, განდგომილთა ქრის-ტისგან, მრავალნი შეაცთუნნეს და გარდადრიკნეს გზისაგან სი-მართლისა, და ჭეშმარიტებასა ქრისტის სახარებისასა შეეცოდ-ნეს, რომელნი ხუთასის წლისა უამთა და უნინარტისლა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისლებისადთა. მიერითგან

იფქლი ხორპალი.

შებმა უყვის შეებმება.

ვიდრემდის აღიღის და წარიღის საზრ-დელად თჯსა ვიდრე არ აიღებს და არ წა-იღებს თავის საკვებად.

შემოკრებული შეკრებილი, მოძიებული.

მოგსენებად ხსენება, მოგონება (ეკლესი-აში წმინდანის ხსენების დღეს ღვთის მსა-ხურებისას გალობდნენ მის სახელზე შე-ქმნილ საგალობლებს და კითხულობდნენ მისი ღვაწლის ამსახველ თხზულებას).

უფროვს-და უფრო მეტად.

საცნობელი შეცნობის უნარის მქონე.

განპმარტენით გახსენით.

არა თუ ხოლო ჩემდა მარტოისა საძიე-ბელ არს სმენად მარტკლობად მხოლოდ მე კი არ უნდა ვცდილობდე მარტვილობის მოსმენას.

არამედ ყოველთად ჯერ-არს თქუენდაცა

დაკურვებად ჩემ თანა არამედ თქვენთვი-საც საჭიროა, რომ ჩემთან ერთად ყვე-ლაფერს ჩაუკეირდეთ.

ყურესა ამას ქუეყანისასა ქვეყნის ამ კი-დეში (იგულისხმება: ქრისტიანული ქვეყ-ნების განაპირა მხარეს).

ზედამდგომელი მბრძანებელი, უფროსად დადგინებული.

მფლობელნი ამის უამისანი ამ დროის ხე-ლისუფალნი.

ჭეშმარიტებასა... შეეცოდნეს ჭეშმარი-ტებას... შესცოდეს.

რომელნი ხუთასისა წლისა უამთადა უნი-ნარტის-და შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისლებისადთა რომელთაც ხუთასი წლის წინათ და უფრო ადრეც მიუღიათ რჯული წმინდა ნათლის-ლებით (მოწამეთლულან ქრისტიანად).

და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს, რომელნიმე — მძღავრებით, რომელნიმე — შეტყუვილით, რომელნიმე — სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე — მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი-ესე ვართ მორწმუნენი, მძღავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარესა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძუ-ძურად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა; არამედ ქრისტის სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა.

ესევითარსა ჟამსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდად ესე მონამც. არა თუ პირველითგანვე ჩუენგანი იყო, არამედ უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა, უცხოუცხოთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა, შეემეცნა.

უეჭუელი სარწმუნოება საუნჯე დიდ არს მორწმუნეთათვს. ქრისტეანეთა სარწმუნოებად დიდ მოძღურება არს.

არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებად ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკუდრთა. აპა ესერა, ქართლისაცა მკუდრთა აქუს სარწმუნოებად და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თუთ აქა მკუდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად მონამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუსი მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისად არს დიდებად უკუნითი უკუნისამდე, ამენ.



მიერითგან და ვიდრე აქამომდე იმ დროიდან დღემდე.

გარდაგულარძნეს გადადრიკეს, გადაიბირეს (ისინი).

რომელნიმე ზოგი.

ნაკლულევანება და სიგლახაკე ხელმოკლეობა, სიღატაკე.

რკინა აქ: ჯაჭვი, ბორკილი.

ხარკი გადასახადი, რომელსაც დამპყრობელი შეაწერდა დამარცხებული ქვეყნის მოსახლეობას.

ხარკსა შინა გუემულნი და ქენჯნილნი ხარკით (გადასახადით) შეჭირვებულნი.

ძუ-ძურად ზღვეულნი სასტიკად დასჯილი.

შიშითა განილევიან შიშით არიან ატანილნი.

ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა მა-

მა-პაპურ გზაზე სვლით.

მხოლოდშობილი ძე ღმრთისა ქრისტე. ესევითარსა ჟამსა შინა ასეთ დროს.

ახოვნად ძლიერად, მხნედ.

არა თუ პირველითგანვე ჩუენგანი იყო იმთავითვე ჩვენიანი კი არ იყო.

უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა ჩვენი სარწმუნოების (ქრისტიანობის) არმცოდნე.


შეემეცნა გაეცნო, შეიცნო.

შორიელნი მკუდრნი მოშორებით დამკვიდრებულნი (იგულისხმება ქრისტიანული სამყაროს განაპირას მკვიდრობა ქართველთა).

წოდებულ არს დედად წმიდათა (ქართლი) იწოდება წმინდანების დედად, მშობლად. ჟამად-ჟამად დროდადრო.

დავითიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. ვის მიმართავს ავტორი ნაწარმოების დასაწყისში და რა მიზანს ისახავს ეს მიმართვა?
2. როგორ გესმით: „ქრისტეს მიმართ სურვიელი გული“?
3. რას ნიშნავს: „საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი“ და „საცნობელნი ეგე ყურნი...“?
4. რა საშუალებებს მიმართავდნენ დამპყრობლები ქართველების გადა-საბირებლად?
5. რა მდგომარეობაში იყვნენ ისინი, ვისი გადაბირებაც ვერ შეძლეს?
6. როგორ გესმით: „ჩუეულებისაებრ მამულისა სლვავ“? რა მნიშვნელობა აქვს ამგვარ „სლვას“?
7. ავტორის აზრით, რას ავალებს ქართველებს საქრისტიანოს განაპირა მხარეში ცხოვრება?
8. ნაწარმოების პირველ თავზე დაყრდნობით, იმსჯელეთ იმდროინდელი ქართლის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე.



და დაუტევა მამაი, და დედაი, და ძმანი, და დანი, და ნათესავნი, და მონაგებნი, და აგარაკები. და წარმოვიდა აქა ნერსშის თანა მგზავრ ქრისტის სიყუარულისათვეს.

ქართლის შემოსლებით და ნიმუშის წარმოშობის მიზანისა მინიჭება



რამეთუ იყო უამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისად, სახელით ნერსე, ძალა არ ერსე კურაპალატისა და ერისმთავრისა, მოწოდებულ იქნა ამირა მუმნისა აბდილა ასგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბალდადს. ხოლო შესმენითა ბოროტთა კაცთა ამის ქართლისად, და პურობილ იყო იგი მუნ უამადმდე სამისა წლისა, ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისა ამირა მოკუდა აბდილა ამირა მუმნიდა დაჯდა მის წილ ძალისი მაჰდი. ხოლო ქველის მოქმედმან ღმერთმან არნმუნა გულსა მაჰდი ამირა მუმნისასა განტევებად ნერსში. და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპურობილისა და განუტევა იგი კუალად ერისმთავრობით აქა, ქუეყანადვე თვესა.

მნებავს ან, ქრისტის მოყუარენო, ამიერითგან წმიდისა და სანატრელისა მოწამისა ამის ჰაბოდესთვეს რავთა გაუწყო, ვითარ ანუ რაბამ იყო, ანუ ვინად მოინია აქა. ესე ნაშობი იყო აბრამეანი, ძეთაგან ისმაელისთა, ტომისაგან სარკინოზთავსა. მამად მისი და დედად მისი, და ძმანი, და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბალდადს

ერისმთავარი სამთავროს განმგებელი, ერისთავი (ქართლის სახელმწიფოს მეთაური VI-IX საუკუნეებში. ამ დროს ქართლში მეფობა გაუქმებული იყო).

მოწოდებული იქნა მოუხმეს.

ამირა უმაღლესი ხელისუფლის შესატყვისი ტიტული არაბთა სახალიფოს მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

ბალდადი არაბთა სახალიფოს დედაქალაქი, მდ. ტიგროსის ნაპირას; ძველ ქართულ ტექსტებში მოიხსენიება ბაბილონის სახელითაც.

შესმენა დასმენა, დაბეჭდება.

პყრობილ იყო იგი მუნ უამადმდე სამისა წლისა და ახლოებით სამ წლამდე იქ იყო ტუსაღად.

ბრძანებითა ღმრთისა მთა ღვთის ნებით. ქველის მოქმედი მოწყალე, სიკეთის მომნიჭებული.

არნმუნა გულსა (მისსა) შთააგონა.

განუტევა იგი კუალად ერისმთავრობით აქა, ქუეყანადვე თვესა ისევ ერისმთავრად გამოუშვა აქა, თავისი ქვეყანაშივე.

ჰაბოდესთვეს რავთა გაუწყო აბოს შესახებ

რომ გამცნოთ, მოგითხოვთ.

ვინად მოინია აქა საიდან მოვიდა აქ.

აბრაამი ბიბლიის მიხედვით, ებრაულთა მამამთავარი. პირველმა აღიარა ერთი ღმერთი. ღვთის მოწოდებით დატოვა მშობლიური ქალაქი ური და აღთქმულ ქვეყანაში, ქანაანში, დასახლდა. იგი, ებრაულთა გარდა, არაბთა წინაპრადაც არის მიჩნეული, რადგან მისმა ძემ სათავე დაუდო არაბთა მოდგმას.

ესე ნაშობი იყო აბრამეანი იგი აბრაამის შთამომავალთაგანი იყო.

ისმაელი ბიბლიის მიხედვით, აბრაამის ვაჟი, რომელიც მას შეეძინა ეგვიპტელი აგარისაგან. კანონიერი მეუღლეს, სარას, მოთხოვნით აბრაამმა აგარი თავის ვაჟიანად განდევნა უდაბნოში. ისმაელს მიიჩნევენ არაბების წინაპრად. ისლამის რელიგიის თანახმად, ისმაელი წინასწარმეტყველი და მუჰამედის უშუალო წინამორბედი იყო.

ტომისაგან სარკინოზთამა სარკინოზთა ანუ არაბთა ერთ-ერთი ტომიდან.



ბაბილოვნისასა. და ესე იყო ყრმა, ჭაბუკ ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უკნინტს, აჩვდმეტის წლის. ამან ინება წარმოსლვად თუ აქა ერისმთავრისა მის ნერსშის თანა და შეეყო იგი მსახურად მისა. და იყო იგი კელოვან, კეთილად შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთამთა. და დაუტევა მამარ, და დედა, და ძმანი, და დანი, და ნათესავნი, და მონაგებნი, და აგარაკები. და წარმოვიდა აქა ნერსშის თანა მგზავრ ქრისტის სიყუარულისათვს.

და რაუამს მოვიდა იგი ქართლად, ცხონდებოდა იგი ნერსე ერის-თვისა თანა. და თუ სითა სათნოებითა იქმნა იგი საყუარელ ყოვლი-სა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა და ზრახ-ვისა ჭისნილად. მაშინ იწყო ზედამიწევნად და სწავლად წმიდათა საღ-მრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა. და მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ. და ესრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა.

მაშინ უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისად დაუტევა და შეიყუარა ქრისტი ყოვლითა გულითა. არა-მედ ვერ განაცხადებდა თავსა თუ სა სრულად ქრისტეანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტის მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტის, რამეთუ ეშინოდა სოფლის მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან.

შეეყო იგი მსახურად მისა მსახურად და- უდგა.

იყო კელოვან, კეთილად შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა სურნელო- ვან ნელსაცხებელთა ოსტატურად შემ- ზავებელი, მენელსაცხებლე იყო.

აგარაკი მინა, ადგილი, სახნავ-სათესი მი- ნა.

ცხონდებოდა ცხოვრობდა.

შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობ- რობისა და ზრახვისა ჭისნილად ამას და- უმატა ქართული წერა-კითხვის შესწავლა და გამართული ლაპარაკი.

ზრახვა ლაპარაკი.

ზედამიწევნა შეცნობა, სწავლა.

წმიდანი საღმრთონი წიგნი ძუელისა და ახლისა შჯულისანი საღვთო წიგნები ძველი და ახალი სჯულისა, ბიბლია.

ბიბლია (ბერძნ. — „წიგნები“) საღვთო წიგ-

ნების კრებული. შედგება ძველი აღთქმის 39 და ახალი აღთქმის 27 წიგნისაგან.

მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკი- თხავნ და ისწავებნ მრავალ სჯულის მცოდნეს ეკითხებოდა და სწავლობდა.

სრულ იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა სრულყო თავისი თავი ქრისტიანული მოძ- ღურებით.

უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი მიატოვა ისლამის რელიგია.

მაჰმედი მუჰამედი (გარდ. 632 წ.), მუსლი- მანური ტრადიციით, ალაჰის (მუსლი- მანთა ღმერთი) მოციქული და წინასწარ- მეტყველი.

ადგილი კრძალული მოფარებული, უსაფ- რთხო ადგილი.

სადამცა მოიღო ნათელი ქრისტისი სა- დაც მიიღებდა ქრისტეს ნათელს, მოინათ- ლებოდა.

და იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისხებად ჭელმწიფეთა მათ სარკინოზთავ ნერსე ერისთავესა ზედა და ივლტოდა იგი, რამე-თუ სასტიკად ჰპრძოდეს მას სარკინოზთა ერი. და უფალმან და-იცვა იგი ჭელთაგან მათთა, და განვლო მან კარი იგი ოვსეთისავ, რომელსა დარიალან ერქუმის. და რაჟამს განვიდა, იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც. და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონად ქრისტისი ჰაბო. და რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართავსა, შეიწყნარა იგი უცხოებისათუს და სივლტოლისათუს მტერთა მისთავსა და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი.

მაშინ, ვითარცა იხილა ნეტარმან ჰაბო, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან და მძლავრებისა სარკინოზთავსა, ისწრაფა მან მი-ახლებად ქრისტისა და ნათელ-ილო.

შემდგომად რავდენისამე ჟამისა ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოვასასა, რათა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნებს დედავ, და ცოლი, და შვილნი, და მონაგები, და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანად იგი შიშისაგან სარკინოზთავსა. ხოლო ღმერთმან მოამშვდა პირი მეფისა მის ჩრდილოვასადა განუტევა ნერსე მრავლითა ნიჭითა. და წარემართნეს იგინი სიხარულითა და მადლობითა ღმრთისადთა. ვითარცა მიინინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით მისითურთ. ვითარცა იხილა ნერსე დედოფალი, დედავ თუსი, და ცოლი და ძენი თუსი, სიხარულით ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშვდობით შეკრებისა მათისათუს.



დღეთა მათ შინა იმ დროს.

ივლტოდა გაიქცა, გაერიდა.

რომელსა დარიალან ერქუმის რომელსაც დარიალანი (დარიალი) ეწოდება.

მივიდა... მეფისა მივიდა მეფესთან.

ხაზარები ქვემო ვოლგისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნანილში მცხოვრები ხალხი. VIII საუკუნის შუა ხანებში ხაზარები არაბებს ეცილებოდნენ ამიერკავკასიას.

შეიწყნარა იგი უცხოებისათუს და სივლტოლისათუს მტერთა მისთავსა შეიფარა უცხოობისა და თავისი მტრებისაგან (არაბთაგან) გამოქცევის გამო.

სცა მისცა.

მეფე ჩრდილოვასა მეფე ჩრდილოეთისა, იგულისხმება ხაზართა მეფე ხაკანი.

განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზე-თისა გაუშვას იქიდან (ხაზარეთიდან) აფ-ხაზეთში.

პირველადვე წარეგზავნებს ადრევე გა-ეგზავნა, გაეხიზნა.

კრძალულ იყო დაცული იყო.

ღმერთმან მოამშვდა პირი მეფისა ღმერ-თმა დააწყნარა, დაამშვიდა მეფე.

ნიჭი საბოძვარი, საჩუქარი.

მთავარი მის ქუეყანისა იგულისხმება აფხაზთა მთავარი ლეონ II, რომელმაც VIII საუკუნის დასასრულს გააერთიანა მთელი დასავლეთი საქართველო „აფხაზთა სა-მეფოდ“ და თავი მის მეფედ გამოაცხადა. თხზულებაში აღნერილ ხანას მოსდევეს „აფხაზთა სამეფოს“ შექმნა.



მაშინ, ვითარცა ეუწყა მთავარსა მას აფხაზეთისასა ნეტარისა ჰაბოვსთვეს, რამეთუ ახალ ნათელლებულ არს, განიხარა ფრიად. და ნეტარი ჰაბო უფროვსლა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანა იგი სავსც ქრისტის სარწმუნოებითა და არავინ ურნმუნოთაგანი მკუდრად იპოვების საზღვართა მათთა.

ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსცისა ქართლით, წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან ბრძანებითა ღმრთისათა სტეფანოზ, ძველ გურგენ ერისთვისაა, დისწული ნერსცის, ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლისასა. მაშინ მხიარულ იქმნა ნერსც, რამეთუ უფლებად იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან. და ითხოვა პელმნიფეთაგან, ამირათა ამის ქუეყანისათა, რაღაც უშიშ-ყონ იგი ბოროტისაგან და გამოვიდეს ჭინილად ყოვლით ერით მისითურთ.

და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრეზა:

— ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანა იგი ქართლისად სარკინოზთა უპყრიეს. და მეშინის მე შენთვეს, ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტისისა.

ხოლო ნეტარმან ჰაბო ჰრეზა:

— დალათუ ბევრეული ოქროვსა და ვეცხლისად მომცენ მე, გინათუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა. და ან შენ ნუ დამაყენებ მე, ღმრთის მსახურო, რამეთუ მესმა მე წმიდისა სახარებისაგან თქუმული იგი მაცხოვრისა ჩუენისა მიერ, ვითარმედ: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჭმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაღაც ჰაბობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი

ეუწყა... ჰაბომსთვეს ეცნობა აბოს შესახებ.
უფროვსლა კიდევ უფრო, უფრო მეტად.
არავინ ურნმუნოთაგანი მკუდრად იპოვების საზღვართა მათთა მათი ქვეყნის საზღვრებში არავინაა ურნმუნო.

ხოლო იყო შემდგომად სივლტოლისა მის ნერსცისა ქართლით ქართლილდან ნერსეს გაქცევის შემდეგ.

სტეფანოზ, ძველ გურგენ ერისთვისად ქართლის ერისმთავარი VIII ს. 80-იან წლებში.

უფლებად იგი სახლისა მისისაგან არა განაშორა უფალმან ერისმთავრობა მის სანათესაოს არ ჩამოართვა უფალმა.

ქელმნიფენი, ამირანი ამის ქუეყანისანი ქართლის არაბი ხელისუფალნი.

უშიშ-ყონ იგი დაიცვან, საფრთხე აარიდონ.

გამოვიდეს ჭინილად ახდილად, დაუფარა-

ვად, თავისუფლად წამოვიდეს.

ყოვლით ერით მისითურთ თავის ხალხიანად.

ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით ნუ წახვალ ამ ქეყენიდან.

უპყრიეს უჭირავს.

ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ
სარწმუნოებისაგან ქრისტისისა ვაითუ,
გადაგიბირონ ქრისტეს სარწმუნოებისა-
გან.

დალათუ თუნდაც.

ვინათუ გინდ(ა).

აღანთის ანთებს.

ჭმირი მარცვლეულის სათავსო წისქვილ-
ში, „წისქვილის სახვარბლე“ (საბა).

ზედა სასანთლესა გადგიან სასანთლეზე
დგამენ.

წინაშე კაცთა“. და ან მე რადსათვს დავფარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან?

და გამოვიდა იგი ნერსცის თანა ქუეყანად ქართლად და შემოვიდა ქალაქსა ტფილისს და იქცეოდა იგი განცხადებულად ქრისტეანედ. და ვითარცა იხილეს იგი ქრისტეანედ მუნ მყოფთა მათ სარკინოზთა, რომელთა იცოდეს იგი პირველად, რომელნიმე ჰყუედრიდეს, რომელნიმე აგინებდეს, რომელნიმე აშინებდეს, რომელნიმე სდევნიდეს, რომელნიმე მშედლობისა სიტყვთა შეაჯერებდეს. ხოლო იგი განმტკიცებულ იყო ქრისტის მიმართ და არავისგან შეძრნუნდებოდა. არამედ სამისა წლისა უამთა იქცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტეანედ.



დავუიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. თქვენი აზრით, რა უნდა ყოფილიყო ნერსე ერისთავის დატყვევების მიზეზი?
2. როდის გაათავისუფლეს ნერსე ტყვეობიდან?
3. ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიდან რომელია საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი?
 - a. ნერსეს ამაღლაში 300 კაცი იყო;
 - b. ქართლში აბო ფარულად მარხულობდა და ლოცულობდა;
 - c. აფხაზეთი (დასავლეთი საქართველო) VIII საუკუნეში ქრისტიანული მხარე იყო.
4. რატომ გადავიდა ნერსე ერისთავი ხაზარეთში?
5. ჩრდილოეთისაკუნ მიმავალ გზაზე ერთ ხეობას დღესაც მაშინდელი სახელნოდება აქვს შერჩენილი, რომელია ეს ხეობა?
6. რა თანმიმდევრობით გადაადგილდება აბო ნერსესთან ერთად?

„არავინალანთისსანთელი“...ეს სიტყვები გამოძახილია მათეს სახარების მუხლისა (მათე 5, 15). ნათელი ქრისტეს სიმბოლოა. მაცხოვრის ნათქვამია: „მე ვარ ნათელი სოფლისა“ (იოანე 8, 12). ქრისტიანული ნათლისლებაც (მონათვლა) ამ ღვთაებრივი ნათლის მიღებაა. ქრისტიანობას ყოველი ადამიანის მისიად მიაჩნია ნათლით გასხივოსნება საკუთარი არსებისა, სიკეთისათვის მუდმივი მღვიმიარება და ამ ღვთაებრივი ნათლით ბნელის განქარვება. სანთელი, რომელიც თვით იწვის და ბნელს ანათებს, ღვთაებრივი მსხვერპლის სიმბოლოა.

ეგრე ბრწყინევდინ დაე, ასე ბრწყინავდეს. იქცეოდა დადიოდა, იყო, ცხოვრობდა.

რომელთა იცოდეს იგი პირველად რომელიც მას ადრე იცნობდნენ.

რომელნიმე ჰყუედრიდეს ზოგი ძრახავდა, უსაყვედურებდა.

რომელნიმე მშედლობისა სიტყვთა

შეაჯერებდეს ზოგნი მშვიდობიანად შეაგონებდნენ, არწმუნებდნენ.

განმტკიცებულ იყო ქრისტის მიმართ მტკიცე იყო ქრისტესადმი მისი რწმენა.

სამისა წლისა უამთა სამ წელიწადს, სამი წლის განმავლობაში.

- ა. ბალდადი — აფხაზეთი — ხაზარეთი — ქართლი — აფხაზეთი;
- ბ. ბალდადი — ქართლი — ხაზარეთი — აფხაზეთი — ქართლი;
- გ. ქართლი — ბალდადი — ხაზარეთი — აფხაზეთი — ბალდადი.
7. რომელი ადგილი მოიშველია აბომ სახარებიდან აფხაზეთის მთავართან საუბრისას?
8. როგორ იქცეოდა თბილისში დაბრუნებული აბო და რა დამოკიდებულება ჰქონდათ მის მიმართ არაბებს?
9. ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, იმსჯელეთ ნერსე ერის-თავის მნიშვნელობაზე იმუამინდელი ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნამებად წმილისა პაბოვსი

რომელი ხართ ქრისტის მოყუარენი და მარტივლთ მოყუარენი, მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენადნიდისა მონამისა და ქრისტის მოღუანისაგ, რომელი სიმწითა და დიდებითა გურგუნოსან იქმნა ქრისტის მიერ.

მარტივლობად წმიდისა და ნეტარისა ამის მონამისა და კეთილად მოღუანისა პაბოვსი ქალაქსა ტფილისს იყო ესრე სახედ:

შეიპყრეს ნეტარი ესე მონამც ქრისტისი და მიიყვანეს იგი მსაჯულისა მის, რომელი იყო ამირად ქალაქსა ტფილისს, და ქრისტის აღსაარებისათვის შეაყენეს იგი საპყრობილესა. ხოლო შემდგომად რავდენთამე დღეთა გამოითხოვა იგი სტეფანოზ, ერისთავმან ქართლისამან, და გამოიყვანა საპყრობილით და განუტევა. და შემდგომად მცირედთა დღეთა კუალად აღიძრნეს შემასმენელნი წმიდისა ამის მონამისანი, განრისხებულნი და აღბორგებულნი, სავსენი შურითა ქრისტეანთათა; შეიზრახნეს შეთქუმით წმიდასა მას ზედა და შევიდეს წინაშე მსაჯულისა მის, რამეთუ სხუად მსაჯული ამირად შემოსრულ იყო ქალაქსა ტფილისს. და პრქუეს მას:



მიიღეთ ჩემგან სანატრელი ესე სმენად
მოისმინეთ ჩემგან ეს ამბავი.

ქრისტეს მოღუანე ქრისტესთვის თავდა-დებული.

აღიძრნეს აბორგდნენ, აღშფოთდნენ.

შემასმენელი მაბეზლარი, დამსმენი.

შური „შური არს მწუხარება სხუსა კე-

თილსა ზედა“ (საბა). აქ: ჯავრი, ბოლმა.

შეიზრახნეს შეთქუმით წმიდასა მას ზე-და წმინდანის წინააღმდეგ შეითქვნენ, პირი შეკრეს.

სხუად მსაჯული ამირად შემოსრულ იყო ქალაქსა ტფილისს მსაჯულად სხვა ამირა იყო დანიშნული თბილისში.



— არს ქალაქსა ამას შინა ჭაბუკი ერთი, რომელი იყო ბუნებით სარკინოზ და განზრდილ და ცხორებულ შჯულითა მით, რომელი მომცა ჩუენ მაჰმედ, მოციქულმან ჩუენმან; და ან დაუტევებიეს შჯული ესე ჩუენი და იტყვს თავსა თვისა ქრისტეანედ და უშიშად ვალს ქალაქსა შინა და მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტეანე ყოფად. ან ბრძანე შეპყრობად მისი და შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა, ვიდრემდის არა აღიაროს შჯული მაჰმედ მოციქულისა ჩუენისა; უკუეთუ არა, მოკუედინ იგი, რათა არა მობაძავ იქმნენ მისა მრავალნი სიტყვთა მისითა.

ამას რად შეასმენდეს, ესმა ვიეთმე ქრისტეანეთა კაცთა და მოვიდეს მსწრაფლ და შეაჯერებდეს მას, რათამცა მიჰრიდა და დაემალა.

ხოლო მან ჰრეუა მათ:

— მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტისთვს, არა-მედ სიკუდიდცა.

და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად. მაშინ მოვიდეს მსახურნი იგი მის მსაჯულისანი და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო; და შეიყვანეს იგი ნინაშე მსაჯულისა მისა.

და ჰრეუა მას მსაჯულმან მან:

— რად არს, რომელი-ესე მესმის შენთვს, რამეთუ ხარ შენ ნა-თესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევებიეს მამული შჯული და ქრისტეანეთა თანა შეცოომილ ხარ?! ან განემზადე და ილოცე შჯულითა მით, რომლითა განგზარდეს მშობელთა შენთა.

— ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოზ. გან-სწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმედისითა და ვცხოვნდებოდე მას შინა, ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ. და ან შეუდეგ მე ჭეშმა-რიტსა ქრისტის მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა სამებისა წმიდისასა — მამისა და ძისა და სულისა წმიდისასა. და ან ქრისტეა-ნე ვარ თუნიერ ყოვლისა ცილობისა.

— დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვად და უკუეთუ ნაკლუ-

იყო ბუნებით სარკინოზ წარმოშობით სარკინოზი იყო.

რომელი მომცა ჩუენ რომელიც მოგვცა ჩვენ.

მრავალთა ასწავებს ჩუენგანთა ქრისტე-ანე ყოფად ბევრ ჩვენგანს უქადაგებს ქრი-სტიანობას.

უკუეთუ არა, მოკუედინ იგი! თუ არა (თუ არ აღიაროს), მოკალი იგი.

არა მობაძავ იქმნენ მისა მრავალნი სიტ-ყვთა მისითა მის სიტყვას (შეგონებას) ბევრი არ აჲყვეს.

ამას რად შეასმენდეს როცა ასე აბეზღებ-დნენ.

ვიეთმე ვიღაცას.

შეაჯერებდეს არწმუნებდნენ.

რათამცა მიჰრიდა რომ გარიდებოდა.

ვცხონდებოდე მას შინა ვცხოვრობდი (ამ რჯულით).

თუნიერ ყოვლისა ცილობისა უცილობ-ლად, უყოყმანოდ, უდავოდ.

დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვად და-ეხსენი ამ უგუნურ ზრახვას.

ლევანებისა შენისათვს შედგომილ ხარ ქრისტეანეთა, მე უფროხს-ლა ნიჭი და პატივი აწვე მიგცე შენ.

— ოქროდ და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად თავისა შენისა. მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტისმიერი, გპრგბი ცხორებისა და უხრნელებისა და პატივი საუკუნოდ ცათა შინა.

მაშინ უბრძანა მსაჯულმან მან კელით და ფერწით შეკრვად მისი ბორკილითა რენისა და ეგრტი შთააგდეს იგი საპყრობილესა. ხოლო ნეტარსა მას უხაროდა და ჰმადლობდა უფალსა.

და იყოფოდა ნეტარი ჰაბო საპყრობილესა შინა მარხვითა და ლოცვითა და ფსალმუნებითა ღამე და დღე განუსუენებელად; და ჰყოფდა იგი ქველის-საქმესა, რამეთუ განყიდა მან ყოველი, რაოცა აქუნდა მას, და ჰზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულევანთა მის თანა პყრობილთა მათ. ხოლო ცრუ მოძღუარნი იგი და შემასმენელნი შევიდიან მისა და ეტყვედ რომელნიმე რეცა სიტყვთა ლიქნისა და:

— შვილო, ნუ განინირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტეანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორები, რათა არა შეამთხვო ძპრი თავსა შენსა და შეგუანუხნე ჩუენ ყოველნი.

და რომელნიმე მათგანნი აშინებედ მას და ეტყვედ:

— რა სარგებელ გეყოს შენ ქრისტი იგი შენი? ანუ ვინ გიჩსნეს შენ წელთაგან ჩუენთა, რამეთუ ცეცხლი და სატანჯველი აწვე განგმზადებიეს შენთვს, არა თუ მოიქცე ჩუენდავე.

ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავნ და უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თვისითა.

მე უფროხს-ლა ნიჭი და პატივი აწვე მიგცე შენ ბევრად მეტ საბოძვარსა და პატივს ახლავე მოგაგებ.

ნიჭი ქრისტისმიერი ქრისტეს მიერ ბოძებული საჩუქარი.

გპრგბი ცხორებისა და უხრნელებისა და იგულისხმება მარადიული და უჭკნობი (სულიერი) ცხოვრების გვირგვინი, რომელიც მიენიჭება ქრისტეს მოწამეს.

ქველის-საქმე „მოწყალების საქმე“ (საბა). ჰზრდიდა იგი მშიერთა და ნაკლულევანთა კვებავდა, აპურებდა მშივრებსა და ღარიბ-ღატაკებს.

ცრუ მოძღუარი ავის მრჩეველი.

შემასმენელი დამრიგებელი, აქ: გადამბირებელნი.

ეტყვედ რომელნიმე რეცა სიტყვთა ლიქ-

ნისა და ზოგნი თითქოს მოფერებით, მლიქვნელობით ეუბნებოდნენ.

ნუ განინირავ თავსა შენსა თავს ნუ დაიღუპავ.

ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტეანედ ნურც შენს სიჭაბუკეს განირავ ქრისტიანობისთვის.

რათა არა... შეგუანუხნე ჩუენ ყოველნი რომ არ დაგვამწუხრო ყველანი.

რა სარგებელ გეყოს ქრისტი რას გარგებს, რაში წაგადგება ქრისტე.

არა თუ მოიქცე ჩუენდავე თუ არ მოუბრუნდები ჩვენს რჯულს.

არა ისმენნ მათსა არ ისმენდა მათ ნათექამს. ილოცავნ ლოცულობდა.

უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თვისითა უხმოდ, გუნებაში გალობდა.



და ვითარცა ვერ შეძრეს მართალი იგი, გამოვიდეს მიერ სირ-ცხვლეულნი.

და იყო ნეტარი იგი საპყრობილესა შინა ცხრა დღე, და დღე ყოველ იმარხავნ და ღამის თევით დაადგრის განთიადმდე. ხოლო დღესა მას მეცხრესა ჰრქუა ყოველთა მათ მის თანა პყრობილთა ქრისტეანეთა და სხუათაცა, ვითარმედ:

— ხვალე განსლვად არს ჩემი ჭორცთაგან და მისლვად უფლისა ჩემისა და ღმრთისა იესუ ქრისტის თანა.

რამეთუ ესე უფალმან გამოუცხადა თჯსსა მას მოწამესა. და მაშინ განიძარცუა მან სამოსელი თჯსი და განსცა იგი სავაჭროდ, რათა უყიდონ მას სანთელად კერეონები და საკუმეველი; და წარ-სცა ყოველთა მათ ეკლესიათა ქალაქისათა, რათა აღანთონ ღა-მესა მას წმიდისა მის დღესასწაულისასა. ხოლო მან ღამის თევასა მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი ჭელთა თჯსთა და დადგა იგი შორის საპყრობილესა; და დაადგრა მდგომარშ ზედა ფერწთა

გამოვიდეს მიერ სირცხლეულნი შერცხვენილნი გამოვიდნენ.

ხვალე განსლვად არს ჩემი ჭორცთაგან ხვალ გავეყრები ხორცს (სხეულს).

განსცა იგი სავაჭროდ გაატანა გასაყიდად.

სანთელად ასანთებად.

კერეონი „სხული სანთელი“ (საბა).

წარცემა „გაგზავნა ძღუენთა“ (საბა).

წარსცა ყოველთა მათ ეკლესიათა გაუ-

გზავნა ქალაქის ყველა ეკლესიას.

ღამესა მას წმიდისა დღესასწაულისასა იგულისხმება ნათლისღების დღესასწაულის წინა ღამე.

ღამის თევასა ღამის თევის დროს, მღვიძარებისას.

მიიხუნა ორნი სანთელნი დიდნი ჭელთა თჯსთა ხელში აიღო ორი დიდი სანთელი.

დადგა იგი შორის საპყრობილესა დადგა შუა დილეგში.



თვისთა, ვიდრე განთიადმდე, ყოლადვე დაუჯდომელად, ვიდრემდე აღასრულნა ფსალმუნი და სანთელნი დაიწუნეს წელთა შინა მისთა, რკინითა შეჭედილთა ზედა ქედსა მისსა.

და რაჟამს განთენა მეათს იგი დღშ დღესასწაულისა მის მაცხოვრისა ნათლისლებისა, რომელ არს თთუესა იანვარსა ექუსსა, იყო დღშ იგი პარასკევი. და თქუა ნეტარმან:

— დიდ არს ჩემდა დღშ ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტისსა, რამეთუ დღესასწაულსა ამას შთავედა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული ნათლისლებად, ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რათა განვიძარცო შიში ჭორცთა ამათ ჩემთა, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა.

მაშინ მოითხოვა წყალი და დაიბანა პირი თჯის და იცხო ზეთი თავსა თჯისა და თქუა:

— მაშინ სადამე ვიყავ თუთ მენელსაცხებლე, კეთილად შემზადებელ სულნელთა მათ საცხებელთა, ხოლო ესე საცხებელი დღედ დაფლვისა ჩემისა არს, ამიერითგან არღარა ვიცხო განქარვებადი ესე მწირობისა ჩემისა ზეთი, არამედ ვითარცა „ქებასა შინა ქებათასა“ ბრძენმან სოლომონ მასწავა მე: „სულნელებასა ნელ-

განთენა გათენდა.

დღშ დღესასწაულისა მის მაცხოვრისა ნათლისლებისა მაცხოვრის ნათლისლების დღესასწაული. აღინიშნება 6 იანვარს (ძველი სტილით). სახარების თანახმად, ამ დღეს მდინარე იორდანეში იესომ ნათელილო იოანე ნათლისმცემლისაგან.

დიდ არს ჩემდა დღშ ესე ჩემთვის ეს დღე დიადია.

ორკერძოვე ორმხრივად, ორმაგად.

ძლევა გამარჯვება, მორევნა.

ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტისსა ვხედავ ორმხრივ გამარჯვებას ჩემი უფლის, იესო ქრისტესას. იმ წელს ნათლისლების დღესასწაული (6 იანვარი) პარასკევს, მაცხოვრის ვნების დღეს, დაემთხვა.

შთავედა მდინარესა... ნათლისლებად მოსანათლად შევიდა მდინარეში.

იორდანე მდინარე პალესტინაში.

ჯერ-არს ჩემდაცა მეც მმართებს, მეც უნდა...

განვიძარცო შიში მოვიცილო, დავძლიო შიში.

შიში ჭორცთა ამათ ჩემთა შიში, რომელიც მოწამის ხორციელი ბუნებით არის გამოწვეული.

სადამე ოდესლაც.

ესე საცხებელი დღედ დაფლვისა ჩემისა არს ეს საცხებელი (ზეთი) ჩემი დაკრძალვის დღისთვისაა.

არღარა ვიცხო აღარ წავიცხებ.

განქარვებადი ესე... ზეთი ნივთიერი ზეთი.

მწირობა უცხოობაში ყოფნა, ყარიბობა. იგულისხმება წუთისოფელში დროებითი სტუმრობა ადამიანისა.

მწირობისა ჩემისა ზეთი წუთისოფელში ჩემი ყოფნისას გამოსაყენებელი ზეთი. სწორედ ასეთი ზეთის, ნელსაცხებლის, შემამზადებელი იყო აბო.

„ქება ქებათა“ ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი, რომლის ავტორად მიიჩინევენ ისრაელის მეფეს, სოლომონ ბრძენს. წიგნის სათაური მიგვითითებს, რომ იგია ყველა ქებაზე აღმატებული ქება. მასში გადმოცემული სატრიფიალო დიალოგი სიმბოლურ აღეგორიულად მიგვანიშნებს ღვთისა და ეკლესიის ურთიერთობაზე, ამასთანავე — ადამიანის სულის ამაღლებაზე, ღმერთთან და საკუთარ ღვთაებრივ არსთან ადამიანის „მეს“ შეერთებაზე, ანუ ღვთაებრივ ჭორწინებაზე. აბოს მიერ ხსენებული სიტყვები ამ წიგნის | თავშია მე-3 მუხლად.

საცხებელთა შენთასა ვრბიოდი“. ქრისტე, რომელმან აღმავსე მე განუქარვებელითა მით სულნელებითა სარწმუნოებისა და სიყუ-არულისა შენისათა, იცი შენ, უფალო, რამეთუ შეგიყუარე შენ უფროხ თავისა ჩემისა!

და ესე რაჲ თქუა, წარავლინნა წმიდად ეკლესიად და მოჰვა-რეს მას წმიდად იგი საიდუმლოხ, წორცი და სისხლი ქრისტისი. და ვითარცა მიიღო მან ჭეშმარიტი იგი და განმაცხოველებელი სა-იდუმლოხ, თქუა:

— გმადლობ შენ, უფალო ჩემო და ღმერთო, იესუ ქრისტე, რო-მელმან მომეც მე საგზლად ჩემდა ცხორების მომნიჭებელი წორცი შენი და სიხარულად და განმამტკიცებელად ჩემდა — პატიოსანი სისხლი შენი!

და ესე ვითარცა თქუა, მყის მოინინეს მსახურნი იგი მსაჯუ-ლისანი. და იჯმნა ყოველთა მათგან პყრობილთა ქრისტეანეთა და ჰრეკუა მათ:

— ლოცვასა მომიწენეთ მე, რამეთუ არღარა მიხილოთ მე სა-წუთროსა ამას სოფელსა!

და გამოიყვანეს იგი ეგრმთვე ბორკილითა ფერწითა და წელთა-თა.

და მიჰყვანდა იგი შორის ქალაქსა; და რომელნი ჰედვიდეს მას ქრისტეანენი და მეცნიერნი მისნი, ცრემლოოდეს მისთვს; ხოლო წმიდამან ჰაბო ჰრეკუა მათ:

— ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ. ლოცვით წარმგზავნეთ და მშვდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ!

ხოლო იგი მივიღოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰედვიდა თვისსა მას გუამსა. და სულითა თვისითა მოგზაურ



„სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთა-სა ვრბიოდი“ შენი ნელსაცხებლის სურ-ნელებისკენ მოვილტვოდი.

განუქარვებელი მარადიული, წარუვალი. სულნელება აქ: ნეტარება, სიამე.

უფროხ თავისა ჩემისა საკუთარ თავზე უფრო.

წარავლინნა წმიდად ეკლესიად გაგზავნა წმინდა ეკლესიაში.

მოჰვარეს მოართვეს.

განმაცხოველებელი საიდუმლო სიცოც-ხლის მომნიჭებელი საიდუმლო, ზიარება.

ცხორების მომნიჭებელი მაცოცხლებე-ლი, სულიერი ცხოვრების, ხსნის მომცე-მელი.

მომეც... სიხარულად და განმამტკიცე-

ბელად ჩემდა ჩემ გასახარებლად და გან-სამტკიცებლად მომეცი.

რომელნი ჰედვიდეს მას ქრისტეანენი ქრისტიანები, რომელნიც ხედავდნენ მას.

მეცნიერნი მისნი მისი ნაცნობები.

ცრემლოოდეს მისთვს ცრემლს ლვრიდ-ნენ მისთვის.

გიხაროდენ გიხაროდეთ.

ლოცვით წარმგზავნეთ ლოცვით გამაცი-ლეთ.

დაგიცვენინ დაგიცვათ.

მივიღოდა მიდიოდა.

ეგრე ჰედვიდა თვისსა მას გუამსა ისე უყურებდა თავის სხეულს.

სულითა თვისითა მოგზაურ ქმნულითავი-სი სულითა სამგზავროდ გამზადებული.

ქმნული თვე იტყოდა ფსალმუნსა ამას ას-და-მეათრვამეტესა.

და წარადგინეს იგი წინაშე მსაჯულისა მის, და ჰრქუა მას მსა-ჯულმან:

- რა არს, ჭაბუკო, რა განიზრახე თავისა შენისა?
- მე განვიზრახე და ქრისტეანე ვარ!
- არა დაგიტევებიეს სიცოფო იგი და უგუნურებად შენი?
- უკუეთუმცა უმეცრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ, არამცა ლირს ვიქმენ შედგომად ქრისტისა!
- არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყუანი ეგე შენი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ?
- უკუეთუ მოვეუდე, მრნამს მე, რამეთუ ქრისტის თანა ვცხონდე. ხოლო შენ რასა განაგრძობ? რა გეგულების ჩემ ზედა, იქმოდე, რამეთუ მე ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენი, რამეთუ გონებად ჩემი ქრისტის თანა არს ზეცას!
- რა ეგოდენი სიტყბოებად გაქუს ქრისტის შენისაგან, რომლითა სიკუდიდცა არა გეწყალის თავი შენი?
- უკუეთუ გნებავს ცნობად სიტყბოებად მისი, შენცა გრწმენინ ქრისტი და ნათელ-იღე მისა მიმართ და მაშინდა ლირს იქმნე ცნობად სიტყბოებისა მისისა.
- მაშინ განრისხნა ამირად იგი და უბრძანა განყვანებად მისი გარე და მოკუეთად თავისა მისისად. ხოლო მსახურთა მათ გამოიყვანეს გარეშე კართა, ეზოსა მას ტაძრისასა. და განპესნეს იგი ჭელით და ფერჭით საკრველთა მათგან რკინისათა. ხოლო ნეტარმან მან თავით თქსით მწრაფლ განხეთქა სამოსელი იგი, რომელ ემოსა, და გან-

ფსალმუნი ას-და-მეათრვამეტე ას მეთვრამეტე ფსალმუნი. ეს ფსალმუნი მიცვალებულთა მოსახსენებლად იკითხებოდა.

რა განიზრახე თავისა შენისად რა მოიფიქრე შენ შესახებ, რა გადაწყვიტე.

არა დაგიტევებიეს სიცოფო იგი და უგუნურებად შენი? უარი არ გითქვამს შენს უგუნურ გადაწყვეტილებაზე?

უკუეთუმცა... ვიყავ რომ ვყოფილიყავი.

არამცა ლირს ვიქმენ შედგომად ქრისტისა ლირი არ გავხდებოდი ქრისტეს გზაზე დადგომისა.

არა გიცნობიესა? ვერ მიხვდი? ვერ გაიგე? სიტყუანი ეგე შენი მომატყუებულ სიკუდილისა გექმნებიან შენ შენი სიტყვები სიკვდილის მომასწავებელია შენთვის.

უკუეთუ მოვკუდე თუ მოვკვდები.

რამეთუ ქრისტის თანა ვცხონდე რომ ქრისტესთან ვიქნები.

რა გეგულების ჩემ ზედა, იქმოდე! რა-საც მიპირებ, აღასრულე!

ცუდი ფუჭი, უქმი, ამაო, ცრუ.

გონებად ფიქრი, აზრი.

რა ეგოდენი? მაგდენი რა?

რომლითა რომლითაც, აქ: რომლის გამოც, რის გამოც.

სიკუდიდცა სასიკვდილოდაც.

შენცა გრწმენინ! შენც ირწმუნე!

ნათელ-იღე მისა (ქრისტეს) მიმართ მონათლე ქრისტიანად.

მაშინდა ლირს იქმნე ცნობად სიტყბოებისა მისისა მხოლოდ მაშინ ელირსები მისი სიტყბოების შეტყობას.

განრისხნა განრისხდა.

ეზოსა მას ტაძრისასა სასახლის ეზოში.

თავით თქსით თვითონ, თავისით.

განხეთქა სამოსელი იგი, რომელი ემოსა შემოიხია სამოსელი, რომელიც ეცვა.

შიმულებულმან დაიბეჭდა ჯუარითა პირი და გუამი თჯი და თქუა:

— გმადლობ და გაკურთხევ შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს მყავ მე მიმთხუევად ღუანლისა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა!

და ესე რამ თქუა, უკუნ ისხნა ჭელნი თჯი ჯუარის სახედ ზედა ზურგსა თჯისა და მხიარულითა პირითა და კადნიერითა სულითა ღალად-ყო ქრისტის მიმართ და მოუდრიკა ქედი თჯი მახულისა. და სცეს მას მახულითა სამგზის, რამეთუ ჰერონებდეს, ვითარმედ შიმითა სიკუდილისათა განაშორონ იგი ქრისტესა. ხოლო წმიდაო იგი მარტივი დუმილით მწერდ მიითუალვიდა მახულისა, ვიდრემდის შეპვედრა სული თჯი უფალისა.

და ვითარცა იხილეს შემასმენელთა წმიდისა მის მოწამისათა, რამეთუ სარწმუნოებითა და მოთმინებითა სძლო მათსა მას სიბორგილესა, უფროისადა აღივსნეს შურითა და შევიდეს წინაშე მძლავრისა მის და ჰრქუეს:

— ჩუენ ვიცით, რამეთუ ჩუეულებად არს ქრისტიანეთა ესრე სახედ: თუ ვინმე თავი მოიკლის ქრისტის მათისათჯ, მოიპარიან გუამი მისი და პატივ-სციან მას დაფლვითა და ტყუვილით რეცა თუ სასწაულისა და კურნებასა რასმე განსთქმედ ერსა შორის. და ამით სახითა მრავალნი უცებნი შეიტყუვნიან. ან ბრძანე გუამი მისი მოცემად ჩუენდა, რათა განვიღოთ და დავწუათ იგი ცეცხლითა და განვაქარვოთ იგი და აღვკოცოთ საცთური ქრისტიანეთა, რათა იხილონ ყოველთა და შეეშინოს, და რომელნიმე მათგანნი მოიქცენ ჩუენდა, და ჩუენგანთა ეშინოდის და არღარა შეუდგენ სწავლასა ქრისტიანეთასა.

დაიბეჭდა ჯუარითა პირი და გუამი თჯი
პირჯვარი გადაისახა.

მიმთხუევა შეხვდომა.

ღირს მყავ მე მიმთხუევად ღუანლისა ღვანლის ღირსი გამხადე, მაღირსე ღვანლი.

უკუნ ისხნა ჭელნი თჯი ჯუარის სახედ ზედა ზურგსა თჯისა უკან, ზურგზე გადაიჯვარედინა ხელები.

ღუმილით მწერდ მიითუალვიდა მახულისა ხმაამოუღებლად მტკიცედ ხვდებოდა მახვილს.

ვიღრემდის შეჲვედრა სული თჯი უფალსა ვიდრე არ მიაბარა სული უფალს.

და ვითარცა იხილეს როცა ნახეს.

სძლო სძლია.

სიბორგილე სიგიჟე, ჭკუამცდარობა.

მძლავრი მთავარი, მსაჯული, ძალაუფლების მქონე.

შევიდეს წინაშე მძლავრისა შევიდნენ მსაჯულთან ესრე სახედ ასე, ასეთნაირად, ამგვარად.

მოიპარიან იპარავენ.

პატივ-სციან მას დაფლვითა პატივს მიაგებენ დამარტვით, დაკრძალვით.

ტყუვილით რეცა თუ სასწაულისა და კურნებასა რასმე განსთქმედ ერსა შორის ხალხში მოფენენ ტყუილს, თითქოს სასწაული და კურნება მოხდა.

ამით სახითა ამნაირად, ამგვარად.

უცები უმეცარი, უვიცი.

შეიტყუვნიან ტყუვდებიან, ცდებიან.

განვიღოთ წავიღოთ, გავიტანოთ.

განვაქარვოთ გავფანტოთ, გავაქროთ.

აღვგოცოთ საცთური ქრისტიანეთა მოვსპოთ ქრისტიანული ცოტუნება.

რათა... შეეშინოს რათა შეშინდნენ.

მოიქცენ ჩუენდა გადმოვიდნენ ჩვენს რჯულზე, მობრუნდნენ ჩვენკენ.

ჩუენგანთა ეშინოდის ჩვენიანებს (არაბებს) ეშინოდეთ.

არღარა შეუდგენ სწავლასა ქრისტიანეთასა აღარ გაჲყვნენ ქრისტიანთა მოძღვრებას, არ გაქრისტიანდნენ.



ხოლო ჰრეკუა მათ მსაჯულმან:

— წარიღეთ, ვიდრეცა გნებავს, და ყავთ, ვითარცა თუთ იცით!

და ვითარცა გამოიღეს წმიდად იგი გუამი წმიდისა მის გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რა-მეთუ მუნარს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა მუნგარდა მოიღეს იგი ურმისა მისგან და დადგვეს იგი ქუეყანასა. და მოიღეს შეშა და თივა და ნაფთი და დაასხეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზნეს ცეცხლი, ვიდრემდის დაწუნეს წორცნი იგი წმიდისა მოწამისანი ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავალით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრეკან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოდტ, კლდტ მდინარისა მის დიდისამ, რომელი განპვლის აღმო-სავალით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი. ხოლო ადგილსა მას არა ვის აუფლეს მისლვად ქრისტეანეთაგანსა, ვიდრემდის აღას-რულეს დაწუვა იგი წორცთა მათ წმიდისა მოწამისათა და წაკურიბნეს ტყავსა ცხოვრისასა და შეკრნეს მტკიცედ და მიხუნეს და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა.

ქრისტის მბრძოლთა მათ ესრტ ყვეს. და ესრტ ღუანლი კე-თილი მოიღუანა ნეტარმან მან.

მაშინ იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტეანეთამან და გა-ნაგდეს შიში მძლავრთა მათ და განვიდოდეს ყოველნივე ადგილსა მას, სადაცა დაწუნეს წორცნი იგი წმიდისა მოწამისანი; მოხუცე-ბულნი მორბიოდეს კუერთხებითა თვისითა, მკელობელნი — ვლდო-მით, ვითარცა ირემნი, ჭაბუკნი — სრბით, ყრმანი — წდომით ურთი-

ვიდრეცა გნებავს საითაც გინდათ.

გამოიღეს... გარეშე ქალაქსა გაიტანეს ქალაქებარეთ.

აღიღეს აიტანეს.

საგოდებელი გოდების ადგილი, სასაფ-ლაო.

მოიღეს მოიტანეს.

ნაფთი ნავთი.

აღმოსავალით ციხესა მას ქალაქისასა ქალაქის ციხის აღმოსავლეთით.

კბოდტ ზღვის ან მდინარის კლდოვანი ნა-პირი; „არს კიდესა მტკურისასა, კლდე-სა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტენი, ღვთისმშობლისა, გუმბათიანი, დიდმუე-ნიერნაშენი... აქ განვალს ჭიდო... ხოლო ჭიდის ყურის სამწრით არს საფლავი წმი-დის აბოსი, რომელი იწამა ტფილის“ (ვა-ხუშტი).

განპვლის გაივლის, მიედინება.

ადგილსა მას არავის აუფლეს მისლვად იმ ადგილას მისვლის უფლება არავის მის-ცეს.

ვიდრემდის აღასრულეს დაწუვა ვიდრე დაწუვა არ დაასრულეს.

რომელთა ვერლარა უძლეს დაწუვა რო-მელთა დაწუვაც ვერ შეძლეს.

შთაკრიბნეს ძუალნი მოაგროვეს ძვლები. ძუალნი... მიიხუნეს ძვლები წაიღეს.

ქრისტის მბრძოლი ქრისტეს მტერი.

ესრტ ყვეს ასე მოიქცნენ.

ღუანლი კეთილი მოიღუანა სარწმუნო-ებისათვის თავდადება სულიერ ასპარეზზე მოპოვებულ გამარჯვებად მიიჩნეოდა. ქრისტიანულ მოძღვრებაში ეს მყარი აზ-რია. მომდინარეობს ბავლე მოციქულის ეპისტოლედან: „მოიღუანე ღუანლი იგი კეთილი სარწმუნოებისაა“. ამიტომაც ეწოდებოდათ წმიდანებს „ქრისტეს მხედ-რები“, „ღუანლისა მძლენი“.

მძლავრნი იგი ხელისუფალნი.

მკელობელი კოჭლი.


ვლდომა ხტომა, ხტუნვა.

სრბა სირბილი, რბენა.

ერთას. დედანი მსგავს იყვნეს წმიდათა მათ მენელსაცხებლეთა, რომელთა სრბით მიაქუნდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტის ღმრთისა ჩუენისა საფლავსა; ნანდკლვე იყვნეს ესენიცა მსგავს მათა, რამეთუ რბილდეს ცრემლითა და მიაქუნდა მათ თანა სანთლები და საკუმეველი ჭელითა თჯსითა. ყოველნივე სიხარულითა და მადლობითა ქრისტისითა მივიდოდეს და აღიღებდეს მიწასაცა მის ადგილისასა, და მრავალნი სენთაგან შეპყრბილნი მიჰყვანდეს და მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს. ხოლო ყოვლად ძლიერმან ღმერთმან უფროვს გამოაჩინა ძალი თჯსი და პატივსცა თჯსსა მას მარტვლა და აჩუენა სასწაული საკურველი, რათა უნყოდიან ყოველთა, რამეთუ ქრისტის მოწამე არს.

ვითარცა შემწუხრდა დღი იგი და იყო უამი პირველი ღამისად მის, გარდამოავლინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკულავი მოტყინარც, ვითარცა ლამპარი ცეცხლისად.

ხოლო კუალად მეორესა ღამესა უმეტშისა წყალთა გამოსცეს განსაკურვებელი ნათელი. და განათლებულ იყო გარემოს კიდეთა მის მდინარისათა კლდი იგი და კბოდენი და წილი იგი, ზმითგან ვიდრე ქუედმდე, რომელსა ეგრევე ყოველი სიმრავლე ქალაქისად ჰქედვიდა, რათა ყოველთა ჰრწმენეს, რამეთუ ჭეშმარიტად იესუ ქრისტის, ძისა ღმრთისა, მარტჰსლ არს.



აბოს წეშტის დაწვის ადგილი და მოწამის სახელზე ჩვენს დროში აგებული სამლოცველო მეტენის ხიდთან

მორბილდეს... ყრმანი ჭდომით ურთიერთას ბავშვები მორბოლნენ ერთმანეთზე ხეთქებით.

წმიდანი იგი მენელსაცხებლენი იგულისხმებიან „მენელსაცხებლე დედანი“ — მარიამ მაგდალელი, მარიამ იაკობისი და სალომე, რომელთაც, სახარების თანახმად, შეიძინეს ნელსაცხებელი და მიაშურეს ქრისტეს საფლავს. სწორედ მათ ახარეს მოციქულებს მაცხოვრის აღდგომა.

სრბით მიაქუნდა სირბილით მიჰქონდათ, მიარბენინებდნენ.

ნანდკლვე ჭეშმარიტად, ნამდვილად, მართლა. იყვნენ ესენიცა მსგავს მათა მათი მსგავ-

სნი იყვნენ, მათ ჰგვანდნენ.

ღმერთმან... პატივ-სცა თჯსა მას მარტვლსა ღმერთმა სულიერი პატივი მიაგო, დიდება მიანიჭა თავის მოწამეს.

რათა უნყოდიან ყოველთა რათა ყველას სცოდნოდა.

უამი პირველი ღამისად ღამის პირველი საათი.

მოტყინარც მოკაშკაშე.

ლამპარი ცეცხლისად ანთებული ლამპარი.

ზმითგან ვიდრე ქუედმდე ზევიდან ქვემომდე.

რათა ყოველთა ჰრწმენეს რათა ყველამ ირწმუნოს.

დავუიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. როგორ აფასებს აპო საკუთარ ცხოვრებას მონათვლამდე?
2. რა ხერხებს იყენებდნენ აპოს გადასაბირებლად?
3. რა აშინებთ ყველაზე მეტად ამირასთან აპოს დასასმენად მისულ არაპებს?
4. რა მსგავსებას ხედავთ საპყრობილები მყოფ შუშანიკსა და აპოს შორის?
5. შუშანიკსა და აპოს — ორივეს მიაცილებენ გულშემატკივრები. რა მსგავსებას ხედავთ ამ ეპიზოდებს შორის? დააკვირდით, როგორ მიმართავენ მონამენი თანამგრძნობელებს.
6. რამ განარისხა ამირა აპოსთან მეორე შეხვედრისას?
7. რა კავშირს ხედავთ აპოს მიერ ნახსენებ სახარებისეულ სიმბოლოს („სანთელი ზედა სასანთლესა“), სანთლებით ხელაპყრობილი აპოს ლოცვასა და მტკვრის ნათებას შორის?
8. რატომ გახდა საჭირო თავის მოსაკვეთად მახვილის სამჯერ დაკვრა?
9. ვის დაეუფლა შიში აპოს წამების შემდეგ? ვინ განთავისუფლდა შიშისაგან?
10. ემოციურად დამუხტულ რომელ ეპიზოდში ვლინდება ლერნამივით შერყეულ ქართველთა განმტკიცება?
11. თქვენი აზრით, ფიზიკური გამარჯვება ყოველთვის ნიშნავს თუ არა მორალურ გამარჯვებას?

ქადაგ წმიდას მონაშისა პაბოლი

ან მოვედით, ქრისტის მორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ ქსენებასა ახლისა ამის წმიდისა მონამისასა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა და სიხარულითა მრავლითა განვახუნეთ საუნჯენი გულთა და გონებათა ჩუენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულითა ენითა ვაქებდეთ კეთილად მოღუანებასა მისსა და ვიტყოდით:

ან მოვედით! ახლა მოდით!

ახალი იგი წმიდა მონამჟ ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ქრისტეს შობა, ჯვარცმა და აღდგომა ადამიანის ხსნის მარადიული გზაა. ყოველი ახალი წამება ახლებური დამოწმება და განახლებაა მაცხოვრის ვნებისა და აღდგომისა. „ახალი მონამჟ“ ამაზეც მეტყველებს და, ამასთანავე, გვაუწყებს, რომ წმიდანი სულ ახლახან,

ეს-ესაა დაემოწმა ქრისტეს.

ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა მთელ ჩვენს ქვეყანას ქართლისას ჩვენდა შემწედ მოგვივლინა ქრისტემ.

განვახუნეთ საუნჯენი გავხსნათ, გავაღოთ საგანძურნი.

საუნჯე გულთა და გონებათა გულისა და გონების საგანძური.

გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ, უკუანასკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისა მეათერთმეტისა უამისა მდღევრთა მათ თანა აღმსთობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი!

ან ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ, ჭეშმარიტად საქებელსა? მნებავს ქებად შენდა, ყოვლად ქებულო ქრისტის მოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროხს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებად სათნოებათა შენთა და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტისმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავ-ლა სოფელსა ამას შინა ჩუენსა.

შენთვის ფრიად დამიკურდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ უამსა ამას ოდენ მეუფებისა ისმაიტელთავსა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლც ქრისტისთვის აღირჩიე და მახულითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარცუმულსა მას თავყანის-ეც უფლად და ღმრთად!

შენგამო, წმიდაომოწამეო, სიყუარული იგიქრისტისიჩუენდამო და სარწმუნოებად ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა. რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტისგან, ნათესავსა საწუთოხსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვპონებდით გულისტქუმასა გულთა ჩუენთასა მიპატვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტისგან და დამვიწყებელნი საუკუნოხსა ცხორებისანი.

ქრისტის მორწმუნენი ჰენატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოღუანებასა, შენსა მას სიმწნესა, შენსა მას მარტილობასა, შენსა მას გარგუნოსნებასა!

ვითარ-მე გაქებდე შენ, ღუაწლისა მძლეო წმიდაო მოწამეო?



მდღევარი დღიური. აქ: დღიურად დაქირავებული მუშაკი.

აღმსთობილი ადრე ამდგარი.

მიეწიფე აქ: გაუთანასწორდი.

მუშაკი... მეათერთმეტისა უამისა მდღევართა მათ თანა აღმსთობილთა მიეწიფე მეთერთმეტე უამის მუშაკი (თერთმეტ საათზე დაქირავებული) დღისით დაქირავებულებთან ერთად განთიადზე ამდგართ გაუთანასწორდი, გაუთანაბრდი.

სასყიდელსა მათსა არა დააკლდი მათზე ნაკლები გასამრჯელო არ მიგიღია.

ან ვინმე ღირსად გაქებდეს შენ? ვინ გაქოს შესაფერად?

უფროხს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებად სათნოებათა შენთა ჩემს გონებას

აღმატება შენი სათნოების ქება.

შენთვის ფრიად დამიკურდების ჩუენ ძალიან გვაკვირვებ, გვაოცებ.

ჩუენდამო ჩვენდამი.

ნათესავი საწუთოხსა ამის მოყუარე წუთისოფლის მოყვარე მოდგმა, ხალხი.

თესლი ურწმუნო ძისა ღმრთისა მოდგმა, რომელსაც ღვთის ძე, ქრისტე, არ სწამს.

ვითარცა უსასონი ქრისტისგან და დამვიწყებელნი საუკუნოხსა ცხორებისანი როგორც ქრისტეს იმედის არმქონენი და მარადიული ცხოვრების დამვიწყებელნი.

გარგუნოსნება ზეციური დიდების გვირგვინის მოპოვება.



რამეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტის მორწმუნები, მოძღვარ ჩუენდა იქმენ, სწავლულნი უფრო გულისხმიერ-ჰყვენ, შერყეულნი უფრო განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარმართნი წადიერ ჰყვენ ქრისტის მონებად, საჭირებელი მარტივლობისა შენისა ჩუენ დაგჭტევე. სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმნენით!

ან ვევედრებით ყოველნი შენისა ქრისტის მოყუარებასა: მეოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთადასა ჩუენ ყოველთათვს, რომელი აღვასრულებთ საჭირებელსა შენისა და ვადიდებთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

დავთიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა ჭარბობს წანარმოების ბოლო თავში?
 - ა. თხრობის ინტონაცია;
 - ბ. ქების ამაღლებული ინტონაცია.
2. რას წიშნავს „ახალი მოწამე“?
3. ტექსტის რომელ მონაკვეთში ჩანს, რა ურთიერთობა ჰქონდა ავტორს აბოსთან მის სიცოცხლეში?
4. რა ნაყოფი გამოუღია აბოს მოწამეობას ქართველთათვის?
5. რას შესთხოვს ავტორი აბოს წანარმოების ბოლოს?
6. მოიძიეთ მეოთხე თავის ტექსტში, თქვენი აზრით, ყველაზე რიტმული ადგილები და განმარტეთ, რა ქმის რიტმის შეგრძნებას?

ვითარ-მე გაქებდე როგორ უნდა გაქო.
სწავლულნი უფრო გულისხმიერ-
ჰყვენ სწავლულთ გულისხმიერება შემა-
ტე.
წარმართნი წადიერ ჰყვენ ქრისტეს მო-
ნებად წარმართებს ქრისტეს მსახურება
მოასურვე.
საჭირებელი მოსახსენებელი, წმინდანის
ხსენების დღე, წმინდანის დღესასწაული.
დაგჭტევე დაგვიტოვე.

მითხრობა შეტყობინება, თქმა.
მეოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყო-
ველთადასა ჩუენ ყოველთათვს ჩვენ ყვე-
ლას გვიშუამდგომლე ყოველთა მაცხოვ-
რის (მხსნელის) წინაშე.
აღვასრულებთ საჭირებელსა შენისა
შენს მოსახსენებელ ღვთისმსახურებას
ვასრულებთ, შენი ხსენების დღეს ვდღე-
სასწაულობთ.

მ ე პ ს ტ ი ს ც ე პ ი თ ხ ვ ი ს გ ე გ დ ე ბ

დავუფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა ვიცით ნაწარმოების ავტორის შესახებ? რომელი წყარო გვაწვდის ამ ცნობებს?
2. რამდენ ნაწილად არის დაყოფილი იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიული თხზულება და რა არის გადმოცემული თითოეულ ნაწილში?
3. ვინ იყო აბო და რისთვის ენამა იგი?
4. თბილისის რომელ უბანში დასაჯეს სიკედილით აბო?
5. მხატვარი რომ იყოთ, „აბოს წამების“ რომელი ეპიზოდების დახატვას ისურვებდით?
6. რა აქვთ საერთო „აბოს წამებასა“ და „შუშანიკის წამებას“? რა განასხვავებს ამ ორ ტექსტს ერთმანეთისაგან?
7. დაძებნეთ ტექსტობრივი პარალელები ამ ორ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში.
8. შეადარეთ ერთმანეთს აბო და შუშანიკი. შეიძლება თუ არა, ამ ორი მოწამის მაგალითზე ვიმსჯელოთ იმ საერთო კანონების შესახებ, რომლებიც ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის წარმოჩენას უდევს საფუძვლად?
9. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ ნაწარმოების მთავარი სათქმელი?

მხატვრული ანალიზის ელემენტები

სიმბოლო

10. თქვენთვის ნაცნობი რომელი სახარებისეული სახე-სიმბოლო შეგხვდათ იოანე საბანისძის თხზულებაში და რა დატვირთვა ენიჭება მას ამ ტექსტში?
11. რომელ სახარებისეულ სახე-სიმბოლოს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ნაწარმოებში აბოს მხატვრული სახის გაზრებისათვის?

კითხვის სტრატეგია

ტექსტის დაგავშირება ისტორიულ კონტექსტან

12. შეაფასეთ აბოს ღვაწლი და მისი მნიშვნელობა მაშინდელი ქართლისათვის ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით.

ლიცერაციული პარალელი

თანამედროვე ქართველი მწერლის ნოდარ წულეისკირის რომანში „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“ იოანე საბანისძე ერთ-ერთ პერსონაჟად გვევლინება. რომანში, ისტორიული პიროვნებების გარდა, მწერლის ფანტაზიით შექმნილი პერსონაჟებიც მოქმედებენ. მათ შორისაა მცხეთის მამასახლისის და, მშვენიერი ანო. წაიკითხეთ ნაწყვეტი ნოდარ წულეისკირის რომანიდან და უპასუხეთ კითხვებს:

- ა) რატომ შემოიყვანა მწერალმა ეს პერსონაჟი ნაწარმოებში?
- ბ) როგორ შეისხა ხორცი იოანე საბანისძის მხატვრულმა სახემ
– „შიშითა განიღევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ – ნოდარ წულეისკირის რომანის მოყვანილ ნაწყვეტში?

ნოდარ წულეისკირი

ლიცერაციული და ნიმუში აბოსი და იოანესი

მეცხრე ლამე, მეექვსე საიდუმლო

იოანე საბანისძის ვაჟი მიქაელი ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის კარზე მდივან-მწიგნობრად მუშაობდა. იგი შორით ეჭრფოდა მცხეთის ციხისთავის დას – მშვენიერ ანოს.

თბილისის ამირას ბრძანებით, გაქრისტიანებული არაბი ჭაბუკი აბო სარკინოზებმა შეიპყრეს. განრისხებული იოანე საბანისძე ცარიელ დილეგში შეიჭრა და მოითხოვა: როგორც აბოს მოძღვარი, მეც შემიპყარითო. არა-ბებს ეს ხელს არ აძლევდათ და იოანე ძალით გამოიყვანეს საპყრობილიდან.

ნათლისღების წინა დღეებში სასახლეში უწყება მოიტანეს, ნათლისღებას ტფილის-ქალაქში აბოს ანამებენ, სრულიად ქართლი იქ უნდა შეიკრიბოსო.

შავით მოსილი ანო კარის საყდარში ჩამოიჭრა, ილოცა აბოს სულისთვის, მოძღვარს აღსარება უთხრა და გულის კანკალით საიდუმლო გაანდო:

– მამაო, ქრისტემან საპყრობილით ჯოჯოხეთისა აღმოგვიყვანა, ჩვენგან საპყრობილესა მყოფთა თანა მისვლასა ითხოვს...

შავ თავსაფარს ქვემოდან გიშრისფერი თვალები ჯადოქრულად უბზინავდა. კარის მოძღვარი ხსართან ხუცესი შეცბა. ანოსაგან არ მოელოდა ამგვარ სიტყვებს. მართალია, ანოც, გუარამიც და მათი მამაც მისი აღზრდილები იყვნენ, მაგრამ ისინი ხომ სარკინოზებს ემსახურებოდნენ? განა მცხეთის მამასახლისის დას მისცემდნენ უფლებას, ხალიფას ორგული მუსლიმი საპყრობილეში ენახა? დახეთ საკვირველებას! ანომ ერთხელაც შეანათა თავისი გიშრის თვალები ხუცესს და შეჰდალადა:

– მოწამე აბო ისმაიტელყოფილს ხვალ მოაკვდინებენ, აღასრულეთ ნება ღვთისა: მე და აბოს ჯვარი დაგვწერეთ!

ხსართან ხუცესმა ყურები დაიცო, შეშინებულმა გაიხედ-გამოიხედა საყდარში, მუხლზე დავარდნილი ასული ფეხზე წამოაყენა და დაუყვავა.

– ილოცე, შვილო, ილოცე... ლოცვა უშველის შენს ვარამს...

– გევედრებით, მამაო, ახლავ წავიდეთ ტფილის-ქალაქს, ჯორები გალავანს გადაღმა გველოდებიან.

ხუცესმა ანოს პირჯვარი გადასწერა.

– ჩუმად! – უჩურჩულა, – თავს იღუპავ და სხვასაც ღუპავ მაგ სიტყვებით... გვამში ეშმაკი ჩაგსვლია და ის გალაპარაკებს...

– თვითონ უფალი მირჩევს აბოსთან წასვლას, მამაო, უფლის ნებით ავიდგი ენა... – ანო მოძღვარს ხელზე ემთხვია და კვლავ დაემხო მის ფეხებთან, – უფალი ჩვენი, მაცხოვარი იესო ქრისტე მზეა, – შეჰდადა ხუცესს ქალწულმა, – მე და აბო ვით ორი ქვესკნელის პეპელა, მისკენ მივისწრაფვით. იმად მივდივარ ტფილის-ქალაქს...

– გაჩუმდი-მეთქი, წერას ატანილო, არავინ უწყის, ხვალ რას გვიმზადებენ, ახლა კიდევ ეს უცნაური ჯვრისწერა! მოგაკვდინებენ, იცოდე!

– დაე, მომაკვდინონ, პაპაჩემის, გუარამის – ჩემი ძმის, ცოდვილი სულები უნდა გადავარჩინო.

– გეყოფა! გაჩუმდი!

აზრახდა ხმამაღლა ხუცესი, შერცხვა მაღალი ხმის, მიუბრუნდა დანანებით და ხმადაბლა ჰკითხა:

– ჰყვარობდით ერთმანეთსა?

– არა, საკანში გავეცნობი და ჯვრისწერას შევთავაზებ...

– სიკვდილმისჯილს შესთავაზებ ჯვრისწერას?

ანო უფლის ხატს მიერახლა და პატიება სთხოვა მუხლმოყრილმა...

თვალთაგან ცრემლმა იწვიმა.

ხუცესმა ჯვარი გადასწერა.

– ძმისგან მალულად? – დამფრთხალმა ხუცესმა ჩურჩულით ჰკითხა.

– ფარულად ყოველთაგან, – მიუგო მტკიცე ხმით.

– პყრობილთან გსურს ფარული ჯვრისწერა? – ხსართან ხუცესს თვალები გადმოეკარკლა, – ტიპიკონი გვიკრძალავს! არა! – აზრახდა კვლავ ხმამაღლა ხუცესი, სამკვეთლოში შევარდა უაზროდ, გამოფათურდა იქიდან და ანოს თითქოს პირველად ხედავსო, გონებაამღვრეული მიაშტერდა:

– უნდა განვუდგე ჩემს პატრონს, მფარველსა და მწყალობელს, შენს ერთადერთ ძმას – გუარამს?.. – ღელვისაგან მოხუცს ხელები უთროთოდა და ჯვარს მაღლა-მაღლა სწევდა. თითქოს მართლა ეშმაკეულს ელაპარაკებოდა.

– უფალს, იესო მაცხოვარს განუდგები?! – კითხვას კითხვითვე მიუგო ანომ.

ხსართან ხუცესმა თვალები მაღლა აღაპყრო, პირჯვარი გადაისახა და „სახელითა მამისათა“ წართქვა.

ანო ხუცესს ატაცებული მისჩერებოდა, მოხუცს მისი ეშინოდა და თვალს არიდებდა.

— საბანისძემ, ერთადერთმა ზნეკეთილმა ქრისტიანმა, აღასრულა უფლის ნება, მივიდა საპყრობილესა, ჩვენ რასა ვიქმთ! — ერი და ბერი?.. შიშით სოროში ვიმალებით, ვითარცა ქრცვინი და თაგვი.

ჩურჩულ-ჩურჩულით გამოვიდნენ საყდრიდან.

— გუარამს, შენს ძმას ვკითხოთ, ღვთის სულო, — შეევედრა მოხუცი, — სხვარიგ არ ეგების... ჩემს ჭალარას ეცი პატივი...

ანოს მოხუცი შეებრალა, გადაწყვიტა, მარტოკა წასულიყო ტფილისში. მიქა-ელი მოეძებნა, მისი დახმარებით მღვდელიც ეშოვა და აპოსტანაც შეეღწია.

— მე თქვენთან ლოცვა-კურთხევისათვის მოველ, მამაო, ჭეშმარიტი ქრისტიანი სულიერ მონაფეს თვისას ბნელში არ დატოვებს... — უთხრა მპრძანებლის კილოთი, თავსაფრით სულ მთლად დაიფარა პირისახე და გალავნისაკენ წავიდა.

ხუცესი უკან გამოუდგა ლულლულით.

— თვით მოწამემ რომ არ ისურვოს ჯვრისწერა? — უკან დაადევნა.

— იყოს ნება მისი... — მოაძახა ანომ მშვიდად და გზა განაგრძო.

— ანო! — დაუძახა ხუცესმა, — მომისმინე!..

— მე ტფილის მივდივარ, მოძღვარო... ჯორები გალავანს გადაღმა მელოდებიან... — ერთხელაც მოუბრუნდა ანო.

სასოწარკვეთილმა ხსართან ხუცესმა სასახლისაკენ მიიხედა, გუარამის რიდი ჰქონდა, რას იტყოდა მამასახლისი, მისი და ჯვარს იწერდა სიკვდილმისჯილთან, კარის მოძღვარს ხელი არ შეეშალა?

— ეგებ კათალიკოსს ვკითხოთ, გუარამს თუ არა? — კვლავ შეევედრა ხუცესი, — ღმერთი გვიწყენს თვითნებობას...

— ღვთის ნებით მივდივარ აპოსტან, მამაო, თვით უწმინდესიც ვერ შემაჩერებს, — თქვა ანომ მტკიცედ და ბჭისკარისკენ კი არ წავიდა, საიდუმლო კარს მიადგა. მსახურმა შეთქმულივით სწრაფად გაუღო კარი და სწრაფადვე ჩარაზა, ხუცესმა ძლივს მოასწრო გასვლა.

განა ანოს მიატოვებდა, ჯვარსაც დასწერდა, თუ დასჭირდებოდა, მისთვის თავსაც დადებდა, მაგრამ პატრონების უკითხავად არასდროს გადაედგა ნაბიჯი, ყმანვილის აყოლა არ შეეფერებოდა, — ეგებ გზაში დავიყოლიო და უკან გავაბრუნოო, თვისი საქციელის გასამართლებლად მოიგონა ეს. გალავნის გადაღმა ანოს შეკაზმული ჯორები და მხლებლები ელოდებოდნენ, სიტყვა არავის უთქვამს. უბრად ამხედრდნენ და ტფილისის გზას დაადგნენ...

* * *

ერისმთავრის სასახლეს ჯოროსნები რომ მიადგნენ, მსახურთ ერისმთავრის სტუმარი ეგონათ მცხეთის მამასახლისის და. მესტუმრეთუხუცესმა იცნო და პატივით გამოეგება.

ანომ მიქაელი იკითხა.

სასახლის მსახურთ გაუკვირდათ, როცა სტუმარმა თავი დაადო და მიქაელის ბინას მიაშურა.

მიქაელი სიხარულით ცას ეწია: თავი სიზმარში ეგონა. ის, რაც თვითონ, ვა-ჟკაცმა ვერ გაბედა, ასულმა აუცხადა, — თავისი ფეხით მოვიდა!

მიქაელი ჯერ ხსართან ხუცესს ეამბორა ხელზე, ჯვარზე, შემდეგ ანოს ფეხებთან დავარდა.

— ადექ, ყრმაო, — უთხრა ანომ ცივად, — აბო უნდა ვნახოთ, ახლავე, ამისთვის მოველ!..

მიქაელი არც განძრეულა, არ გაუგია, ანომ რა უთხრა. ერთადერთი სიტყვა ჩაეჭრა სულში უსიამოდ — „აბო“. ამ სიტყვამ წამოაყენა ფეხზე და ანოს თვალებში ჩახედა.

— მე მინდოდა გუარამთან მოსვლა... მაგრამ... ვერ... გავპედე... დამაგვიანდა... მე... — ალუღლუღდა ვაჟი.

ქალის სიახლოვემ რეტი დაასხა, გაბრუებული იდგა. ანოსი მხოლოდ ხმა გაიგონა. ამ ხმის სიტკბომ გონება დაუბნელა, ნეტარებას მიეცა, გონწართმეულს ერთადერთი სიტყვა შერჩა ხელთ, იმ ერთადერთმა სიტყვამ დააბრუნა მიწაზე. ჯერ იფიქრა, მომესმაო, მაგრამ ის სიტყვა ანოს თითქოს შუბლზე ეწერა.

— წავიდეთ, მიქაელ, — ახლა უკვე გარკვევით ჩაესმა ქალის ხმა.

მიქაელი არც წასვლაზე ფიქრობდა, არც დარჩენაზე, გაოცებული შესცექეროდა ანოს, ის ახლა შებრუნებულიყო, კარისკენ მიდიოდა.

— სსაად წავიდეთ? — ენა დაება მიქაელს. „აბო“ — ახლა უკვე წამდვილად გაიგონა ყმაწვილმა. ანოს ტუჩებმა წარმოთქვეს ეს სიტყვა. რატომ წარმოთქვეს, სხვა სიტყვები რა თქვა ქალწულმა, მიქაელს კვლავ აღარ გაუგონია. რატომ ახსენებდა წარამარა პყრობილს, სიკვდილმისჯილს ამირას მოხელის და? განა ანო აბოს იცნობდა?.. ბრუდასხმულ მიქაელს ხსართან ხუცესი მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, გვერდით გაიყვანა და საიდუმლოდ უთხრა:

— ამაღამ როგორმე აბოსთან უნდა შეგვიყვანოთ, სხვა გზა არ არის. ჯვრისწერას მთხოვს...

ხუცესმა არ იცოდა მიქაელის ტრფიალის ამბავი, პირდაპირ მიახალა, რის-თვისაც ჩამოვიდნენ მცხეთიდან.

— რა ჯვრისწერას? არ მესმის... ვინ იწერს ჯვარს? — ჰკითხა მიქაელმა.

— ანოსა და აბოს ჯვარი უნდა დავწერო ამაღამ, — მიუგო ხუცესმა.

— ანოსა და... აბოს — ამოიხრიალასავით მიქაელმა, — ანო! — მიაძახა კარში გასულ ანოს სასოწარკვეთილმა.

ანო ბინაში შებრუნდა.

— ხვალ აბოს სიკვდილით დასჯიან... — უთხრა მიქაელმა თანალმობით, თითქოს აბოს სიკვდილი დაიხსნიდა თავს დატეხილი უბედურებისაგან.

— იმიტომაც ვიწერ ჯვარს, — ამაყად მიუგო ანომ, — ერთადერთი მამაკაცი გვყოლია და ისიც იმ ქვეყანას მიდის... უნდა მოვასწრო, ამაღამ უნდა ჯვარი დავიწერო.

— ხომ იცი, ამისთვის რაც მოგელის... გონს მოდი, ანო! — მიქაელი კვლავ დავარდა მის ფეხებთან, — ამაღამვე შეგიპყრობენ, შენ, შენს ძმას გუარამს, მთელ საგვარეულოს!.. ქართველ დედათაგან ჯერ არავის სმენია ასეთი საქციელი.

— დღეიდან ისმინონ! — მიუგო ატაცებულმა, — როცა მამანი მახვილს ძირს ხრიან, დედათა უნდა აღაპყრონ!..

ანომ ზიზღით დახედა ძირს დამხობილსა და გავიდა, მხლებლები გარეთ ელოდებოდნენ.

მიქაელი მოკლეს, თავის ვიწრო ბინაში, ძირს დამხობილს ზურგში ჩასცეს მახვილი და სული გააფრთხობინეს. ქართლსა შინა ერთადერთი მამაკაცი გვყოლია, უნდა მოვასწრო, ამაღამ ჯვარი უნდა დავიწერო – ნუთუ ანომ არ იცოდა, რომ მიქაელს უყვარდა, ნუთუ ამაოდ ყურყუტებდა მისი სასახლის კარიბჭესთან, ნუთუ ტყუილად შესციცინებდა ვითარცა მზეს, ანოც ამაოდ უღიმოდა შავ თავსაფარს ქვემოდან და ლერნამტანის ნაზი რხევით ამაოდ უკოდავდა ყმაწვილკაცს გულს.

დამცირებული, მიწასთან გასწორებული, პირქვედამხობილი ეგდო იატაკზე მიქაელი და თავის აწევა არ უნდოდა.

– წავიდეთ, შვილო მიქაელ, ანოს შენი იმედი აქვს... – ზურგზე დაადო ხელი ხსართან ხუცესმა და წამოაყენა.

– მამაო, გადაათქმევინეთ, გემუდარებით, გადაათიქრებინეთ, – ხელები და-უკოცნა ხუცესს მიქაელმა.

– ღვთის ნებას ვასრულებო... არ ისმინა ჩემი სიტყვები... – საიდუმლოსავით უთხრა ხუცესმა.

– მაშ, რა ვქნათ?

– მე ბედს შევურიგდი, სჯობს ამ საქმეს შევენირო, ვიდრე შემდეგ ცოცხლად ვიარო, – თქვა ნაღვლიანად ხუცესმა.

– წავიდეთ! – უცებ გადაწყვიტა მიქაელმაც, აბოსთვის განკუთვნილ კერეონებსა და საკმეველს დაავლო ხელი და შლევივით გავარდა ბინიდან.

* * *

მიქაელმა სტუმრები სადილეგოში წაიყვანა. მედილეგეთუფროსი მოძებნა. ქრთამად ათი ვერცხლი მიუტანა, კერეონები და საკმეველი გადასცა – როგორმე აბოს მიაწოდეთო, – თან საკანში შეშვება სთხოვა, ხუცესს და მის ქალიშვილს უნდათ პყრობილის ნახვა, – იცრუა. ჯვრისწერის ამბავი ვერ გაამხილა.

მედილეგეთუფროსი ტფილისში განთქმული ვერცხლისმოყვარე იყო და ერთი ვერცხლის გულისთვის ცოლ-შვილს გაყიდდა. ერთხელ მიტანილი ქრთამით მედილეგეთუფროსს უამრავ საქმეს აკეთებინებდნენ, მიქაელმა კი ათი ვერცხლი მეორედ მიუტანა. მედილეგეთუფროსს ფრთა შეესხა, ვერცხლი ხომ ვერცხლად ფასობდა, მაგრამ უფრო გასახარელი ის იყო, რომ ქრთამს ქართლის ერისმთავრის მდივან-მწიგნობარი აძლევდა. მიქაელს ყველა სიკეთეს შეჰპირდა, – კერეონებსა და საკმეველს აბოს მე თვითონ გადავცემ, საკანში კი ამ საღამოს ვერავის შეგიშვებთო. ხვალ აბო უნდა დასაჯონ, ამაღამ მის საკანს გაძლიერებული დაცვა დარაჯობსო.

ხსართან ხუცესი, ანო და მისი მხლებლები მიქაელს სადილეგოს გარეთ ჰყავდა დამალული, თუ მედილეგეთუფროსი ნებას დართავდა, მაშინ მათ საიდუმლო გვირაბით შეიყვანდა სადილეგოში. აქაური ყველა ხვრელი იცოდა, მაგრამ ამ საღამოს ეს ხვრელები საგულდაგულოდ დაეგმანათ. რა ეთქვა ანოსთვის? უბრალო შუამავლობაც კი ვერ შეგძლებიაო, არ ეტყოდა? სადილეგოდან ცოცხალი ვერ გამოვიდოდა, ატაცებულ ანოს პირში ჩალაგამოვლებული ვერ დაენახვებოდა. მედილეგეთუფროსს დაელრიჯა და ათ ვერცხლს კიდევ დაჰპირდა.

— თუ შურტებმა¹ გაგვიგეს, გახსოვდეს, ჩემი სახელი არ ახსენო! — უთხრა მე-დილეგეთუფროსმა და მიქაელს წინ გაუძლვა საკნებისაკენ. მიქაელმა ხსართან ხუცესი, ანო და მისი მხლებლები შემოიყვანა, მედილეგეთუფროსმა სტუმრები მი-წის ქვეშ ჩაიყვანა და ბნელი გვირაბის გავლით მიადგნენ აბოს საკანს.

— ა, აქედან დაელაპარაკეთ... მეტი არაფერი შემიძლია, — უთხრა მიქაელს მე-დილეგეთუფროსმა, ხელისგულისოდენა არმანა² გამოაღო და სიბნელეში ჩასძახა:

— აბო!.. აბო!..

სიბნელეში ბორკილების უღარუნი გაისმა.

აბო თავის დილეგში ახლახან დააბრუნეს. შიშველ მიწაზე ეგდო სასომიხდი-ლი. თავისი სახელი რომ გაიგონა (მედილეგეთუფროსი ჩურჩულით ეძახდა), წამო-ფათურდა და ბორკილები ააჟღარუნა. რაკი ჩურჩულით ეძახდნენ, კარგის ნიშანი უნდა ყოფილიყო. თავს ძალა დაატანა და ლასლასით მიადგა არმანას. მიქაელმა კერეონები და საკმეველი უმალ გადასცა.

ნაშუალამევს, ჯალათები და შურტები როცა დაიძინებენ, — უთხრა მედი-ლეგეთუფროსმა, — ჩემი მედილეგე მოგაკითხავს, იმას დაელოდე, კერეონებს ის აგინთებს. — თქვა და უმალ გაუჩინარდა სიბნელეში.

— მიქაელი ხარ? — ლანდს ჰკითხა აბომ არმანიდან.

— ჰო, ჩვენა ვართ, ხსართან ხუცესი, ანო და მისი მხლებლები.

— ანო? — გაიოცა აბომ.

— ანო... — მონიწებით წარმოთქვა მეორედ. მიქაელი მოშორდა არმანას და გვერდით მიდგა. არმანას შუბლი ანომ მიადო.

— აბო... — ამოილულულა ქალმა, დაიბნა, სათქმელი ვერ უთხრა. — თქვენ უთხარით, მამაო... არმანას მოსცილდა.

— ამ ჯოჯეხეთში ღვთისმსახურება როგორდა აღვასრულო, — ხმა აუკანკალდა ხსართან ხუცესს, — სანთელი მაინც აგვინთონ! მედილეგევ! — გასძახა არაბულად სიბნელეს.

— ჩუმად, თორემ ახლავე წაგიყვანთ აქედან! — გაისმა სიბნელიდან.

— ჩუმად! — უბრძანა მიქაელმაც ხუცესს.

— ღმერთო ჩემო, მაპატიე, რას ჩავდივარ, თვითონ არ ვიცი, — დაიწყო ღულული ხსართან ხუცესმა, არმანას შუბლი მიადო და აბოს ჩასძახა:

— შვილო, აბო, მცხეთის მამასახლისის გუარამის დას, ჩემს აღზრდილს, ღვთისმოსავ ანოს, სურს დაწინდება შენთან და გვირგვინის კურთხევას მთხოვს... აგერ დგას ახლა, შენს საკანთან და ტირის, გულისწადილი ვერ გაგიმხილა.

ანო ჩუმად ტიროდა სიბნელეში.

— დაწინდება სურს ჩემთან? — გაისმა არმანიდან აბოს გაკვირვებული ხმა, — მამაო, თქვენ მართლა ხსართან ხუცესი ხართ, თუ ეშმაკეული გამომეცხადა სიკვდილის წინ, მიქაელ, შენ რად დუმხარ, ნამდვილი ხუცესის ბაგენი მაუწყებენ საკვირველ ამბავს?

1. **შურტები** — მეთვალყურეები.

2. **არმანა** — კარში დატანებული მცირე სარკმელი.

— გუარამის დას, ანოს, სურს შენთან დაწინდება, ხსართან ხუცესს ჯვრის-ნერას სთხოვს, — მიუგო მიქაელმაც.

— დაამთავრეთ, ჩქარა! — გაისმა სიბნელიდან მედილეგეთუფროსის ხმადაბალი ბრძანება. შორიახლოს დარაჯობდა, ღამის სტუმრები შურტებს არ დაენახათ.

— თუ თანახმა ხარ, არმანიდან ხელი გამოუნოდე! — შესძახა ხსართან ხუცესმა არმანაში აბოს.

— ბორკილი მადევს, მამაო... — გაისმა პასუხად, — მაგრამ... აჲა... — ჯერ ბორკილის უღარუნი გაისმა, შემდეგ ხელის მტევანი აფათურდა არმანაში. ხსართან ხუცესმა ანოს ხელი მოჰკიდა, წყვილი შეაერთა, როგორც კი აბომ ქალის ხელის შეხება იგრძნო, ხმის კანკალით ჰკითხა ქალს:

— რისთვის?.. რისთვის?.. მე ხვალ აღარ ვიქნები... ნეტარო ასულო!

— სწორედ ამისთვის... — უჩურჩულა ანომაც.

— დაიწინდვის მონა ღვთისა აბო და ანო სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა, ან და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ!..

ხუცესმა ჯერ აბოს ჩამოაცვა მტკივან თითზე ოქროს ბეჭედი, შემდეგ ანოს ვერცხლისა.

— დაიწინდვის მხევალი ღვთისა ანო და აბო.

შეერთებულ ხელებს ჯვარი გადასახა. ჯვრისნერის გრძელ წესსა და რიგს ამოკლებდა, უფლისა მიმართ აქ ვეღარ ილოცებდა, ვერც იოანეს სახარებას წაიკითხავდა, რაც აუცილებელი იყო, ის უნდა ეთქვა.

— აკურთხე, უფალო, წინდობაცა მონათა ამათ შენთა აბო და ანო, დაამტკიცე ამათ ზედა აღთქმა სიტყუათა ამათთა და განაძლიერენ ესენი შენმიერითა წმინდა შეერთებითა... დაამტკიცენ წინდობაი ამათი სარწმუნოებით და ერთობით, ჭეშ-მარიტებით და სიყვარულით!

მედილეგეთუფროსი სირბილით მოვარდა, მოდიან, ჩქარა, ჩქარაო, — ანოს ხელი აბოს გამოჰკლიჯა, თითქოს ძალით წაათრია ქვესკნელისაკენ, მიქაელი და ხსართან ხუცესი გააფრთხილა, ხელი მომკიდეთ და ისე მომყევით, თორემ დაიბ-ნევითო. მართლაც, ერთმანეთზე გადაბმულები ჯურლმულში ჩაცვიდნენ, სად-ლაც სველ გვირაბში შეძვრნენ. აქ შურტები აღარ ჩავიდოდნენ. ჩქამგაუღებლად ისხდნენ შიგ და სიბნელეს ყურს უგდებდნენ. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. მედი-ლეგეთუფროსი ჩურჩულის ნებასაც არ იძლეოდა. „სუ-სუო“, — პირზე აფარებდა ხელს სტუმრებს. დიდი ხნის ყურყუტის შემდეგ წამოდგა, წინ გაუძლვა წელში მოდრეკილ და შიშისაგან გალეულ მექორნილეთ და სამშვიდობოს გაიყვანა.

მიქაელი ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ მშვიდობიანად გადარჩნენ. მართალია, ანოს საქციელით გულმოკლული იყო, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. აბოს ხვალ მოაკვდინებენ, ანოსაც მალე გადაავიწყდება ახირებული ჯვრისნერა და გული ჩემკენ მოუბრუნდებაო, — ფიქრობდა.

აბოს არ სჯეროდა, რაც მოხდა. ანოს თითების სილბო და სითბო დარჩენილიყო საკანში, მას ხომ არასოდეს ენახა მცხეთის მამასახლისის ლამაზი და, მარტო ყური მოეკრა, გაეგონა ანოს სახელი.

ბეჭედს უსვამდა ხელს გაოგნებული. რა გრძნობა იყო ეს? რა დაეუფლა? სიყვარული? არა (ხორციელი სიყვარული ხილული იყო). თანალმობა და მადლიერების გრძნობა, თუ სიამაყე დაეუფლა მამაკაცური.

უმაღ გონს მოეგო, მიწიერ საქმეთათვის არ ეცალა, უნდა განწმენდილიყო ცოდვათაგან და სულით ზესთას შერთვოდა.

„მიწიერ სიყვარულს არ მოუყვანია ანო ჩემთან“, – უცებ აღმოაჩინა, გულზე მოეშვა, გაუხარდა.

ძირს დაემხო და ილოცა.

აბო ძირს ეგდო ღონებისდილი, კერეონები და საკმეველი გულში ჩაიკრა და შუალამეს ელოდებოდა.

წყვდიადში იწვა და იარებს იშუშებდა. ანოზე ფიქრობდა... მიქაელზე... ხვალინდელ დღეზე, ხვალ ნათლისძება იყო. სულინმინდის გადმოსვლას ყოველთა ზედა წყალთა ქრისტიანი მარხვითა და ლოცვით უნდა შეხვედროდა. აბოს ხელფეხი ჰქონდა შეკრული, თორემ სული ხომ თავისუფალი რჩებოდა, სულს ხომ ვერ დაადებდნენ ბორკილებს. თუ სანთლების ანთების ნებას არ მისცემდნენ, სული ილოცებდა, როგორც სხვა ღამეებში, ამ ღამესაც მხოლოდა სული ილოცებდა.

მაგრამ ლოცვის წინ უნდა განწმენდილიყო. წმინდა გულით უნდა ელოცა, მორიდებოდა ყოველსავე გულისწყრომას, უნდა დაევიწყებინა საპყრობილე, ბორკილები, შურტები, ჯალათები, მისი ფეხით მთრეველნი და არგნით მცემელნი, უნდა ამოერცხა გულიდან რისხვა, „ნუ ჰრისხავ, არამედ ჰლოცევდ“, აბორგებული სული უნდა ჩაემყუდროებინა და ღირსებით ელოცა.

მიწყდა სადილეგოში ფაციფუცი და ნაბიჯების ხმა. „ალბათ დადგა ნანატრი შუალამე“, – გაიფიქრა აბომ. სანთლების ლიფლიფი და საკმევლის სუნი მონატრებოდა, მოუთმენლად მოელოდა იმ წამს, როცა მედილეგე შევიდოდა, აუნთებდა კერეონებს, საკმეველს დაწვავდა და დილეგში საყდრის სუნი დადგებოდა. საღვთო საიდუმლოთ ნაზიარებ ქრისტიანს არ შეეძლო უსაყდროდ, უსანთლოდ და უსაკმევლოდ ცხოვრება. მართალია, აბოს ცხოვრებას ცხოვრება არც ეთქმოდა, მაგრამ სული ხომ ედგა! ლოცვა იყო სულის პური. სულს სხვა რამ სასმელ-საჭმელი არ სჭირდებოდა, გარდა ლოცვისა. ლოცვას კი სანთელ-საკმეველი ღვთისკენ მიმავალ გზას უნათებდა.

ვით აკლებული საყდარი, დუმდა სადილეგო. აბო სიჩუმეს უგდებდა ყურს და შიშს შეეპყრო: ვაითუ მედილეგე არ მოვიდესო.

უცებ გაიხსნა დილეგის კარი. აბოს ფეხის ხმა არ გაუგონია, არც ურდულის რაჯგუნი სმენია, მედილეგე ფეხაკრეფით ჩამოვიდა დილეგში, აქანდაზით ღველფი დადგა ძირს საკმევლისათვის, აბოს სანათური მიანათა და უჩურჩულა:

– მომეცი სანთლები!

აბომ კერეონები გაუწოდა, სიჩუმეში ბორკილებმა გაიუღარუნეს.

– ჩუმად! – უბრძანა მედილეგემ, – ჩუმად, თორემ შურტები გაიგებენ... ნაბრძანებია ჩუმად ყოფნა...

მედილეგემ სანთლები აანთო და წავიდა. ფრთხილად გაიხურა დილეგის კარი, ურდულებიც უხმაუროდ გაუყარა და ფეხაკრეფით გაიპარა.

აბომ მტკიცანი თითები შეჰერა პირჯვრის საწერად, „სახელითა მამისათა“ შეჰერა და უფალს, საკმეველიც აკმია დილეგის კედლებს. ანთებული სანთლების წინ დადგა ჩრდილად ქცეული და ფსალმუნებას მოჰყვა...

სულ ზეპირად იცოდა „დავითნი“, ბეჭითად შეესწავლა მარიამწმიდაში, ცრემლის ღვრით გალობდა იმ ფსალმუნებს, როცა უცხოთესლთაგან შეპყრობილი დავითი ღმერთს ევედრებოდა თავისუფლებას.

„იხსენ სული ჩემი სიკვდილისაგან, თუალნი ჩემნი ცრემლთაგან და ფერხნი ჩემნი ბორკილისაგან...“

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე, რამეთუ შენ გესავს სული ჩემი...“

კერეონებს დილეგი გაენათებინათ. აბოს ჩურჩულს დადარაჯებული ყური თუ გაიგონებდა. პირჯვარს იწერდა და ლოცვით ვერ ძღებოდა.

ბედნიერი იყო იმ წუთებში, არ ახსოვდა ნაცემ-ნაგვემი სხეული, არც იარები სტკიოდა, არც შიმშილი, წყურვილი, სიცივე აწუხებდა, თითქოს დილეგში კი არა, სადღაც უკიდეგანო სივრცეში ენთო კერეონივით და ზეცას შეერთვოდა.

საკმევლის სუსტი კვამლი ანთებულ სანთლებს სულივით გარს ეხვია. სულნელიც იქვე აბოსთან და სანთლებთან ტრიალებდა.

სიჩუმეში ატაცებული ქრისტიანის აღტყინებული ჩურჩული გაისმოდა...

აბო ხმადაბლა ლოცულობდა, მთელი გულით, მთელი არსებით განიცდიდა, რასაც მიეტყოდა, რისკენაც მიექცია სული.

განთიადამდე არ დაცხრებოდა. არ ჩაჰქრობოდა ანთებული სული. ხვალინ-დელ დღეს კოცონივით აბრიალებული უნდა შეჰეგებოდა.

ხვალ, 786 წლის ნათლისძებას ტფილის-ქალაქში, მტკვრის პირას მენელ-საცხებლე აბოს სისხლით ნათლის ლება უნდა მოჰყოლოდა...

დავითი რდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

აბო თბილელი ესწრაფვის არა ამქვეყნიურ ქორწინებას, არამედ „საღვთო ქორწინებას“. ასე რომ არ ყოფილიყო, მისი ღვანლი მარტვილოლოგიური თხზულების თემა არ გახდებოდა. თანამედროვე მწერალმა აბო თბილელსა და ანოს ჯვარი დააწერინა. რა შეიცვალა ამით აბოს მხატვრულ სახეში? იმსჯელეთ, რატომ მიიღო მწერალმა ასეთი გადაწყვეტილება?

ბეჭირი მუცელაქება

კომპლექსური დავალება 5. იოანე საბანისძის ნაწარმოების მომზადება „მკითხველის თეატრში“ წარსადგენად.

მოამზადეთ იოანე საბანისძის „აბოს წამება“ „მკითხველის თეატრში“ წარსადგენად. ამისათვის: ჯგუფებმა დაინაწილეთ თავები, ჯგუფის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინეთ თითოეული თავის ინტონაცია და შესაბამისად გადაუნაწილეთ ჯგუფის წევრებს; მსმენელებმა „მსახიობები“ შეაფასეთ წინასწარ მომზადებული კრიტერიუმების მიხედვით.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რამდენად აისახა თქვენს ინტონაციაში თითოეული თავის უანრობრივი სპეციფიკა;
- რამდენად და როგორ გადმოეცით/გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება ტექსტის ამა თუ იმ პასაუის/დეტალის/პერსონაჟის მიმართ (კითხვის ტემპი, ხმის აწევ-დაწევა, ინტონაცია, მიმიკა);
- რამდენად და როგორ დაგეხმარათ „მკითხველის თეატრი“ წარმოების უკეთ გააზრებაში, რა აღმოაჩინეთ მასში ახალი, რა დაინახეთ განსხვავებული კუთხით.

რწმენის თავისუფლება და გამოსატვის თავისუფლება

იოანე საბანისძე მოგვითხრობს, როგორ დასაჯეს აბო თბილელი სარწმუნოების შეცვლისათვის. რწმენის თავისუფლება, ანუ პიროვნების ნება, თავად აირჩიოს საკუთარი სარწმუნოება, ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. რწმენის თავისუფლება მჭიდროდაა გადაჯაჭვული რელიგიურ თავისუფლებასთან, თუმცა ეს ერთი და იგივე არ არის.

ბეჭირი მუცელაქება

კომპლექსური დავალება 6. პრეზენტაციის მომზადება თემაზე: „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება“.

მითითებულ წყაროზე დაყრდნობით მოამზადეთ ზეპირი გამოსვლა თემაზე: „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება“.

წყარო: ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ მომზადებული ვიდეო „რელიგიისა და რწმენის თავისუფლება“ (ხელმისაწვდომია ინტერნეტში).

ზეპირი გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს. ამისათვის:

- ყურადღებით უნდა დაამუშაოთ წყარო და გამიჯნოთ ერთმანეთისაგან მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია;
- კერძოდ, წყაროს დამუშავებისას ყურადღება მიაქციეთ შემდეგ საკითხს: რა განსხვავებაა რელიგიის თავისუფლებასა და რწმენის თავისუფლებას შორის;
- ასევე ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხზე: რა საერთოა რელიგიის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის და რა განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი მითითებული წყაროს მოკლე შინაარსის გადმოცემა კი არ არის, მისგან განსხვავებული და დამოუკიდებელი პროდუქტია;
- რა ვერბალური და არავერბალური ხერხების საშუალებით ეხმარებით მსმენელს მიწოდებული ინფორმაციის აღქმაში.

დამატებითი ამოცანები

ჯგუფური გამოკვლევა და პრეზენტაცია



აბო — თბილისის მფარველი წმინდანი

მოიძიეთ მასალები აბოს, როგორც თბილისის მფარველი წმინდანის, შესახებ (როდის არის დაწესებული აბოს ხსენების დღე, აბოსადმი მიძღვნილი საგალობლები, აბოს წამების თემაზე შექმნილი მხატვრული წაწარმოებები, მის სახელზე დაწერილი ხატები, მის შესახებ არსებული გამოკვლევები); აგრეთვე, მოინახულეთ თბილისში აბოს სახელთან დაკავშირებული ადგილები (აბოს წამების ადგილზე აღმართული ჯვარი, აბოს ნიში მტკვართან, მეტების ძირში, მისი სახელობის ეკლესია, აბოს ქანდაკება) და წარმოადგინეთ თქვენი მოკვლეული მასალა (ზეპირი მოხსენება თვალსაჩინო ფოტო ან ვიდეომასალასთან ერთად) აუდიტორიის წინაშე.

წერითი სამუშაო

დაწერეთ თხზულება სათაურით: აბო — შიშის დაძლევის გზა

გაიხსენეთ წერითი სამუშაოს შესრულების ეტაპები და ეცადეთ თანმიმდევრულად დაიცვათ ისინი. უპირველეს ყოვლისა, დააკვირდით თხზულების სათა-

ურს და განსაზღვრეთ, რა კუთხით უნდა წარმართოთ თხრობა, რომ სათაურს სწორად უპასუხოთ (ანუ განსაზღვრეთ წერის მიზანი), შემდეგ მოიძიეთ ტექსტში თქვენი მიზნის შესაბამისი მაგალითები, შეადგინეთ თხზულების გეგმა და შეუდექით დავალების შესრულებას.

ფენსცის ენა

სცილი

ორი მცირების სტილის განსხვავება

ორივე ნაწარმოები — „შუშანიკის წამებაც“ და „აბო თბილელის წამებაც“ — სარწმუნოებრივი თავშეწირვის ამბავს მოვითხრობს. ერთნაირად მძაფრად ვითარდება მოწამეობრივი ამბავი და შედეგიც ერთნაირია. ერთადერთი რამ, რაც ამ ორ ნაწარმოებს ერთმანეთისაგან საგრძნობლად განასხვავებს, არის ამ ორი მწერლის სტილი. ერთის დამახასიათებელია ლაკონიზმი, ხოლო მეორისა — უხვისიტყვაობა.

შევადაროთ ნაწარმოებების თითო ფრაგმენტი ერთმანეთს:

- „უმჯობეს არს ჩემდა ჭელთა მისთაგან სიკვდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრება და წარწყმედა სულისა ჩემისა რამეთუ მასმიეს მე პავლეს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმა გინა და არამედ განეყენენ“.“
- „სადალა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშორა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეცრებისა ჩემისა და ლირს მყო ნათელსა მას მისსა, არასადა უვარ-ვყო მე სახელი მისი. დაღათუ ბევრეული ოქროსა და ვეცხლისა მომცენ მე, გინათუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა. და ან შენ ნუ დამაყენებ, ღმრთის მსახურო!“

დავალება: ახლა პასუხი გაეცით კითხვებს:

- რომელ მწერალს ეკუთვნის პირველი და რომელს — მეორე ნაწყვეტი?
- ასახავს თუ არა ეს ორი ნაწყვეტი ერთგვარ ვითარებას და თუ ასახავს, რა თვალსაზრისით?
- რომელი მწერალი უფრო ლაკონიურად გადმოსცემს სათქმელს?
- გამოყავით ის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ერთ-ერთი მათგანის უხვისიტყვაობას განაპირობებს.

სტილიზაცია ისტორიული შირვანის მათვრულ თხზულებები

როდესაც მწერალი ისტორიულ სინამდვილეს აღწერს, იგი ცდილობს ამ სინამდვილის ენობრივი თავისებურებებიც ასახოს. მაგრამ, რადგანაც იმ ენობრივი ვითარების მთლიანად აღდგენა შეუძლებელია, მწერალი მიმართავს სტილიზა-

ციის ხერხს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ცალკეული ხერხების გამოყენებით ქმნის სიძველის შთაბეჭდილებას, მოაქვს შესაბამისი ეპოქის ენობრივი „სურნელი“.

ამ თვალსაზრისით ორ რამეს უნდა დავაკვირდეთ:

1. არის თუ არა განსხვავება მწერლისეულ თხობასა და პერსონაჟების მეტყველებას შორის?
2. რომელ არქაულ ფორმებსა და სიტყვებს იყენებს მწერალი ისტორიული ეპოქის კოლორიტის შესაქმნელად?

მწერალი ნოდარ წულეისკირი აბოს ღვაწლის გადმოცემისას ზომიერად მიმართავს სტილიზაციის ხერხს და ეს უპირატესად პერსონაჟთა მეტყველებაში ვლინდება. მაგალითად, მწერალი „საჩქაროდ“ ჩამოსვლის მნიშვნელობით იყენებს ზმნას „ჩამოიჭრა“, ხოლო „მოკვლის“ მაგიერ „მოკვდინებას“.

დავალება: დააკვირდით დიალოგებს და მოძებნეთ ის სიტყვები და ფორმები, რომლებიც სტილიზაციას ემსახურება.

დაიმახსოვრეთ!

სტილი და სტილიზაცია

ენის გამოყენების თავისებურ მანერას, რომელსაც მიმართავს ავტორი საკუთარი ჩანაფიქრის გადმოსაცემად, **სტილი** ეწოდება.

სტილი შეიძლება იყოს მარტივი ან რთული, სადა ან ამაღლებული, სასაუბრო მეტყველებასთან მიახლოებული ან ოფიციალური და სხვ.

ავტორის სტილი თავს იჩენს როგორც სიტყვათა არჩევანში, ისე წინადადებებისა და ფრაზების (აბზაცების, მთლიანი ტექსტის) აგებულებაში. ამიტომ სტილის განსაზღვრისას უნდა დააკვირდეთ ტექსტში გამოყენებულ

- ლექსიკურ ერთეულებს (სიტყვებს) და კონკრეტულ სახეებს;
- წინადადებებისა და ფრაზების აგებულებას;
- განმეორებებსა და პარალელურ სტრუქტურებს.

სტილიზაცია კი ამა თუ იმ სტილის შეგნებული მიბაძვაა და ძირითადად ისტორიულ თემატიკაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში გამოიყენება. ასეთი ტიპის თხზულებებში სტილიზაცია აღნერილი ეპოქის კოლორიტის გადმოცემას ემსახურება. ამის მაგალითია ნოდარ წულეისკირის ისტორიული რომანი.

ზოგიერთ შემთხვევაში სტილიზაცია კომიკური ეფექტის შექმნას ისახავს მიზნად. ეს პაროდია. **პაროდია** სხვა თხზულების ან თხზულებათა ტიპის იუმორისტული იმიტაციაა. კომიკურ ეფექტს პაროდიაში ნაწარმოების სტილისა და შინაარსის შეუთავსებლობა ქმნის. მაგალითად, თუ თქვენ არქაული ენის ელემენტებს თანამედროვე ამბების გადმოსაცემად გამოიყენებთ ან ყოველ-დღიურ, წვრილმან ამბებზე ამაღლებული, მაღალფარდოვანი სტილით ისაუბრებთ, ეს პაროდია იქნება.



კომპლექსური დავალება 7. მხატვრული ტექსტის შეთხზვა სტილიზაციის ხერხის გამოყენებით

დაწერეთ მხატვრული თხზულება სტილიზაციის ხერხის გამოყენებით. შეარჩიეთ უანრი: ისტორიული ან იუმორისტული მოთხოვბა (სატირა, კომედია). შესაბამისად გამოიყენეთ სტილიზაციის ხერხი — ისტორიული კოლორიტის გადმოსაცემად ან კომიკური ეფექტის შესაქმნელად. მოიფიქრეთ თხზულების თემა და ფაბულა. ამისათვის:

- გაითვალისწინეთ შესაბამისი თხზულების უანრობრივი მახასიათებლები;
- შეარჩიეთ მოქმედების დრო და ადგილი;
- წარმოაჩინეთ პერსონაჟები, მათი განცდები, ურთიერთდამოკიდებულებები, ფასეულობები;
- გამოიყენეთ სტილიზაციის ხერხი მიზნისა და თქვენი ნაწარმოების უანრის გათვალისწინებით, კერძოდ, თუ კომიკური ეფექტის შექმნა არა გაქვთ მიზნად, თხზულების ფორმასა და შინაარსს შორის არ უნდა იყოს შეუსაბამობა.

შეფასების კრიტერიუმი

ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რატომ შეარჩიეთ ეს უანრი და რა მიზნით გამოიყენეთ სტილიზაციის ხერხი;
- რამდენად და როგორ დაგეხმარათ ნოდარ წულეისკირის რომანის „ღვანილი და წამება აბოსი და იოანესი“ ნაწყვეტის გაცნობა სტილიზაციის ხერხის გააზრებაში.




თავი II

ტელეწილის ქადაგებულება

ტალანტი სიბრძნისათ, რომელი სიყრმით ჩემითვან მომეც, განვამრავლე იგი, ვითარცა მონამან სარწმუნომან შორის მორწმუნეთა შენთა.

გიორგი მერჩულე

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“



სელნაწერი ბიბლიის ყდა ათონის ქართული მონასტრიდან

შ ი ნ ა ა რ ს ი

II თავი. ფალანცის გამრავლება

ლიტერატურა

გიორგი მერჩულე — ცხორებად წმიდისა გრიგოლ ხანძთელისად	116
გიორგი მთაწმინდელი — ცხორებად იოვანესი და ეფთაზესი	173

მსატვრული ანალიზის ელემენტები

კომპოზიცია	115
ჟანრის კანონი	171

კითხვის სტარტეგია

პერიფრაზირება	115
ეპოქის ესთეტიკის გათვალისწინება	172

ტექსტების ენა

„პატიუი“ ძველი და ახალი მნიშვნელობით	164
„ჯერ-არს“ რთული ზმნის ისტორიიდან	165
პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ასახვა ძველ ქართულ ზმნაში	165
რატომ არა აქვს მოთხრობითი ბრუნვა და სავრცობი (-ა) ადამიანთა საკუთარ სახელებს?	165
საკუთარი სახელი „თორნიკე“	188
ძველი და ახალი „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ენაში	188
მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების ერთი შემთხვევა	189

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

გიორგი მარწულე

အသိပါမျက်

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართული ჰაგიოგრაფიის გამორჩეული ძეგლია. კარგა ხანს ამ ძეგლის არსებობაც კი არ იყო ცნობილი. მისი ერთადერთი ხელნაწერი აღმოჩნდა XIX საუკუნეში იერუსალიმში. იგი გამოსცა ცნობილმა მეცნიერმა ნიკო მარმა.

ნაწარმოების დასასრულს ვკითხულობთ, რომ „ნიგნისა ამის აღმნერელი“ არის გიორგი მერჩულე. ავტორი სარწმუნოების, რჯულის საკითხებში განსწავლული პირი (მე-რჩულ-ე) ყოფილა. ერთ ცნობილ ჰიმნოგრაფიულ კრებულში რამდენიმე ჰიმნს არშიაზე მინაწერი აქვს: „მერჩულიულნი“. როგორც ჩანს, გიორგი მერჩულეს წვლილი შეუტანია ქართულ სასულიერო პოეზიაშიც.

ავტორი არ ყოფილა გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე. შუშანიკისა და აბოს „წამებათა“ ავტორები მონამებთან დაახლოებული ადამიანები იყვნენ. გიორგი მერჩულეს კი „ცხოვრება“ დაუწერია გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან (861 წ.) 90 წლის შემდეგ, ე.ი. 951 წელს. მას ცნობები შეუკრებია გრიგოლის „მონაფეთაგან და მონაფის მონაფეთაგან“. ავტორს აღბათ ისიც უწყობდა ხელს, რომ თავად მოლვანეობდა ხანძთაში, გრიგოლის მიერ აშენებულ მონასტერში.

გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანა

გრიგოლ ხანძთელი დაიბადა 759 წელს და 102 წლისა გარდაიცვალა. მისი სამოღვაწეო ასპარეზი ფართო იყო. ამიტომ მის ცხოვრებასთან ერთად ავტორი აღნერს VIII-IX საუკუნეთა საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ყოფის ძალზე მნიშვნელოვან მოვლენებს.

ამ დროს ქვეყანაში რთული და დაძაბული პოლიტიკური ვითარება იყო. ქვეყნის დასავლეთ ნაწილს (აფხაზეთი) განაგებდა მეფე, რომელიც ბიზანტიის იმპერატორს ექვემდებარებოდა. ბიზანტიის იმპერატორთა ნებართვით ინიშნებოდნენ ტაო-კლარჯეთის გამგებლების კურაპალატის წოდებით.

ქართლი VIII საუკუნიდან არაბთა სახალიფოს ჰქონდა დაპყრობილი. სახალიფოს მიერ დანიშნული მმართველი, ამირა, IX საუკუნეში არა მხოლოდ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს განაგებდა, არამედ სამხრეთი და დასავლეთი საქართველოს პოლიტიკურ ჯხოვრებაშიც ერგოდა.

იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამებაში“ სწორედ ეს ეპოქა აისახა და მკვეთრად გამოიხატა ქართველთა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მრნამსი. ეროვნული ინტერესების ერთგულებისათვის იდევნება ქართლის ერისთავი ნერსე. სწორედ ნერსე ერისთავის კარზე იზრდებოდა მისი ცოლის ძმისწული და შვილობილი — გრიგოლი.

გრიგოლ ხანძთელმა მოღვაწეობა დაიწყო მურვან ყრუსგან დარბეულ და უამიანობისგან გაპარტახებულ ტაო-კლარჯეთში. არაბთა სახალიფოს გავლენის სფეროდან დაშორებულ ამ მხარეში ქართველი ბაგრატიონებისა და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით საფუძველი ჩაეყარა ახალ კულტურულ-სახელმწიფოებრივ ცენტრს, რომელიც ჩვენი ქვეყნის გაერთიანების საწინდარი შეიქნა.

ჟანრი

შუშანიკისა და აბოს „ნამებებში“ თუ წმინდანთა მოწამებრივი ღვანლია აღნერილი, გიორგი მერჩულის თხზულებაში ასახულია წმინდანის ცხოვრების გზა სიყრმიდან აღსასრულამდე.

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, წმინდანი მეოხია, შემწეა ადამიანისა. იგი შუამავალია ადამიანსა და ღმერთს შორის. მოწამე ემოწმება, ჰპაძავს ჯვარც-მულ ღმერთს და სხვათაც აღუძრავს ბაძვის სურვილს. „ცხოვრება-მოქალაქობის“ გმირი არ დაითმებს მოწამებრივ ტანჯვას, მაგრამ მიჩნეულია, რომ მისი ცხოვრებაც გზაა ღვთაებრივი ხატის აღდგენისა. ოღონდ ეს არ არის „სისხლიანი მსხვერპლი“.

სივრცული გარემო

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პერსონაჟთა სამოქმედო სივრცე ფართოა, ტაო-კლარჯეთის ხედების გარდა, ჩანს ქართლი, აფხაზეთი (დასავლეთი საქართველო); ბერები მიემგზავრებიან იერუსალიმში, კონსტანტინოპოლში. საყურადღებოა, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართული მწერლობის ერთ-ერთი ძეგლია, რომელიც აირეკლა ქართველთა სწრაფვა დასავლეთისაკენ. კონსტანტინოპოლი ამ დროს უკვე ქრისტიანული სამყაროს კულტურის ცენტრადაა აღიარებული. ქართული ეკლესია არ წყვეტს კავშირს იერუსალიმთან, მაგრამ ცდილობს ცოცხალი კონტაქტი დაამყაროს კულტურული აღმავლობის გზაზე მდგარ კონსტანტინოპოლთან. გრიგოლ ხანძთელი ეგებ პირველი ქართველი მოღვაწეც კი იყო, რომელიც გაეშურა დასავლური სიწმინდეების მოსალოცად და საეკლესიო წეს-განგების შესასწავლად.

გრიგოლ ხანძთელი და მისი მეგობრები მკვიდრდებოდნენ გაუკაცრიელებულ ადგილებში, რომლებიც სტიქიურ ძალთა სათარეშოდ იყო ქცეული. ბერების დაულალავი შრომით „უქმი უდაბნო“ სახეს იცვლიდა, „ზეცის მობაძავი“ ეკლესია-მონასტრების წყალობით წმინდა ადგილი ხდებოდა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ხანძთის გარემო ორჯერ არის აღნერილი. პირველად მას აშორ კურაპალატის მოციქული აღწერს, მეორედ — თვით გრიგოლ ხანძთელი. ეს ორი მონათხრობი ერთმანეთს ჩამოჰვავს. იხატება გარემო, რომელიც მიუვალია და, ამდენად, დაცულია მტრისაგან.

ვისაც ტაო-კლარჯეთი უხილავს, ბუნების სილამაზით აღტაცებას ვერ მაღავს. ნაწარმოების ავტორი ასე როდი იქცევა. ბუნებით ტკბობა არ არის მისი მიზანი. ბუნება, როგორც ადამიანის განცდათა მესაიდუმლე და სევდის განმქარვებელი, მხოლოდ გვიანი საუკუნეების ლიტერატურაში იჩენს თავს.

დავაკავშიროთ

უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

გრიგოლ ხანძთელმა აღსასრულის მოახლოების უამს უფლის წინაშე ლოცვა წარმოთქვა: „ტალანტი სიბრძნისაა, რომელი სიყრმით ჩემითვან მომეც, განვამრავლე იგი, ვითარცა მონამან სარწმუნომან შორის მორწმუნეთა შენთა“.

როგორ გესმით „ტალანტის გამრავლება“? საიდან იღებს სათავეს ეს სახე-სიმბოლო?

გავაანალიზოთ

მხატვრული ანალიზის ელემენტები

კომპოზიცია. კომპოზიცია (ლათ. შედგენა, შეერთება) ნაწარმოების აგებულებაა. ის ერთმანეთთან აკავშირებს მხატვრული ტექსტის ელემენტებს, სათანადო ადგილს მიუჩენს და მთავარ იდეას დაუქვემდებარებს თითოეულ დეტალს.

კომპოზიცია ნაწარმოების ყველა დონეზე იჩენს თავს (სიუჟეტის განვითარება, პერსონაჟთა განლაგება, ეპიზოდების თანმიმდევრობა, დეტალების მონტაჟი, სიმბოლური პასაჟების განმეორება, მეტყველების ტიპების — თხრობა, მსჯელობა, აღნერა — მონაცემება, ტექსტის ნაწილებად დაყოფა და სხვ.).

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციას უანრის მოთხოვნები განაპირობებს. მაგალითად, „ცხოვრებათა“ უანრის თხზულებაში, რომელშიც მთავარი გმირის ცხოვრება და ღვაწლი აღინერება სიყრმიდან სიცოცხლის ბოლომდე, კომპოზიციის ძირითადი დანიშნულება მთავარ პერსონაჟთან დაკავშირებული სხვადასხვა ამბისა და ეპიზოდის თავმოყრა და გაერთიანებაა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ნაწარმოების ყველა მოქმედი პირი და თხზულების ყველა ეპიზოდი, ყველა დეტალი მთავარ პერსონაჟთანაა დაკავშირებული. გრიგოლის სახე კრავს და ამთლიანებს მრავალი შენაკადით გამდიდრებულ თხრობას. ერთიან ქარგაშია მოქცეული პატარა, დამოუკიდებელი ფაბულის მქონე ნოველების მსგავსი ეპიზოდები.

გამოვიყენოთ


კითხვის სტრატეგია

პერიფრაზირება. იმედია, გახსოვთ, რომ ენობრივი თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით რთული ტექსტების გაგების ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგია მათი პერიფრაზირება (ანუ ავტორისეული ტექსტის თქვენი სიტყვებით გადმოცემა).

პერიფრაზირების დროს არ არის აუცილებელი ავტორისეული ტექსტის სიტყვა-სიტყვით „თარგმნა“, უფრო არსებითია მისი შინაარსის სწორად გადმოცემა.

შინაარსის სწორად გაგებასა და გადმოცემაში კი ტექსტის საკვანძო დეტალებზე დაკვირვება დაგეხმარებათ. უპირველეს ყოვლისა, დააკვირდით ზმნას და განსაზღვრეთ წინადადებით გადმოცემული მოქმედება. შემდეგ იმ დეტალებს დააკვირდით, რომლებიც უპასუხებენ კითხვებს: ვინ, რა, სად, როდის და რატომ მოქმედებს?

კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისა და სამოწმონის



ხანძთის სამონასტრო კომპლექსი

I. ბრძნად მეტყუელებად ვეცხლი არს წმიდაო, ხოლო დუმილი ოქროვ რჩეული ...
არამედ ან მე ნაკლულევანებად ჩემი არა მიფლობს დუმილად და უმჯობესად შემირაცხიეს, რათა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა

„ბრძნად მეტყუელებად ვეცხლი არს წმიდაო, ხოლო დუმილი — ოქროვ რჩეული“ ეს სიტყვები ზუსტად არ ემთხვევა, მაგრამ ეხმიანება ბიბლიის ერთ-ერთი წიგნის, ეკლესიასტეს, შეგონებას: „ესამი არს დუმილისაი და უამი არს მეტყუელებისაა“ ავტორს იმის თქმა სურს, რომ სიტყვამრავლობას დუმილი სჯობს. ბრძენი ხშირად

არჩევენ დუმილს, რადგან მიაჩნიათ, რომ ენა უძლურია ღვთაებრივი ჭეშმარიტების გამოსახატავად.

არა მიფლობს დუმილად არ მაძლევს დუმილის ნებას.

რათა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა რომ ვთქვა(გადმოვცე) ღირსეულად ცხოვრება.

ღმერთშემოსილთა კაცთასა — ნეტარისა მამისა ჩუქისა გრიგოლისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთასა — მადლითა და შენევნითა ღმრთისათა, რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა ჭეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან მის წმიდისათა.

ამათ ნეტართა შორის გამობრნყინდა მადლითა სავსტი, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღდელი და კეთილად განმგებელი მოღუანში და უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ, სულიერად მამად და წინამძლუარი და მაშენებელი ხანძთისა და შატბერდისა — ორთა ამათ დიდებულთა მონასტერთამ, რომელი ექმნა სახე კეთილის ყოველთა მის უამისა მეუდაბნოეთა მამათა ახლად შენებასა მათსა.

ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლ მოწმუნეთა მამა-დედათად და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისთავისასა აღზრდილ იყო ჭელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა, ნერსეს ცოლისათა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი.

ხოლო გულისჯიმიერობად სწავლისად განსაკურვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი“ და ჯმითა სასწავლელი სწავლად საეკლესიო, სამოძღურო. ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრბაზცა ისწავა მრავალთა ენათად და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთად ისწავა კეთილად და, რომელი პოვის სიტყუად კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის. და განითქუა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰპასრობნ.



ღმერთშემოსილნი კაცნი წმინდანები (ნათლით შემოსილ, ანუ განღმრთობილ ადამიანს, „ღმერთშემოსილიც“ ეთქმოდა. მის სინონიმად ხშირად გვხვდება „რომელმან ქრისტე შეიმოსა“).

რაოდენცა შეუძლო უწყებად შეძლებისა-მებრ ვაუნყო.

მადლი „მადლი არს ყოველივე კეთილი და რაღც ცოდვა არა არს“ (საბა).

წინამძლუარი მონასტრის მეთაური, წინამძლოლი.

ხანძთა უმნიშვნელოვანესი სამონასტრო ცენტრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. დასრულებული სახე ხანძთის ტაძარს 918-941 წლებში მიუღია.

შატბერდი მწიგნობრული ტრადიციებით განთქმული მონასტერი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. დაარსდა IX საუკუნის I ნახევარში.

ექმნა სახე კეთილის... მუდაბნოეთა მა-მათა ახლად შენებასა მათსა კარგ ნიმუშად ექცა განდეგილ ბერებს ახალ ტაძართა შენებაში.

კეთილად მსახური ჭეშმარიტი ღვთისმსახური, ღმითა სასწავლელი სწავლად საეკლესიო,

სამოძღურო ღვთისმსახურების ღროს წარმოსათქმელი წმინდა ნერილის ახსნა-განმარტება.

საღმრთონი წიგნი ბიბლიური წიგნები.

სიბრძნე იგი ამის სოფლისა ფილოსოფო-სთად წარმართული ფილოსოფია.

ჯერკუალი განაგდის ცუდს, მიუღებელს მოიშორებდა.

სისრულე სრულყოფილება.

გარეშე იგი სიბრძნე სოფლისად არაქრის-ტიანული სიბრძნე.

ჰპასრობნ ეკამათებოდა, ამხელდა ხოლმე.



სიტყუად მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისადთა. რაჟამს იტყუნ, ბრძნად აღალის პირი თვისი და წესი განუჩინის ენასა თვისა. და ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებადცა კეთილი იზარდებულდა, რამეთუ არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ და ჭამადთა გულის-სათქუმელთა მოყუარე. და ესრეთ მიიღის საზრდელი საგლახაკოდ წორცთა თვისთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალ-მან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყულემან გონებითა.

ხოლო იყო ხილვითა დიდ, წორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყულად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბინო.

II. მაშინ წელმწიფეთა მათ, აღმზრდელთა მისთა და სანატ-რელმან დედამან მისმან და ერისა სიმრავლემან ინებეს ხუცად კურ-თხევად ამის ნეტარისად და ჰარქუს:

— შვილო, ყოლად კეთილო და სარწმუნოო ქრისტეს მონაო, აჰა, მოიწია უამი წინავსწარმეტყუელისა დავითის თქუმულისად, რომელ-სა იტყუს: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? არამედ უბრალო წელითა და წმიდად გულითა“. და ან შენ გპოვა ქრისტემან უბრალო წელითა და წმიდად გულითა და რათა შენ აღხვდე მთასა უფლისასა და დადგე ადგილსა წმიდასა მისსა შემწირველად წმიდასა და უსისხლოსა მსხუერპლსა მისსა ღირსებისა შენისათვის და სასოდ სულითა და წორცთა ჩუენთა.

ხოლო ამას ნეტარსა დაღაცათუ აქუნდა სიყუარული მღდე-

ნესიგანუჩინისენასა თვისა მოზომილად, გონივრულად ლაპარაკობდა.

ჰასაკი ტანი.

არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ არ იყო ქედმაღალი, გულზევიადი, ამპარტავანი, როგორც სჩვევიათ ჭაბუკებს.

საზრდელი საგლახაკოდ ღარიბული საჭ-მელი, ღარიბული ლუკმა.

მდაბალი გულითა მოკრძალებული, მორ-ჩილი, თავმდაბალი.

გლახაკი სულითა სულიერი საზრდოს მთხოვნელი, სულიერი საკვების მონატ-რული.

მყუდრო ქცევითა ქცევით მშვიდი, წყნა-რი.

მოწყალე გონებითა მწყალობელი, შემწყ-ნარებელი.

ხილვითა დიდ შესახედავად დიდი, ტანა-დი.

წორცითა თხელ გამხდარი, ხმელ-ხმელი.

ჰასაკითა სრულ ტანსრული

გუამი სხეული, ტანი.

წელმწიფენი ხელისუფალნი. აქ: მთავარ-ნი.

ერისა სიმრავლე ხალხი.

ყოლად კეთილი ყოველმხრივ კარგი. ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? არამედ უბრალო წელითა და წმიდად გუ-ლითა? ვინ დადგება მის წმინდა ადგილას? განა ხელით და გულით წმინდა არა? უბრალო წელითა უდანაშაულო, ვისაც ბრალი არ მიუძღვის, ვის ხელსაც დანა-შაული არ ჩაუდენია.

„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა?“ გრი-გოლ ხანძთელს შეახსენეს ფსალმუნიდან მუხლები. გრიგოლს არწმუნებენ, რომ მას შეშვენის მთაზე ასვლა. „მთასა უფლისასა“ ასვლა მოასწავებდა სულიერ ამაღლებას, ღმერთთან მიახლოებას.

უსისხლო მსხუერპლი ღვთისმსახურე-ბის დროს საკურთხეველში მღვდლის მიერ აღსრულებული წმინდა საიდუმლო.

ლობისათ, შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა და შიში დაეცა სიახლისათვის ჰასაკისა მისისა და ჰრქუა მათ:

— და ან პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის!

მაშინ მიუგეს ბრძენთა მათ მთავართა და ჰრქუეს:

— შენ მოგცა ქრისტემან კეთილი მოხუცებულებად გონებისად და ან ნუღარაურჩ იქმნები, არამედ მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტისა და ჰმონე მას მღდელობითა...

ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ და ნებითა ღმრთისათა იკურთხა ხუცად.

მაშინ მთავარნი იგი განიზრახვიდეს ეპისკოპოსობასა მისსა.



III. ხოლო ნეტარმან გრიგოლ ვითარცა იხილა თავი თუსი ჯორციელად დიდებასა შინა, ფრიად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლად თუსით ქუეყანით საღმრთომთა წოდებითა, რომელიცა უძლოდა მას მამათმთავრისა აპრაპამის სახედ. არამედ აპრაპამ ქუეყანისა მისგან ურწმუნოთა ნათესავთამსა განაშორა ღმერთმან, ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათვის, რათა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალც ზედა სასანთლესა მას მაღალსა ზეთითა მით განუპარველითა, რათა წმასა მას და ოხრასა საყვრისასა აღეტყინოს და განბრწყინდეს სულითა ძლიერითა და მიუძღუეს საქორნინესა მას კრებულსა თანამონაფეთა მისთა წმიდათასა.

შეზრუნდა სიტყუასა მათსა ზედა შეწუხდა, შეჭფოთდა მათი საუბრის გამო.

ჰასაკი აქ: ხნოვანება.

სიახლე ჰასაკისა ახალგაზრდობა, სიჭაბუკე.

პატიჟისაგან მეშინის სასჯელის მეშინია. ჰმონე მას მღდელობითა ემსახურე მას, როგორც მღვდელი.

თუსით ქუეყანით თავისი მიწა-წყლიდან. საღმრთო წოდებად ლვთისაგან ხმობა.

მამამთავრისა აპრაპამის სახედ მამამთავარ აპრაამის მსგავსად.

უქმი უდაბნოდაუსახლებელი და დაუმუშავებელი ადგილი. ბერ-მონაზვნები უდაბნოში განმარტვდებოდნენ ხოლმე. ტაოკლარჯეთი ურწყული და უნაყოფო არ ყოფილა, მაგრამ მტერთა შემოსევების შედეგად დაუსახლებელ ადგილად იქცა. ბერების მიერ მისი აღორძინება, „ქალაქყოფა“, სამონასტრო კერების დაფუძნება, ამ მხარის სულიერ აღორძინებასაც მოასწავებს.

ზეთი განუპარველი მარადიული ზეთი, ე. ი. არანივთიერი ზეთი („ზეთი განუპარველი“ სიმბოლოა ლვთაებრივი სიყვარულისა, ბნელის განათებისა, ჭეშმარიტების ნედომისა, სულიერი მღვიძარებისა, პიროვნების სრულყოფისა. ეს სახე უკავშირდება მათეს სახარების იგავს (25, 1-13) ათი ქალწულის შესახებ. ჰაგიოგრაფი გვეუბნება, რომ გრიგოლ ხანძთელის ლვანლი „განუპარველი ზეთის“ დაგროვებაა. იგი არა მხოლოდ თვითონ არის მზად ლვთაებრივი ქორწინებისთვის, არამედ „საქორნინესა მას კრებულსა“ (სულიერი სრულყოფის მაძიებელ ბერებს) მიუძღვის განღმრთობისკენ).

რათა წმასა მას და ოხრასა საყვრისასა აღეტყინოს საყვირის ხმიანობაზე აინთოს, გამობრწყინდეს (ბიბლიაში ანგელოზები ლვთის ნებას ხშირად საყვირით ამცნებენ ადამიანებს. აქ იგულისხმება განკითხვის დღის მაუწყებელი საყვირი).



და პოვნა მოყუასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტის მადლისათა: საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ეპისკოპოსი მისი; და თეოდორე, ნეძგა მაშენებელი და მამაო; და ქრისტეფორე, კვრიკეთისა მაშენებელი და მამაო. ესე ოთხი შეანანევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუარულ-მან შეამტკიცნა ერთ ზრახვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული.

მაშინ სიხარულით წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყო-დეს, არამედ არა უმეცარ იყვნეს, რამეთუ უფალი მხოლოდ უძლოდა მათ, და მოიყვანნა იგინი ქართლით ოპიზას პირველად. და ორისა წელიწდისა ჟამთა იყვნეს ოპიზას მამად გრიგოლ და მოყუასნი მისნი ღუანლითა ფიცხლითა მონაზონებისა შრომისათა, ვითარცა იყო წესი მის ჟამისა მონაზონთად.

ხოლო მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდებად, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებად მარტოდ მყოფთა მათ სივრცესა მას შინა უდაბნოვსასა.

IV. მას ჟამსა იყო ვინმე ბერი ხანძთას მარტოდ მყოფი, კაცი მართალი და წმიდად, რომლისა სახელი წუედიოს. ამან ნეტარმან ჩუ-ენებად იხილა და ესმა წმად ნეტარსა მას ბერსა, ვითარმედ აღეშენოს წმიდად ეკლესიად ადგილსა ამას წელითა გრიგოლ მღდელისა, კაცი-სა ღმრთისათა. ეგრევე აუწყა ქრისტემან სანატრელსა მამასა გრიგოლს ბერისა მის ღირსებად და ადგილისა მის მიგებად მისა.

მას ჟამსა წინამძღვრებითა სულისა წმიდისათა მოინია ხან-ძთად სათნოდ ღმრთისად მამად ჩუენი გრიგოლ წმიდისა მის ბერისა.

იშხანი დიდი სამონასტრო ცენტრი სამ-ხრეთ-დასავლეთ საქართველოში. იშხნის ეკლესია აიგო VII საუკუნის I ნახევარში.

ნეძგIX საუკუნის შუახანებში დაარსებული მონასტრერი (მდებარეობს ბორჯომის სიახ-ლოვეს, მდ. ნეძურას ხეობაში).

კვრიკეთი IX საუკუნის შუახანებში აგებუ-ლი მონასტერი (მდებარეობს ბორჯომთან ახლოს).

ოპიზა ერთ-ერთი უძველესი ტაძარი სამ-ხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარ-ჯეთში. არაბთა სახალიფოს ლაშქრობის შემდეგ ოპიზა აღუდგენიათ (VIII ს.). IX საუკუნის ოპიზურ ქვაზე გამოკვეთილია ცნობილი ისტორიული პირის, „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ პერსონაჟის, ამოტ კურაპალატის, რელიეფური პორტრეტი. XII-XIII საუკუნეებში ოპიზას სახელი გა-

უთქვეს ცნობილმა ოქრომჭედლებმა — ბექა და ბეშქენ ოპიზრებმა.

მონაზონება ბერული ყოფა, მოწესეობა — ქრისტიანული ცხოვრების ერთ-ერთი გზა.

დაყუდებად განდევილი ბერობა, ასკეტო-ბა.

ანგელოზებრი ცხორებად სიწმინდით ცხოვრება.

ჩუენება ღვთაებრივი გამოცხადება.

ბერისა მის ღირსებად ბერის (წუედიოსის) სათნოება, სიწმინდე.

აუწყა... ადგილისა მის მიგებად მისა აუწ-ყა იმ ადგილის მიცემა მისთვის.

სათნო ღმრთისად ღვთის მოსაწონი, ღვთის სასურველი.

მოინია ხანძთად... წმიდისა მის ბერისა მოვიდა ხანძთას წმიდა ბერთან.

და ვითარცა იხილეს ერთმანერთი, განიხარეს ფრიად. მაშინ ნეტარმან მან ბერმან ჰრქუა:

— წმიდაო ღმრთისაო, დაღაცათუ დღითა უმრნემეს ხარ, საქმით კულა უხუცეს ხარ ჩემსა, რამეთუ შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყუელთა საცხოვართა ქრისტისთა.

და განთიად მოახილვა ყოველი სანახები ხანძთისაო. და ფრიად შეუყუარდა წმიდასა გრიგოლს. და ვითარცა მოიწია ოპიზას, ახარა ძმათა თჯსთა ხილვად წმიდასა მის ბერისად და სიხარულით მოიწინეს ხანძთად და მოიკითხეს წმიდაო იგი ბერი, ვითარცა ზეცისა ანგელოზი.

მაშინ ჰრქუა ბერმან:

— ან მე აღმითქუამს უფლისადა ვიდრე აღსასრულადმდე ჩემდა მარტოდ მყოფებაო, სულითა კულა თქუენ თანა ვარ და ან ჯერ-არს ჩემდა აღნათქუემისა საქმით აღსრულებაო. ნეტარო კაცთა შორის, არს მახლობელად ჩუენსა ქუაბი მცირე; წარმიყვანე მუნ შენ და ძმათა შენთა, რათა ნეშტი დღეთა ჩემთად მას შინა აღვასრულო, ხოლო ესე აღმითქუთ, რომელ ჩემდა სიკუდიდმდე არა განპმრავლდეთ ადგილსა ამას შინა.

და მათ არღარა იკადრეს ცილობად, არამედ მივიდეს მის თანა ქუაბად და ყვეს ლოცვად.

მაშინ ამბორს-უყვეს ურთიერთას და მისცეს მშკდობად წმიდასა მას ნეტართა მათ და შთამოვიდეს ადგილსა მას ღმრთისა მიერ ჩინებულსა სამონასტრედ.

და ერთობით ჯუარი დასწერეს ადგილსა მას და იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქუეყანისა დავაკებად. რამეთუ კლდტ იგი ხანძთისად უფიცხლტს არს უფროოს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მათ ცული და წერაქ, არცა სხუად ეგევითარი საწმარი, არამედ ოპიზელთა



დღითა უმრნემეს ხარ ასაკით უმცროსი ხარ.

მწყემსი მწყემსი გახდა სიმბოლური გამოხატულება მღვდლისა, რომელსაც თავის „პირმეტყუელთა საცხოვართა“, ანუ მრევლის, სულიერ ცხოვრებაზე ზრუნვა ევალებოდა.

საცხოვარი ცხვარი, ფარა.

ქუაბი გამოქვაბული.

ნეშტი დღეთა ჩემთად დარჩენილი ჩემი დღეები.

ერთობით ერთად.

ჯუარი დასწერეს ჯვარი გადასახეს, აქურთხეს.

კლარჯეთი მხარე სამხრეთ-დასავლეთ სა-

ქართველოში, მდ. ჭოროხის ქვემო წელში, არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე. VIII საუკუნიდან აქდამკვიდრდნენ ბაგრატიონები. კლარჯეთში ბევრი ეკლესია-მონასტერი აშენდა (ამჟამად კლარჯეთი თურქეთის საზღვრებშია მოქცეული).

უფიცხლტს არს უფროოს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა კლარჯეთის უდაბნოს ყველა კლდეზე უმტკიცესია, უმაგრესია (ხანძთის კლდე).

ქმნეს ადგილი იგი დაავაკეს, მოასწორეს ადგილი.

არცა სხუად ეგევითარი არც სხვა რამ. საწმარი აქ: იარაღი.



მამათა მოსცეს ყოველი, რომელი იპოვა წელთა მათთა, და თანაშემწე-ექმნეს ყოვლითა საქმრითა და წორცთა საღუაწითა, რამეთუ მას უამსა სხუად მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა თუნიერ ობიზისა, და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათავსა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა, და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა შეგონებით იწყებს ავტორი თხრობას და რატომ არ მისდევს იგი ამ შეგონებას?
2. რას ეყრდნობა ავტორი და ვისი შემწეობის იმედი აქვს მას?
3. როგორ ფიქრობთ, ტიპურია ამგვარი დასაწყისი ჰაგიოგრაფიული თხზულებისათვის, თუ ეს ავტორის ორიგინალური გადაწყვეტილებაა? (პასუხი დაასაბუთეთ).
4. რა ეპითეტებით მოიხსენიებს ავტორი გრიგოლ ხანძთელს პირველი თავის მეორე აბზაცში? გრიგოლის რომელ დამსახურებას გამოყოფს იგი განსაკუთრებით?
5. რას ვიგებთ გრიგოლის შესახებ პირველი თავის მესამე აბზაციდან? გაიხსენეთ, ვინ იყო ნერსე ერისთავი და ივარაუდეთ, რას შეისისხლხორცებდა გრიგოლი ნერსე ერისთავის კარზე?
6. საიდან ჩანს, რომ გრიგოლს სიყრმიდანვე ფართო შემეცნებითი ინტერესები ჰქონდა?
7. მჭევრმეტყველისათვის აუცილებელი რომელი თვისებით გამოირჩეოდა გრიგოლი სიყმაწვილეში?
8. გადმოეცით თქვენი სიტყვებით გრიგოლის ავტორისეული დახასიათება. როგორ ფიქრობთ, იდეალურ, სრულყოფილ გმირს გვიხატავს ავტორი, თუ ჩვეულებრივ ადამიანს, თავისი ნაკლითა და ლირსებით?

მოსცეს მისცეს.

წორცთა საღუაწი საზრდო ხორცთათვის, საკვები.

მსოფლიონი ერისკაცნი საერო პირები, მოსახლეობა.

არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლვიდეს არც საერო პირები იყვნენ მათ სიახლოვეს.

ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათადა ამ მხარის ახლად გასაშენებლად.

ტაო მხარე სამხრეთ-დასავლეთი საქართველოში. მდებარეობდა მდ. ჭოროხის შუა-

წელზე, VIII-IX საუკუნეებში აქ ბევრი მონასტერი დაარსდა (ბანა, ხახული, ოშკი, პარხალი, ოთხთა ეკლესია და სხვ.) ამ მხარემ კლარჯეთთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა ქართველთა გაერთიანებული სამეფოს წარმოქმნაში.

შავშეთი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარე, რომელსაც შემოსაზღვრავს არსიანის მთა, არტანუჯის კლდე და მდინარე ჭოროხი. IX-X საუკუნეებში აქ მრავალი ეკლესია-მონასტერი აშენდა.

- რას გაგონებთ გრიგოლის გარეგნობის აღწერა: ფრესკას ან ხატს, თუ ფსიქოლოგიური ნიუანსებით შექმნილ პორტრეტს?
- რა მნიშვნელობა ჰქონდა გრიგოლისა და მისი თანამოძმეულისათვის ოპიზაში გატარებულ ორ წელს?



V. ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიად და შემდგომად — საყუდელი თჯსი და თითო სენაკები ძმათა მათთვეს მცირტ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი. და დღითი-დღე აღორძნდებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალსა მუშაკნი მეათერთმეტისა უამისანი მოქმედად ჭეშმარიტსა მას ვენაჯსა და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილე — წმიდათა მონამეთა, მწნდებოდეს რად ღუანლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მონამეთა და უფროვს მათსა, რამეთუ მარტილნი ერთსა ხოლო შინა უამსა ინამნეს, ხოლო ესე ყოველსა უამსა ინამებოდეს სახელისათჯს ქრისტისისა.

მას უამსა ნეტარი იგი ბერი კუედიოს მოხუცებულ იყო ფრიად და მიახლებულ წორცთაგან განსლვად. და დაიძინა ნეტარმან ბერმან.

მაშინ ნებითა ღმრთისათა განმრავლდებოდეს ძმანი ქრისტის მსახურნი. ხოლო მამა გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა, არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, და უკუეთუ იპოვის გულითა უმანკოდ, უზაკუველი და უდრტპნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით. ამისთჯცა ყოველნი მონაფენი მისნი კეთილ იყვნეს ფრიად და ღირსად შემწყნარებელ სათნოებათა მისთა წმიდათა. და ემსგავსებოდეს მოძღუარსა კეთილსა, ვითარცა მოძღუარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა. და ესრეთ კეთილად ცხონდებოდეს იგინი სულიერად, ხოლო წორციელად დიდსა იწროებასა იყვნეს.

ძელი „ხე მოკვეთილი“ (საბა).

საყუდელი სამყოფელი, სენაკი.

საოსტიგნე საკუჭაო, აქ: სატრაპეზო, პურიბის ადგილი.

აღორძნდებოდეს ძმანი იზრდებოდა ძმობა.

თანაზიარ იქმნებოდეს უთანასწორდებოდნენ, უტოლდებოდნენ.

პირველნი იგი მართალი ადრინდელი წმინდანი, ჭეშმარიტების გზაზე იმთავითვე დამდგარნი, ე. წ. „განთიადის მუშაკნი“.

იქმნებოდეს... მონაწილე წმიდათა მონამეთა ხდებოდნენ... წმინდა მონამეთა

ღვანლის მოზიარე.

მწნდებოდეს რად ღუანლსა მას მონაზონებისასა როცა განმტკიცდებოდნენ ბერული ღვანლით.

წორცთაგან განსლვა სიკვდილი.

დაიძინა განისვენა, გარდაიცვალა.

უდები ზარმაცი, დაუდევარი.

უკუეთუ იპოვის თუ ნახავდა.

უზაკუველი მართალი, უბოროტო.

წადიერად მონადინებით.

იყვნეს ღირსად შემწყნარებელ სათნოებათა მისთა წმიდათა ითვისებდნენ მის (გრიგოლის) სათნოებას.



VI. და მათ უამთა იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული. ესე აზნაური შემცულ იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა, და ყოველსა ზედა საქმესა განმარჯუებითა და კეთილად მორწმუნებითა ქებულ იყო.

ამას აქუნდეს ზოგნი სოფელი მახლობელად ვანსა ნეტარისა გრიგოლისა, რომელმანცა მოწაფეთა თჯსთა უპოვარებად იხილა რაღ, მიიწია ნებითა ღმრთისათა სახლსა გაბრიელ დაფანჩულისასა და, ვითარცა ესმა მისლვად ამის ნეტარისა, აღდგა და მიეგება წინა გაბრიელ, აზნაური მეფისა, და თაყუანის-სცა სიხარულით. წმიდამან ჯუარი დასწერა ყოველთა და დაჯდა. მაშინ გაბრიელ ჰრებუა წმიდასა მას:

— ღირსო მამაო, ჩუენ თანა არს ჭიორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესენი შევზავნეთ ურთიერთას. თქუენ მონაწილე-გუყვენით წმიდათა ღოცვათა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა, და ძუალი ჩუენნი ღირსყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა. და ვითარცა მიცვალებულთა მამათათჯს ხანძთავ განმინესებია, ეგრეთვე იყოს სამარხავი მიცვალებულთა დედათავ ან შენებულსა მას.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ძიება-ყო გულსმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობელად, ჯუარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათავ, რომელსა ან ჰრებუან გუნათლის ვანი.

ხოლო გაბრიელ, დიდებულმან აზნაურმან, ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამავ გრიგოლ და მოსცინა კირითხურონი და

აშოტ კურაპალატი აშოტ I კურაპალატი (მოკლეს 826 წ.), ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მამამთავარი. IX საუკუნის 20-იან წლებამდე იყო ქართლის ერისმთავარი. ებრძოდა არაბებს. შემდეგ გადაინაცვლა ტაო-კლარჯეთში, რომელიც ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის სფეროში იყო მოქცეული. მიიღო კურაპალატობა. განაახლა და თავის რეზიდენციად აქცია არტანუჯის ციხე-სიმაგრე. ქართველთა მეფებად წოდებულმა მისმა მემკვიდრეებმა სათავე დაუდეს ბაგრატიონთა დინასტიას. IX საუკუნიდან ბიზანტია კურაპალატობას განსაკუთრებული დამსახურებისთვის უცხოელებსაც უბოძებდა ხოლმე. პირველი კურაპალატი ქართველ მეფე-მთავართა შორის იყო აშოტი.

შემდეგ კურაპალატობა ეძლეოდათ ბაგ-

რატიონთა გვარის სხვა წარმომადგენლებსაც.

აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა კურაპალატის კარზე წარჩინებული პირი.

ახოვნება „ტანად დიდ ძლიერება“ (საბა), სიმხნე, სიმამაცე.

უპოვარებამ სიღატაკე.

ჭიორციელი კეთილი მატერიალური კეთილდღეობა, ამქვეყნიური სიმდიდრე.

იყოს სამარხავი... ან შენებულსა მას იყოს სამარხი (განსასვენებელი), ახლა რომ შენდება (მონასტერი), მასში.

გუნათლე ადგილი ელარჯეთში.

ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა დიდი ძლიერებით გამოუშვა.

მოსცინა კირითხურონი მისცა კალატოზები.

ნივთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშენებელად. და ესრეთ მოვიდა მამავ გრიგოლ თვესა ვანსა და განიხარეს მოწაფეთა მისთა, მადლი მისცეს ქრისტესა და ულოცვიდეს მოღუანეთა მათ.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოდ დაავაკა. და ჯუარი დასწრება ადგილსა წმიდისა ეკლესიისასა და იწყეს შენებად. და ესრეთ კეთილად განსრულდა ძუელი იგი ეკლესიად ხანძთისად შეწევნითა ქრისტესითა, და მეოხებითა წმიდისა გიორგისითა, და ლოცვითა ნეტარმანისა მამისა გრიგოლისითა, ხოლო ჭირციელად მოღუანებითა დიდებულისა გაბრიელ მთავრისადთა და ყოველთა მართლმორნმუნეთადთა.

მას უამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა. და ესრეთ განმრავლდეს მსახურნი წმიდისა სამებისანი და მარადის მადლიდებელნი.

ხოლო სანატრელი და სასწაულთა მიერ შემკული დედავ ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკვდრა მერეს შინა. და ლირსად ცხორებისა და სულიერად განგებისა მისისა არა იყო საზღვარ. და საღმრთოთა სიყუარულითა წმიდითა ერთზრახვა და მეგობარ იყვნეს ფრიად ნეტარნი ესე კაცნი: დედავ ფებრონია და მამავ გრიგოლ.



დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა სიძნელეებს შეეჭიდნენ ბერები ხანძთის ეკლესიის შენებისას?
2. რა მსგავსება და რა განსხვავებაა, ავტორის აზრით, მარტვილთა და ბერ-მონაზონთა შორის?

მადლი მისცეს ქრისტესა მადლობა შესწირეს ქრისტეს.

ულოცვიდეს მოღუანეთა მათ ლოცვადნენ ბერები.

კეთილად განსრულდა... ეკლესიად დასრულდა ეკლესიის მშენებლობა.

მეოხებითა შემწეობით (წმინდანი, რომლის სახელზეც შენდება ეკლესია, მიიჩნევა ამ ეკლესიის მფარველადაც და თვით მშენებლობის შემწედაც).

ჭორციელად მოღუანება მატერიალური დახმარება.

სასწაულთა მიერ შემკული სასწაულმოქმედი, სასწაულთა შემძლევა.

დედავ მოწესე ქალი („მონაზონი“ იმხანად

ეწოდებოდა ქალსაც და კაცაც).

მამავ მოწესე მამაკაცი, ბერი.

სამცხე მხარე სამხრეთ საქართველოში (დღევანდელი ახალციხის, ასპინძის, ადიგენის მიდამოებიდათურქეთის მომიჯნავე ტერიტორია).

მერე დედათა მონასტერი კლარჯეთში.

ლირსად ცხორებად სიწმინდით, სათნოებით ცხოვრება.

სულიერად განგებად სულიერი ცხოვრების წარმართვა, ზრუნვა.

არა იყო საზღვარ უსაზღვრო იყო.

ერთზრახვა თანამოაზრე.

3. რა იყო ბერების ძმობაში მიღების ძირითადი პირობა? თქვენი აზრით, რატომ არჩევდა მამა გრიგოლი ასე მკაცრად ძმობის წევრებს?
4. ვის ემსგავსებოდნენ, ავტორის აზრით, მამა გრიგოლის მოწაფეები? ვის ემსგავსებოდა მათი მოძღვარი?
5. ვინ საუბრობს „წორციელი და სულიერი კეთილის“ შეზავების აუცილებლობაზე? როგორ შეისხა ხორცი ამ გამონათქვამა?
6. რას დაუდო სათავე ხანძთის მონასტრის დაარსებამ?
7. ვინ იყო დედა ფეხბრონია?



VII. ამისა შემდგომად ღმრთისამსახურსა მეფესა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსება, და უცხოვება, და უქმსა უდაბნოსა მონასტრისა შენება, და მოწაფეთა მისთა სათნოება და მოწაფეთაგანვე ცნობა დიდებულებისა და მშობელთა მის მშობელთა. ესე ყოველი ვითარცა გულისჯმა-ყო კეთილად მსახურმან კურაპალატმან აშოტ, მსწრაფლ ხოლო დაწერა ებისტოლტ ჭელითა თჟითა და კაცი ერთი კეთილი წინაშე-მდგომელთაგანი და ერთი გაბრიელის მსახურთაგანი სწრაფით წარმოავლინნა მამისა გრიგოლის წინაშე. და ვითარცა წარიკითხა წიგნი კურაპალატისა, პატივით მოწერილი წოდებისა, ნეტარმან მამამან და კაცთა მათგანცა ცნა ყოველი, მუნთქუესვე წარვიდა ჭელმნიფისა მის წინაშე და, მი-რაღ-ინია პალატად, მოეგბნეს ძენი კურაპალატისანი. და ვითარ მივიდა კარსა ტაძრისა მათისასა, მამინ კურაპალატი ზე აღდგა და წინა მოეგება ნეტარსა მამასა გრიგოლს და დიდითა სიმდაბლითა მოიკითხეს ერთმანერთი და დასხდეს. ხოლო კურაპალატმან ჰერქუა:

— ღმრთისამიერი კურთხევად პირითა შენითა იყავნ ჩუენ ყოველთა ზედა, წმიდაო!

და მან თქუა:

— გაკურთხენინ ყოველნი პირმან ქრისტისმან და ყოველთა წმიდათამან, რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყუად ესე:

უცხოვება წუთისოფლისაგან განდგომა, განდეგილობა.

აუწყა... მოწაფეთაგანვე ცნობა დიდებულებისა წმიდისა მის მშობელთა შეატყობინა, მოწაფეთაგანვე რომ ჰქონდა გაგებული მისი მშობლების დიდგვა-ოვნება.

გულისჯმა-ყო გაიგო, შეიტყო.

კეთილად მსახური კეთილმორწმუნე. ებისტოლტ წერილი.

წინაშე-მდგომელი კარისკაცი.

წიგნი... წოდებისა მიპატიუების წერილი.

კაცთა მათგანცა ცნა ყოველი იმ კაცებისგანაც შეიტყო ყველაფერი.

მუნთქუესვე მაშინვე, იმავ წამს. მი-რაღ-ინია პალატად როგორც კი სასახლეში მივიდა.

ზე-აღდგა წამოდგა.

ღმრთისამიერი კურთხევად პირითა შენითა იყავნ ჩუენ ყოველთა ზედა შენი პირით ღვთის კურთხევა იყოს ჩვენზე, დაგვლოცე ჩვენ ყველანი.

„სადა არს პატივი მთავრობისაა, მუნ არს მსგავსებაა ღმრთებისაა“.

დავით წინავსნარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჯელმნიფეო, მეფობაა და სათხოებანიცა მისნი დაგიმკვდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათვისცა ამას მოგაწინება: არა მოაკლდეს მთავრობაა შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამათ უკუნისამდე უამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროვს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე!

ამისა შემდგომად კაცმან მან მოციქულმან წარმოთქუა ქებად ხანძთისაა, ვითარმედ:

— კეთილ არს უდაბნოდ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქეს მას წყაროდ მდიდრად გამომდინარე, შუენიერი, გრილი და ჰამოვ, და მაღნართა სიმრავლი ურიცხვ და მცირედი რამე სხუადცა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოვსა, ხოლო სათესავი ყანად და სათიბელი ქუეყანავ რაითურთით არა არს, არცა იქმნების ღირღოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთასა.

ესევითარცა ესმა დიდებულსა კურაპალატსა, შენირნა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა. მაშინ სამთა მათ დიდებულთა ძეთა კურაპალატისათა — ადარნერსე და ბაგრატ და გუარამ — შენირეს თითოეულად, რამცა საჭმარი მონასტერსა მისა უწმდა, ყოველი უხუებით.



სადა არს პატივი მთავრობისაა, მუნ არს მსგავსებაა ღმრთებისაა ვისაც მთავრობის პატივი აქვს მინიჭებული, ის ღვთის მსგავსია; ხელისუფალი ღვთით არის მოვლენილი.

უფლისა მიერ ცხებული, ბიბლიის მიხედვით, ებრაელთა მეფე, დავით წინასწარმეტყველი, ფსალმუნთა ავტორი. ბიბლიი მოვითხრობს, რომ ღმერთმა სამოელ წინასწარმეტყველს აავსებინა რქა (ჭურჭელი) ზეთით და გააგზავნა ბეთლემს ებრაელთა უხუცესთან, იესესთან, რათა ზეთი ეცხო იესეს შვილებს შორის ღვთისაგან გამორჩეულისათვის, რომ იგი გამეფებულიყო და ღვთის ნებით წარემართა ებრაელი ხალხის ცხოვრება. სამოელმა იესეს ძეთაგან ზეთი სცხო უმცროსს, დავითს. ამიტომ ეწოდებოდა დავითს „უფლისა მიერ ცხებული“, ე. ი. ღვთის რჩეული.

დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჭელმნიფეო ბაგრატიონთა სამე-

ფო დინასტიას ქართული ტრადიცია უკავშირებდა ბიბლიურ მეფეებს, კერძოდ, დავითს — ცხებულ მეფესა და წინასწარმეტყველს. ბიბლიური დავითის შთამომავლად ქართველ ბაგრატიონთა პირველი აღიარება გრიგოლ ხანძთელის ეს მიმართვა ამოტ კურაპალატისადმი, რომელიც ბაგრატიონთა დინასტიის საფუძვლის ჩამყრელი იყო.

დაგიმკვდრენ დაგიმკვიდროს, მოგანიჭოს.

ნუგეშინის-საცემელი აქ: საზრდო.

ძალისაებრ მის უდაბნოვსა უდაბნოს შესაფერისად, რაც კი შეიძლება უდაბნოში მოიპოვებოდეს.

ღირღოლოვანი უსწორმასწორო ზედაპირის მქონე, ოღროჩოღრო.

ფიცხელი აქ: მიუვალი, ციცაბო.

ღადო ღორღიანი, ძნელად სავალი ადგილი.

აგარაკი სახნავ-სათესი მინა.



VIII. და ვითარცა წორციელად შეემატებოდა, ეგრეთვე სულიერად შეეძინებოდა რიცხუსა მას წმიდათა კაცთასა, რამეთუ მას უამსა მოვიდეს მამავ ეტკფანე და მღდელი მატოვ ქართლით და დიდი ზენონ — სამცხით.

ხოლო ზენონ შვილი იყო საჩინოსა ვისიმე კაცისად და ღმრთისმსახურებით აღზრდილ იყო და სიწმიდით იქცეოდა, რამეთუ საღმრთო შური მკუდრ იყო მის შორის, და სწადოდა მონაზონებავ. და ვითარცა აღლესრულნეს მშობელნი მისნი, მონაგები მათი დაუტევეს ზენონს და დასა მისსა, რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა. და ზენონ გულს-ეტყოდა, რამთამცა მამული და დედული მონაგები დასა თჯსსა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თჯთმცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა. და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, და იგი მისი ეშმაკის განმარჯუებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდეს შავშეთს. ხოლო ზენონ, ვითარცა ცნა, შეიჭურა საჭურველითა მარტოდ და ამჟედრდა ცხენსა და დევნა-უყო. და ვითარ დიდი ქუეყანად ვლო, თქუა გულსა თჯსსა, ვითარმედ:

— ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს. დაღაცათუ ვენიო და მოვკლა, საპრე არს სულისა ჩემისა და, უკუეთუ ცუდად უკუნ-ვიქცე სახედ ჩემდა, სირცხვლ არს ჩემდა. არამედ აღთქუმავ მონაზონებისა ან აღლუსრულო უფალსა.

და ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებამ სისხლთა დათხევასა ემსგავსების. და დაინერა ჯუარი წორცთა თჯსთა და წარემართა საღმრთოსა მას გზასა და მიინია წინაშე დედისა ფებრონიასა მერეს, რამეთუ იყო იგი სახლისა მისისად. და ნებითა ღმრთისადთა მუნ იყო მამავ გრიგოლ. და დედამან ფებრონია შეაწყნარა წმიდასა მას, უმანკოდ იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა, რომელმანცა მოიყვანა ხანძთად.

შვილი იყო საჩინოსა ვისიმე კაცისად ვიღაც წარჩინებული კაცის შვილი იყო.

საღმრთო შიში მკუდრ იყო მის შორის ღვთასმოშიში იყო.
მონაგები ქონება.

რომელიცა იყო სახლსა შინა მის თანა რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა.
ნებისაებრ მისისა მისი (დის) ნებისამებრ, სურვილისამებრ.

თჯთმცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა თვით ბერად შემდგარიყო განმარტოებით. ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა ეშმაკისაგან იძლია.

უკეთური „ესე არს მჩემებელი კეთილისა და მოქმედი ბოროტისა“ (საბა), აქ: უზნეო, გარყვნილი.

ღამე ყოველ წარვიდეს მთელი ღამით წავიდნენ.

შეიჭურა საჭურველითა აისხა იარალი. საპრე არს სულისა ჩემისა მახეა, საფრთხეა ჩემი სულისთვის.

უკუეთუ ცუდად უკუნ-ვიქცე სახედ ჩემდა თუ შინ დავბრუნდები განბილებული.

ან აღლუსრულო ახლა აღვუსრულებ. ახოვან იქმნა განმტკიცდა, გაძლიერდა, გამხნევდა.

დაინერა ჯუარი წორცთა თჯსთა პირჯვარი გადაისახა.

იყო იგი სახლისა მისისად მისიანი იყო, ენათესავებოდა.

დედამან ფებრონია შეაწყნარა წმიდასა მას უმანკოდ იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა დედა ფებრონიამ შეავედრა და ჩააბარა უმანკო კრავი (ზენონი) მას, კეთილ მწყემსს (გრიგოლს).

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. როგორ შეხვდნენ მამა გრიგოლს სამეფო კარზე? რამ განაპირობა ასეთი შეხვედრა?
2. რომელი სიტყვებით გამოხატა გრიგოლმა რწმენა იმისა, რომ მეფე ლვივ-ცხებულია?
3. რა დახმარება გაუწია აშოტ კურაპალატმა ხანძთის ძმობას?
4. რა არჩევანის წინაშე იდგა ზენონი? როგორ აფასებს ავტორი მის გადაწყვეტილებას? (დაიმოწმეთ ტექსტიდან შესაბამისი მონაკვეთი).
5. რომელ ბიბლიურ სახე-სიმბოლოებს იყენებს ავტორი და რა კონტექსტში?

IX. ხოლო მამად გრიგოლ გულს-ეტყოდა, ვითარმედ:

— წეს-არს წესი საღმრთოდ საეკლესიოდ ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი.

ამისთვის განიზრახა წარსლვად ქრისტის საჭურჭლედ, მეორედ იერუსალიმდ, რომელ არს კოსტანტინეპოლისი, და ყოველთა საჩინოთა საბერძნეთისა წმიდათა ადგილთა მოხილვად და ლოცვად. მას უამსა იერუსალემს წარმავალი ვინმე პოვა მეგობარი თჯის და მას დაჰვედრა საბანმიდისა წესისა დაწერად და წარმოცემად. და ძმათა თჯისთა კაცნი მოღუაწენი უჩინნა და მშედობად დაუტევა მათ და აღუთქუა კუალად ადრე მოსლვად.

და თანა წარიყვანნა საბა, დედის დისწული თჯის, და ერთი ვინმე სხუად მოწაფე. და წარემართა საბერძნეთად და მოიწია კოსტანტინეპოლის და თაყუანისა-სცა ძელსა ცხორებისასა და წმიდათა ყოველთა წაწილსა. და სიხარულით მოვლნა ყოველნი წმიდანი ადგილი სალოცველი, რამეთუ მრავალთა ენათა წურთილ იყო იგი. და ესრეთ აღმოივსო გული მისი სიმდიდრისაგან დაუბეჭდველისა

წეს-არს წესი საღმრთოდ საეკლესიოდ ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად მიღებულია (წესია), რომ ჩემს ეკლესიაში (მონასტერში) სამონასტრო წესი (განჩინება) დაწესდეს.

წესი... ბრძენთაგან განუკითხველი
ბრძენთაგან განუსჯელი, ბრძენთაგან ვერდასაწუნი წესი.

საჭურჭლე საგანძურო.

კოსტანტინეპოლისი კონსტანტინოპოლი (კონსტანტინეს ქალაქი). რომის იმპერიის დედაქალაქი 330 წლიდან, შემდეგ კი ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი. ჰაგიოგრაფი კონსტანტინოპოლის „მეორე იერუსალიმს“ (სხვა იერუსალიმს) უწოდებს, რადგან იგი ქრისტიანული კულტურის უმთავრეს კერად იქცა.

დაჰვედრა შეევედრა, სთხოვა.

საპანმიდა კულტურის ერთ-ერთი უდიდესი კერა პალესტინაში. საბანმიდის მონასტერი V საუკუნის 80-იან წლებში დააარსა წმიდა მამამ საბა განწმედილმა. ქართველები იქ VI საუკუნეში დამკვიდრდნენ. დაწერად აქ: გადმოწერა.

წარმოცემად აქ: ჩამოტანა.
ძმათა... კაცნი მოღუაწენი უჩინნა ძმებს ზედამხედველები, მზრუნველები მიუჩინა, განუწესა.

მშედობად დაუტევა გამოემშვიდობა.

კუალად... მოსლვად დაბრუნება.

ძელი ცხორებისა ჯვარი ქრისტესი (გადმოცემის თანახმად, რომის იმპერატორის კონსტანტინე დიდის დედამ, ელენე დედოფალმა, იერუსალიმიდან ბიზანტიიაში ჩაიტანა ქრისტეს ჯვარი. ავტორის თქმით, გრიგოლ ხანძთელმა თაყვანი სცა მას).



ახლისა შჯულისა, და სულითა მადლისავთა განმხიარულებულნი წარმოემართნეს საყოფელად თუსა.

და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა, და მის წილ ჭელმწიფებენ ძენი მისნი. მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთისმსახურისა მის ჭელმწიფისა დაცემისათვა. ხოლო ნეტარი გრიგოლ გლოით იტყოდა:

— ჰოვ, მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო! სადახთ-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ჭელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკურველი ეგე დიდებული ღმრთისმსახური ჭელმწიფც.

და ვითარცა მოიწინეს მახლობელად იშხანსა, გამოეცხადა ღმრთისა მიერ ნეტარსა გრიგოლს და ღირსასა საპას იშხნისა პირველი დიდებულებად, და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ ჭელითა საბანისითა, და ეცნობა გზამცა მისავალად, რამეთუ მის უამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი. და მირაღ-ვიდეს იშხანს, ფრიად უხაროდა პოვნამ დიდებულისა მის ადგილისაც. რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინის-საცემელი სულიერი და წორციელი. და საპას მუნთქუესვე გულს-ედვა დადგომაც, ხოლო ნეტარმან გრიგოლ ჰრექუა:

— ძმაო, პირველად ვიხილნეთ ძმანი ჩუენნი ხანძთას შინა მყოფნი და ნებითა ღმრთისავთა და ლოცვითა მათითა კუალად მოიწიო ადგილსა ამას წმიდასა.

დაუბეჭდველი ახალი სჯული ახალი აღთქმის არაკანონიკური წიგნები (ბიბლიის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესი იყო თანდათან დადგინდა ბიბლიის კანონიკური, ანუ ეკლესიის მიერ აღარებული, წიგნები). როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის ზოგი წიგნი არ იქნა კანონიკურად მიჩნეული. არაკანონიკურ წიგნებს დაუბეჭდველი ენოდებოდა, კანონიკურს კი — დაბეჭდული).

მოკლა მოკლეს (აშოტ კურაპალატი მოკლეს შინაგამცემლებმა 826 წელს).

მის წილ ჭელმწიფებენ მის ნაცვლად მეფობენ.

დაცემა აქ: მოკვლა, დამხობა.

ზღუდული ქრისტეანეთად სიმაგრე, სიმტკიცე ქრისტიანთა.

სადახთ-მე მოგელოდი საიდან მოგელოდე.

აღმოსავლით-მე... ჩრდილოხთ-მე... აღმოსავლეთიდან? ჩრდილოეთიდან? (-მე კითხვითი ნაწილაკია).

რომელიცა წყობით ჭელმწიფეთა დაიმორჩილებდ რომელიც ხელმწიფებს იმორჩილებდი ბრძოლით.

პირველი აქ: ადრინდელი.

კუალად განახლებად არს პირველებრ ჭელითა საბანისითა ადრინდელივით უნდა განახლდეს საბას მიერ.

ეცნობა გზამცა მისავალად მისასვლელი გზაც ეცნობათ.

მი-რაღ-ვიდეს რომ მივიდნენ.

ნუგეშინის-საცემელი აქ: საზრდო.

მუნთქუესვე მაშინვე, დაუყოვნებლივ.

გულს-ედვა დადგომაც სურდა დარჩენა.

კუალად მოიწიო ადგილსა ამას წმიდასა ისევ მოხვალ ამ წმინდა ადგილას.

და მიერ წარმოსლვასა მათსა მიიწინეს წინაშე ძეთა კურაპალატისათა და დაულოცეს ნუგეშინისცემით სიკუდილისათვეს მამისა მათისა. და ესრეთ მოვიდეს ხანძთად, მონასტრად თვისა.

და შემდგომად მცირედთა დღეთა საბა განუტევა იშხანს და ორნი მონაფენი მისცნა მას.

X. მაშინ იერუსალემით მოიწია კაცი, რომელმან მოართუა საბაშიდისა განგებად დაწერილი.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განაწესა წესი თჯსისა ეკლესიისად და მონასტრისად, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრნყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასც დაულევნელთა კეთილთავ.

არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუქინისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთავ, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი, და შეურაცხი საგებელი და თითოვ სარწყული წყლისათვეს. ხოლო სხუად ნუგეშინის-საცემელი წორცთავ არა აქუნდა საჭამადისად და სასუმადისად ყოლადვე. არამედ რომელი ტრაპეზისა ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხორებად მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს და გამოსახული და რომელიცა მიიღებდეს, მცირედ იქუმევდეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა ალეგზებოდა, და არცა ღამე სანთელი აღანთიან, არამედ ღამე იყო ფსალმუნებად და დღისი — წიგნის კითხვად და ლოცვად მარადის.



მიერ წარმოსლვასა მათსა იქიდან მათი წამოსვლისას, დაბრუნებისას.

დაულოცეს ნუგეშინის-ცემით სიკუდილისათვეს ლოცვით ანუგეშეს სიკვდილის გამო, მიუსამძიმრეს.

საბაშიდისა განგებად საბაშინდის მონასტრის წესდება (განჩინება).

დაწერილი აქ: გადმოწერილი.

სიბრძნით განსაზღვრებული ბრძნულად შედგენილი.

მეცნიერებით განბრნყინვებული ცოდნით გასხივოსწებული.

ყოველთაგან წმიდათა ადგილთა

გამორჩევით შეკრებული ყველა წმინდა ადგილიდან (მონასტრერთაგან) გამოკრებილი.

საფასც დაულევნელთა კეთილთავ დაუშრეტელი სიკეთის საუნჯე.

პირველთა მათ დღეთა... გრიგოლისთა გრიგოლის მოვანეობის დასაწყისში.

კანონი წესი, განჩინება, განგება.

შეურაცხი საგებელი ღარიბული, უბრალო ქვეშაგები.

სარწყული „სარწყული არს ჭურჭელი წყალთა“ (საბა).

ყოლადვე სრულიად.

სხუად ნუგეშინის-საცემელი წორცთავ არა აქუნდა საჭამადისად და

სასუმადისად ყოლადვე სხვა საზრდო არაფერი ჰქონდათ: არც საჭმელი და არც სასმელი.

ტრაპეზი აქ: სუფრა. „ბერძულად ტაბლას ჰქიან“ (საბა).

ერთბამად ჭამიან ერთად ჭამდნენ ხოლმე.

მით იყო ცხორებად მათი ამით (საერთო სუფრით) ცხოვრობდნენ.

მცირედ იქუმევდეს ცოტას იგემებდნენ. საკუამი საკვამური..

ღამე იყო ფსალმუნებად ღამით იყო გალობა.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. სად და რა მისით გაემგზავრა მამა გრიგოლი? რა უწყობდა ხელს მას ამ მოგზაურობაში?
2. რა არის „ძელი ცხორებისა“?
3. დააკვირდით მამა გრიგოლის მიერ წარმოთქმულ გლოვის სიტყვებს. რით გამოიჩინა ეს ადგილი დანარჩენი ტექსტიდან?
4. რატომ არ დაეთანხმა მამა გრიგოლი საბას სურვილს, მაშინვე დარჩენილიყო იშხანში? მისი რა თვისება გამოჩნდა ამ ეპიზოდში?
5. როგორ აფასებს ავტორი მამა გრიგოლის მიერ შედგენილ წესდებას? (რა ეპითეტს იყენებს იგი?).
6. გადმოეცით, როგორ აღნერს ავტორი გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა ცხოვრებას. თქვენი აზრით, რატომ იყო ასეთი მკაცრი მონასტრის წესგანგება?

XI. ხოლო პირველითგან მოყუასთა მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლისთა — თეოდორეს და ქრისტეფორეს — აქუნდა გულსა მათსა საღმრთო შური მონასტრისა შენებისად და არა გამოუცხადეს მამასა გრიგოლს განზრახვად მათი, არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანა ძმანიცა ვინმე წარჟყვეს.

და ვითარ მოიწინეს სამცხეს, ბრძანებითა ღმრთისათა ძველი დიდისა მირეან აზნაურისად დაიმონაფეს, სახელად არსენი. ხოლო ყრმად იგი მცირები იყო ჟამითა, ვითა ექუსისა წლისად, და სახლსა შინა მამისა თუსისასა იზარდებოდა. არამედ კაცთა მათ ღმრთისათა განზრახვითა მირეანისითა მოწესეთა სამოსლითა შემოსეს ყრმად იგი. და წარვიდეს აფხაზეთად. ხოლო მეფემან აფხაზთამან დემეტრე დიდითა პატივითა პატივ-სცა და ადგილსა კეთილსა დაამკადრნა.

საღმრთო შური საღვთო მონდომება.
არსენი არსენი I დიდი, საფარელი. IX საუკუნის ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი.
ყრმადიგი მცირები ჟამითა პიჭი პატარა იყო ასაკით, მცირენლოვანი იყო.
ვითარ ექუსისა წლისად დაახლოებით ექვსი წლისა.
კაცნი იგი ღმრთისანი ბერები.
მოწესეთა სამოსელი ბერის სამოსელი.

მეფე აფხაზთა დემეტრე დემეტრე II, აფხაზთა სამეფოს (დასავლეთი საქართველოს) მეფე (დაახლ. 825-861 წლებში). იღვწოდა ქართლიდან არაბთა განდევნისათვის, საქართველოს გაერთიანებისათვის. ცდილობდა ქართლის კათალიკოსის გავლენა გაეძლიერებინა დასავლეთ საქართველოში. სწორედ ამ მიზნით დაფუძნებინა გრიგოლ ხანძთელს დასავლეთ საქართველოში უბის მონასტრი.

XII. და რაუამს ცნა ნეტარმან გრიგოლ წარსლვად თეოდორესი და ქრისტეფორესი, შენუხნა ფრიად და თანა წარიყვანნა ოთხნი ძმანი და წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი კეთილი. და ვითარ მოიწია ქართლისა სანახებსა, ნებითა ღმრთისათა ძიებასა მას ძმათასა პოვა ეფრემ ყრმა. ესე ეფრემ, ღირსი ღმრთისად, დაიმოწაფა ნეტარმან გრიგოლ და უბრძანა ესრეთ:

— რაუამს მოვიქცე აფხაზეთით, თანა წარგიყვანო შენ ხანძთად.

და თკთ წარემართა აფხაზეთს. და მი-რავ-იწია წინაშე ჭელმწიფისა მის, ზე აღდგა და წინა მოეგება და სიმდაბლით მოიკითხა. ხოლო წმიდამან განგრძობილად ულოცა და მრავლითა კურთხევითა შეამკო.

და ნეტარმან გრიგოლ ჰრეკუა:

— მეფეო ღმრთისმასახურო და დიდებულო, მოწევნულ არიან წმიდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაშე შენსა და მათთვის არს მოსლვად ჩემი აქა. არამედ ბრძანენ ჭელმწიფებამან შენმან და მოვიდენ იგინი ჩუენდა.

ხოლო მეფესა დაუმძიმდა ძიებად მათი და ჰრეკუა:

— არა მოსრულ არიან აქა ეგევითარნი მონაზონნი, რომელთასაცა ბრძანებს სიწმიდე შენი.

მაშინ ნეტარი მამად გრიგოლ სიტყუასა ზედა მეფისასა განრისხნა და ჰრეკუა:

— მეფეო, ნუ შრომასა შემამთხუევ, მომცენ ძმანი ჩემნი, რომელნიცა მოიწინეს შენდა!

და ვითარ ღონის სიტყუად არღარა აქუნდა მეფესა მართლმხილებისაგან მის წმიდისა, უბრძანა მოყვანებად ძმათად მათ.

და ვითარ იხილეს მამად გრიგოლ, შეუვრდეს ცრემლით. ხოლო წმიდამან მან აღადგინნა და შეიტკბნა სიყუარულით და ჰმადლობდა ქრისტესა პოვნისა მათისათვის.

და მეფემან მან ჰრეკუა ნეტარსა გრიგოლს:

— წმიდაო მამაო, აპა, იქმნა წადიერებად ნებისა შენისად, არამედ უფალმან ყავნ ნებადცა გულისა ჩემისად, რამეთუ მაქუს სულსა ჩემსა



რაუამს მოვიქცე აფხაზეთით

აფხაზეთიდან რომ დავბრუნდები.

მი-რავ-იწია წინაშე ჭელმწიფისა მის

როცა მივიდა ხელმწიფესთან, წარდგა რა ხელმწიფის (დემეტრეს) წინაშე.

განგრძობილად ულოცა დიდხანს ლოცავდა.

მოწევნულ არიან მოსულნი არიან.

მოვედინ იგინი ჩუენდა მოვიდნენ ჩვენთან ისინი.

დაუმძიმდა გაუჭირდა, გაუძნელდა.

მართლმხილებისაგან მის წმიდისა წმინ-

დანის (გრიგოლის) მიერ სამართლიანი მხილების გამო.

შეუვრდეს ცრემლით აცრემლებულები დაემსნენ მის ფეხებთან.

აღადგინნა წამოაყენა (ისინი).

შეიტკბნა სიყუარულით სიყვარულით ჩაიხუტა (ისინი).

იქმნა წადიერებად ნებისა შენისად აღსრულდა შენი სურვილი.

უფალმან ყავნ ნებადცა გულისა ჩემისად უფალმა შეასრულოს ჩემი სურვილიც.

მაქუს სულსა ჩემსა მსურს, მწადია.



მონასტრისა ახლად შენება. ან ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და, სადაცა სიწმიდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი.

და მოვლნეს ქუეყანანი საგონებელნი სამონასტრედ და არა სთნდეს წმიდასა მას. და შეწუხნა ფრიად მეფუ იგი ამის მიზეზისა-თუს. მაშინ მამამან გრიგოლ სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბჟ, და ილარიონ ვინმე, იერუ-სალემით მოსრული, სარწმუნო მოხუცებული, დაადგინა მამასახ-ლისად, რამეთუ ხანძთით წარყოლილ იყო იგი თეოდორეს და ქრის-ტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნი. და მამამანცა გრიგოლ თვისნი წიგნი, რომელ აქუნდეს, და-ვე-უტევნა მონასტერსა მას. ხოლო წელმწიფე იგი სიხარულითა აღივსო მონასტრისა მის შენებისათვის და შენირა საშენებელად მისა ფრიად შესაწირავი.

XIII. ხოლო უამსა წარმოსლვისა მათისასა გამოჰკითხა მეფემან დემეტრე მამასა გრიგოლს გულსმოდგინედ სახც კლარ-ჯეთისა უდაბნოთად. და მამამან გრიგოლ ჰრეკუა მას:

— ღმრთისმსახურო მეფეო, ვთქუა მრავლისაგან მცირედი ესრეთ, რამეთუ: ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანად უდაბნოთად მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრი-ადი სიცხც შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნო-ტიოო, უხორშაკოო, უმინოო, მზუარც. ხოლო წყალი კეთილი და შეშაა ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქვშათა მათ შინა, ურიცხვ მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამო-თაა, ბუნებით მხიარულებად მიცემულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მი-უვალ რამთურთით სოფლისა წესითა მცხორებელთაგან. და მო-

არა სთნდეს წმიდასა მას წმინდანს (ისი-ნი) არ მოეწონა.

სარწმუნოებისაებრ მეფისა მეფის შეხე-დულებისამებრ.

უწოდა სახელი მისი უბჟ სახელად უწოდა უბჟ (უბჟ უბისი. IX საუკუნის სამონასტრო კომპლექსი დასავლეთ საქართველოში, მდ. ძირულას ხეობაში).

სარწმუნო მოხუცებული სანდო, ლირსეული მოხუცი.

წარყოლილ იყო... თანა თან გაპყოლოდა. და-ვე-უტევნა აგრეთვე დაუტოვა (წიგნები).

შესწირა საშენებელად მისა ფრიად შე-სანირავი უხვად გაიღო მის ასაგებად შე-წირულება.

ბუნებით ერთგუამ არს ბუნებით ერთნაირია, ერთგვარია. განწესებით დგას თვისსა საზღვარსა არ გადასცდება ზღვარს, ზომიერია. უნოტიოო მშრალი.

უხორშაკო ცხელი ქარებისაგან დაცული.

უმინოო უმტვერო. მზვარც მზიანი.

ბუნებით მხიარულებად მიცემულ არს ღმრთისაგან სიხარული და შვება ღვთისაგან აქვს მიმადლებული.

არს... მიუვალ რამთურთით სოფლისა წესითა მცხორებელთაგან სრულიად მიუვალია საერო პირთათვის.

ნასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანად, არცა ყანად საჭ-ნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისლვად აქუს კარაულისა ზურგითა, და მცირედ ვენაჭნი ჭირით და ურვით დაუნერგვან და ეგრეთვე — მტილები. და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი უქრისტოთა მათ ურნმუნოთაგან შერყევისაგან. და ესრეთ მყუდროებით არიან ყოლადვე და ქრისტესა ადიდებენ.

მისცა ღმერთმან წელმწიფებად მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად საყდართა საეპისკოპოსოთა და ქალაქთა სოფლებითურთ და ყოველსა ერსა ზედა მთავარ-ყვნა, რამთა სიმართლით განიკითხვიდენ მათ. ხოლო სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა წელმწიფებასა ქუეშე არიან, ვინათგან მოპრიდეს საშუებელთა საწუთოროებათა ნებსით და აღირჩიეს ღმრთისათვის მწუხარებად ადგილთა გლოვისათა.

და ესრეთ მშკდობად დაუტევეს წელმწიფესა მას და წარმოვიდეს აფხაზეთით. და მოიწინეს ერთობით ხანძთას.



დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა განიზრახეს თეოდორემ და ქრისტეფორემ? რას ნიშნავს „საღ-მრთო შური“?
2. ვინ იყო არსენი?
3. როგორ შეხვდა მამა გრიგოლი ბერების გაპარვის ამბავს? რას უწოდებს გაპარულთა მოსაძებნად მიმავალ გრიგოლს ავტორი?
4. ვინ დაიმოწაფა გზად მამა გრიგოლმა?
5. როგორ შეხვდა მამა გრიგოლი ურჩ ბერებს? რას ელოდნენ ისინი?
6. რომელი მონასტერი ააშენა აფხაზეთში გრიგოლ ხანძთელმა და რატომ დაადგინა მის წინამძღვრად ილარიონი და არა თეოდორე ან ქრისტეფორე?
7. როგორ შეიქმნა ახლად დაარსებული უბისის მონასტრის წიგნსაცავი?

როჭიკი საზრდო, საკეები.
როჭიკისა მისლვად აქუს კარაულისა ზურგითა საკეები სახედრით მიაქვთ.
მტილი ბალი, ბალჩა.
უქრისტო ქრისტესგან განშორებული, ურკულო.
რამთა სიმართლით განიკითხვიდენ მათ რათა სამართლიანად განსჯიდნენ (ასა-მართლებდნენ) მათ.

ვინათგან მოპრიდეს საშუებელთა საწუთოროებათა ნებსით რადგან თავისი ნებით გაერიდნენ ამქვეყნიურ სიამეს.
ადგილი გლოვისა ადგილი, სადაც წუთისოფლის სიამეთაგან განმდგარი ბერები ღვთისაგან დაშორების გამო მწუხარებას ეძლევიან და მასთან მიახლოებას ცდილობენ.

8. რას გამოკვეთს გრიგოლ ხანძთელი კლარჯეთის უდაბნოს დახასიათებისას: ბუნების სილამაზეს თუ მის პრაქტიკულ ღირებულებას ბერმონაზვნური ცხოვრებისათვის? (პასუხი დაასაბუთეთ ტექსტიდან მოხმობილი ციტატებით).
9. როგორ ფიქრობთ, მეფესთან საუბარში რატომ დასჭირდა მამა გრიგოლს იმის აღნიშვნა, რომ ბერ-მონაზვნები ამქვეყნიურ ხელისუფალთ არ ემორჩილებიან?

XIV. მას უამსა ბაგრატ კურაპალატმან წებითა ღმრთისათა და ნებითა ძმათა თვისთათა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისათა მოილო კურაპალატობად ნაცვალად აშოტ კურაპალატისა, მამისა თვისისა, რამეთუ მიეცა მას ფლობად წელმწიფებისად ზეგარდამო.

ხოლო წეტარი მამად გრიგოლ მიიჩნია წინაშე დიდებულისა ბაგრატ კურაპალატისა და ჯერისაებრ შესხმად კურაპალატობისად მიულოცა.

ხოლო ქებად იგი შესხმისად ფრიად სთნდა კეთილად მსახურსა კურაპალატსა.

წმიდამან მან ჰრეუა:

— კეთილად მსახურო მეფეო, ნათელი დაუღამებელი უძლეს მეფობასა შენსა! ან ამას ვითხოვ შენგან: არს აშოტ კურაპალატისა შეწირული აგარაკი ხანძთას და იქმნების კეთილად მონასტრად. უკუეთუ მიბრძანოს მეფობამან შენმან, აღვაშენო სადიდებელად ღმრთისა და საცხორებელად სულისა შენისა.

მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შენებად მისი და მისცა ყოველივე საწმარი საშენებელად. და ჯუარი დასწერა ადგილსა მას ჩინებულსა და იწყეს საქმედ ეკლესიისა და სენაკებისაცა. და იქმნა მსგავსად ხანძთისა, ღმრთისა მიერ ზეგარდამო ჩინებულისა, ეგრეთვე შატბერდი აღეშენა საღმრთოებთა შეწევნითა

მოილო მიიღო.

მიეცა მას ფლობად წელმწიფებისად ზეგარდამო ხელმწიფის უფლებამოსილება მიენიჭა ზეციდან (ლვთის მიერ).

ჯერისაებრ შესხმად კურაპალატობისად მიულოცა წესისამებრ კურაპალატობის მიღება მიულოცა.

ქებად იგი შესხმისად წოდების მიღების გამო აღვლენილი ხოტბა. სთნდა მოენონა, ესიამოვნა.

ნათელი დაუღამებელი ღვთაებრივი ნათელი; სულიერი ნათელი.

იქმნების კეთილად მონასტრად კარგი მონასტერი გახდება.

საცხორებელად სულისა სულის საცხონებლად.

ჩინებული აქ: გამორჩეული.

იწყეს საქმედ ეკლესიისა და სენაკებისაცა დაიწყეს ეკლესიისა და სენაკების შენება.

და ლოცვითა ნეტარისა მის კაცისათა, რომელმანცა შეაერთნა ორნივე იგი უდაბნონი ერთად შენაწევრებულნი და შემტკიცებულნი ძმობრივსა ზედა სიყუარულსა ვიდრე უამთა აღსასრულადმდე.

XV. მას უამსა ნეტარსა გრიგოლს გულმან უთქუა წსენებად საბან იშხნელისად და აუწყა ყოველი პირველ ყოფილი ღმრთის-მსახურსა კურაპალატსა. ხოლო მას ვითარცა ესმა, ფრიად განიხარა და მსწრაფლ დაწერა წიგნი და წარავლინნა კაცნი კეთილნი და პატივით უწოდა მას. ხოლო მივლინებულნი იგი მოვიდეს და აუწყეს კურაპალატსა, ვითარმედ: „არა ჰერებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვად აქა“. და ჰერება მეფემან ნეტარსა მამასა გრიგოლს:

— განუგებელად ვქმენ, რამეთუ წიგნი არა მიწერად გეც. ან ვითარ წეს არს, მიუწერე!

და თუთ კუალად დაწერა წიგნი სხუად და წიგნიცა მამისა გრიგოლისი წარსცა. ხოლო ნეტარი საბან დაემორჩილა მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროვს ხოლო წიგნსა მამისასა.

და მივიდა მათდა სასურველი იგი კაცი ღმრთისად მოსურნეთა მათ თანა. ხოლო კურაპალატი წინა მიეგება და პატივით მოიკითხა და მან კურთხევით ულოცა. და ვითარ დასხდეს, ჰერება კურაპალატმან წმიდასა მას:

— ჯერ-არს წელმწიფეთა მორჩილებად! რავსათჯს არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?

ხოლო მან ჰერება:

— დიდებულო მეფეო, შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე — ყოველთა დაბადებულთა. შენ ქუეყანისა წელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე — ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაო. შენ წარმავალთა ამათ უამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე — საუკუნო მეუფე და სრული ჰერება უცვალებელი, უუამოვ, დაუსაბამოვ, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთაო. და უფროვს შენსა ჯერ-არს სმენად სიტყუათა მისთავ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ:

ორნივე იგი უდაბნონი იგულისხმება
ხანძთა და შატბერდი.

ერთად შენაწევრებულნი და შემტკიცე-
ბულნი ძმობრივსა ზედა სიყუარულსა
გაერთიანებულნი და განმტკიცებულნი
ძმური სიყვარულით.

განუგებელად ვქმენ დაუფიქრებლად მო-
ვიქეცი.

რამეთუ წიგნი არა მიწერად გეც შენ რომ
არ მიგაწერინე წერილი.

წარსცა გაუგზავნა.

ჯერ-არს წესია, საჭიროა.

შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ შენ ამ

ხალხის (ერის) მეფე ხარ.

სრული სრულყოფილი.

ჰგიეს არის.

უუამოვ დროის საზღვრებში მოუქცეველი,
მარადიული.

დაუსაბამოვ უსაწყისო, დასაწყისის არ-
მქონე (ამდენად, არც დასასრულის მქონე,
მარადიული).

დაუსრულებელი მეუფე მარადიული
მეუფე.

უფროვს შენსა ჯერ-არს სმენად სიტყუ-
ათა მისთავ შენზე მეტად მისი სიტყვების
მოსმენა გვმართება.





„ვერვის წელ-ენიფების მონებად ორთა უფალთაღ“. არამედ ან სიტყუთა ძმისა და მოძღვრისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა.

ხოლო კურაპალატმან ჰრეზუა:

— სამართალ არს სიტყუად შენი, წმიდაო.

ამისა შემდგომად კურაპალატი მივიდა იშხანს და ნეტარნი იგი კაცნი — მამავ გრიგოლ და მამავ საბა — თანა. და ფრიად შეუყუარდა კურაპალატსა ადგილი იგი.

ნებითა ღმრთისავთა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა, რომელი წელინადთა მრავალთა დაქურივებული იყო. ან კუალად იქმნა სულიერი ქორნილი და მეორედ აღეშენა ამის ნეტარისა მიერ, ხოლო ჭორციელად მოღუანებითა ღმრთისმახურთა მათ მეფეთავთა.

ნეტარი მამავ ჩუენი გრიგოლ პატივცემულ იყო ზეგარდამო ღმრთისა მიერ და უამთა მისთა არავინ უჩჩ იყო სიტყუათა მისთა, უფროვს ხოლო წელმნიფენი მის უამისანი. მამისა გრიგოლისთვის ზრახვა-ყვეს ეპისკოპოსისა მის თანა წმიდათა მამათა, რამთა და-ადგინონ გრიგოლ არქიმანდრიტად ყოველთა კლარჯეთისა უდაბ-ნოთა ზედა. და მრავალთა წელინადთა ვიდრე გარდაცვალებადმდე განაგებდა წმიდათა მათ მამათა წესა კეთილად.

XVI. არამედ ან კუალად ნეშტი იგი პირველი განვაახლოთ. რამეთუ რაუამს-იგი განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისი და მიინია ქართლად და ესმა სანატრელსა დედასა მისსა დიდე-ბულებად ძისა თუსისახ, რამეთუ იყო იგი ცოცხალ და მიწევნულ მო-ხუცებულებასა, მას უამსა განმხიარულდა სულითა და განძლიერდა ჭორცითა.

ხოლო გული მისი იგლოვდა ძისა თუსისა განშორებისათვს, არა-

„ვერვის წელ-ენიფების მონებად ორთა უფალთაღ“ არავის შეუძლია ორი ბატონის მორჩილება. საბა იშხნელი მაცხოვრის სიტყვებით (მათე 6, 24; ლუკა 16, 13) ადას-ტურებს თავისი საქციელის სისწორეს.

დაქურივებულ იყო იგულისხმება, რომ

იყო გაუქმებული (ქრისტიანული ღვთისა-

მეტყველების თანახმად, არა მხოლოდ

ადამიანი, ეკლესიაც „ქრისტეს სძლად“ მი-

იჩნეოდა. ამიტომ ესახება ავტორს გაუ-

ქმებული ეკლესია დაქვრივებულად).

კუალად იქმნა სულიერი ქორნილი აღ-

ორძინდა, აღდგა, განახლდა ღვთისმასა-

ხურება.

ჭორციელად მოღუანებად ნივთიერი დახ-

უფროვს ხოლო წელმნიფენი მის უამი-სანი განსაკუთრებით კი მაშინდელი ხე-ლისუფალი.

მამისა გრიგოლისთვის ზრახვა-ყვეს ეპის-კოპოსისა მის თანა წმიდათა მამათა მა-მა გრიგოლის შესახებ წმინდა მამებმა მო-ილაპარაკეს ეპისკოპოსთან.

არქიმანდრიტი მონასტრების წინამძლ-ვარი.

მამათა წესი მამათა ცხოვრების წესი, ბე-რობის წესი.

ნეშტი იგი პირველი განვაახლოთ ადრე ნათქვამს მივუბრუნდეთ.

განძლიერდა ჭორცითა ძალა მოიკრიბა.

მედ სიხარულისა წმამან განამტკიცა. და მსწრაფლ ხოლო წარმოვიდა საწელითა. და თანა-იყვნეს მსახურნი მისნი: მამანი და დედა-დანი. და მოინია დედისა ფებრონიასა მერეს. ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა და მსწრაფლ ხოლო აუწყა წიგნითა ნეტარსა გრიგოლს. ხოლო წმიდა იგი, ძს უბინო, მალიად მივიდა დედისა წინაშე მორწუნისა და თაყუანის-სცა მას და ქრისტესმიერი კურთხევა და მშდობა მისცა. ხოლო იგი სიხარულითა მოეგება ძესა თჯსა, ამბორს-უყოფდა და ეტყოდა:

— შვილო ჩემო ტკბილო, გიხილე, რომლისათსუცა მსუროდა, რამეთუ ხილვითა შენითა განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი.

და მრავალფერითა სიტყუთა განგრძნობილად იყო უბნობა მათი. ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა:

— შენდობა იყავნ ჩემდა შენ მიერ, დედაო ჩემო, არამედ არა ნებითა ჩემითა განგეშორე, გარნა ნებასა ღმრთისასა ესრეთ სათნოუჩნდა, ვითარცა ან იქმნა. ხოლო შენ ცხორებასა ამას წუთსა არა გაკლდა ჭორციელად და სულიერად ვიდრე აქამომდე. არამედ ან თანა-მაცმოლუანება შენისულიერად და ჭორციელად მცნებისაებრ უფლისა რომელსა ბრძანებს პატივისათჯს მშობელთა მათი. და სიბრძნესა წერილი არს: „შვილო, მიაგე მშობელთა შენთა, რამ-იგი მოგაგეს, რამეთუ თჯნიერ მათსა შენმცა არა იყავ“.

და ფრიად ნუგეშინის-სცა მას ნეტარმან მან ღმრთისა კაცმან და აღაშენა ფრიად სანატრელი იგი მოხუცებული და მან პირველად აკურთხა ღმერთი და მერმე ძე იგი თჯსი და თანამოსრულნი იგი სახლეულნი თჯსნი შეჰვედრნა.

მაშინ ნეტარმან გრიგოლ ჯერისაებრ განაგო ცხორება დედი-სა თჯსისად.



სიხარულისა წმამან განამტკიცა გაგონილმა სასიხარულო ამბავმა გააძლიერა.
მსწრაფლ ხოლო სწრაფადვე უმალ.
მოინია დედისა ფებრონიასა მერეს მივიდა დედა ფებრონიასთან მერეში.
შეიწყნარა მიიღო, შეიფარა.
მალიად სწრაფად.
ქრისტემიერი კურთხევა და მშდობა მისცა ქრისტეს სახელით დალოცა და მიესალმა.
განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი დამიამდა ყველა ადრინდელი სატკივარი.
განგრძნილად იყო უბნობა მათი დიდხანს საუბრობდნენ.
ცხოვრებასა ამას წუთსა არა გაკლდა

ამ წუთიერ ცხოვრებაში არაფერი გაკლდა.
თანა-მაც ვალად მაქვს, მმართებს.
მოღუანება შენი შენზე ზრუნვა.
სიბრძნესა წერილი არს სიბრძნის წიგნში წერია. იგულისხმება ბიბლიის არაკანონიკური წიგნი, საიდანაც მოყვანილია (ციტატა (ზირაქი, 7, 30))
თჯნიერ მათსა შენმცა არა იყავ მათ გარეშე არც შენ იქნებოდი.
აღაშენა აქ: სიკეთით აავსო.
პირველად აქ: ჯერ.
თანამოსრულნი იგი სახლეულნი თჯსნი შეჰვედრნა მასთან ერთად მოსულები (თანმხლებნი) შეავედრა ღმერთს.
ჯერისაებრ განაგო წესისამებრ მოაგვარა.



შემდგომად უამთა მრავალთა სანატრელი მშობელი მამისა გრი-
გოლისი გარდაიცვალა მერეს შინა და მივიდა უფლისა, რომლისაცა
სუროდა.

XVII. არამედ თევდორე და ქრისტეფორე ფარულად ხან-
ძთით ღამე გამოვიდეს და ძმანიცა ვინმე თანა წარიყვანნეს და
კუალად წარვიდეს კერძოთა ქართლისათა. და ძება-ყო მამამან
გრიგოლ და პოვნა იგინი.

ხოლო იგინი შეუვრდეს და ჰრეზეს:

— შენდობა იყავნ ჩუენდა, წმიდაო მამაო.

ხოლო წმიდამან მან ჰრეზეს:

— კეთილ არს განზრახვად ეგე თქუენი ნებითა ღმრთისათა.
არამედ მე თანამონანილე მყავთ გულსმოდგინებასა მაგას.

და წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ
უდაბნოთა და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს
სენაკები ორგანვე. და უნოდეს თევდორშის ვანსა ნეძკ, ხოლო
ქრისტეფორშისა — კურიკე წმიდაო და მოწაფენი დაუტევნეს.

ხოლო ნეტარი მამამ ჩუენი გრიგოლ ორთა მათ მისთა შე-
ნებულთა მონასტერთა შინა — ხანძთას და შატბერდს — იქცეოდა
მარადის და მოძღურებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მო-
ნაფეთა თვესთასა. და ყოველთა დღესასწაულთა განგებად კეთილად
იცოდა, რამეთუ, რომელიცა დაესწავა, დაუვინყებელად აქსოვდა.
და აქუნდა ჭმისა ნებიერობად და ტკბილობისა შუენიერებაო. ხოლო
განსაკურვებელ იყო ჭსოვნებად მისი. რამეთუ ან არს ხანძთას
წელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელინდოო
იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან. ხოლო ახლისა
შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი

მივიდა უფლისა, რომლისაცა სუროდა
მივიდა უფალთან, რომლისკენაც მიიღო-
ვოდა.

**წარვიდეს კერძოთა ქართლისათა წავიდ-
ნენ,** გაემართნენ ქართლის მხარეს.

იგინი შეუვრდეს მუხლებში ჩაუცივდნენ.
წარვიდეს ზოგად ერთად წავიდნენ.

ორთა მათ... მონასტერთა შინა... იქცეოდა
მარადის ორ მონასტერს შორის მიმოდი-
ოდა მუდამ.

**ყოველთა დღესასწაულთა განგებად კე-
თილად იცოდა ყველა დღესასწაულის**
განწესება, წარმართვა კარგად იცოდა.

**ჭმისა ნებიერობად და ტკბილობისა შუე-
ნიერებად სასიამოვნო და ტკბილი ხმა.**

ჭსოვნებად მეხსიერება, მახსოვრობა.

**სულისა მიერ წმიდისა სულინმიდის შთა-
გონებით** (ეპოქის მსოფლმხედველობის
თანახმად, ღმერთია ერთადერთი შემოქ-
მედი. ადამიანის შემოქმედებითი მოღვა-
ნეობა სულინმიდით არის შთაგონებული).


საწელინდოო იადგარი ეკლესიაში წირვა-
ლოცვის დროს მთელი წლის განმავლო-
ბაში გამოსაყენებელი კრებული, რომელ-
შიც თავმოყრილია ქრისტიანულ დღესას-
წაულთა (შობა, ნათლისღება, აღდგომა,
ფერისცვალება, ამაღლება და სხვ.) საგა-
ლობლებიდა აგრეთვე წმინდანის ხსენების
დღეს შესასრულებელი გალობები.

ზეპირით იცოდნა ზეპირად იცოდა (წიგ-
ნნი).

წიგნი ძუელისაცა შჯულისანი. არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღვართა თქუმულნი აურაცხელნი წარმოითქუმოდეს უნიგნოდ ენითა მისითა.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. ვისი თანხმობით მიიღო აშოტის შუათანა ვაჟმა მეფობა და კურაპალატის?
2. რა მოსთხოვა მამა გრიგოლმა ბაგრატ კურაპალატს?
3. როგორ ფიქრობთ, რატომ მოუნდა მამა გრიგოლს ბაგრატ კურაპალატთან საბა იშხნელის ხსენება?
4. რატომ არ დაემორჩილა საბა იშხნელი ბაგრატ კურაპალატის ბრძანებას და როგორ ახსნა მან თავისი საქციელი?
5. როგორ გესმით „დაქურივებული“ ეკლესია?
6. ვისი „ქორციელითა მოღუანებითა“ აშენდა იშხანი?
7. რომელი მონასტრები ააშენეს თეოდორემ და ქრისტეფორემ?
8. რა არის „საწელიწდომი იადგარი“?



მიქაელ მოდრეკილის იადგარი (საგალობლების კრებული).
გადაწერილია შატბერდის მონასტერში. 978-788 წწ



XVIII. ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი, მოვიჩენეთ. დიდი ეფრემ იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა. დიდი არსენი კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტის კუართისა სამკუდრებელსა, მცხეთას ქართლისა კათალიკოს იქმნა. და იყო სიყუარული მათ შორის ერთად ზრდილობისათვის.

არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ თუნიერ განზრახვისა მათისა, ძე თვის დაადგინა კათალიკოსად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთავთა.

მამფალი გუარამ დიდი მირეანისთვის გულძურად იყო და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრებად ეპისკოპოსთავ და უდაბნოსა მამათად.

და ყოველნი შემოკრბეს ჯავახეთს. არამედ მამამ გრიგოლ არა მუნ იყო. წადიერად მოელოდეს ყოველნი და მარტოდ ანჯმნობდეს წესისა წინამძღვარნი იგი არსენი კათალიკოსისათვის და ვერა დაამტკიცეს სიტყუად მათი. მაშინ ერუშელმან ეპისკოპოსმან მის უამისამან ჰრესა ყოველთა:

— ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთად, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვად ყოველთად.

და მეყსეულად იხილეს წმიდად იგი მომავალი კარაულითა შორის კრებულსა მას მამათასა საკურველად ხილვითა. რამეთუ სამოსელი იგი შეურაცხი, რომელ ემოსა მოხუცებულსა მას, ესრშთ ჩნდა, ვითარცა სამოსელი ნათლისა ბრწყინვალისა განუცდელისაა. ხოლო თავსა მისა კუკული იხილვებოდა, ვითარცა გპრგპნი სამეუფო პატიოსანთა თუალთა და მარგალიტთაგან ფასდაუდებელთა აღმკული. და ვითარცა იხილეს ღმრთისამიერი დიდებულებად მისი,

მოვიჩენეთ მოვიხსენიოთ, გავიხსენოთ
(ისინი).

კათოლიკე საყოველთაო.

ქრისტეს კუართი ქრისტეს სამოსელი,
ჰერანგი.

ერთად ზრდილობისათვის ერთად
აღზრდის გამო.

გულწყებულ იყვნეს გამწყრალნი იყვნენ.
თუნიერ განზრახვისა მათისა მათთან
შეთანხმების გარეშე.

მამფალი გუარამ აშოტ I კურაპალატის
უმცროსი ძე. მიენიჭა ფეოდალურ საქართველოში საპატიოდ მიჩნეული ტიტული
„მამფალი“.

მირეანისთვის გულ-ძურად იყო გულმო-
სული იყო, გამწყრალი იყო მირიანზე.

წადიერად მოელოდეს გულით ელოდნენ.

მარტოდ ანჯმნობდეს ცალკე კამათობ-
დნენ.

წესისა წინამძღვარი სჯულის წინამ-
ძღვარი, მასწავლებელი.

ვერა დაამტკიცეს სიტყუად ვერ გადაწ-
ყვიტეს.

ერუშელი ეპისკოპოსი ერუშეთის საე-
პისკოპოსოს წინამძღოლი. (ერუშეთი ის-
ტორიული მხარე სამხრეთ საქართველო-
ში).

განემართოს საქმე მოგვარდება საქმე.
იხილეს... **საკურველად ხილვითა** საოცა-
რი ხილვა ჰქონდათ.

განუცდელი სულიერი, ციური.

კუკული კუნკული, „მონაზენის თავსაბუ-
რავი“ (საბა), ბერის ქუდი.

აღმკული შემკობილი.

ყოველნი სიხარულით მიეგებნეს და შეუდგეს სიტყუათა მისთა სიხარულით.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ ფარულად მოუწოდა ნეტარსა ეფრემს და ჰრქუა მას:

— შვილო, პატივსა მაგის წმიდისა მღდელთმთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა არსენის!

ხოლო მან ჰრქუა:

— წმიდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობად სამართლისათვის, და მეცა შემინდვე, რამეთუ არა ვარ ამიერითან არსენის ცხოვარი და არცა იგი — ჩემი მწყემსი.

მაშინ წმიდამან მან მკაინვარედ ჰრქუა:

— უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ-მყავ, ვითა არა შენი მოძლუარი ვარ!

ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძლურისასა ატირდა და ჰრქუა:

— ფიცხელ არს ბრძანებად ესე, განმკუეთელ უფროხს მახვლისა. ან ნებად შენი იყავნ და ნუ — ნებად ჩემი, წმიდაო ღმრთისაო!

ხოლო მან ჰრქუა:

— ეფრემ სანატრელო, გისმინენ ქრისტემან, რავცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა. და შენ უწყი, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოსობად არსენისი სისრულისა მისისათვის. არამედ მირეან, მამამან მისმან, აუგიან-ყო უჟამოდ შესწრაფებითა.

ამისა შემდგომად ბრძანა გუარამ შემოკრებად ყოველთა მოწესეთად და მაშინ ჰრქუა:

— წმიდანო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო, იცით ყოველთა კანონი შჯულისად, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოსისა მძლავრებით დაჯდომასა.



შეუდგეს სიტყუათა მისთა დაპყვნენ მის ნათქვამს, გაუგონეს.

ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობად სამართლისათვის ჩემს ძმებთან, ეპისკოპოსებთან, კამათი სიმართლის გამო.

ცხოვარი ცხვარი, აქ: ხელქვეითი.

მწყემსი აქ: მოძლვარი.

მკაინვარედ რისხვით, წყრომით.

ფიცხელ არს ბრძანებად ესე სასტიკია ეს ნათქვამი.

განმკუეთელი უფროხს მახვლისა მახვილზე უფრო მჭრელი.

წრფელი „წრფელი არს ყოველივე საქმე

მართალი“ (საბა).

წრფელი გონებითა გონებით მართალი.

ღმერთსა ებრძანა ღმერთს უბრძანებია.

სისრულისა მისისათვის მისი სრულყოფილების გამო.

აუგიან-ყო საკიცხავი, საყვედრებელი გახდა.

უჟამოდ უდროოდ, ნაჩქარევად.

შესწრაფება აჩქარება.

კანონი შჯულისად სარწმუნოების წესი, სასულიერო კანონმდებლობა.

მძლავრებით ძალით, ძალმომრეობით.



და ამას სიტყუასა შინა აუგის სიტყუანი განამრავლნა და ელოდა პასუხსა მათგან. ხოლო თუალნი ყოველთანი ხედვიდეს მამასა გრი- გოლს და ეპისკოპოსსა ეფრემს. და მათ დაიდუმეს ჟამ ერთ.

მაშინ ეპისკოპოსთა ჰრქუეს ეფრემს:

— ბრძანე პასუხი, რა ჯერ-არს!

ხოლო მან თქუა:

— სადა მამა გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად.

მაშინ წელმწიფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს:

— მამაო, ყოველნი შენ გელიან სიტყუად ჭეშმარიტებისა, რ- მეთუ უხუცეს ხარ ყოველთა დღითა და სათნოვებითა ნებისა ღმრთისათა.

ხოლო მან თქუა:

— ჭეშმარიტთა ქრისტეს სამწყსოთა ისმინეთ გლახაკისა ამის მოხუცებულისამ. რამეთუ არსენი კათალიკოსი ნებითა ღმრთისა- თა კათალიკოსი არს და ძრის-მეტყუელთა მისთა, რომელთა არა შეინანონ, კდემულ იყვნენ და სრულიად ჰრცხუენეს ამას საწუთროსა და მას საუკუნესა.

მაშინ ზარ-ჰელი წელმწიფესა მას, რამეთუ იყო იგი მდაბალ და ღმრთისმოშიშ. იძლია სიმდაბლისაგან და შეუვრდა ნეტარსა გრი- გოლს და ჰრქუა:

— წმიდაო ღმრთისაო, შემინდვე, რამეთუ დაგაბრკოლე.

ხოლო მან ჰრქუა:

— ქრისტემან ყოველნი ბრალნი შეგინდვენინ!

მას ჟამსა ახარეს არსენის, რამეთუ არა იყო კრებასა მას, ვი- თარმედ:

— ღმრთისა მოძლუარმან შენმან გრიგოლ მამამან დაამტკიცა კათალიკოსობაშ შენი.

ხოლო იგი სიხარულით ჰმადლობდა ქრისტესა და წმიდასა მას.

ხოლო ეფრემ ეპისკოპოსმან, მცნებისაებრ მამისა გრიგო- ლისსა, სიყუარული არსენი კათალიკოსისად პირველებრვე განაახლა,

ამას სიტყუასა შინა ამ საუბარში.
მათ დაიდუმეს ჟამ ერთ ისინი ერთხანს დადუმდნენ.
რა ჯერ-არს რაც საჭიროა.
არა ვიკადრებ სიტყუად ვერ გავბედავ ლაპარაკს.
ჭეშმარიტთა ქრისტეს სამწყსოთა ისმი- ნეთ ქრისტეს ჭეშმარიტმა სამწყსომ ისმი- ნეთ.
ძრის-მეტყუელი მლანძლველი, გამკილა- ვი.
კდემულ იყვნენ შერცხვენილი იყვნენ.
ჰრცხუენეს ჰრცხვენოდეთ.

ამას საწუთროსა და მას საუკუნესა ამ- ქვეყნადაც და სამარადისო სასუფეველ- შიც.

ზარ-ჰელი წელმწიფესა მას შიშის ზარი დაეცა, შეძრნუნდა ხელმწიფე.

იძლია სიმდაბლისაგან თავმდაბლობამ სძლია.

ქრისტემან... ბრალნი შეგინდვენინ ქრის- ტემ შეგინდოს ცოდვები.

მცნებისაებრ დარიგებისამებრ, შეგონე- ბისამებრ.

პირველებრვე ადრინდელივით, ძველებუ- რად.

რამეთუ მოკლედ დააწყნარა შფოთი გრძელად მოსაცალებელი.

და სანატრელნი ესე არსენი კათალიკოსი და ეფრემ ეპისკოპოსი მოვიდიან ხილვად მოძღვრისა თჯსისა, მამისა გრიგოლისა.



XIX. არსენი ოც და შვდ წელ კათალიკოსობდა. არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქუეყანასა ჩუენსა, რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალემით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტისმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევად ქართლს განაწესა იერუსალემისა პატრიარქისა განნესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანად ალირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების, ხოლო „კურიელმოსნი“ ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: უფალო, წყალობა ყავ, გინა-თუ, უფალო, შეგაწყალენ.

ესე ნეტარი ეფრემ ორმეოც წელ აწყურს ეპისკოპოსობდა შემკული სულითა წმიდითა.

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა საეკლესიო ხარისხს მიაღწიეს არსენმა და ეფრემმა და რა დამოკიდებულება პქონდათ მათ ერთმანეთთან?
2. სად და რისთვის შეიკრიბნენ ეპისკოპოსები? რატომ ვერ მიიღეს გადაწყვეტილება შეკრებილებმა?

მოკლედ მოკლე ხანში.

შფოთი გრძელად მოსაცალებელი შფოთი ძნელად დასაშოშმინებელი.

მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქუეყანასა ბევრი სიკეთის მომტანი გაუხდა ქვეყანას, ბევრი სიკეთე მოუტანა ქვეყანას.

აღმოსავალისა კათალიკოსინი აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ეკლესიათა პატრიარქები.

მიჰრონი მირონი, „ესე არს კურთხეული ზეთი“ (საბა); ქრისტიანული მღვდელმსახურებისას სახმარი წმინდა ზეთი.

იერუსალემით მოჰყვანდა იერუსალიმიდან ჩამოჰქონდათ (ქართლის ეკლესიას იმსანად ჯერ კიდევ არ ჰქონდა მირონის კურთხევის უფლება და იგი იერუსალიმიდან

ჩამოჰქონდათ).

ქართლს განაწესა ქართლში დააწესა. პატრიარქისა განნესებითა და წამებითა პატრიარქის ნებართვით და დამოწმებით. ქართლად ფრიადი ქუეყანად ალირაცხების საქართველოდ ითვლება მთელი ქვეყანა (მიწა-წყალი).

ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის ქართულ ენაზე ხდება ღვთისმსახურება, ჟამისწირვა.

ლოცვად ყოველი აღესრულების ყველა ლოცვა სრულდება.

კურიელმოსნი უფალო, შეგვიწყალე.

ბერძულად ბერძნულად.

აწყური საეპისკოპოსო ტაძარი სამხრეთ საქართველოში.

3. რა უწოდა ერუშენელმა ეპისკოპოსმა მამა გრიგოლს?
4. ვის ნებად მიიჩნია გრიგოლმა არსენის კათალიკოსობა? რატომ დაუჯერეს მის სიტყვას?
5. ნაწარმოების XVII თავში აღნერილ კონფლიქტს ავტორმა უწოდა „შფოთი გრძელად მოსაცალებელი“, რომელიც მამა გრიგოლმა ადვილად მოაგვარა. როგორ ფიქრობთ, რა საფრთხეს შეიცავდა ეს კონფლიქტი? (გაითვალისწინეთ მასში მონაწილე მხარეები); იმსჯელეთ, გრიგოლის კიდევ რა უნარი გამოჩნდა ამ კრებაზე, რა საფრთხე ააშორა მან ეკლესიას, ქვეყანას?
6. რა ღვაწლი მიუძღვით ეფრემსა და არსენს ეკლესიის წინაშე?
7. ავტორის თქმით, რომელი ქვეყანა მოიაზრება „ქართლად“? რა აერთიანებს არაბთა სახალიფოს მიერდაპყრობილ და დანაწევრებულ ქვეყანას?

XX. ხოლო უამთა ამის წმიდისათა წელმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი და აღაშენა ციხე არტანუჯისა და საცხორებელად დედუფლისა, მეუღლისა თჯსისა. და მას შინა კეთილად ცხოვნდებოდა მრავალთა წელინადთა. ხოლო აცთუნა მტერმან წელმწიფი იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისა ციხესა მას შინა. და ვითარცა ესმა ნეტარსა გრიგოლს საქმე იგი სულისა განმხრნები, შენუხნა ფრიად. და ამხილა პირისპირ წელმწიფესა მას. ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტევებად და დედაკაცისა მის ნარგზავნად, ვინაიცა მოეყვანა იგი. და ვერ დაამტკიცა თჯსი ბრძანებად, რამეთუ დაემონა გულისთქუმასა.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ პოვა უამი მარჯუე, ოდესცა კურაპალატიშორს იყოარტანუჯისა. დღესა ერთსაშატბერდით წარვიდა და მიიწია მიმუხრი ძირსა მის ციხისასა. და კაცი მიუვლინა დედაკაცსა მას ჭამადისა თხოვად და მუნ დადგომისა მიზეზი შეუთუალა. ხოლო მან სიხარულითა დიდითა განიხარა და მრავალფერი სანოვაგე წარსცა წმიდისა მისთჯს და მონაფეთა მისთა. და ვითარცა განთენა, კუალად მოუვლინა კაცი, რამთა მივიდეს ხილვად მისა. მაშინ უფროვსად განმხიარულებული მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის ორთა თანა მწევალთა თჯსთა, რამთამცა ღირს იქმნა ჯუარსა ნეტარისა მის კაცისასა.

უამთა ამის წმიდისათა ამ წმინდანის (გრიგოლის) მოღვაწეობის სახაში.

ციხე არტანუჯისა და ციხე-ქალაქი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. გადმოცემის თანახმად, იგი ვახტანგ გორგასალს აუგია. მურვან-ყრუს მიერ დანგრეული არტანუჯი IX საუკუნის დასაწყისში აშოტ კურაპალატმა განაახლა და თავის რეზიდენციად აქცია.

მტერი აქ: ეშმაკი.

აღუთქუა... დედაკაცისა მის ნარგზავნად,

ვინაფცა მოეყვანა იგი ქალის იქგაგზავნას შეჰპირდა, საიდანაც ჰყავდა მოყვანილი.

ვერ დაამტკიცა თჯსი ბრძანებად ვერ აღასრულა საკუთარი ნათქვამი.

ნარცემა „გაგზავნა ძღუენთა“ (საბა).

ნარსცა წმიდისა მისთჯს გასცა წმინდანისთვის.

მწევალი ქალი. აქ: მსახური.

რამთამცა ღირს იქმნა რომ ღირსი გამხდარიყო.

ჯუარი აქ: პირჯვარი.

ხოლო მან არა დასწერა ჯუარი, არამედ უბრძანა განშორებულად დაჯდომად. და მონაფენი კიდე-რე განდგეს წამისყოფითა მოძღვურისა თვისისათა და ეგრეთვე — მსახურნი იგი დედანი, რამეთუ წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფენილ იყო. მაშინ ჰრეუა მას ნეტარმან გრიგოლ:

— ჰოვ, საწყალობელო! რაღაც შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაღათმე მიზეზითა საბრწე ქმნულ ხარ დიდისა წელმწიფისადა?!

ხოლო მან ცრემლით ჰრეუა:

— წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინათვან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა. და ან არა უწყი, თუ რაღ ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად.

ხოლო წმიდამან მან ჰრეუა:

— შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ გლახავისათა და მე თავსმდებ გექმნე ქრისტის მიმართ, რაღათ მან თავად-მან ყოველი ბრალნი შენნი შეგინდვნეს.

და მან ჰრეუა:

— წმიდაო მამაო, წელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაღიზრუნე!

მაშინდა ჯუარი დასწერა და აკურთხა ლოცვითა და შეჭურა მადლითა და მისცა თვისთა წამლთა საბელი, რაღათ სარტყლად შეირტყას. და მან ყო ეგრეთ. და ესრეთ მოიყვანა იგი მერეს, რამეთუ პირველვე განზრახვად წეტარისა დედისა თანა იყო, და შეჰვედრა იგი დედასა ფეხბრონიას.

ხოლო რაფამს მიინია კურაპალატი ციხედ, იკითხა ხოლო დედაკაცი იგი. და ვითარ არა პოვა, ფრიად შეიურვა, გულისჯმა-ყორა რაღ ყოველი იგი ყოფილი საქმე. და რამეთუ არა ღონითა რაღათმე



განშორებულად მოშორებით.
კიდე-რე განდგეს განზე გადგნენ.
წამისყოფა „თვალის ქნა“ (საბა). თვალით
ნიშნება.
წმიდისა მის შიში ყოველთა ზედა მიფე-
ნილ იყო ყველას მოჰყენოდა წმინდანის
შიში.

ცუდითა რაღომე მიზეზითა საბრწე
ქმნულ ხარ დიდისა წელმწიფისადა ცუ-
დი მიზეზით საფრთხედ ჰქცევისარ დიდ
ხელმწიფეს.

მე თავსმდებ გექმნე ქრისტეს მიმართ
გითავმდებებ, გიშუამდგომლებ ქრისტეს-
თან.

მან თავადმან... ბრალნი შეგინდვნეს მან
თვითონ შეგინდოს ცოდვები.

ქამლი ფეხსაცმელი.

საბელი ზონარი.

პირველვე განზრახვად წეტარისა დედი-
სა თანა იყო თავიდანვე წეტარი (გრიგო-
ლი) დედასთან (ფეხბრონიასთან) მიყვანას
ფიქრობდა.

ფრიად შეიურვა ძალიან შენუხდა.

გულისჯმა-ყორა რაღ ყოველი იგი ყოფილი
საქმე როცა შეიტყო ყოველივე მომხდარი.



კაცობრივთა მახეთათა იყო ტრფიალ მისა მიმართ წელმწიფე იგი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავმოთნეობა დაავიწყდა და მსწრაფლ ხოლო მოვიდა მერეს. ხოლო ნეტარმან ფებრონია დამალა დედაკაცი იგი. და ვითარ ილოცა კურაპალატმან ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და მიიღო ლოცვა დედისა ფებრონიავისი, მაშინ იწყო სიტყუად:

— უწყი-მეა, დედაო, რავსათჲს მოვედ ან?

ხოლო მან პრქუა:

— უფალმან იცის, რავსათჲს პპრძანე აქა.

და მან პრქუა:

— ამის მიზეზისათჲს იქმნა მოსლვად ჩემი, რამეთუ სახლისა ჩუ-ენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი წელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. ან უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგკუთალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს.

ხოლო ფებრონია პრქუა მას მკუეთრ:

— მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა.

ესე რად ესმა კურაპალატსა, სირცხულეულ იქმნა მართლმხილებისა მისგან კდემული და მყოვარ-უამ დადუმნა, ვითარცა ძლეული, რამეთუ წორციელად ძლიერსა წელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეჭურვილთა მათ საღმრთოვთა შურითა. ხოლო შეურვებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა:

— ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს!

და მსწრაფლ ხოლო აღდგა და წარვიდოდა. მაშინ ნეტარი ფებრონია დაწყნარებულითა სულითა აყენებდა, რამთამცა ისტუმრა იგი, და არა დაემორჩილა.

კაცობრივი მახე ადამიანური ცოტუნება. არა ლონითა რამთმე კაცობრივთა მახე-თა-მ-თა იყო ტრფიალ მისა მიმართ რა-იმე ადამიანური ცოტუნებით კი არ იყო ტრფიალების მახეში გაბმული.

რომელ რომ.

თავმოთნეობა და თავმოყვარეობა, სიამაყე. ვითარ როგორც კი.

უწყი-მეა იცი?

პპრძანე აქა მოპრძანდი აქ.

სახლისა... მეჭურჭლე სასახლის საგან-ძურის მცველი.

ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთა-განი დიდალი განძი დაგვაკლდა.

მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა

ფებრონია კურაპალატს შეახსენებს და-ვით წინასწარმეტყველის ნათქვამს. დავი-თი ღმერთის შესთხოვს დაიცვას იგი ცოტუ-ნებისაგან, რათა არ დაიწყოს თავისი ცოდ-ვების გამართლება და თავისი შეცოდებე-ბის საპატიო მიზეზთა ძიება.

კდემული შერცხვენილი.

მყოვარ-უამ დადუმნა კარგა ხანს დუმდა. საღმრთო შური აქ: ღვთაებასთან მიახ-ლოების დაუოკებელი წყურვილი.

ურვა „მწუხარება დამამძიმებელი“ (საბა).

შეურვებული დამწუხრებული.

დაწყნარებულითა სულითა აყენებდა, რამთამცა ისტუმრა მშვიდად ეპატიუ-ბოდა, დარჩიო.

დავუიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. სად მდებარეობს არტანუჯის ციხე? ვისი აშენებული იყო იგი და ვინ განაახლა?
2. როგორ აფასებს ავტორი აშოთ კურაპალატის საქციელს?
3. რატომ დაინტერესდა მამა გრიგოლი მეფის პირადი ცხოვრებით? რას ნიშნავს „ამხილა პირისპირ“?
4. რატომ ვერ აასრულა დანაპირები კურაპალატმა და რა მოიმოქმედა მამა გრიგოლმა?
5. რატომ შეარტყა მამა გრიგოლმა ქალს წელზე „წამლთა საბეჭი“? რას ნიშნავდა ეს ქმედება?
6. გადმოეცით აშოთ კურაპალატისა და დედა ფეხბრონიას დიალოგი. როგორ მოიქცა დედა ფეხბრონიასაგან მხილებული კურაპალატი?
7. წარმოიდგინეთ და აღწერეთ მერეს დედათა მონასტრიდან გამობრუნებული აშოთ კურაპალატის ფიქრები

XXI.

არამედ ადარნერსე წელმწიფესა უფროხსი ვნებად შეამთკა მტერმან, რომელიცა იყო ძმ აშოთ კურაპალატისა. რამეთუ შესმენითა მეძვისა ქალისათა, რომლისა თანა იმრუშებდა იგი, უსამართლოდ განიშორა სიცრუვითა სიძვისათა სარწმუნო ცოლი თვესი და წარგზავნა ქუეყანად თვესად აფხაზეთად, ვინაცა მოეყვანა იგი. ხოლო ქრისტემან მონასა თვესა გრიგოლს გამოუცხადა ყოველი იგი უსამართლოება, რომელიცა შეამთკეს უბრალოსა მას დედუფალსა. ამისთვისცა მრავალგზის მხილებად მიაწია ნეტარმან გრიგოლ ადარნერსეს ზედა, არამედ წელმწიფე იგი ცუდითა თავმოთნეობითა იძლია და მხილება მართლისა მის კაცისა არა თავსიდვა, არამედ შესძინა ძური ძურსა ზედა თვესა და სხუადცა ცოლი შეირთო. მაშინ მამამან გრიგოლ უწინადსწარმეტყუელა ბრალთა მათვს, რაა-იგი შემთხუევად იყო მისდა მიშუებითა ღმრთისათა, და ჰრეკუა ესრეთ:

— არასმენისათვს სიტყუათა ჩემ გლახავისათა მიეცე ბოროტთა სენთა, და რომელ ან ძენი გესხნენ, იგუემნენ ეშმაკთაგან და ვერ განიკურნო შენ და ვერცა შვილნი იგი შენი, ვიდრე არა შეინდო დედუფლისა მისგან, უსამართლოდ განპატიჟებულისა მწევლისა

მტერი აქ: ეშმაკი.

განიშორა მოიშორა

მხილება მიაწია ამხილა.

თავმოთნეობა პატივმოყვარეობა.

არა თავს-იდვა არ დაიჯერა

შესძინა ძური ძურსა ზედა ბოროტი საქმე

ბოროტს მიუმატა.

რაა-იგი შემთხუევად იყო რაც დაემართებოდა.

მიშუება ღმერთისა ღვთის მივიწყება.

არასმენისათვს არგაგონებისთვის.

განპატიჟებული დასჯილი.



მის ღმრთისა. დაღაცათუ წორცთაგან განვიდეს იგი, არამედ საფლავთაგან მისთა შე-ვე-ინდონ შვილთა შენთა. ხოლო შემასმენელი იგი მეძავი ადრე განაქიქოს ქრისტემან უფროს ყოველთა ცთომილთახსა ლირზად წარმდებებისა მისისათვს და უკეთურებისა“.

ხოლო ადარნერსე სიტყუათაგან ნეტარისა გრიგოლისთა ფრიად შეშინდა და შეუვრდა წმიდასა მას. ხოლო მან აღადგინა და ჰრქუა:

— ქრისტემან შენდობად ბრალთად მოგეცინ შენ, არამედ ესე უწყოდე, თქმული ჩემი აღესრულის ჟამსა თჯსაა, რახთა გულისქმა ყონ ყოველთა ნაყოფი ურჩებისახ.

და შემდგომად მცირედთა დღეთასა შეემთხვა ადარნერსეს სენი ტეხისად წრდიალი, რომელსა ჰრქუან ნიკრისი. და ტკივილთა მათგან იგუემებოდა მწარედ, რამეთუ მუნ ჟამადმდე ყოლად უვნებელ იყო იგი. და მსწრაფლ ხოლო წარავლინა კაცი კეთილი, რომელსა ერქუა კუპრა, წინაშე დედუფლისა მის შენდობისა თხოვად. და ვითარ მიიწია მოციქული იგი ადარნერსესი ფერსათს, სადაც არს ან საფლავი მისი და იხილა დედუფლი იგი თჯსი დიდსა შინა მონაზონებასა, რომელიცა იყო ასული ბაგრატ შაროელისა წელმწიფისამ. რამეთუ სამოსლად მისა იყო შეურაცხი ჩოქად და ემოსა მას წმიდად სქემად და ტკრთი დიდი შეშისა ეკიდა და სახიდ თჯსად მიაქუნდა სანატრელსა მას, რომელსა პირველ სახელი ეწოდა ბევრელის და მერმე ანასტასია.

ესე რამ იხილა კაცმან მან მოციქულმან, იცნა და შეუვრდა ადარნერსეს მაგიერ და ჰრქუა:

— ქრისტეს ნებისმყოფელო, გევედრების, შეინყალე უფალი ჩემი, სამართლად ღმრთისაგან განპატიუებული შენ ძლით, და ნუ სწყევთ მას, არამედ შეუნდვენ დიდნი ბრალნი მისნი.

ხოლო მან ჰრქუა:

გეფუცები ქრისტესა, არაოდეს აღმოსრულ არს წყევად პირსა ჩემსა და არცა მას ვწყევ. ქრისტემან შეუნდვენ ყოველნი ცოდვანი და განკურნენ სულით და ჭორცით.

და მსწრაფლ ხოლო განიკურნა ადარნერსე.

ლირზად ურცხვად.
წარმდებება თავხედობა.
აღადგინა ააყენა.
ჟამსა თჯსა თავის დროზე.
სენი ტეხისად წრდიალი სახსრების
ტკივილი.

იგუემებოდა იტანჯებოდა.
სქემა მონაზვნის სამოსი.
მიაქუნდა მიპქონდა.
შენ ძლით შენი ძალით, შენი დახმა-
რებით.

XXII. სასწაულთა იქმოდა ქრისტე წელითა ნეტარისა გრიგოლისითა, რამეთუ უძლურნი, თითოსახეთაგან სენთა შეპყრობილნი და ვნებულნი სულთაგან არაწმიდათა, ლოცვითა მისითა და ცრემლითა განიკურნებოდეს თხოვისაებრ სარწმუნოებით მვედრებელთასა.



ხოლო შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი აღმოცენებული, დიაკონებასა შინა და ტფილის აღზრდილი საჰაკო ამირისა ისმაელის ძისაგან და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული, და მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან, და რაჟამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კუალად შესძინა ძკრი ძკრსა.

ხოლო უწესოებად მისი მრავალგზის ემხილა წმიდათა მათ პირველთა კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან, უფროხს ხოლო მამისა გრიგოლისგან, ხოლო მან სრულიად საღმრთოდ შიში განაგდო ამპარტავანებისაგან ძლეულმან და ფარულად მოუწოდა ერისკაცსა ანჩელსა, ლირბსა და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა, და აღუთქუა მიცემად სამი გრივი ფეტჯ და ხუთნი თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისსა. მაშინ წარვიდა მზირად ტყესა მას ხანძთისასა და მშვილდი გარდაცუმული წელთა აქუნდა.

ხოლო ნეტარი მამად გრიგოლ თჯსით აგარაკით მარტო შთამოვიდოდა ხანძთას და მგზავრ სლვასა ზეპირით წმიდისა მამისა ეფრემის თქუმულთა საკითხავთა იტყოდა გოდებით ტირილსა შინა. ხოლო სულითა იხარებდა, რამეთუ ხედვიდა საღმრთოთა ხილკთა მადლითა სულისა წმიდისათა. მაშინ საწყალობელმან მან კაცმან იხილა სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდამო, რამეთუ სუე-

თითოსახეთაგან სენთა შეპყრობილნი სხვადასხვა სენით დაავადებულები. განიკურნებოდეს თხოვისაებრ სარწმუნოებით მვედრებელთასა იკურნებოდნენ მთხოვნელთა რწმენის ძალით. იფქლი ხორბალი. აქ მეტაფორაა: ბერები. საჰაკამირა ისმაილის ძე თბილისისამირა 831-853 წლებში. ეურჩებოდა ხალიფას. მის დასასჯელად გამოგზავნილმა სარდალმა ბუღა თურქმა 853 წელს თბილისი ააოხრა. საჰაკ ამირა ეპრძოდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს. ანჩის საყდარი საეპისკოპოსო ტაძარი კლარჯეთში. ანჩის საეპისკოპოსო VI-VII საუკუნეებში დაარსდა. შესძინა ძკრი ძკრსა ბოროტება დაურთო ბოროტებას.

უწესოება მისი... ემხილა... კლარჯეთისა მეუდაბნოეთაგან უწესობაში ამხილეს კლარჯეთში დამკვიდრებულმა ბერებმა. ლირბი ურცხვი, უნამუსო. მაგრიად მოისარი კარგი მშვილდოსანი. აღუთქუა მიცემად ... ფეტჯ შეპირდა ფეტვის მიცემას. გრივი მარცვლეულის ძველი საწყაო (დაახლ. 100 კგ) მშვილდი გარდაცუმული წელთა აქუნდა ხელთ ჰქონდა მომზადებული მშვილდი. მგზავრ სლვასა იტყოდა გზად მიმავალი ამბობდა. წმიდა მამა ეფრემი ეფრემ ასური (IV ს.) სირიელი ასკეტი, პოეტი, მოძღვარი.



ტი ნათლისად ფრიად ბრწყინვალე, ცად აწევნული, ჰფარვიდა მას. და იყო თავსა მისსა ჯუარი თუალთ-შეუდგამი გარემო მისსა ცის-სარტყელის სახედ, შუენირად რამ გამოჩნდის უამსა წუმისასა. ესე დიდებამ მის ზედა იხილა კაცმან მან და ფრიად ძრწოლამან შეიპყრა იგი, რამეთუ დაპქსნდეს ძარღუნი მკლავთა მისთანი და ზარისა მისგან დიდისა დაცემული იდვა ქუეყანასა ზედა.

ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ:

— საწყალობელო, ყავ ბრძანებული მისი, რომელმან მოგავ-ლინა შენ, რამეთუ შენ ხარ უვარის-მყოფელი ქრისტიანობისა, ვინათვან უნდოვსა სასყიდლისათვს უბრალოვსა ბერისა კაცისა სისხლთა გარდაისხამ. ანუ არა სამისა გრივისა ფეტჯათვს და ხუთ-თა თხათათვს მოსრული ხარა მოკლვად ჩემდა, უგუნურო?

მაშინ კაცი იგი ტირილით ევედრებოდა მას:

— შემიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განწირული ესე მკვლელი შენი და მიემსგავსე ქრისტესა, მკვლელთა თჯსთა შემნდობელსა.

მაშინ წმიდამან მან წყალობით ჯუარი დასწერა და განკურნა იგი, რამეთუ მრავალი გუემა დაცემულ იყო მის ზედა და სიხარუ-ლით განუტევა სახიდ თჯსად. ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა. და იგი უფროოშლა ალბორგნა და შესძინა სიბრმე სიბრმესა ზედა. და მრავალი ბოროტი შეამთხუა მამასა გრიგოლს და მის უამისა წმიდათა მამათა და სხუათაცა მორწმუნეთა ერისკაცთა. შეკრიბა ერი ანჩისამ და წარავლინა დარღუევად ხანძთისა. და ალმოსლვასა ოდენ მზისასა მივიდეს. ჰრქუა მათ მამამან გრიგოლ:

— შვილნო, დრო მეცით მე და ძმათა ჩემთა ვიდრე შუადლედმდე, რათა წმიდასა შინა ეკლესიასა ვყოთ ვედრებამ წინაშე ქრისტესა.

ხოლო მათ ისმინეს სიტყუა მოხუცებულისა. და უამსა მას ცრემ-ლით ვედრებისა მათისასა ისმინა უფალმან თხოვა მათი და წმიდისა ანგელოზისა მიერ ეუწყა მათ, ვითარმედ საღმრთო შურისგება ეწია ბოროტსა მას მტერსა, და მო-ხოლო-ინია კაცი, რომელი ეტყოდა კაცთა მათ:

— ნუღარა იკადრებთ დარღუევად დიდებულსა ხანძთასა, რა-მეთუ დამარღუეველი მაგისი მოკუდა.

მაშინ განიხარეს კაცთა მათ.

ცის-სარტყელის სახედ ცისარტყელის
მსგავსად.

დაპქსნდეს ძარღუნი მკლავთა მისთანი
მოერღვა ძარღვები, ხელი გაუშეშდა.

უნდო სასყიდელი მცირე გასამრჯელო.

ბერისა კაცისა სისხლთა გარდაისხამ ბე-
რიკაცის სისხლს ცოდვად იდებ.

მრავალი გუემა დაცემულ იყო მის ზედა
მრავალი ცოდვით იყო გვემული.

სიბრმე აქ: დაუნახაობა, სიბნელე.

წარავლინა დარღუევად ხანძთისა გაგ-
ზავნა ხანძთის ტაძრის დასანგრევად.

ალმოსლვასა ოდენ მზისასა მივიდეს ის-
ის იყო მზე ამოვიდა, რომ მივიდნენ.

დრო მეცით მადროვეთ.

მო-ხოლო-ინია ხოლო მოვიდა.

ნუღარა იკადრებთ დარღუევად დიდე-
ბულსა ხანძთასა არ გაბედოთ დიდებული
ხანძთის დანგრევა.



XXIII. ნეტარი ესე კაცი ღმრთისად, მამავ გრიგოლ, ფრიად გარდარეულად დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია. ხოლო ფერი პირისა მისისად არა იცვალა, არცა შეემთხვა თუალთა მისთა მრუმედ მხედველობად, და წორცითა ძლიერ იყო, და რათურთით უძლურებად სიკუდილადმდე არა იპოვა მის თანა. ხოლო შრომად დიდად უყუარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხვისად ოდენ, არამედ დღე და ღამე ჭელითა თჯსითა იქმოდა. და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკო-მოღუაწე.

ხოლო უმრავლესთა დღეთა შატბერდს იყოფინ, რამეთუ თჯსთა მათ მონასტერთა მამასახლისნი დაედგინნეს და იგინი იღუწიდეს მათ, და რომელი გარდამრე საქმე არნ, მას აუწყიან.

ხოლო დღეთა მათ მოხუცებულებისა მისისათა იყო რაღ შატბერდს, ზრუნვად აქუნდა ძმათა მათ მკუდრთა ხანძთისათა, რამეთუ ესმა, ვითარმედ ოხქანი ამის ცხორებისად შატბერდს ეგულების სულიერად მამასა მათსა. მაშინ რომელთა სლვად ძალ-ედვა, ერთობით მიიწინეს ყოველნი შატბერდს ძიებად წმიდისა მის. ხოლო ძმათა მათ შატბერდელთა განიხარეს მისლვად ძმათა მათ თჯსთაი. და რაჟამს გულისქმა-ყვეს მიზეზი მისლვისა მათისად, სიხარული მწუხარებად გარდაექცა. და ვითარცა ილოცეს თაყუანისცემით წმიდასა ეკლესიასა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და თაყუანის-სცეს ნეტარსა მამასა, ხოლო მან წადიერებით სურვიელად ამბორს-უყო ყოველთა და მოწლედ მოიკითხნა, ვითარცა მამამან ტკბილმან და მოძღუარმან სახიერმან.

მაშინ ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრესუა ყოველთა:

— შვილნო, ბრძანებამან ქრისტისმან შეგუკრიბნა დღეს, რათა სიმტკიცე ერთობისა და სიყუარულისად ან დაუმტკიცოთ

ფრიად გარდარეულად დაბერდა მეტის-მეტად დაბერდა.

არცა შეემთხვა თუალთა მისთა მრუმედ მხედველობად თვალთ არ დაჰკლებია.

რათურთით სრულიად.

არა ხოლო ლოცვისა და მარხვისად ოდენ მხოლოდ ლოცვითა და მარხვით კი არა.

ჭელითა თჯსითა იქმოდა თავისი ხელით შრომობდა, საქმიანობდა.

მესტუმრე მასპინძელი.

გლახაკო-მოღუაწე ღატაკთა განმეოთხველი.

შატბერდს იყოფინ შატბერდს იმყოფებოდა.

იგინი იღუწიდეს მათ ისინი ზრუნავდნენ მათზე.

რომელი გარდამრე საქმე არნ რაც უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა.

ზრუნვად აქუნდა ძმათა მკუდრთა ხანძთისათა საწუხარი, საფიქრალი ჰქონდათ ხანძთელ ბერებს.

ოხქანი ამის ცხორებისად ამქვეყნიური ცხოვრების დასასრული.

რომელთა სლვად ძალ-ედვა ვისაც სიარული შეეძლო.

ერთობით მიიწინეს ერთად მივიდნენ.

ძიებად მოსაპოვებლად, მოსაძებლად.

წადიერებით სურვილით, წადილით.

სურვიელად მონატრებით, სიყვარულით.

მოწლედ მოიკითხა გულითადად მოიკითხა.



მომავალთა უამთა ორთა ამათ მონასტერთა შინა დამკუდრებულთა ძმათა შჯულად საუკუნოდ სიტყვსაებრ უფლისა, რომელ ჰრქუა მოციქულთა, ვითარმედ: „ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“.

ერი იგი ყოველი ცრემლით მოუდგა და წმიდად იგი ადგილსა მაღალსა დადგა შორის ერსა მას ღმრთისასა და დიდებად შეწირა ქრისტის მიმართ და თქუა:

— შენ, უფალო, მოწყალებით მომიძელუ მე ქუეყანათა ამათ, სამთა თანა მოყუასთა, კეთილთა მღდელთა წმიდათა, სიკუდიდმდე მარადის დაუყდუნებელად შენდამი შეწირველთა მსხუერპლთა მათ უსისხლოთა წმიდათა, და მრავალთა სულთა ნავთსაყუდელ ჰყვენ იგინი. და ან ჩემ მიერ აღაორძინენ ნებისმყოფელნი შენნი, ქრისტე, რამეთუ ტალანტი სიბრძნისად, რომელ სიყრმით ჩემითგან მომეც, განვამრავლე იგი, ვითარცა მონამან სარწმუნომან შორის მორწმუნეთა შენთა.

და მერმე შატბერდსა ჯუარი დასწერა და ჰრქუა:

— კეთილად აღორძნდი, შატბერდო, და შეიმკვე მადლითა და განძლიერდი ძალითა ღმრთისათა. მე ან ესერა მშედობასა დაგიტევებ შენ და არღარა იხილო პირი ჩემი ჭორციელად. ან დაღაცათუ ჭორცითა განგეშორები, ხოლო სულით მარადის შენ თანა ვარ შენევნად შენდა.

წმიდამან გრიგოლ ამბორს-უყო ძმათა მათ შატბერდელთა ცრემლითა სავსეთა და ფრიადითა ვედრებითა დაარწმუნა უკუნევნად.

სიმტკიცე ერთობისა და სიყუარულისა და ან დაუმტკიცოთ მომავალთა უამთა ორთა ამათ მონასტერთა შინა დამკუდრებულთა ძმათა შჯულად საუკუნოდ ერთობისა და სიყვარულის სიმტკიცე მარადიულ რჯულად დაუუმტკიდროთ მომავალში ამ ორ მონასტერში მოღვაწე ბერებს.

ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას ერთმანეთი თუ გეყვარებათ, ამით შეიტყობს ყველა, რომ ჩემი მოხაფეები ხართ. გრიგოლ ხანძთელი შატბერდელ ბერებს მოძღვრავს მაცხოვრის სიტყვებით, რომელთა ზუსტი განმეორებაა განსამარტავი ფრაზა (იოანე 13,35).

ერი იგი ყოველი ცრემლით მოუდგა მთელი ხალხი ცრემლმორეული გარს შემოეხვია.

შორის ერსა მას ღმრთისასა ბერებს შორის.

მომიძელუ მე ქუეყანათა ამათ წამომიძეხი ამ მხარეებში, მიწინამძღვრე.

სამთა თანა მოყუასთა სამ მოყვასთან ერთად (იგულისხმებიან საბა, თევდორე და ქრისტეფორე).

დაუყდუნებელად შეუფერხებლად, განუწყვეტლივ.

ან ჩემ მიერ აღაორძინენ ნებისმყოფელნი შენნი ჩემ მიერ აღაორძინენ შენი ნების აღმსრულებელნი, შენი მიმდევარნი.

ტალანტი სიბრძნისად ეს სახე-სიმბოლო მომდინარეობს სახარებიდან (მათე 25, 15-28). ამ იგავის აზრი ისაა, რომ ტალანტის დამარცხელი თავის ადამიანურ მოვალობას ვერ ასრულებს. ადამიანი თუ არ სრულყოფს თავის თავის, თუ არ იღვნის და არ ამრავლებს ღვთით ბოძებულს, იგი კარგავს მას, აღარიბებს თავის ღვთაებრივ ბუნებას.

ქცევად თუსად ადგილად და თუთ წარყვა ძმათა მათ ხანძთელთა.

ხოლო რაჟამს შატბერდით ხანძთად მოვიდა ნეტარი გრიგოლ, განიხარეს ხანძთას თანა მახლობელთა მათ უდაბნოთა და მოვიდოდეს ძმანი ყოვლით კერძო ხილვად წმიდისა მის.

ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა განსლვად წორცთაგან და ღმრთისა მისლვად. მაშინ ყოველთა უდაბნოთა თანა-წარსცა კერეონები და შეუთუალა დღე იგი, რომელსა ალანთნენ და ლოცვა-ყონ მისთვეს.

მაშინ პრქუეს ყოველთა მათ მამათა ნეტარსა გრიგოლს:

— წმიდაო ღმრთისაო, სამოთხისა სიკეთესა მომლოდებელო, სიმართლისათვეს მშიერო და წყურიელო, და ტკბილსა მას საზრდელ-სა ქუეყანასა მოუკლებელსა ლირსქმნულო, მოწყალეო გლახაკთაო, განუშორებელ არს შენგან მარადის წყალობად ღმრთისაო.

მაშინ პრქუა ხანძთას შინა მყოფთა ძმათა:

— შვილნო, ჰყოფდით მარადის საქსენებელსა ჩემსა. ხოლო ამას გამცნებ ან ჯუარითა ქრისტესითა, რამთა წორცნი ჩემნი დაპ-მარხნეთ ძმათა ჩემთა თანა, რამეთუ არა უმჯობეს ვარ ძმათა ჩემთა სათნოვებათა მოგებითა. წორცნი ჩემნი მიიქცევიან მიწად, ხოლო სული ჩემი შეიწყნარის უფალმან.

და ესრეთ შეჰვედრა სული უფალსა და შეერთო ანგელოზთა კრებულსა.

ხოლო იყო გარდაცვალებად ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით



ყოველთა უდაბნოთა თანა-წარსცა კერეონები უდაბნოს ყველა მონასტერს გაუგზავნა ცვილის დიდი სანთლები.

სამოთხე ბიბლიის მიხედვით, ღვთაებრივი საუფლო, ედემის პალი, ზეციური ადამის სამყოფელი.

სიმართლისათვეს მშიერო და წყურიელო სიმართლეს მოშიებულო და მოწყურიებელო. „მთის ქადაგებაში“ (მათე 5,6) ქრისტე მიმართავს მოწაფეებს: „ნეტარ იყვნენ, რომელთა პშიოდის და სწყურიდის სიმართლისათვეს, რამეთუ იგინი განძლენ“. ტკბილი იგი საზრდელი აქ: სულიერი საზრდო.

ქუეყანად მოუკლებელი ზეციური სასუფეველი; წარმავალი წუთისოფლისაგან განსხვავებული, მარადიული სულიერი სამყოფელი.

ტკბილსა მას საზრდელსა ქუეყანასა მოუკლებელსა ლირსქმნულო მარადიულ სასუფეველში სულიერი საზრდოს ღირსო. **სათნოვებათა მოგებითა** მოპოვებული

სათნოებით.

იყო გარდაცვალებად... რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა გარდაიცვალა, როცა მის წელთა რიცხვმა ას ორს მიაღწია; გარდაიცვალა ას ორი წლისა.

ქრონიკონი წელთაღრიცხვის სისტემა. დროის ათვლის სამი სისტემა იყო შუა საუკუნეების საქართველოში: „დასაბამითგან“ (ქვეყნის გაჩერიდან), „ქრისტესით“ (ქრისტეს შობიდან) და ქრონიკონი, რომელიც მზისა და მთვარის მოქცევის 532-წლიან ციკლს ემყარება. თითოეულ ციკლს „მოქცევა“ ეწოდება. ქართული ქრონიკონით, სამყაროს შექმნიდან 12 მოქცევა დამთავრდა 780 წელს. „ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა“ რომ დღევანდელ სისტემაზე გადავიყვანოთ, ქრონიკონის წელთა რაოდენობას უნდადემატოს $780.81+780=861$. ე. ი. გრიგოლ ხანძთელი გარდაცვლილა 861 წელს.

დაინერა ცხორებად ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა.

ხოლო ხანძთისა წინამდლურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმნერელისა გიორგი მერჩულისა — სამთავე ამათ ერთად გულსმოდგინებითა დაინერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხორებად ესე.

ეს საინფრასოა!

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტმა, რომელიც X საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა, ჩვენამდე ერთადერთი, XI საუკუნის დასასრულის, ხელნაწერით მოაღნია. ეს ხელნაწერი კრებული იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდში ინახება. 1845 წელს ხელნაწერი აღწერა და გიორგი მერჩულის თხზულება აღმოაჩინა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა. მკვლევარი მაღევე გარდაიცვალა და ეს აღმოჩენა ქართული საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით, 1889 წელს, როცა გაზეთმა „ივერიამ“ ნიკოლოზ ჩუბინაშვილის ნაშრომი „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი“ გამოაქვეყნა.

1902 წელს ნიკო მარმა შეისწავლა ხელნაწერი და 1911 წელს გამოსცა გიორგი მერჩულის თხზულების ტექსტი ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის ვრცელი გამოკვლევითურთ. ეს იყო „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პირველი ბეჭდური გამოცემა. ამის შემდეგ ის კიდევ არაერთხელ გამოიცა და დღეს სასკოლო სახელმძღვანელოებშიც იბეჭდება. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ის ერთადერთი, XI საუკუნის დასასრულის, ხელნაწერი რომ არ შემორჩენილიყო, ქართული ლიტერატურის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა.



ქართული ხელნაწერები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში

მერჩულე რჯულის საკითხებში განსწავლული ადამიანი, სჯულის მეცნიერი (მერჩულ-ე).

ნიკოლოზ ჩუბინაშვილი (1788-1845 წწ.) — ქართველი მეცნიერი, ლექსიკოგრაფი. 1845 წელს იმოგზაურა პალესტინაში და

აღწერა ჯვრის მონასტერში დაცული ძველი ქართული ხელნაწერები.

ნიკო მარი (1865-1934 წწ.) — ენათმეცნიერი, კულტურის მკვლევარი. იკვლევდა ქართულ ენას და მის ნათესაობას სხვა ენებთან.

ც ე ქ ს ტ ი ს ტ ე პ ი თ ხ ვ ი ს ჰ ე გ ლ ე ბ

დავითიძეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რა უანრის ნაწარმოებია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“? რით განსხვავდება ის „წამებათა“ ტიპის თხზულებებისაგან?
2. რატომ უწოდებს ავტორი გრიგოლ ხანძთელს „ზეცისა კაცს და ქუეყანისა ანგელოზს“ მაშინ, როდესაც ბერი ჭუედიოსი მოიხსენიება, როგორც „ზეცისა ანგელოზი“?
3. საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი რომელი ცნობებია დაცული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“?
4. ქვემოთ ჩამოთვლილი მონასტრებიდან რომელია უშუალოდ გრიგოლის აშენებული?
 - ა. ხანძთა ბ. შატერდი გ. ოპიზა დ. უბე ე. იშხანი
5. „მონაგებთა დატევებად სისხლთა დათხევასა ემსგავსების“, — ნაწარმოების რომელ ეპიზოდს ასრულებს ეს ფრაზა?
6. თქვენი აზრით, რატომ გამოსახეს აშოთ კურაპალატი ოპიზის ტაძრის ერთ-ერთ ბარელიეფზე მონასტრის მაკეტით ხელში?
7. რისი თქმა შეგიძლიათ ნაწარმოების ტექსტზე დაყრდნობით საერო ხელი-სუფლებისა და სასულიერო პირთა ურთიერთობის შესახებ?
8. „შუმანიკის წამების“ მთავარი სახე-სიმბოლო „სძალი ქრისტესი“, ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება „აპოს წამებაში“ სანთელს. რომელი სახარებისეული სახე-სიმბოლო განმსჯვალავს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“?
9. გაითვალისწინეთ VIII-IX საუკუნეების ისტორიული ვითარება და ისაუბრეთ გრიგოლ ხანძთელის ღვანლის მნიშვნელობაზე.
10. რომელ დიდ ქართველ მოღვაწეებს მიაგებდით გრიგოლ ხანძთელის გვერდით მოხსენიების პატივს?

მხატვრული ანალიზის ელემენტები

კომპოზიცია

11. ნოველის მსგავსი, დამოუკიდებელი ფაბულის მქონე რამდენი ეპიზოდი შეგიძლიათ გამოყოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტში? რა აერთიანებს ამ ეპიზოდებს?
12. დააკვირდით ე.ნ. „სატრაფიალო ეპიზოდებს“ და გამოკვეთეთ ავტორის სათქმელი. თქვენი აზრით, რატომ შეიტანა გიორგი მერჩულემ ეს ეპიზოდები ჰაგიოგრაფიულ ტექსტში?

პითხვის სტრატეგია

პერიფრაზირება

13. გადმოეცით თქვენი სიტყვებით ნაწარმოების დასაწყისის მეორე აბზაცი: „არამედ ან მე ნაკლულოვანებად ჩემი...“.

დავალებები

~~~~ ჩრპირი მუცელობა

„ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების...“ — წერს გიორგი მერჩულე, რომელიც ქვეყნის საფუძვლად ორ არსებით ნიშანს ასახელებს: ენასა და სარ-ნეუნოებას. თქვენ როგორ დაახასიათებდით დღევანდელ საქართველოს? იმს-ჯელთ, რა არის, თქვენი აზრით, ქვეყნის ერთიანობის განმსაზღვრელი არსებითი ნიშნები?



წერითი სამუშაო

კომპლექსური დავალება 8. საინფორმაციო-ანალიტიკური ტექსტის დაწერა

წარმოიდგინეთ თავი ნიკოლოზ ჩუბინაშვილის ადგილას და დაწერეთ საგაზეთო სტატია, რომელშიც ქართულ საზოგადოებას მოუთხრობთ თქვენ მიერ ახლად აღმოჩენილი თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და მისი მნიშვნელობის შესახებ. სტატიაში:

- ისაუბრეთ ავტორზე, ნაწარმოების შექმნის ადგილზე, დროზე, როგორ და რატომ დაიწერა ეს თხზულება;
- დაახასიათეთ ნაწარმოების ჟანრი და კომპოზიციის თავისებურება;
- წარმოაჩინეთ მთავარი პერსონაჟის ავტორისეული დახასიათება, კერძოდ, რომელ სახე-სიმბოლოს იყენებს იგი მისი ღვაწლის შესაფასებლად;
- ისაუბრეთ, რა მნიშვნელოვანი ცნობებია მასში დაცული და რომელი ისტორიული პიროვნებების შესახებ მოგვითხრობს ტექსტი;
- აღწერეთ VIII-IX საუკუნეების საქართველოს ისტორიული ვითარება და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის მნიშვნელობა ამ პერიოდში;
- გამოკვეთეთ თქვენი დამოკიდებულება ტექსტში წარმოჩენილი იმ მარადიული ფასეულობებისადმი, რომლებიც აქტუალურია დღესაც;
- გაითვალისწინეთ აუდიტორია, გამოიყენეთ შესაბამისი ლექსიკა და სტილი.

შეფასების კრიტიკიუმი

ნამუშევრის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი დააინტერესებს და სრულყოფილ შთაბეჭდილებას შეუქმნის გაზეთის მკითხველს გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შესახებ;
- რამდენად და როგორ გამოკვეთეთ ლიტერატურული ძეგლისა და თავად გრიგოლ ხანძთელის პიროვნების მნიშვნელობა VIII-IX საუკუნეების საქართველოსა და თანამედროვეობის კონტექსტში.



დავალება. პრეზენტაცია თემაზე: „ტალანტის გამრავლება.“

თქვენი სახელმძღვანელოს 160-ე და 161-ე გვერდებზე განთავსებულია იშხნის საკათედრო ტაძრისა და უბისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოხატულობის ფოტოები. ამის შემდეგ (162-ე და 163-ე გვ.) გრიგოლისა და მისი მოწაფეების მიერ დაარსებულ მონასტრებში გადაწერილ ხელნაწერთა ცალკეული გვერდების ფოტოების ფოტორეპროდუქციებია წარმოდგენილი. გაიყავით ორ ჯგუფად და ერთმა ჯგუფმა მოამზადოს პრეზენტაცია ამ სამონასტრო კომპლექსების შესახებ:

- სად, როდის და რა ვითარებაში, ვის მიერ იქნა ისინი განახლებული ან დაარსებული;
- როდის მიიღეს საბოლოო სახე, ცნობილია თუ არა ამ ეკლესიების ხუროთმოძღვარი ან მომხატველი;
- რით არიან ისინი გამორჩეული; რომელი ცნობილი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ აქ და რომელი ცნობილი ხელნაწერები იქნა გადაწერილი.

მეორე ჯგუფმა კი აქ წარმოდგენილ ხელნაწერთა შესახებ მოამზადოს პრეზენტაცია:

- რა ტექსტებს შეიცავენ ეს ხელნაწერები, როგორია მათი მხატვრული გაფორმება, სად და ვინ გადაწერა ისინი, რა ბედი ენიათ მათ შემდგომ, ცნობილია თუ არა მათი დამკვეთი;
- გეცნობათ თუ არა რომელიმე მათგანის თავგადასავალი, რომელი უკავშირდება თქვენთვის ნაცნობ ისტორიულ პერსონაჟს, რომელ მათგანშია წარმოდგენილი IX კლასში შესწავლილი „მოქცევად ქართლისაა“.

ეკლესია-მონასტრებისა და ხელნაწერების შესახებ ინფორმაციის მოძიებისას შეგიძლიათ დაეყრდნოთ ვიკიპედიაში წარმოდგენილ ინფორმაციას ან სხვა წყაროებს, რომელზეც ხელი მიგიწვდებათ.

შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რა პრინციპით დაალაგეთ მოძიებული ინფორმაცია (ქრონოლოგიურით, მნიშვნელობის მიხედვით, სიდიდის მიხედვით, იმ თანმიმდევრობით, რათანმიმდევრობითაც მოვიძიეთ და სხვ.) და რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?
- როგორ გამიჯნეთ ერთმანეთისაგან მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია და როგორ აისახა ეს თქვენ ნაშრომში?



იშხნის საკათედრო ტაძარი. VII-XI სს.



იშხნის საკათედრო ტაძარი. სარკმლის რელიეფი



იშხნის საკათედრო ტაძარი.
ინტერიერის ფრაგმენტი



უბისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. მოხატულობა. XIV ს.




უბისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.
სარების სცენა. XIV ს.



უბისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.
საკურთხევლის მოხატულობა. XIV ს.



ჯრუჭი | სახარება. 936-940 წწ.




პარხლის | სახარება. 973 წ.




ბერთის II სახარება. XII ს.



ბერთის II სახარების ყდა



ოშკის ბიბლია. 978 წ.



წყაროსთავის სახარება. 1195 წ.



ადიშის სახარება



შატბერდის ქრებული. 973-976 წწ.

კომპლექსური დავალება 9. საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურის შედეგენა და პრეზენტაცია.

გიორგი მერჩილის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და ინტერნეტში მოძიებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შეადგინეთ საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურა: „გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე“, რომლის მიზანიც იქნება ტურისტების დაინტერესება ამ მხარეში მოგზაურობით.

ნამუშევარში:

- მიუთითეთ მოგზაურობის მარშრუტი (სასურველია დაურთოთ რუკაც);
- დაურთეთ ფოტოები ყველა იმ ადგილისა და ძეგლის შესახებ, რომელიც შევა ტურისტულ მარშრუტში; მიაწოდეთ მოგზაურს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როდის და როგორ დაარსდა/აშენდა იგი, რითია ეს ძეგლი გამორჩეული;
- ინფორმაციის სტრუქტურირებისათვის გამოიყენეთ რუბრიკები და სათაურები, სხვადასხვა ფერისა და ზომის შრიფტი;
- მიუთითეთ მოგზაურობისთვის საჭირო დრო და ხარჯები.

შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩინეთ:

- რატომ მიგაჩნიათ, რომ თქვენი ნაშრომი საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურაა; ამ ჟანრის რომელ მახასიათებლებს გამოყოფთ ნამუშევარში;
- რამდენად და როგორ დაგეხმარათ დავალების შესრულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის უკეთ გააზრებაში;
- რა ხერხები და საშუალებები გამოიყენეთ ბროშურაში პოტენციურ მოგზაურთა მოსაზიდად; რატომ მიგაჩნიათ ისინი ეფექტურად.

ფერსცის ენა

ლექსიკა

ეს საინფორმაცია!

სიტყვის ისტორია

„პატივი“ ძველი და ახალი გნოვნებით

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი პოემის პერსონაჟი წარმოთქვამს სიტყვებს: „იკ-მარე საღმრთოდ მათ პატივნი და სისხლის ძღვენი!..“

ეს არის ვედრება ღვთისადმი, რომ იკმაროს ქართველთა ტანჯვა.
ე.ი. აქ სიტყვა **პატიჟი** ძველი მნიშვნელობით არის გამოყენებული: „ტანჯვა“, „დასჯა“, „სასჯელი“.

ცხადია, ამავე მნიშვნელობით არის ის გამოყენებული გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში: „— და ან პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის“.

ძველ ქართულში დასტურდება აგრეთვე **განპატიჟება** ფორმა, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „გაძევება, გაგდება“.

როგორც ვხედავთ, სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობა („დაპატიჟება“) არ-სებითად განსხვავდება მისი პირვანდელი მნიშვნელობისაგან („სასჯელი“).

რას უნდა გამოეწვია მნიშვნელობის ასეთი ცვლა?

როგორც ჩანს, ზმინისწინების მონაცვლეობამ: როდესაც **გან-პატიჟება** საწყისის საპირისპიროდ შეიქმნა **მი-პატიჟება, და-პატიჟება** ფორმები, ეს უკანასკნელი ალიჭურვა დადებითი შინაარსით: „მიწვევა, გამასპინძლება“.

აი, როგორ მკვეთრად იცვლება ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობა.

„ჯერ-არს“ რთული ზენის ისტორიიდან

ჯერ-ი სიტყვა დამოუკიდებლადაც დასტურდებოდა ძველ ქართულში და ის „რიგს, საქმეს“ ნიშნავდა; **ჯერისაებრ** — „შესაფერისად, წესისამებრ“. ამის საპირისპიროდ, **უჯერო, უჯერესი** — „ურიგოს, უწესოს“ ნიშნავდა.

ამ ფუძეზე დაყრდნობით წარმოიქმნა რთული ზმნა **ჯერ-არს**, რომლის მნიშვნელობაა: „საჭიროა, აუცილებელია, სავალდებულოა“: „და ან ჯერ-არს ჩემდა აღნათქუემისა საქმით აღსრულება“.

ამ რთული ზმნიდან მომდინარეობს **სჯერა** (მჯერა, გჯერა) ზმნა თავისი ორ-პირიანი ფორმითა და მნიშვნელობით.

გრამატიკა

პირდაპირი ოპიექტის მრავლობითის ასახვა ძველ ქართულ ზენაში

ერთ-ერთი ხელშესახები განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის არის ის, რომ ახალ ქართულში პირდაპირი ოპიექტის მრავლობითობა გავლენას არ ახდენს ზმნის რიცხვზე. შეადარეთ:

მოსწავლემ ლექსი **დაიზეპირა**.

მოსწავლემ ლექსები **დაიზეპირა**.

ძველ ქართულში — პირიქით: პირდაპირი ოპიექტის მრავლობითობა აუცილებლად აისახებოდა ზმნაში:

და სალმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა.

ჯერ ერთი, როგორც უკვე იცით, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება რიცხვში აუცილებელია: **სალმრთო-ნი წიგნ-ნი** (შდრ.მხ.რ.: სალმრთო-ვ წიგნ-ი).

მეორეც: პირდაპირი ობიექტი ზმნას რიცხვში შეითანხმებს: **წიგნ-ნ-ი მოინუართ-ნ-ა** (შდრ.მხ.რ.: წიგნ-ი მოინუართა).

ზმნის I-II პირში ეს ნიშანი სრული –**ენ** სახით იქნება წარმოდგენილი:

მე წიგნ-ნ-ი მოვინუართ-ენ

შენ წიგნ-ნ-ი მოინუართ-ენ

დაიმახსოვრეთ ის შემთხვევებიც, როდესაც სუბიექტიც მრავლობითშია:

ჩუენ მოვინუართ-ენ-ი-თ

თქუენ მოინუართ-ენ-ი-თ წიგნ-ნ-ი

იგინი მოინურთ-ნ-ეს

დავალება: მოძებნეთ ტექსტში მაგალითები, რომლებშიც პირდაპირი ობიექტის მრავლობითი იქნება ასახული.

რატომ არა აქვს მოთხრობითი გრუნვა და სავრცობი (-ა) აღამიანთა საკუთარ სახელებს?

ა) ჩვეულებისამებრ, ძველ ქართულში საკუთარი სახელები მოთხრობით ბრუნვაში წრფელობითის ფორმით გვხვდება:

„ხოლო ფეხრონია ჰრეუა მას...“

ბ) ტექსტში უბის მონასტრის შესახებ ვკითხულობთ:

„და ილარიონ ვინმე, იერუსალიმით მოსრული, სარწმუნო მოხუცებული, და-ადგინა მამასახლისად, რამეთუ ხანძთით წარყოლილ იყო იგი თეოდორეს და ქრისტეფორეს თანა...“

როგორც ვხედავთ, არც „თეოდორეს“ („და“ კავშირის წინ) და არც „ქრისტეფორეს“ („თანა“ თანდებულის წინ) სავრცობი – ა არა აქვს. ასეთი სავრცობი აუცილებლად ექნებოდა საზოგადო სახელებს:

...მამისა და ძმისა თანა.

რა განაპირობებს ამ განსხვავებას?

ეს სხვაობა მსაზღვრელ ნაწევარს (ესე, ეგე, იგი, ამან...) უკავშირდება: მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი -**მან** და -**ა** სავრცობი ნაწევრიდან მომდინარეობს და ის ამიტომაც არ დაერთვის საკუთარ სახელებს; ისინი ხომ ისედაც განსაზღვრულია.

დავალება: მოძებნეთ ტექსტში „და“ კავშირის წინ სავრცობის გამოყენებისა და გამოუყენებლობის შემთხვევები.

ლიცერაციული პარალელი

წაიკითხეთ ნაწყვეტი ვასილ ბარნოვის რომანიდან „ტრფობა წამებული“ და იმ-სჯელეთ:

1. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ რომელი ეპიზოდით არის ის შთაგონებული?
2. სად უფრო ვრცლად არის გადმოცემული აშოტის მერეს მონასტერში მისვლის ეპიზოდი, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში თუ რომანში? რის ხარჯზე ხდება ეს გავრცობა?
3. რით განსხვავდება ერთმანეთისაგან პერსონაჟის „ხატვის“ ხერხი შუა საუკუნეების ლიტერატურასა, კერძოდ, ჰაგიოგრაფიასა, და ახალი დროის ლიტერატურაში?
4. მიმართავს თუ არა რომანის ავტორი სტილიზაციას? (პასუხი დაასაბუთეთ).

ვასილ ბარნოვი

ციურბა ნაძებული

(ნაწყვეტი)

აშოტი მერეს მონასტერში

გამოვიდა აშოტ სასახლიდან. ბრძანა ცხენის მოყვანა. მოართვეს მსწრაფლად. ესდენ ტრფიალი იყო შუქურის მიმართ ხელმწიფე იგი, რომელ თავმოთხოვბა დაავინყდა და მსწრაფლ გაემართა მონასტერსა ფრიად აღმფოთებული. ჰგავდა, რომელ არა ღონითა რითმე კაცობრივითა იყო ტრფიალ შუქურის მიმართ, არამედ ეშმაკისა მანქანებითა. შეკრთა გურანდუხტ დედოფალი, ძლიერ შეშინდა. შეძრწუნდა მთელი სასახლე.

— გაემართა მრისხანე დედათ მონასტრისაკენ ხელშეუხებელისა. გა-ანადგურებს მედგარი წმინდა სავანეს. საშიშ არს ესე.

— ჭეშმარიტად საშიშ არს! უმჯობესი იყო, წმინდა სავანე და განდეგილნი არ ჩარეულიყვნენ ამ ფრიად სახითათო ამბავში; წინათაც მოგახსენე ეს, — შეპეტა სახლთუხუცესმა.

— სცდები, დაბრძნობილო! იმათ უნდა იზრუნონ სჯულის სიმტკიცეზედ, ზნეობის სიფაქიზეზედ.

გრიგალივით მიპქროდა მეფის მერანი, შორიახლო ასდევნებოდა განრის-ხებულს შინაუმათა გუნდი მასთან ნაწრთობი, ომის ველზედ მტრის სისხლში მასთან ნათელლებული. ვნებათა ქარიშხალი იტაცებდა მეფის აზრებს თუ გრძნობებს, აღელვებდა, აზვირთებდა, საშინლად ატრიალებდა. შეურაცხყოფილ ბუმბერაზს უნდოდა მოეკრიბა ფიქრები, განეჭვრიტა გზა სამოქმედო. ამაოდ!

თავდაუჭერელად ჯგუფდებოდ-იშლებოდნენ მისი ფიქრები, გროვდებოდნენ, იფანტებოდნენ. მაინც შეუკავებლად მიისწრაფოდნენ მერესაკენ: იქ იყო დატყვევებული აშოტის მზეი, სიცოცხლე მისი. მხოლოდ ერთს ეტყოდა გარკვევით აზრი მღელვარე.

— მიხვალ, ნახავ, წამოიყვან! წამს არ დატოვებ სიხარულთაგან განძრცვილ ადგილას!

— ვპოვებ, მოვეჭდობი, გამოვიტაცებ!

— კვლავ გაუნათდება შუქური ციხე-ქალაქს ან ჩამოქუშულს, სამეფო პალატს ჩამობნელებულს, გულსაც ჩაგესლილს, საშინლად ჩახშულს.

— რომ არ გიჩვენონ, არ დაგანებონ?

— არ დამანებონ?! ვინ გაბედოს ეს? რომელმა შეძლოს?! ციხეც მაგარი ვერ დაუდგეს ჩემს მძლე მარჯვენას. მყის მოვიტაცებ!

— ბუმბერაზის ხმალი არ ამოდის ქარქაშიდან დედათა წინააღმდეგ, ვერცა ჰკვეთავს ფრთაასხმული სავანეს წმინდას.

— ვერც სქრის?! ვერც ჰმუსრავს?!

— მაცა, კაცო! იქნება თავისი ნებით მიჰმართა შუქურმა სავანეს წმინდას, თვით ისურვა განძორება ამა სოფლისა.

— შენ ვერ იცნობ შუქურს გულკეთილს: სულს შესწირავს ჩემთვის; იცის, უსულოდლა დავრჩები მე უიმისოდ.

გამოჩნდა სავანე. ჩამოხდნენ, დატოვეს ცხენები. გაეგებნენ მეფეს. განახვნეს კარნი ეკლესიისა. შებრძანდა, ილოცა. დალოცა მეფე დედა თებრონიამ. ფრიად ლელვილი იყო სახე მეფისა, მსწრაფლ ცვალებადი: თავის აზრებს ებრძოდა იგი, თავის გრძნობებსა; ცდილობდა თავისი სულისკვეთება როგორ-მე შეეკავებინა მცირე ხნით მაინც და უფრო ბუნებრივი სვლა მიეცა უთმენი სურვილისათვის, რომელიც მძლავრად ისწრაფოდა განხორციელებულიყო სიტყვაში თუ მოქმედებაში.

დედა თებრონია ცხადად ჰქედავდა მის სულისკვეთებას. და ყურადღებად იყო მთლად გარდაქმნილი, ვითა მებრძოლი თავგანწირული, რომელიც მოელის თავდასხმას.

— სანაპიროდ ვიყავი, სამზღვართა განსამტკიცებლად. გამიმარჯვდა ლვთით. დავლამრავლად დავბრუნდი სასახლეში. წამოვესწრაფე: ჯერ არს მადლი შევსწირ ყოვლად წმიდასა.

— ლვთისმშობელი ფარვიდეს შენს სვლას საკეთილოს, მეფევ დიდებულო! იგი მოგცემს შეძლებას, დაიცვა მტრისაგან საქრისტიანო, განამტკიცო ქართველთა შორის სჯული ქრისტესი, ზნენი კეთილნი!

გამოცდილ მებრძოლს უნდოდა შორიდან მოევლო საქმისათვის, ეთქვა რა მონაზონთა სასიამო, აღეთქვა დავლიდან ნუგეში რამე, მაგრამ დედაბრისაგან კეთილ ზნეობის ხსენებამ მთლად აფურტკნა მისი მოსაზრება. მსწრაფად შეეხო იგი თავის გულისტკივილს:

— უწყია, დედაო, რისთვის მოვედ აქ?

— უფალმა უწყის, რისთვის ბრძანე.

— ამა მიზეზებისათვის იქმნა მოსვლაი ჩემი. სახლისა ჩემისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩვენი ხელთა მისთა ეგო; მამასა გრიგოლს აქა

წარმოუყვანია იგი; ფრიად დაგვაკლდა საფასეთა ჩვენთაგან; უბრძანე: ციხედ მოვიდეს, ყოველივე მოგვითვალოს და კვლავ თქვენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს.

ჩამოჰკრა თებრონიასთვის წუთმა სასურველმა, როცა უნდა ეჩვენებინა მას შეკრებილთათვის, რა ძლიერი ძალით არის აღჭურვილი სუსტი იგი მხევალი ღვთისა, თუ მოითხოვს მას სჯული ქრისტესი; როგორ უტეხად შეხვდება იგი თვით მეფის წყრომას, იტვირთებს თვით ჯვარს ქრისტესი, წამებას სასტიკს. და ეხლავ, აქვე!

გაიმართა წელში; უფრო მტკიცედ მოირტყა მკერდზედ გადაჯვარედინებული მკლავები; მკვეთრმა ღიმილმა, ბრძოლად მიმწვევმა, გაუპო ბაგე ცალმხრივ; თვალთაგან დაეკვესა ცეცხლი ბოროტი. ჰრქვა მკვეთრად:

— მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელი იქმან უსჯულოებასა!

წარმოთქვა ეს სასტიკად და დადგა ურყევად შემმართებელი. არ ეშინოდა: შუქური ისეთ მღვიმეში ჰყავდა გადაკარგული, რომ მონასტერი მთლად დაექციათ, მის კვალს ვერ მიაგნებდნენ; თვითონ კი სიხარულით ელოდა მეხის ტეხას, რომ მისი სახელი აღგზნებულიყო ლამპრად უქრობლად აქ კაცთა შორის და მის სულს ეპოვნა ცხოვრება უხრწნელი ნეტართა შორის.

ესმა ეს მეფეს. მრისხანებამ აიტაცა. სდუმდა ერთს წუთსა: მხოლოდ სასტიკი მოქმედებით შესაძლო იყო კადნიერისადმი პასუხი სწრაფი.

ვერ აისახა მოქმედებაში გულისთქმა შეურაცხყოფილისა: ალად ავარდნილი მრისხანების წინ მხოლოდ მონაზვნის სახე აიხატა, მნირად განდეგილ ვიღაც დედაკაცისა. გაახსენდა მკვეთრი სიტყვები: მეფე ბუმბერაზი არ იკადრებს შეახოს ხმალი ქალს წინააღმდეგს; და მრისხანებას მისი გულისას დაესხა წყალი. გაიბზარა მისი მკვიდრი ნებისყოფა, გონებამაც შეუპყრო სამოქმედოდ გაწვდილი ხმალი. დაეშვა ძალა მძაფრი ბუმბერაზისა; უძლურ იქმნა იგი მისთვის შეუფერებელ ბრძოლაში. მცირე ხანს დუმდა, ვითარცა ძლეული: ხორციელად ძლიერსა ხელმნფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლიეს, შეჭურვილთა სამღვთოთა შურითა. მაშინ შეურვებულმან მეფემან გულისა შეჭირვებისაგან თქვა:

— ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს!

მსწრაფლ აღდგა და წავიდა.

დაღამდა. უმთვარო ღამე იყო. ბნელოდა. ღრუბლით შემოსილ ცას ვარსკვლავთა სხივიც დაეხშო დედამიწისათვის. ბნელმა ჩანთქა აშოტი, წყვდიადმა გარესკნელმა უსხივომ. მის სულშიც ჩამონილიყო შავი ჯავრი უნათებელი.

კოვენტი ფეხსტონი ცანა პილენა

ცხოველი და ეჯოუშენი

გიორგი მთაწილეოლი

ქართველთა მონასტერი ათონზე

X საუკუნის მიწურულს ქართველთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: საბერძნეთში, ათონის წმინდა მთაზე, ქრისტიანული სამყაროს დიდ საგანმანათლებლო ცენტრში, ქართველმა ბერებმა ღვთისმშობლის სახელზე აღმართეს მონასტერი, რომელიც ქართული მწიგნობრობისა და კულტურის კერა გახდა. ათონელთა ღვანილმა წარმართა ქართული მწერლობის, ქართული ცნობიერების შემდგომი განვითარება.

კორნელი კეკელიძის თქმით, „არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერთა მონასტერს. უმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო“.

ავტორი

ათონზე ქართული საგანმანათლებლო კერის, „ივირონის“, დამაარსებლები იყვნენ დიდი ქართველი მოღვანები, მამა-შვილი იოანე და ექვთიმე (იგივე ეფთუმე) ათონელები. მათი ღვანილი აღნერა გიორგი მთაწმინდელმა (1009-1065), ათონელმა მოღვანემ, ექვთიმე ათონელის სულიერმა მემკვიდრემ, მწერალმა და მთარგმნელმა.

გიორგი მთაწმინდელი გავლენიანი ოჯახის შვილი იყო. განათლება მიიღო ჯერ საქართველოში, შემდეგ — საბერძნეთში, სადაც შეისწავლა ბერძნული ენა, ღვთისმეტყველება, ფილოსოფია; მოღვანეობდა ხახულის მონასტერში, მერე კი — სირიაში, შავ მთაზე. თავისი მოძღვრის რჩევით იგი 1040 წელს მიიღდა ათონზე და ღირსეულად გააგრძელა ექვთიმე ათონელის საქმე. გიორგი მთაწმინდელი ათონის მონასტრის წინამდღვარი იყო 12 წლის განმავლობაში. თან ეწეოდა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვანეობას. თავისი თარგმანებით მან დიდი წვლილი შეიტანა ქართულ მწიგნობრობაში.

გიორგი მთაწმინდლის მიზანი იყო ათონელთა მოღვანეობა „სახედ სათნოებისა და სწავლად სიბრძნისა“, ე.ი. მისაბაძ მაგალითად, გამოსდგომოდა შთამომავლობას.

ნაწარმოები დაწერილია 1042-1044 წლებში.

კომპოზიცია

იოანე და ექვთიმე ათონელების „ცხოვრებას“ ორი მთავარი გმირი ჰყავს და მათ გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თორნიკე ერისთავსაც. ამ მხრივ იგი განსხვავდება სხვა ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთაგან.

ჯერ ჰაგიოგრაფი აღწერს ათონის მთაზე იოანეს მისვლას და თორნიკეს საქმეებს. შემდეგ თხზულებაში გაიშლება თხრობა, რომელიც ექვთიმე ათონელის ლვანლს ნარმოაჩენს.

დავაკავშიროთ

უკვე შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების ახალთან დაკავშირება

თქვენ უკვე შეისწავლეთ „ცხოვრებათა“ უანრის ერთი ნაწარმოები — „გრი-გოლ ხანძთელის ცხოვრება“. ისაუბრეთ ამ თხზულების მხატვრულ პრინციპებსა და თავისებურებებზე. რით განსხვავდება ის „წამებათა“ უანრის თხზულებებისაგან?

გავაანალიზოთ

მხატვრული ანალიზის ელემენტები

უანრის კანონი. ტერმინი უანრი, როგორც ვიცით, მსგავს ესთეტიკურ და მხატვრულ პრინციპებზე აგებულ ნაწარმოებთა ჯგუფს აერთიანებს. ამა თუ იმ უანრისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების ერთიანობას უანრის კანონს უწოდებენ. განსაკუთრებული სიზუსტით იცავდნენ უანრის კანონს შუა საუკუნეების ლიტერატურაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიაში. თუ დღევანდელი მკითხველი კონკრეტულ ნაწარმოებს (ან ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებს) კითხულობს და მხოლოდ წაკითხვის შემდეგ უფიქრდება (აცნობიერებს) უანრის თავისებურებებს, შუა საუკუნეების მკითხველი, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული უანრის, მისთვის კარგად ნაცნობ ლიტერატურულ პრინციპებზე აგებულ ნაწარმოებს კითხულობდა და შესაბამისადაც იყო განწყობილი. მოულოდნელობის ეფექტი გამორიცხული იყო, უანრის კანონს არც ავტორი არღვევდა და არც მკითხველი ელოდა რაიმე განსაკუთრებულს.

მაგალითად, გიორგი მთაწმინდლის თხზულება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია, „ცხოვრების“ უანრს განეკუთვნება. მასში იოანე და ექვთიმე ათონელების მოღვაწეობა აღწერილია ამ უანრისთვის დამახასიათებელი ლიტერატურული ხერხებით, ანუ უანრის კანონის თანახმად. კერძოდ, ასახულია წმინდანის სიყრმითვე გამორჩეულობა, ღვთისმოშიშება, ცოდნის შეძენის დიდი წყურვილი, მშობლიური გარემოს დატოვება, უდაბნოში დამკვიდრება და ყოველივე ამის შედეგად გზის გასრულება, ღვთით ბოძებული „ტალანტის გამრავლება“.

კითხვის სტრატეგია ეპოქის ესთეტიკის გათვალისწინება

სხვა ეპოქაში შექმნილი ნაწარმოების კითხვისას ამ ეპოქის მსოფლმხედველობასთან ერთად იმდროინდელი ესთეტიკური შეხედულებების გათვალისწინებაც გვმართებს. შუა საუკუნეებისა და შემდგომი ეპოქის ესთეტიკას შორის არსებული განსხვავება რომ შევიგრძნოთ, საკმარისია შუა საუკუნეების ფრესკებსა და აღორძინების პერიოდის მხატვრობის თუნდაც ერთ-ორ ნიმუშს გადავავლოთ თვალი. ფრესკაზე არ ჩანს ადამიანის სხეულის მშვენიერება, უფრო მეტიც, სხეული თითქოს საერთოდ არ არსებობს, ის ტანსაცმლის ნაოჭებშია ჩაკარგული და აქცენტი მხოლოდ ადამიანის თვალებსა და ხელებზე კეთდება. ფრესკამ მნახველს ესთეტიკური ტკბობა კი არ უნდა მიანიჭოს, ამქვეყნიურისგან განსხვავებული, სულიერი, მიღმური სამყაროს არსებობა უნდა შეახსენოს. **ფრესკა** არ არის **პორტრეტი** ტრადიციული გაგებით, ისევე როგორც ჰაგიოგრაფიული პერსონაჟი არ არის ინდივიდუალური **სასიათი** თავისი ნაკლითა და ლირსებებით. ჰაგიოგრაფიული პერსონაჟი უფრო **სახე-იდეა** (მონამის სახე, წმინდანის სახე, მტარვალის სახე), რომელიც უანრის კანონის მიერ განსაზღვრული პრინციპების მიხედვით იხატება.



თამარის ფრესკა ვარძიაში



რაფაელი, სიქსტეს მადონა

ცხოლებით იოგანის და ეფრემის



ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები

I. ესე ნეტარი მამა ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მწნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისავთა, და ბრძენი და საკსე შიშითა ღმრთისავთა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად ჭისენებულისა დავით კურაპალატისავთა.

ხოლო ვინავთგან ცეცხლი იგი ქრისტის სიყუარულისად გულსა მისსა მძაფრიად აღეტყინა, ყოველივე დიდებად ამის სოფლისად შეურაცხ-ყო და ფარულად ყოველთაგან სივლტოლად იწუმია. და ესრეთ მთასა ულუმბორვასა მიინია და მონასტერსა ერთსა შინა უამთა არამცირედთა ჯორთა მსახურებისა ღუანლი ახოვნად თავს-იდვა და სხუანი უნდონი მსახურებანი და შეურაცხნი სიმდაბლით აღასრულნა.

დავით კურაპალატი დავით III დიდი, კურაპალატი (გარდ. 1001 წელს), ადარნასე III-ის ძე, ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. მის დროს გაძლიერდა ტაო-კლარჯეთი და გამოცოცხლდა ამ მხარის კულტურული ყოფა. დავით კურაპალატმა დიდად შეუწყო ხელი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას.

განთქმული წყობათა შინა ბრძოლებში სახელმოხვეჭილი.

საკუთარი დაახლოებული, თავისიანი. აღეტყინა აენთო.

სივლტოლად იწუმია გაიქცა.

მთა ულუმბორვად მთა მცირე აზიაში, ბი-თვინიაში, იგივე ოლიმპის მთა.

ჯორთა მსახურებისა ღუანლი ჯორების მოვლა.

ახოვნად მოთმინებით, თავდადებით.

უნდონი მსახურებანი უპატიო საქმიანობა.



ხოლო ვინავთგან მათ უამთა შინა ბერძენთა მეფემ ზემონი ქუ-ეყანანი დავით კურაპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევ-ლად ითხოვნა მისგან, ცოლისძმათა მამისა იოვანესთა ძე მისი ეფ-თუმე სხუათა თანა უფლისწულთა მძევლად მოჰვარეს მეფესა. ესე რაღ ცნა იოვანე, სამეუფოდ ქალაქად აღვიდა და განგებითა საღმრთოთა და ბჭობითა მეფეთათა თჯი შვილი მიიყვანა და კუ-ალად ულუმბადვე უკუნ-იქცა.

ხოლო შემდგომად რაოდენისამე უამისა, ვინავთგან განითქუა სახელი მისი და პატივსა უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი, შეუძნ-და საქმე ესე, და ამის პირისათვის კუალად უცხოებასავე მიჰმართა. რამეთუ აღიღო ძე თჯი და რავდენნიმე მონაფენი და მთაწმიდას მოვიდა, ლავრასა დიდისა ათანასესა, და მუნ შეეწყნარა.

II. და მათ უამთა შინა თჯი მისი — დიდი თორნიკ — თჯსა ქუეყანასა მონაზონ იქმნა და იდუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთ-ხევად მონაზონებისა და წელთაგან იოვანესთა მიიღო. იგინი ურთი-ერთას გამოეცხადნეს და სიყუარულითა სულიერითა შეიტკპნეს. და ფრიადი სიხარული იქმნა მონასტერსა შინა.

და შემდგომად რაოდენისამე უამისა განითქუა ჰამბავი მათი და იცნობა, ვითარმედ მთაწმიდას არიან. და ინყეს მიერითგან ქარ-თველთა მოსლვად და განმრავლებად. და ესე რაღ იხილეს ნეტართა მამათა ჩუენთა, ვითარცა იყენეს სავსენი ყოვლითავე სიბრძნითა, განიზრახეს, ვითარმედ: „არა ჯერ-არს ჩუენი მონასტერსა შინა ყოფად, რამეთუ სხუანიცა მოგუმართებენ და გარე-შექცევად შე-უძლებელ არს“. და ლავრისაგან განმორებულად წმიდისა იოვანე მახარებელისა ეკლესიად აღაშენეს და სენაკები და მუნ იყოფებოდეს.

ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი ეს ტერიტორია, რომლის გამოც საქართველო და ბიზანტია ხანგრძლივად დაობდნენ, მოიცავდა სამხრეთ ბასიანს, ჭოროხისა და არაქსის სათავეებთან მდებარე მიწებს და ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით განლაგებულ პროვინციებს. ამ მიწების სანაცვლოდ ბიზანტიამ მძევლად აზნაურთა შვილები მოითხოვა. მათ შორის იყო იოანეს ძე ექვთიმე, რომელიც იოანეს ცოლის ძმებმა და სიმამრმა მიჰვარეს მეფეს მძევლად.

სამეუფო ქალაქი სატახტო ქალაქი, დედა-ქალაქი. აქ: ცონსტანტინოპოლი.

ბჭობად მეფეთა მეფეთა გადაწყვეტილება.

პატივსა უყოფდეს პატივს სცემდნენ.

შეუძნდა საქმე ესე შეაწუხა ამ ამბავმა. ამის პირისათვის ამის გამო.

მთაწმიდა მთა საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, კონცხზე, რომელიც შექრილია ეგეოსის ზღვაში. VIII საუკუნის ბოლოს ქართველ ბერებს მცირე სავანე დაუფუძნებიათ აქ. პირველი დიდი მონასტერი მთაწმინდაზე ააგო ათანასე დიდმა, დედით ლაზმა. აქვე დაარსდა ათონის ივერთა მონასტერი ღვთისმშობლის სახელზე.

დიდი თორნიკ თორნიკე ერისთავი, ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, დავით III კურაპალატის სახელგან-თქმული სარდალი. ბერად აღკვეცის შემდეგ ათონის მთაზე მოღვაწეობდა. თორნიკეს შენირულებითა და უშუალო მონაწილეობით აშენდა ათონის ივერთა მონასტერი. გარდაიცვალა 985 წელს.

გარეშექცევად უკან გაბრუნება.

III. და მას უამსა იქმნა განდგომილებად სკლიაროსისათვის, და კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“. და ესრეთ რად იურვოდეს ამის პირისათვის, ესმა იყვანეს, განიზრახეს, ვითარმედ: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“. და ესრეთ რად იურვოდეს ამის პირისათვის, ესმა იყვანესთვის და თორნიკიისთვის და ცნეს, რამეთუ ლავრასა დიდისა ათანასესსა არიან. და მეყსეულად სევასტოფორი, კაცი წარჩინებული მათ უამთა შინა მთავართა შორის დედოფლისათვის, წიგნებითა სამეუფოვთა ლავრას წარმოავლინეს. და ვითარცა მოვიდა, მისცა წიგნები თითოეულად, ვითარცა აქუნდა ბრძანებად, ერთი — ათანასის და ერთი — თორნიკს და ერთი — იოვანეს.

ათანასე და იოვანე შეუვრდეს თორნიკს და იწყეს ვედრებად მისსა, რამთა აღვიდეს მეფეთა წინაშე. ხოლო მას რად ესმა ვედრებად მათი, ფრიად შეწუხნა და ეტყოდა, ვითარმედ:

— წმიდანო მამანო, მე ცოდვათა ჩემთათვის მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვად, რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა პირისათვის მიწმობენ. უკუეთუ წავიდე, ამის სოფლისავე შთოთთა შთამაგდებენ.

ხოლო მამამან ათანასი და მამამან იოვანე ძლით დაარწმუნეს წარსლვამ.

ხოლო ბასილი და კოსტანტი მას უამსა წუთ-და ყრმა იყვნეს. და ყოველი გასაგებელი დედოფლალსა ეპყრა და პარაკიმენონსა. და



იოანე მახარებელი იგივე იოანე ლვთის-მეტყველი, სახარების მიხედვით, მაცხოვრის უსაყვარლესი მოწაფე, ერთ-ერთი მოციქული, სახარებისა და გამოცხადების, ანუ აპოკალიფსის (ახალი აღთქმის ბოლო წიგნი), ავტორი.

იყოფებოდეს იმყოფებოდნენ.

განდგომილებად ამბოხება, ლალატი, განდგომა.

სკლიაროსი ბარდა სკლიაროსი (X საუკ.), ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლურ პროვინციათა მმართველი. 978 წელს ისარგებლა უფლისწულების — ბასილისა და კონსტანტინეს — მცირეწლოვანებით და აჯანყდა. ეს აჯანყება ჩააქრო ქართველთა ლაშქარმა თორნიკე ერისთავის სარდლობით.

წმელით კერძი ხმელეთის მხარე.

მეფენი და დედოფალი იგულისხმებიან მცირეწლოვანი უფლისწულები — ბასილი და კონსტანტინე — და მათი დედა.

შეწუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა გამომწყვდეულნი იყვნენ ქალაქში (კონსტან-

ტინოპოლში).

ამას რად შინა იყვნეს ამ დღეში რომ იყვნენ.

კურაპალატისაგან კიდე კურაპალატის გარდა.

ესრეთ რად იურვოდეს ამის პირისათვის ამის გამო ასე რომ წუხდნენ.

წიგნები სამეუფო სამეფო წერილები.

ალვიდეს მეფეთა წინაშე წარდგეს მეფეთა წინაშე (იგულისხმება ბიზანტიის სამეფო კარი).

ბასილი ბასილი II (958-1025 წწ.), ბიზანტიის იმპერატორი 976 წლიდან. მის დროს ბიზანტიის იმპერია განსაკუთრებით გაძლიერდა და განივრცო.

კოსტანტი კონსტანტინე, ბასილი იმპერატორის ძმა.

წუთ-და ჯერ კიდევ.

ყოველი გასაგებელი დედოფალსა ეპყრა ყველაფერს განაგებდა დედოფალი.

პარაკიმენი პარაკიმანოსი (ბერძნ.), მესანოლეობუცესი, მოხელე ბიზანტიის იმპერატორის კარზე.



ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეუფოდ, მეყსეულად შეიყვანა იგი პარაკიმენონმან მეფეთა წინაშე. და მეფენი და დედოფალი ზე აღუდ-გეს და პატივით მოიკითხეს და გუერდით დაისუეს. და უბრძანა დედოფალმან ბასილის და კოსტანტის და ფერწა შეუვრდეს. და დედოფალმან მიუგო, ვითარმედ:

— წმიდაო მამაო, რამცა ამათ ობოლთა თანა ქმნა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა. წარვედ კურაპალატისა წინაშე და ყოველი ჭირი ჩუენი აუწყე; და ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი უღმრთოდ სკლიაროსი და ჩუენ ჭირისაგან განგუარინნეთ.

ფრიად ევედრა თორნიკ დედოფალსა, რათამცა განათავი-სუფლა.

და კუალად დედოფალმან და პარაკიმენონმან ჰრეკუეს, ვით-არმედ:

— შენ ოდენ ამათ ობოლთა ჭელი აღუპყარ და, რამცა ბრალი იყოს, ღმერთმან ჩუენგან იძიენ.

და ესრეთ წიგნები ვედრებისად დაწერეს კურაპალატსა თანა. და ესრეთ იჯმნა მეფეთაგან და კურაპალატსა წინაშე მიინია თორნიკ. ხოლო იხილა რად იგი კურაპალატმან, ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთამ მიითუალა. განზრახვავ ქმნეს, რათა ლაშქარნი წარგზავნნეს საბერძნეთს და სპასალარად თორნიკ განაჩინეს. ხოლო თორნიკ კურაპალატისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებად კურაპალატისად აუწყა.

მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მწედარი რჩეული თორ-ნიკს. და შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარ-სეთამდე მეოტად წარიქცია; შეიძყრნა ყოველნი დიდებულნი სა-ბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ყო; და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თუთ დაიმჭირა.

აღვიდა... სამეუფოდ მივიდა სამეფო კარ-ზე, წარდგა სამეფო კარზე.

რამცა ამათ ობოლთა თანა ქმნა რასაც ამ ობლებისათვის იქმ.

ვესავ ღმერთსა ღვთის იმედი მაქვს.

რომელ რომ.

იოტოთ გააქცევთ, განდევნით.

განგუარინნეთ დაგვიხსნით, გადაგვარ-ჩენთ.

რათამცა განათავისუფლა აქ: რომ გაე-თავისუფლებინა (ამ დავალებისაგან).

შენ ოდენ ამათ ობოლთა ჭელთა აღუპყარ შენ ოღონდ ამ ობლებს დაეხმარე.

ბრალი ცოდვა, შეცოდება.

ღმერთმან ჩუენგან იძიენ ღმერთმა ჩვენ მოგვითხოს.

წიგნები მეფეთად მიითუალა მეფეთა წე-რილები ჩაიბარა.

სპასალარი მხედართმთავარი.

განაჩინეს დაადგინეს, დანიშნეს.

მეფეთა წინაშე წარსცა მეფებს გაუგ-ზავნა.

აოტა გააქცია.

ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია გააქცია სპარსეთამდე სდია.

ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი ბაზანტიის ყველა დიდებული (იგულის-ხმებიან სკლიაროსის მომხრეები).

იავარ-ყო გაანადგურა.

რომელიმე ზოგი.

თუთ დაიმჭირა თვითონ დაიტოვა.

ნაალაფარი დიდძალი ფრიად: ოქროვ და ვეცხლი და სტავრა და სხუა ესევითარი. და უკუნ-იქცა. და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადლა და მეფეთავე წინაშე მოვიდა.

ხოლო იგინი დიდითა პატივითა მიეგებნეს და მოწლედ მოიკითხეს. იჯმნა უკუე მათგანცა და გამოეთხოვა. კუალად მთან-მიდასვე მოიქცა ურიცხვთა საფასითა და განძითა, რომელი-იგი ყოველივე მამისა თჯსისა სულიერისა იოვანეს წელთა მისცა და თავი თუსი სრულიად უარ-ყო.

IV. და ამისა შემდგომად განიზრახეს მამათა, რათა თუსი მონასტერი აღაშენონ. და ღმრთისა მომადლებითა პოვეს ადგილი შუენიერი შუა მთანმიდისა და აღაშენეს მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთისმშობელისა სახელსა ზედა და წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისასა ფრიადითა ოფლითა და ღუანლითა.

ხოლო ვინათგან დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ესევითართა პირთათუს უბნობად და ჰამბავი უყუარდა.

პრქუა მას მამამან იოვანე, ვითარმედ:

– საყუარელო ძმაო, ან დააცადე სოფლიოთა მაგათ საქმეთა უბნობად და ამიერითგან სხუასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრიელს ხოლო ხუცესასა.

ხოლო ხუცესი იგი ესევითარი კაცი იყო, რომელ პირსა მის-სა მსოფლიო სიტყუად არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთო და სულიერი.

და მიერითგან ღირსი იგი მონასტრისა ძმათა არღარა ვის ეუბნებინ.

ესრეთ ესევითარსა ამას სულიერსა ცხორებასა შინა აღას-რულნა დღენი თუსნი და ღმრთისა მივიდა.



ნაალაფარი ნადავლი.
სტავრა „სირმის ნაქსოვი“ (საბა), ოქრო-ქსოვილი.

სხუა ესევითარი სხვა ამდაგვარი.

უკუნ-იქცა უკან მობრუნდა.
დიდად მოიმადლა დიდად დაასაჩუქრა,
მოიმადლიერა (თორნიკემ კურაპალატი).
მოწლედ გულითადად, სიყვარულით.

უკუე აქ: შემდეგ, მერე.

საფასე ქონება, საჭურჭლე.

თავი თუსი სრულიად უარ-ყო თავის
თავზე სრულიად არ იფიქრა.

ღმრთისა მომადლებითა აქ: ღვთის წყალობით.

შუა მთანმიდისა მთანმინდის შუა ადგილას.

წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა ბრძოლებსა და საომარ საქმეებში იყო სიყრმიდანვე გამოწრთობილი.

ამათ ესევითართა პირთათუს ამათ (ლაშქრობათა) შესახებ.

უბნობად და ჰამბავი საუბარი და თხრობა.

დავუიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. ვინ იყო იოანე და რა აკავშირებდა მას დავით კურაპალატის სამეფო კართან?
2. იოანეზე საუბრისას ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების გმირის დამახა-სიათებელ რომელ თვისებაზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას ტექსტის პირველ აბზაცში?
3. რომელი მხატვრული სახე გამოიყენა ავტორმა იოანეს ბერად შედგომის სურვილის გამოსახატავად?
4. რა გზას დაადგა ბრძოლებში სახელმოხვეჭილი იოანე ქართველი? რით ახსნით იმ ფაქტს, რომ სახელოვანმა მხედართმთავარმა ჯორე-ბის მოვლა იტვირთა?
5. როგორ აღმოჩნდა ყრმა ექვთიმე კონსტანტინოპოლიში? როგორ აღ-მოჩნდა იგი მთანმინდაზე?
6. ვინ გაჰყვა იოანე ქართველის მიერ არჩეულ გზას?
7. რამ აიძულა ბერად აღკვეცილი იოანე თორნიკყოფილი კვლავ მახვილი აეღო ხელში?
8. რას მოხმარდა გამარჯვებულ ქართველთათვის ბოძებული განძეუ-ლობა?
9. რა აუკრძალეს თორნიკეს მონასტერში? რა იყო ამის მიზეზი?

V. შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, რათა აღიღოს ძე თჯის და რავდენიმე მონაფენი და ივლტოდის სპანიად, რამეთუ პირველითგანვე უძნ-და შუღლიანობა და შფოთი. ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არა-მცირედნი ნათესავნი და ერნი მკუდრ არიან მუნ. და ამის პირისათვს წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე, რამთა მიერ პოვოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი. და რომელი-იგი მას უამსა მთავრობდა

შემდგომად თორნიკის მიცვალებისა ე.ი. 985 წლის შემდეგ.

განიზრახა... რათა აღიღოს განიზრახა, რომ წაიყვანოს.

ივლტოდის სპანიად გაიქცეს, წავიდეს ესპანეთში.

უძნდა ეძნელებოდა.

ასმიოდა გაგონილი ჰქონდა, შეეტყო, გა-ეგო.

ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკუდრ არიან მუნ ქართველთა

მოდგმის ხალხი არცთუ ცოტა მკვიდრობს იქ.

ავიდოსი უძველესი ნავსადგური დარდა-ნელის სრუტის ნაპირას (ამჟამად თურ-ქეთის საზღვრებშია მოქცეული).

ამის პირისათვის ამიტომ.

მიერ აქ: იმ მხარეში, იქ.

რომელი-იგი მას უამს მთავრობდა ავი-დოსს ვინც იმჟამად მთავრობდა ავიდოს-ში.

ავიდოსს, ფრიად საყუარელი იყო მამისა იოვანესი და მეგობრობისა მისისათვის გამოუცხადა მას გულის-სიტყუად თვისი. ხოლო იგი წინა-აღუდგა და აბრკოლებდა. და ვითარ იხილა მამად იოვანე დამტკიცებული თვისავე გულის-სიტყუასა ზედა, გამოუცხადა და ჰრქუა, ვითარმედ: „წმიდაო მამაო, არა უმეცარ ხარ შენ, თუ რაბამი სიყუარული აქუს მეფეთა ღირსებისა შენისავ და, უკუეთუ გაგიტევნე, დიდი ბოროტი მოწევნად არს ჩემ ზედა. მიუწერო მეფეთა და, ვითარცა ბრძანონ, ეგრეცა ქმენ“.

და ვითარცა მიუწერა, უბრძანეს მეფეთა, რათა სამეფოს წარავლინნეს. და ვითარცა აღვიდეს, დიდითა პატივითა მოიკითხნეს იგინი შეფეხთა.

მრავალთა უამთა დიდითა პატივითა დაიმჭირეს და მერმე დიდითა ბოძითა განუტევეს. ქენებითა ძლით დაარწმუნეს მონასტრადვე შექცევად და ესრეთ კუალად შეიქცა თვისავე მონასტერსა.

VI. და შემდგომად მცირედისა უამისა ნიკრისისა სენსა შთავარდა და მრავალთა წელთა ცხედარსა ზედა დავრდომილი მდებარე იყო. და ვითარ იხილა ესევითარი უძლურებად თვისი, ევედრებოდა მამასა ეფთვმის, რათა მიითუალოს ზრუნვად მონასტრისავ. ხოლო მას უძნდა შფოთი ამის სოფლისაი და არა თავს-იდებდა შფოთთა შთავრდომად. გარნა ვინაითგან შეუძლებელ იყო მამისა მოხუცებულისა ურჩებად, მორჩილ ექმნა მას და ბრძანებითა მისითა განაგებდა საქმეთა მონასტრისათა.

სანატრელმან მამამან ჩუენმან იოვანე შეისუენა და ღმრთისა მივიდა, განმდიდრებული ტკრთითა სათნოებათავთა.

VII. ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. რამეთუ, ვითარცა-იგი ზემორე ვთქუთ, წარიყვანა სამეუფომა შვილი თვისი

გულის სიტყუა გულისნადები, სურვილი.
დამტკიცებული მტკიცე, ურყევი.
არა უმეცარ ხარ შენ იცი.
რაბამი როგორი, რაგვარი.
ღირსება სინმინდე, სათნოება.
უკუეთუ გაგიტევნე თუ გაგიშვი.
რათა სამეფოს წარავლინნეს რომ სამეფო კარზე (კონსტანტინოპოლში) გაგზავნონ.
ვითარცა აღვიდეს როცა მივიდნენ (კონსტანტინოპოლში). იერუსალიმის მსგავსად, კონსტანტინოპოლიც წმინდა ქალაქად მიიჩნეოდა და მისი სულიერი სიმაღლის გამოსახატავად იქ „მისვლა“, „ჩასვლა“ კი არა, — „აღსვლა“ ითქმოდა.

დაიმჭირეს დატოვეს, თავისთან ამყოფეს.
ბოძი საბოძვარი, საჩუქარი.
ქენება ხვეწნა, ვედრება.
ნიკრისის სენი ნიკრისის ქარი, სახსრების დაავადება.
ცხედარსა ზედა დავრდომილი მდებარე იყო ლოგინად იყო ჩავარდნილი, საწოლს იყო მიჯაჭვული.
მიითუალოს ზრუნვად მონასტრისად იტვირთოს მონასტერზე ზრუნვა.
ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ ჩვენ კი ადრე თქმულს მოვუბრუნდეთ.
წარიყვანა სამეუფომა წაიყვანა მეფის სასახლიდან.





ეფთვემე მამამან იოვანე. და პირველად ქართული სწავლად ასწავა და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით. და სიყრმითგანვე მადლი ღმრთისად იყო მის ზედა და ღმრთისაგან მიეცა გულისხმისყოფად წერილთად და სულისა წმიდისა მადლითა აღივსო, ვითარცა ეუნყანეტარსა იოვანეს, მამასა მისსა, გამოცხადებითა წმიდისა ღმრთისმშობელისათა. რამეთუ უამსა სიჭაბუკისა მისისასა, ვიდრე ყრმა-ღა იყო, სენითა მძაფრითა შეპყრობილ იქმნა და სიკუდილსა მიეახლა, და იტყოდა ნეტარი იოვანე, ვითარმედ:

— სასოებად წარვინირე ცხორებისა მისისად, რამეთუ ვჰგონებდი მექსა შინა სულთა აღმოსლვასა, ვინათგან არცა-ღა სიტყუად დაშთომილ იყო მის თანა, არცა — ვმავ. და ვითარ-იგი შეშფოთებულ ვიყავ, წარვედ ტაძარსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და დავვარდი წინაშე ხატსა წმიდისა დედოფლისასა და ცრემლითა მკურვალითა ვევედრებოდე უხრწნელსა მარადის ქალწულსა ღმრთისმშობელსა, რათა შემწე ეყოს და ყოს ლხინებად. და ვამცენ მღდელსა, რათა მსწრაფლ აღმოვიდეს და აზიაროს ჭორცსა და სისხლსა უფლისასა. და ვითარ-იგი შეშფოთებულ ვიყავ და აღვისწრაფდი ხილვად, თუ რაღ-ძი იქმნა, განვალე კარი სენაკისად, სადა-იგი დამეტევა მწოლარე. და მეყსეულად ვიყონსე სული სულნელებისად საკურველი. რამეთუ იქმნა მოხედვად წმიდისა ღმრთისმშობელისად და ვიხილე ეფთვემე, რამეთუ მადლითა მისითა აღდგომილ იყო და ჯდა ცხედარსა ზედა ყოვლითურთ მრთელი და უვნებელი.

და ვითარ-იგი განჰკრთა გონებად ჩემი და ვჰკითხევდ მას, ვითარმედ:

— რა არს ესე, შვილო?

მომიგო და მრქუა მე, ვითარმედ:

— აწლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქუა

სწავლად აქ: მწიგნობრობა.

ბერძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით ყოველგვარი სიბრძნე სრულად აათვისებინა ბერძნულად.

ღმრთისაგან მიეცა გულისგმის-ყოფად წერილთად ღვთისაგან ებოძა წმინდა წიგნების წვდომის უნარი.

სასოებად წარვინირე ცხორებისა მისისად მისი გადარჩენის იმედი დავკარგე.

მეყსა შინა აქ: ყოველ წამს.

არცალა სიტყუად დაშთომილ იყო მის თანა, არცა — ვმავ არც მეტყველების უნარი შერჩენოდა, არც — ხმა.

ვითარ-იგი რადგანაც.

წმიდა დედოფალი ღვთისმშობელი.

უხრწნელი წმინდა, უბინო.

აღვისწრაფდი ხილვად, თუ რაღ-ძი იქმნა ვრქარობდი მენახა, თუ რა მოხდა.

სადა-იგი დამეტევა მწოლარე სადაც დამეტოვებინა მწოლიარე.

სული აქ: სუნი.

იქმნა მოხედვად წმიდისა ღმრთისმშობელისად წმინდა ღვთისმშობელმა წყალობით მოხედა.

ვითარ-იგი როგორც კი.

განჰკრთა გონებად ჩემი გამოვფხიზლდი, გონს მოვედი.

აწლა ახლახან, ეს-ესაა.

ქართულითა ენითა: „რაღ არს, რაღ გელმის, ეფთკმე?“ ხოლო მე ვარქუ, ვითარმედ: „მოვკუდები, დედოფალო“. და ვითარცა ესე ვთქუ, მომეახლა და მიპყრა წელსა და მრქუა: „არარაღ არს ვნებაღ შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად წინილად უბნობდი“. და აპა ესერა ვითარცა მხედავ, ყოვლადვე არღარაღ მელმის.

და იტყოდა ნეტარი იოვანე, ვითარმედ:

— მუნ უამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავ ამის პირისათვეს, ხოლო მიერითგან დაუყენებელად, ვითარცა წყაროდ აღმოდინ უნმიდეს ყოველთა ქართველთასა.

ეტყვან მამავ იოვანე, ვითარმედ:

— შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაა დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნი აკლიან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. ან იღუანე, რამთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან.

და იგი მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად და ყოველნივე განაკურვნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰეონებ, თუ არცალა გამოჩინებად არს.

იგი იქმნა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენამ და ქუეყანა, რომლისა-იგი ნამუშაკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაა, ვითარცა წესტკ ოქროსად ჭმამაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა არა ხოლო ქართლისასა,



რახარს, რახ გელმის? რა არის, რა გტკივა?

მიყურა წელსა ხელი შემახო.

არარაღ არს ვნებაღ შენ თანა არაფერი არ გჭირს.

ქართულად ჭისნილად უბნობდი! ქართულად თავისუფლად, გამართულად ილაპარაკე!

და აპა ესერა და, აი.

ყოვლადვე არღარად მელმის სრულიად აღარაფერი მტკივა.

მუნ უამადმდე ძნიად უბნობნ ქართულად იმ დრომდე ძლივს ლაპარაკობდა ქართულად.

ხოლო მიერითგან დაუყენებელად, ვითარცა წყაროდ აღმოდინ უნმიდეს ყოველთა ქართველთასა ხოლო მას შემდეგ

წყაროსავით დაუბრკოლებლად აღმოჩენის (მისი პირიდან) ყოველი ქართველის მეტყველებაზე უნმინდესი ქართული.

სასყიდელი ფასი, გასამრჯელო.

მოსწრაფედ ბეჯითად, გულმოდებინედ.

ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა ასეთი მთარგმნელი, იმ ადრინდელ მთარგმნელთა გარდა (იგულისხმებიან ბიბლიის წიგნთა მთარგმნელები), არ მოვლენია ჩვენს ენას.

ვჰეონებ, თუ არცალა გამოჩინებად არს მგონია, რომ აღარც გამოჩინდება (არც იქნება).

სამკაული ნათესავისა ჩუენისა ჩვენი ერის (ქართველების) შემამკობელი.

წესტკ ჩასაბერი საკრავი.



არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბალაპვარი და აბუკურა და სხუანიცა რაოდენნიმე წერილი ქართულისაგან თარგმნა ბერძულად.

და მრავალნი წიგნი წარსცნის წინაშე დავით კურაპალატისა, რომელი-იგი იხილა რაო, ვითარცა იყო მორნმუნე, სიხარულითა აღივსო და ადიდებდა ღმერთსა და იტყოდა ვითარმედ: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩუენთა ამათ უამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა“.

და ზედავსზედა მოუნერნ, რავთა თარგმნიდეს და წარსცემდეს. და იგი სანატრელი შეუსუენებელად თარგმნინ და რავთურთით არა სცემდა განსუენებასა თავსა თჯსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომლისა მიერ დაატებო ენად ჩუენი და ეკლესიად.

ღმერთშემოსილმან მამამან ჩუენმან ესრეთ აღაორძინა მისდა რწმუნებული იგი ტალანტი.

VIII. და კუალად წინამძღვრობასა შინა დაყო ათოთხმეტი წელი და სამასისა სულისა ზრუნვა და დიდისა ლავრისა განგება და მთაწმიდელთა უფროვსნი საურავნი მის ნეტარისა მიერ იურვებოდეს და თჯსა კანონსა დიდსა და მძიმესა ძლიერად აღასრულებ-

ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა ხმოვანებს, ულერს მთელ ქვეყანაზე, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ბიზანტიაშიც.

ბალაპვარი იგივე „სიბრძნე ბალაპვარისი“, შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული თხზულება, რომელიც ქართულად არაბული ენიდან უნდა იყოს გადმოკეთებული, ხოლო ექვთიმე მთაწმინდლის ბერძნული თარგმანის მეშვეობით გავრცელებული ევროპაში.

აბუკურა მკვლევართა აზრით, ეს უნდა იყოს „მიქაელ საბაწმიდელის ცხოვრება“, რომელიც თავისი მოწაფეებისათვის უამბნია თეოდორე აბუკურას, არაბული წარმოშობის ცნობილ მწერალს.

წერილი აქ: წანარმოები, თხზულება. იქროპირი იგულისხმება იოანეოქროპირი (IV საუკ. II ნახ.და V საუკ. დასაწყისი), ქრისტიანული კულტურის უდიდესი მოღვაწე, ეკლესიის მამა, ღვთისმეტყველი და უბადლო მჭევრმეტყველი, რის გამოც შეარქეს

„ოქროპირი“.

ზედავსზედა ზედიზედ, ხშირად.

მოუნერნ მოსწერდა ხოლმე.

რავთა თარგმნიდეს და წარსცემდეს რომ თარგმნის და გაუგზავნის ხოლმე.

თარგმნინ თარგმნიდა ხოლმე.

რავთურთით სრულიად.

არა სცემდა განსუენებასა თავსა თჯსა თავს მოსვენებას არ აძლევდა, არ ისვენებდა.

ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა საღვთო წიგნების ტკბილი თაფლისთვის იღვწოდა; ე. ი. ფუტკარივით შრომობდა.

რომლისა მიერ რომლითაც.

ესრეთ აღაორძინა... მისდა რწმუნებული იგი ტალანტი ასე გაამრავლა მისთვის ბოძებული ტალანტი.

მთაწმიდელთა უფროვსნი საურავნი მის ნეტარისა მიერ იურვებოდეს მთაწმინდელ ბერთა უმთავრეს საზრუნავზე ნეტარი (ექვთიმე) ზრუნავდა.

და. და ამის ყოვლისა თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროვსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან, ვითარცა ვთქუთ, ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა.

და მისთა შრომათა და ღუაწლთა ზედა, ოდესცა რამე საერო საქმე არ მონასტრისავ, თუნიერ უცალოებისა თანავე გავიდის გინათუ ნავისა გამოზიდვასა, გინათუ ნავი მოვიდის ხუარბლითა, გინათუ ვენაჯთა ასარვასა, გინათუ აჯოჯვასა, გინათუ სთულებასა. რამეთუ ვინავთგან ახალნერგ იყვნეს წუთ-ლა ვენაჯნი, ყოველთა სარითა განგებად უნდა. და უფროვსნი დღენი ვენაჯთა შრომასა შინა დაყვნიან, და ყოლადვე მამად მათ თანავე იყვის, თუნიერ დიდისა მიზეზისა.

...იყო წმიდაო მამად ჩუენი ეფთუმი სახითა მყუდრო და გონებითა წრფელ და მდაბალ, და სულითა განათლებულ და გუამითა ძლიერ.

აქუნდა ზრუნვამცა დიდისა ლავრისად და, ვიდრემდის ერჩდეს, კეთილად განაგებდა.

...აღესრულა სამგზის სანატრელი მამად ჩუენი ეფთუმე თუესა მაისსა ათცამეტსა, დღესა ორშაბათსა, წელთა დასაბამითგან სოფლისამო ექუს ათას ხუთას ოცდამეათექუსმეტესა წელსა, სადიდებელად მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რომლისად არს დიდებად და პატივი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.



ამის ყოვლისა თანა ყოველივე ამასთან ერთად.

შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა თარგმნას არ მოსცდებოდა.

ყოვლადვე იჭირვინ სულ შრომობდა, იჭირვებდა.

თუნიერ უცალოებისა მოუცლელობის მიუხედავად.

...თანავე გავიდეს გინათუ ნავისა გამოზიდვასა სხვებთან ერთად გადიოდა ნავის გამოსათრევადაც კი.

ხუარბალი ხორბალი.

ვენაჯთა ასარვა ვაზის აკვრა სარზე.

აჯოჯვა გაფურჩვნა, ვაზისთვის ზედმეტი რტოების ჩამოშორება.

სთულებად რთველი.


ახალნერგ იყვნეს წუთ-ლა ვენა-

ხი სულ ახალი გაშენებული იყო.

ყოველთა სარითა განგებად უნდა ყოველ ვაზს სარით გამართვა სჭირდებოდა, უნდოდა.

ყოლადვე სულ.

აღესრულა... მამად ჩუენი ეფთუმი... წელთა დასაბამითგან სოფლისამო ექუს ათას ხუთას ოცდამეათექუსმეტესა წელსა ჩვენში ქვეყნის გაჩენიდან ქრისტემდე 5604 წელს ითვლიდნენ, მაგრამ ზოვჯერ დათარილებისას იყენებდნენ ბიზანტიურ სისტემასაც, რომლის მიხედვით ეს პერიოდი 5508 წლით განისაზღვრებოდა. ასეა აქაც. 6536 წელს უნდა გამოვაკლოთ 5508 წელი და მივიღებთ ექვთიმე ათონელის გარდაცვალების თარიღს (1028 წ.).



ოპიზაში გადაწერილი სახარება ათონის მთის ივერთა მონასტრის
ბიბლიოთეკიდან

დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. რატომ განიზრახა იოანემ შვილთან ერთად ესპანეთში გამგზავრება?
2. რა სასწაულებრივ ამბავს მოგვითხრობს იოანე ყრმა ექვთიმეს შესახებ?
3. რა დიდი საქმე შთააგონა მამამ ექვთიმეს?
4. ავტორის თქმით, ექვთიმემ „დაატკბო ენაა ჩუენი და ეკლესია“. რას ნიშნავს ეს სიტყვები?
5. როდის იტვირთა ექვთიმე მთაწმინდელმა მონასტრის წინამძღვრობა?
6. რომელი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების პერსონაჟის დახასიათებას გაგონებთ მოხუცებული ექვთიმეს დახასიათება?
7. გრიგოლ ხანძთელი „დღე და დამე ჭელითა თვისითა იქმოდა“. შეიძლება თუ არა იმავეს თქმა ექვთიმეზე? (მოძებნეთ ტექსტში სათანადო ადგილი).

ც ე პ ს ტ ი ს ც ე პ ი თ ს ვ ი ს ც ე პ ლ ე ბ

დავითიძეთ, გავაანალიზოთ, შევაფასოთ:

1. ავტორის აზრით, ვინ „განანათლა ქართველთა ენად და ქუეყანად“?
2. რომელი ქვეყნები გაამდიდრა ექვთიმე მთაწმინდლის თარგმანებმა?
3. რა წვლილი შეიტანეს ქართველმა მეომრებმა ბიზანტიის ისტორიაში?
4. დავით კურაპალატი ძლიერი ხელმწიფე იყო. საიდან ჩანს, რომ იგი დიდი მნიგნობარიც ყოფილა?
5. რა მნიშვნელობა მიანიჭა გიორგი მერჩულემ ქართულ ენას? რა მნიშვნელობა ენიჭება მშობლიურ ენაზე ყრმა ექვთიმეს ამეტყველებას?
6. როგორ ფიქრობთ, შეეძლოთ თუ არა ექვთიმესაც გრიგოლ ხანძთელის მსგავსად ეთქვა: „ტალანტი სიბრძნისად, რომელი სიყრმით ჩემითგან მომეც, განვამრავლე იგი, ვითარცა მონამან სარწმუნომან შორის მორწმუნეთა შენთა“ (პასუხი დაასაბუთეთ).
7. აკაკი წერეთლის რომელ პოემას დაედო საფუძვლად „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“?
8. ექვთიმე მთაწმინდელი თავისნათქვამა და ჯიუტ ადამიანებს ურჩევდა: „განკითხვად წინამძღვარი არს ცხოვრებისად“ (გამოძიება, ყველაფრის აწონდანონა, ხსნის საწინდარია). როგორ ფიქრობთ, დღესაც გამოგვადგება თუ არა ეს შეგონება?

მხატვრული ანალიზის ელემენტები

ჟანრის კანონი

9. როგორ ფიქრობთ, ითვალისწინებს თუ არა ჟანრის კანონს გიორგი მთაწმინდელი თავისი თხზულების პერსონაჟების ხატვისას? (პასუხი დაასაბუთეთ).

პითევის სტრატეგია

ეპოქის ესთეტიკის გათვალისწინება

10. გახდათუ არაუფრო გასაგები თქვენთვის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები მას შემდეგ, რაც მისი ფუძემდებლური ესთეტიკური პრინციპი გააცნობიერეთ? (პასუხი დაასაბუთეთ).



ჯგუფური გამოკვლევა

თქვენ გაეცანით გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას, რომელიც ათონის ქართული საგანმანათლებლო კერის, „ივირონის“, დამაარსებლების, მამა-შვილის, იოანესა და ექვთიმე ათონელების, შესახებ მოგვითხრობს. ამ ადამიანების ღვაწლი ისევე, როგორც ათონის ივერთა მონასტრის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიაში საგანგებო შესწავლის ღირსია.

ჩაატარეთ ჯგუფური გამოკვლევა, მოიძიეთ მასალები ათონის ქართველთა საგანმანათლებლო კერის, „ივირონის“, შესახებ და კვლევის შედეგები წარმოადგინეთ საინფორმაციო მოხსენების სახით.

ძირითად წყაროდ შეიძლება გამოიყენოთ **ლევან მენაბდის წიგნი: „ძველი ქართული კულტურის კერები“**, ტ. II.

გარდა ამისა, ინფორმაცია ათონის შესახებ, ასევე ფოტოები, შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებითაც მოიძიოთ.

ეს საინცერტოა!

მამა-შვილი — იოანე და ექვთიმე — ესპანეთში წასვლას ლამობდნენ („ივლტოდეს სპანიად“), რადგან სმენოდათ, რომ ქართველნი არამცირედნი ნათესავნი და ერნი მკუდრ არიან მუნ“.

აზრი პირინეისა და კავკასიის იპერიის მკვიდრთა ნათესაობის შესახებ მერეც ღვიოდა ჩვენში. თითქმის ათი საუკუნის შემდეგ დიდი ენათმეცნიერი ნიკო მარი ეწვია პირინეის მთებში მცხოვრები ბასკების იმ ნაწილს, რომელიც ესპანეთის მოსაზღვრედ მკვიდრობს, ისინი საფრანგეთის ბასკებად იწოდებიან. თავისი შთაბეჭდილებები და დაკვირვებები ნიკო მარმა გადმოგვცა წიგნში „პირინეის გურია“. აი, ნაწყვეტი ამ წიგნიდან:

ვერ წარმომედგინა ჩვენს დროშიც თუ შეიძლებოდა მომხდარიყო სასწაული. არადა, მოხდა:

საღამოს მატარებლით გავემართეთ პარიზიდან იმ ადგილისაკენ, სადაც მივლინებული ვიყავი ლინგვისტური კვლევა-ძიების მიზნით. თანამშრომელი მახლდა. პარიზიდან სამხრეთით, პირინეისკენ გავწიეთ. გათენდა დილა და... მოხდა სასწაული! აღმოვჩნდით კავკასიაში, გურიაში, ანუ ჩემს სამშობლოში, სადაც არაერთხელ ყოფილა ჩემი თანამშრომელიც და ერთად გვქონდა განცდილი იქაური ბუნებითა და ყოფით მოგვრილი გამაოგნებელი შთაბეჭდილება. პატარა გურია დიდებულია თავისი ბუნების მრავალფეროვნებით. განსაკუთრებით, — გურიის

მთაგორიანი აღმოსავლეთი ნაწილი, სურების მხარე, რომელიც უდელტეხილის გადაღმაა, მთების იქითა კალთაზე, ახალციხის მიჯნაზე, ძველი სამცხის ანუ მესხეთის არეში.

ამჯერად საფრანგეთის ბასკების დიალექტს ვიკლევდი. აივანზე ვიჯექი, ქვემოთ მდინარე მიშეუოდა და ამეკვიატა აზრი, რომ ეს ჩემი მშობლიური სუფსაა. მთებს გავყურებდი, იმათ სახელებს ვეკითხებოდი იქაურებს და მეჩვენებოდა, რომ სახელწოდება შეუცვალეს ჩემი სოფლის მთებს, რომლებიც ჯანდს თუ მოიკიდებდნენ, ამით ვარკვევდით დარსა თუ ავდარს. ირგვლივ სიმინდის ყანებია. აგერ ჩენინაირი ბოგა, სწორედ ისეთი, გურიაში რომაა და მეზობელ იმერხევში. ნაცნობი მცენარეული სამყარო. აგერ, მაყვალი, პარკოსანი მცენარეები. ლობიო მოჰყავთ, ლობიოს ალუბიას უწოდებენ. მცენარეთა სახელწოდებაში სხვაც უამრავია მსგავსება ევროპის იბერიასა და კავკასიის იბერიას შორის. ამას ენათმეცნიერული მთელი ნარკვევი სჭირდება. აქ ჯერ კიდევ ახსოვთ ხეზე გასული ვაზი, სწორედ ისე, როგორც ჩვენშია, გურიაში.

მეზობელი სოფლისკენ გავწიეთ. ნაცნობი თუ უცნობი, მოხუცი თუ ახალგაზრდა — ყველა გვესალმება და მოგონებებს გადავყავარ ჩემი სიჭაბუკის გურიაში, სანამ ევროპული განსწავლულობა გამიფერმკრთალებდა თავაზიანობის ამ გამოვლინებას. ადამიანები უკეთ იცნობდნენ და უფრო ენდობოდნენ ერთმანეთს, შემხვდური უცნობისაც კი უკეთ ესმოდათ, მის პასპორტში არ იჭყიტებოდნენ.

პირინეის გურიაში ქრისტიანული სავანეების აღმართვის ამბავიც ჰეგავს საქართველოს სიწმინდეთა — მოწამეთას თუ შემოქმედის — მონასტრების შესახებ არსებულ ლეგენდებს, მათი საერთო წყაროს არსებობა ეჭვს არ იწვევს.

თავს ვგრძნობთ ბასკეთში კი არა, — გურიაში. ეს განცდა, უფრო სწორად, ამ ფაქტის გაცნობიერება კიდევ უფრო ცხადი გახდა, როცა ჩვენი ბასკი მასპინძლების სასტუმროში ვისადილეთ. პირის გემოც გურული არ აღმოჩნდა?! განსაკუთრებით გაგვაკვირვა გურულად შეკმაზულმა ქათამმა. გურულს ჰეგავდა სასმელიც, გართობა-თამაშობანიც, სიმღერა, სამეურნეო ნაგებობანი, არქიტექტურა. საოცრადლამაზი, ტანადი ქალები მხოლოდ გურულ კი არა, მეგრელ ქალებსაც ჩამოჰვავდნენ.

ეს რთულად განსასჯელი საკითხებია და მათი კვლევა ჩემი მიზანი არ არის. მომინდა საერთო შთაბეჭდილება გადმომეცა, თუ რატომ მეჩვენა, რომ პარიზიდან ჩეარი მატარებლით გავემგზავრეთ და აღმოვჩნდით პირდაპირ გურიაში, კავკასიაში, საქართველოში, მაშინ როცა სინამდვილეში პირინეის იბერიაში ვიყავით, ეგრეთ წოდებულ საფრანგეთის ბასკებთან. განა ეს სასწაული არ არის?! მართლაც და, გასაკვირია, რომ უცხო ენაზე მოსაუბრებთან თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ჩემს მშობლიურ ქართულზე მოლაპარაკეთა შორის ვიყო.

თარგმანი რუსულიდან

ფერცვის ენა

ლექცია

საკუთარი სახელი „თორნიკე“

თქვენ უკვე იცნობთ აკაკი წერეთლის პოემას „თორნიკე ერისთავს“, რომელიც ვრცლად აღნერს გიორგი მთაწმიდელის თხზულებაში გადმოცემულ ერთ-ერთ ამბავს.

პოემაში მთავარი გმირის სახელი ორი სახით გვხვდება — **თორნიკე** (როგორც სათაურშია) და **თორნიკი**:

„მაშინ წარდგა ბატონის წინ დიდი თორნიკ ერისთავი“.

„მაგრამ თორნიკ უპასუხებს...“

დავალება: მოძებნეთ თხზულების ტექსტში თორნიკე ერისთავის სახელის გამოყენების შემთხვევები და გადაწყვიტეთ, რომელი ფორმა ყოფილა იმ დროისათვის მიღებული — თორნიკე თუ თორნიკ?

გრამატიკა

პველი და ახალი „იოვანესა და ეპთიმეს ცხოვრების“ ენაში

„იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ XI საუკუნის ლიტერატურული ძეგლია. ამ დროისათვის ძველი ქართული სალიტერატურო ენა თავისი განვითარების მწვერვალზეა; მაგრამ უკვე იგრძნობა ცოცხალი მეტყველების ცალკეული გავლენა, რაც იმაში გამოიხატება, რომ უკვე დამკვიდრებული მწიგნობრული ნორმის გვერდით პარალელური ვარიანტებიც იჩენს თავს; რამდენიმე მაგალითი:

1. დღევანდელი კითხვითი ნაცვალსახელი „**რამდენი**“ წარმოშობით რთული სიტყვაა (**რამ+ოდენი**), რომელმაც განვითარების გრძელი გზა განვლო:

რამ-ოდენი → **რაოდენი** → **რავდენი** → **რამდენი**.

როგორც ხედავთ, უფრო ძველი **რაოდენია**, შემდგომი — **რავდენი**. „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ ორივე გვხვდება:

„ხოლო შემდგომად **რაოდენისამე** უამისა...“

„ალიღო ძე თუ და **რავდენნიმე** მოწაფენი...“

2. თქვენ უკვე იცით, რომ „ვინ“ ნაცვალსახელისაგან ნაწარმოებმა ზმნიზედამ „ვინავ, ვინავთ(გან)“ დროთა განმავლობაში შინაარსობრივი ცვლილება განიცადა: ძველ ქართულში იგი ძირითადად ნიშნავდა „საიდანაც“, შემდგომ — „რა დროიდანაც“, ხოლო ბოლოს დამკვიდრდა მნიშვნელობით — „რადგანაც“.

ახლა დააკვირდით ციტატას თხზულებიდან და გადაწყვიტეთ, ამ მნიშვნელობა-
თაგან რომელს გამოხატავს „ვინაიდან“: „ხოლო შემდგომად რაოდენისამე უამისა,
ვინაითგან განითქვა სახელი მისი.., შეუძნდა საქმე ესე“...

3. ტექსტში ძირითადად ზმნისნინთა ძველი ფორმებია გამოყენებული, თუმცა
თავს იჩენს მათი გამარტივების ცალკეული შემთხვევებიც. მაგალითად, თორნიკეს
ერთ ფრაზაში დასტურდება ნარ- ზმნისნინის ორივე (ძველი და ახალი) ვარიანტი:

„შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვად, რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა
პირისათვეს მიწმობენ. უკუეთუ წავიდე, ამის სოფლისავე შფოთთა შთამაგდებენ“.

დავალება: მოძებნეთ ზმნისნინის გამარტივების მაგალითი შემდეგ წინა- დადებებში:

„წმიდაო მამაო, არა უმეცარ ხარ შენ, თუ რაბამი სიყუარული აქვს მეფეთა
ღირსებისა შენისად და, უკუეთუ გაგიტევნე, დიდი ბოროტი მოწევნად არს ჩემ
ზედა“; „და მერმე ბერძულად გაასწავლა ყოვლითავე სწავლულებითა სრულებით“.

მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების ერთი შემთხვევა

ახლისაგან განსხვავებით, ძველ ქართულში მსაზღვრელსა და საზღვრულს შო-
რის ბრუნვასა და რიცხვში სრული შეთანხმება ხდებოდა:

ნეტარ-ი	ბერ-ი	ასეთივე ვითარება იყო შებრუნებული,
ნეტარ-მან	ბერ-მან	უფრო ბუნებრივი წყობისას:
ნეტარ-სა	ბერ-სა	
ნეტარ-ისა	ბერ-ისა	ბერ-ი ნეტარ-ი
ნეტარ-ითა	ბერ-ითა	ბერ-მან ნეტარ-მან და მისთ.
ნეტარ-ად	ბერ-ად	
ნეტარ-ო	ბერ-ო	

ასევე ხდებოდა მაშინ, როდესაც მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის (ან შესა-
ბამისი მრავლობითის) ფორმით იყო წარმოდგენილი. აქაც შეთანხმება სრული
იყო, როდესაც მსაზღვრელი მოსდევდა საზღვრულს: იხ. მაგალითები: შიშითა
ღმრთისათა... შვილი აზნაურთანი, ბჭობითა მეფეთათა...

მაგრამ ამგვარი შეთანხმება უმეტესად არ გვქონდა, თუკი მსაზღვრელი წინ
უსწრებდა საზღვრულს:

ღმრთისა შიში, ღმრთისა შიშითა...
მეფეთა ბჭობა, მეფეთა ბჭობითა...

დავალება: დააკვირდით, როგორი წყობითაა მსაზღვრელ-საზღვრული
„კეთილისა საქმითა“ და როგორი იქნებოდა ის შებრუნებული წყობისას.

DON'T COPY

DON'T COPY

DON'T COPY